DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library in partnership with the Georgian National Museum.

- Creator: Lortkipanidze, M.|ლორთქიფანიძე, მ.|Лорткипанидзе, М. Н.
- Title: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები ტომი II (არმაზისხევსა და ბაგინეთზე აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები)|Геммы Государственного Музея Грузии том II (Памятники глиптики найденные в Армазисхеви и Багинети)
- Publication Date: 1958
- Publisher: Georgian National Academy Of Sciences, Georgian National Museum
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_3ffaaac168

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.



საქართველოს სახელმწიფო გუზეუმის გემები



АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

МУЗЕЙ ГРУЗИИ ИМ. АКАД. С. Н. ДЖАНАШИА

М. Н. Лордкипанидзе

ГЕММЫ ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ

II

Памятники глиптики найденные в Армазисхеви и Багинети...

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ТБИЛИСИ—1958

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი

მარგარიტა ლორთქიფანიძე

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები

II

არმაზისხევსა და ბაგინეთზე აღმოჩენილი
გლიპტიკური ძეგლები



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

თბილისი—1958

რედაქტორი
ა.ა.ლ. ბ. ა.ბ.ი.ა.ნ.ა.შ.ვ.ი.ლ.ი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ გლიპტიკურ ძეგლებიდან სპეციალურად შესწავლილი და გამოცემულია მხოლოდ სამთავროს სამაროვანის გემები; 1938—39 წწ. მასალები დამუშავებულია პროფ. მ. მაქსიმოვას მიერ (Геммы из некрополя Мцхеты — Самтавро. საქართველოს „მუზეუმის მოამბე“ XVI—B, თბ., 1950). მასვე აქვს გამოცემული ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავების ერთი ჯგუფი (Стеклянные многогранные печати, найденные на территории Грузии, „ენიმკის მოამბე“ X, თბ., 1941). 1940—41 და 1946 — 48 წწ. მოპოვებული გემები კი—ჩვენს მიერ (სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, თბილისი, 1954).

წინამდებარე ნაშრომში განხილულია არმაზისხევსა და ბაგინეთზე სისტემატური გათხრების შედეგად აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები. აღნიშნულ მასალაზე, რომელიც მუზეუმის სამეცნიერო ფონდით იყო გათვალისწინებული, 1952—1954 წწ. განმავლობაში ვმუშაობდით.

მასალის დამუშავების დროს ერმიტაჟში მ. მაქსიმოვასაგან რიგი მნიშვნელოვანი მითითება გვაქვს მიღებული, რისთვისაც გულითად მადლობას მოვახსენებთ.

მას შემდეგ, რაც წინამდებარე ნაშრომი გადაცემული იყო უკვე გამომცემლობაში, გამოქვეყნდა ა. აფაქიძის, გ. გობეჯიშვილის, ა. კალანდაძის და გ. ლომთათიძის წიგნი „მცხეთა“ I; ტექნიკური მიზეზების გამო ვერ შევძელით აღნიშნული წიგნის გათვალისწინება ჩვენს ნაშრომში.

დასასრულ, დიდ მადლობას ვუცხადებ მხატვარ ა. ამბრიაშვილს, მეცნიერ თანამშრომლებს, ს. ბოლქვაძესა და თ. ფერაძეს წიგნის მხატვრული გაფორმებისათვის. აგრეთვე, ვ. თულაშვილს რომელმაც ფოტო-სამუშაოები შეასრულა.

მ. ლორთქიფანიძე

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ანტიკური გლიპტიკის ისტორიიდან

გლიპტიკა (δακτυλιογλυφία ან λιθουργική) ქვაზე ამოჭრის ხელოვნებას, სახელდობრ, ძვირფას და ფერად ქვებზე ამოჭრის ხელოვნებას ნიშნავს. ამოკვეთის პროცესს γλύφειν, scalpere ეწოდება, ჭრილა ან ამოკვეთილგამოხატულებიან ქვას გემას უწოდებენ (λίθος, gemma). ამოჭრის ტექნიკის მიხედვით გემები ორ ჯგუფად იყოფა: 1. ღრმადნაკვეთ (ქვაში ჩაჭრილ) გამოხატულებიანი ან წარწერიანი გემა — ინტალიო (ἀνάγλυφα, intaglio, gemma exculptae), 2. რელიეფურად შესრულებული გემა—კამეა (gemma calatae, ἔκτυπα, აგრეთვე λίθοι ან τύποι ἐγγεγλυμμένοι-ს უწოდებენ).

იარაღს, რომელსაც გემების მჭრელი ხმარობს δακτυλιογλύφος ან λιθογλύφος ეწოდება. ჭრილა ქვების, ე. ი. გემების კოლექციები ცნობილია δακτυλιοθῆκαι-ს სახელწოდებით.

კამეა სამკაულად იხმარებოდა. კამეებს ბეჭდების, სამაჯურების, საყურეების, ბალთების, მანიაკების, ავეჯისა და სხვათა მოსართავად იყენებდნენ. ინტალიო ძირითადად საბეჭდავებისათვის (sigilum, σφραγίς) იყო განკუთვნილი. ხშირად მას ავგაროზის (amuletum, περίαμμα) დანიშნულებაც ჰქონდა. ზოგიერთი ინტალიო მხოლოდ სამკაულად იხმარებოდა. გემების ეს ჯგუფი დიდი ზომითა და გამოხატულების ხასიათით გამოირჩევა.

ამრიგად, გემას სამი დანიშნულება ჰქონდა: საბეჭდავის, ავგაროზისა და სამკაულის.

საბეჭდავებს ძველი სამყარო ფართოდ იყენებდა; მათი გავრცელება დაკავშირებულია კერძო საკუთრების ინსტიტუტის განვითარებასთან. საბეჭდავები იხმარებოდა წერილების და საბუთების[1], განძეულობის შესანახი სკივრების, საკვების შესანახი ჭურჭლის, ზეთითა და ღვინით სავსე ამფორების დასაბეჭდად.

ეს ტრადიცია ჩვენშიც საშუალო საუკუნეებამდე შემონახულა. დმანისში 1936 წელს არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, მარნიან შენობაში, აღმოჩენებული იყო XII საუკ. ქვევრი, რომელსაც ბეჭდის—ანაბეჭდის კვალი აქვს შერჩენილი. იხ. სურ. 1 და 2.

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულია მეღვინეობასთან დაკავშირებით სხვადასხვა შინაარსის მქონე საბეჭდავები. ასეთი საბეჭდავები ღვინიანი ქვევრის ანუ ჭურის დასაბეჭდად იხმარებოდა. ქვევრის სარქველზე სილას

---

[1] ძველ აღმოსავლეთში საბუთების დაბეჭდვა დადასტურებულ ფაქტად ითვლება. ამის შესახებ მასალებს იძლევა იქ მოპოვებული არქივები და საბუთები (თიხის ბულები და შეკიდული ბეჭდები). Н. П. Лихачев, Древняя сфрагистика, Спб, 1906, გვ. 24—25.

საბუთების დაბეჭდვა მოხსენიებულია აგრეთვე „დაბადებაში“: „...მოვიგე აგარაკი ანამელისგან ძისა სალომისსა ძმისა ჵამისა ჩემისა... და დავწერე წიგნსა შინა და დავბეჭდე და მიმოწმენ ძოწმენი და მიუწონე ვერცხლი სასწორითა და მივიღე წიგნი მოგებისა დაბეჭდილი“, იერემია, XXXII, 9, 10, „დაბადება“, 1884 წ. გამოცემა, ტფილისი.

იქვე. სტრ. 13 „...ამათ იტყჳს უფალო ყოვლისა მპყრობელი ღმერთი ისრაელისა, მიიღე წიგნი მოგებისა ესე დაბეჭდული და წიგნი ესე აღმოკითხული“.

იქვე, სტრ. 43 „... და მოიგნენ აგარაკნი ვერცხლითა, დაიწეროს წიგნსა შინა და დაიბეჭდოს და იწამებდენ მოწამეთა ჭეშმარიტებასა შინა ბენიამენისასა და გარემოს იერუსალემსა“.

ან ნაცარს ყრიდნენ და შემდეგ მასზე ბეჭედს დასვამდნენ. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ დაინტერესებულ პირს საშუალება ჰქონოდა შეემოწმებინა ქვევრში მოქცეული ღვინის ხარისხი და რაოდენობა ყოველგვარი ხელყოფისაგან.



სურ. 1

ბეჭედი საკუთრებას ყოველგვარი ხელყოფისაგან იცავდა. საბეჭდავი—ინტალიო საკეტებისა და გასაღებების ნაცვლადაც იხმარებოდა: საბეჭდავით სახლის კარები იბეჭდებოდა[2].

ოფიციალური საჭიროებისათვის გამოყენებული გემა თავისი ხასიათით ახლოა მონეტასთან. ვუოლტერსს[3] მოყავს პლატონის ცნობა იმის შესახებ, რომ ეთიოპელები ამოკვეთილგამოხატულებიან ქვებს (λίθοι ἐγγεγλυμμένοι) მონეტებად ხმარობდნენ. ხშირად ერთი პერიოდის გემებსა და მონეტებზე ერთნაირ მოტივებს ვხვდებით, მაგრამ, მონეტისაგან განსხვავებით, გემა ინდივიდუალური გემოვნების ამსახველია და ამდენად, შინაარსობლივადაც მრავალფეროვანი და მრავალმხრივი.

მეფეებს, იმპერატორებს, წარჩინებულ პირებსა და მოხელეებს თავიანთი საბეჭდავები ჰქონდათ, რომლითაც საბუთები მტკიცდებოდა. ამრიგად, საბეჭდავი ინდივიდუალურიც იყო და ოფიციალურიც.

იულიუს კეისრის საბეჭდავ-ბეჭედზე შეიარაღებული აფროდიტე იყო გამოხატული. ავგუსტს თავის პირველ საბეჭდავზე სფინქსი ჰქონდა ამოჭრილი, შემდეგ ალექსანდრე დიდის პორტრეტიან გემას ხმარობდა; ხოლო მის შემდეგ, რაც მისი პოზიცია, როგორც რომის იმპერატორისა საბოლოოდ განმტკიცდა, ავგუსტის საბეჭდავი ბეჭედი საკუთარმა პორტრეტმა დაამშვენა[4]. ცნობილია, რომ ავგუსტის ეს უკანასკნელი საბეჭდავი რომის იმპერატორების მიერ რომის იმპერიის სახელმწიფოებრივ ბეჭდად იქნა აღიარებული.

საბეჭდავების სიუჟეტებს დიდი მრავალფეროვნება ახასიათებს. საბეჭდავებზე გამოხატულია ღვთაებები, გმირები, ცხოველები, მცენარეები. ელინისტურ ეპოქაში ფართოდ გავრცელდა აგრეთვე პორტრეტი. ბეჭდის მფლობელი თავისი სურვილის მიხედვით უკვეთავდა ოსტატს საბეჭდავზე ამოსაკვეთ გამოხატულებას: ღვთაებას, რომელსაც იგი თაყვანს ცემდა, მითოლოგიურ გმირს, ან რომელიმე სიმბოლოს; ზოგჯერ—გარდაცვლილ წინაპარს, ოჯახის წევრს ანდა ბელადს.

ხშირად ბეჭდის მფლობელი გამოხატულებასთან ერთად თავის სახელს ან სახელის ინიციალებს ამოაჭრევინებდა ხოლმე. ამგვარ საბეჭდავებზე გამოხატულება და წარწერა კომპოზიციურად ერთ მთლიანს შეადგენს. ამ ტიპის გემებზე გამოხატულებას ცენტრალური ადგილი უჭირავს. წარწერა რომელიმე მხარეს ან გამოხატულების ირგვლივ, თვალსაჩინო ადგილზეა მოთავსებული, იგი შედარებით დიდი ასოებითაა შესრულებული[5].

---

[1] ცნობა მოგვაწოდა ნ. რეხვიაშვილმა. საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში ამგვარი საბეჭდავი დაცულია № 35—49/1-ით.

[2] აღსანიშნავია, რომ ძველ აღმოსავლეთში, სახელდობრ, ეგვიპტესა და მესოპოტამიაში ამ წესს იმის გამო მიმართავდნენ, რომ მათ საკეტები არ ჰქონდათ. სახლ-კარის დაბეჭდვას რომაელები და ბერძნებიც მისდევდნენ, თუმცა მათთვის გასაღებები ცნობილი იყო, მაგრამ არცთუ მაინცდამაინც გავრცელებულ საგანს წარმოადგენდა.

კარებების დაბეჭდვა მოხსენიებულია ოშკის ბიბლიაშიც: „... დაუკლიტო კარი და დაჰბეჭდე ბეჭდითა შენითა“ (წიგნი დანიელისა, 14. 10; ციტირებულია ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში. დამატება III, თბილისი, 1946, გვ. 221.

[3] Walters, Catalogue of antique engraved gems and cameos. London, 1926, გვ. XXX.

[4] Plinius Secundus, Naturalis Historiae, XXXVII, IV.

[5] ბერძნული წარწერები გემებზე და ზეწერილები მონეტებზე ერთდროულად ჩნდება. უძველესი ბერძნულწარწერიანი — მფლობელის სახელიანი ინტალიო ძვ. წ. VII საუკ. თარიღდება. იხ. Daremberg et Saglio, Dictionnaire des antiquitées grecques et romaines, გვ. 1472.

პრაქტიკული დანიშნულების გარდა გემას სამკაულის დანიშნულებაც ჰქონდა. სამკაულად განკუთვნილ გემებისათვის ძვირფას და ნახევრად ძვირფას ქვებს ირჩევდნენ. ოსტატები ცდილობდნენ ქვა თანაბარი შეფერილობისა და თვალისათვის სასიამოვნო ყოფილიყო. გემების გამოსახულებებისათვის შინაარსიც საგანგებოდ იყო ხოლმე შერჩეული.

ძველ საბერძნეთში სამკაულად გამოყენებულ გემებს რელიგიური მნიშვნელობაც ჰქონდა.

ალექსანდრე მაკედონელის ომების შემდეგ საბერძნეთში დიდი რაოდენობით შეიტანეს ძვირფასი და ფერადი ქვები. ამ დროს ფართოდ დაიწყო გემების სამკაულად გამოყენება. ამოკვეთილ-გამოხატულებიანი ქვების გამოყენება დაიწყეს სხვადასხვა ნივთების შესამკობად. ამკობენ ოქროსა და ვერცხლის ლარნაკებს, ავეჯს, ტანსაცმელსა[1] და ფუფუნების სხვადასხვა ნივთებს[2], იარაღსა და სხვ.

ძვირფასმა თვლებმა ადამიანის ყურადღება უძველესი დროიდან მიიპყრო. ქვები სათაყვანო საგნად იქცა. თავდაპირველად ადამიანს ქვის ფერი და მისი ელვარება ხიბლავდა, ამავე დროს მას წამდა, რომ ქვა მას ავი თვალისაგან დაიცავდა. ამდენად ფერადი ქვები ავგაროზის ფუნქციებს ასრულებდნენ. პირველ ხანებში ადამიანი ქვას დაუმუშავებელი სახით ატარებდა, იმ სახით, როგორითაც ბუნებაში პოულობდა. ქვებისადმი ეს რწმენა აისახა რელიგიურ კულტებში, მინერალოგიურ და სამედიცინო ტრაქტატებში, მაგ., პლინიუსი Naturalis Historiae XXXVI და XXXVII წიგნებში დაწვრილებით მოგვითხრობს ქვების სხვადასხვა მაგიური თვისებების შესახებ. ამეთვისტოზე ამბობს, რომ ის ადამიანი, რომელიც ამეთვისტოს ატარებს, არასდროს არ დათვრება. ქვის სახელწოდება ბერძნული ἀμέθυστος-დან მომდინარეობს, „α“ უარყოფის ნიშანია, μέθυστος დათრობას ნიშნავს[3].



სურ. 2

შემდეგ, იმისათვის, რომ ავგაროზის ძალა გაეძლიერებინათ, დაიწყეს ქვებზე ამა თუ იმ ღვთაების ამოკაწვრა და ამოჭრა. ამგვარი ქვები თავისებურ ემბლემად იქცა და შემდეგ — პირად საბეჭდავებადაც.

ჩვენამდე მოღწეული წინაისტორიულ ეგვიპტისა და მესოპოტამიის საბეჭდავები მოწმობენ, რომ გლიპტიკა ძვ. წ. IV ათას წლეულში მაღალ საფეხურზე იდგა. ნახელავის მიხედვით ჩანს, რომ მაღალ საფეხურზე მდგომ ტექნიკურ პროცესს წინ უსწრებდა პრიმიტიულად შესრულებული ძეგლები.

პტოლემაიოსების დროს, ოსტატებმა ნახევრად ძვირფას ქვების ნატეხებიდან ლარნაკების ამოჭრა დაიწყეს; ამგვარ ლარნაკებზე გამოხატულებები რელიეფურად არის ხოლმე შესრულებული (ამ ლარნაკებს vases murrhin ეწ.). ხსენებული ტექნიკით შესრულებულ ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშად Cabinet des medailles-ის კანფარი ითვლება, რომელიც ოსტატმა დიონისეს ატრიბუტებით შეამკო.

ამგვარად, გლიპტიკურ ძეგლებს არა მარტო ინტალიოები და კამეები წარმოადგენს, არამედ ამასვე მიეკუთვნება ე. წ. vases murrhin.

---

[1] რომის იმპერიის დროს ლარნაკების გემებით შემკობა ჩვეულებად იქცა. იხ. პომპეის ვაზები.

[2] ტანსაცმლის გემებით შემკობის ტრადიცია ჩვენში XVII-XVIII საუკ. არსებობს. სახელდობრ, ჩვენამდე მოღწეულ სასულიერო ტანსაცმელზე (სტიქარი, ფილონი, საკოსი) სხვა თვლებთან ერთად გემებიც არის დაკერებული.

აგრეთვე, ხატების შემკობა გემებით ჩვენში გავრცელებული მოვლენაა. მაგალითისათვის მოვიყვანთ: ხელოვნების მუზეუმში დაცულ XVI საუკ. ქართულ ხატს, რომელიც სხვა ქვებთან ერთად ძვ. წ. III საუკ. კამეით არის შემკული (A. Amiranachvili, Un camée antique à Tiflis. Revue archéologique, Paris, 1931). ხახულის ხატი და სხვ.

[3] ინდურ ლაპიდარიებში (ფსევდო-მეცნიერული ტრაქტატები, რომელიც ჩვენამდე ფრაგმენტების სახითაა მოღწეული) მრავალი საინტერესო ცნობაა შემონახული ქვების სხვადასხვა მნიშვნელობის შესახებ: ლალის, ზურმუხტის და სხვ., ამის შესახებ იხ. А. Е. Ферсман, Из истории камня в России, Москва, 1954, გვ. 223, 237 და ა. შ. როგორც ჩანს, პლინიუსს წყაროდ ლაპიდარიები აქვს გამოყენებული.

ბერძნები და რომაელები ამოკვეთილგამოხატულებიან ქვებისათვის ძირითადად ფერად კვარცს იყენებდნენ[1]. ყველაზე ფართოდ გამოყენებული იყო ქალცედონები ან არაკრისტალიზირებული კვარცის ჯგუფები. იყენებდნენ აგრეთვე მაგარი ჯიშის ძვირფას ქვებსა და მაღალი ხარისხის მინის პასტას.

ანტიკურ ავტორებთან დამოწმებული მინერალებისა და ქვების სახელწოდებები საბოლოოდ დაზუსტებული არ არის და ხშირად მათი პირდაპირი შესატყვისის დაძებნა ჭირს.

გლიპტიკაში იყენებდნენ შემდეგ ქვებს:

ა ნ დ ა მ ა ტ ი, ა ლ მ ა ს ი—(Ἀδάμας, adamas) უფერულია, ელვარება აქვს. პლინიუსი ამბობს, რომ ეს ქვა გემების ამოსაჭრელად იხმარებაო. ალმასზე ამოჭრილი გემები ანტიკურ ეპოქაში არ არის ცნობილი[2].

ალმასის ერთ-ერთ სახესხვაობას სიდერიტი წარმოადგენს, რომელიც პლინიუსის ცნობით „დარტყმით იმტვრევა და ალმასისავე მეშვეობით იბურღება“.

ა მ ე თ ვ ი ს ტ ო—(ἀμέθυστος, amethystus) კვარცის სახეობაა, გამჭვირვალე, იისფერი (თეოფრასტე ღვინისფერს უწოდებს), იხმარება კლასიკურ ბერძნულ გლიპტიკაში, ელინისტურსა და ბერძნულ-რომაულ გლიპტიკაში.

ა ქ ა ტ ი—(ἀχάτης, achates) ქალცედონის სახესხვაობაა, ზოლიანი; ზოლები რძისფერი, ნაცრისფერი, მოცისფრო, მოყვითალო, მოყავისფრო, ყვითელი, ყავისფერი და წითელი ფერისაა.

ჰრელი აქატი არქაულ ეპოქაში ძვ. წ. VI საუკ. და ეგეოსის კულტურისთვისაა ცნობილი. ქალცედონ-აქატს გეომეტრიული სტილის ეპოქაში იყენებდნენ, ყველა სახის აქატს—ელინისტურ პერიოდში (ძვ. წ. III—II საუკ.).

ბ ი ვ რ ი ლ ი—(βήρυλλος, berillus) მომწვანო და მოცისფროა, გამჭვირვალე, ელინისტურ პერიოდში ჩნდება. ფართოდ იყენებენ ავგუსტის ეპოქის გლიპტიკაში.

გ რ ა ნ ა ტ ი—(ἄνθραξ, carbunculus) როგორც ჩანს ლალთან იყო გაიგივებული, პლინიუსის carbunculus alabandinus ან lichintes უნდა იყოს. მისი სახესხვაობა ალმანდინია—alabandinus. მუქი წითელი, მოიისფრო წითელია, გამჭვირვალე. პირველად ხმარებაში ელინისტურ პერიოდში შემოდის. რომაულ ხანაში აღმოსავლეთში ფართოდ იყენებდნენ.

ზ ურ მ უ ხ ტ ი—(σμάραγδος, smaragdus) მწვანე, გამჭვირვალე ქვაა. ძველი მწერლები ხშირად იხსენიებენ. არქაულ ბერძნულ პერიოდიდან ჩნდება (ჩვენამდე ზურმუხტის გემებმა მცირე რაოდენობით მოაღწია. ზურმუხტზე პოლიკრატეს ბეჭედი იყო ამოჭრილი). ძველად plasmat-ის სახელით უნდა იყოს ცნობილი. პლინიუსი აღნიშნავს, რომ როდესაც ქვის მჭრელებს თვალი დაეღლებოდათ, ზურმუხტს უყურებდნენ და ამით ასვენებდნენ თვალს.

ი ა ს პ ი—ძველი ავტორები ἴασπις, iaspis უწოდებენ. სხვადასხვა ფერისაა: შავი, წითელი, ყვითელი; გაუმჭვირვალე შავი იასპი ყველა პერიოდში გვხვდება. მწვანეს ძვ. წ. VI საუკ. ბოლო წლებიდან IV — საუკ. ბერძნულ-ფინიკიურ სკარაბეებისათვის იყენებდნენ. გვიან რომაულ ხანაში ფართოდ არის გამოყენებული.

წითელი იასპი პლინიუსის αἱματίτης უნდა იყოს. დიდი სიყვარულით სარგებლობს ავგუსტის დროს. ჰრელი იასპი V—IV საუკ. ბერძნულ გლიპტიკაშია ცნობილი. ყვითელი იასპი—გვიანრომაულ ხანაში იხმარება.

---

[1] საბერძნეთსა და იტალიას ღარიბი ქვის საბადოები ჰქონდათ. ფ ე რ ს მ ა ნ ი, Очерки по истории камня, Москва, 1954, გვ. 22, და მისივე, Самоцветы России, Петроград, 1921. გვ. 160, აღნიშნავს, რომ ბერძნებსა და იტალიელებს ქვები ძირითადად აღმოსავლეთიდან შემოჰქონდათ: I. ინდოეთიდან, ბირმიდან, სიამიდან, ცეილონიდან; II—პამირსა და ავღანისტანიდან, რუსეთისა და ჩინეთის თურქესტანიდან; III—ეფრატისა და ტიგრის სათავეებიდან, სპარსეთიდან, კვიპროსიდან და ფინიკიიდან; IV—არაბეთის უდაბნოდან და სინაის ნახევარკუნძულიდან; V—ნილოსსა და წითელ ზღვას შუა მოთავსებულ რაიონებიდან.

[2] C l a r e m o n t-ი თავის ნაშრომში (დასახ. ნაშრ. გვ. 94) აღნიშნავს, რომ ორი თუ სამი პორტრეტული გემა (ამათგან ერთი კარლოს I და მისი მეუღლის) ალმასზე ამოჭრილად არის მიჩნეული. თვით ავტორი ამ საკითხს ეჭვის ქვეშ აყენებს.

ლალი—(λάλος, carbunculus) როგორც ჩანს გრანატთან იყო გაიგივებული. ლალი (rubinus) Claremont-ის ცნობით[1] ანტიკურ გლიპტიკაში იყო გამოყენებული.

ლაჟვარდი—ძველად σάπφειρος—უნდა ყოფილიყო. მუქი ლურჯი, გაუმჭვირი ქვა. ხშირად პირიტის (χρυσόπαστος) წინწკლები აქვს. გვიანრომაული პერიოდის გლიპტიკაში იხმარება.

მალაქიტი—(μαλαχή, malachites) მწვანე ფერის გაუმჭვირვალე ქვაა, ანტიკურ ხელოვნებაში იშვიათად იხმარებოდა.

მთის ბროლი—(κρύσταλλος, cristallum) გამჭვირვალე კვარცია, ბერძნულ კლასიკურ გლიპტიკაში ხშირად იხმარებოდა ძვ. წ. V—IV საუკ. ადრერომაულ გლიპტიკისათვის უცნობია.

ნიკოლო—(nicolo, იტალიურ onicolo-დან, პატარა ფრცხილიდან მომდინარეობს) ფრცხილის სახესხვაობაა, პლინიუსის vejentena gemma ან aegyptilla უნდა იყოს. ჩნდება პირველად რომაულ გლიპტიკაში.

პლაზმა—(როგორც ჩანს ძველად ეწოდებოდა ἴασπις χλωρά ან ὑπόχλωρος ἴασπις) ღია მწვანე ფერის ქვაა, ზოგჯერ მუქიც არის, გამჭვირვალე, ნახევრად გამჭვირვალე და მკრქალი.

არქაულ ბერძნულ გლიპტიკაში სკარაბეებისა და სკარაბეოიდების ამოსაჭრელად იხმარებოდა. ფართოდ იყო გამოყენებული ელინისტურ და ბერძნულ-რომაულ გლიპტიკაში.

პორფირი—პლინიუსის porphyrites უნდა იყოს. თეთრი და წითელი ფერისაა, გაუმჭვირვალე. გეომეტრიული პერიოდის გლიპტიკაში იხმარება. შემდეგ ე. წ. გნოსტიკური გემებისათვის.

სარდური—(σάρδιον, sardius, sarda) როგორც ჩანს, ძველად იგივე სახელი ჰქონდა, რაც სარდიონს; ყავისფერი და მოყვითალოყავისფერია.

სარდიონი—(σάρδιον, sardius, sarda) სხვადასხვა შეფერილობისაა: ბაცი ყვითელი, მოწითალო, წითელი; გამჭვირვალე და ნახევრად გამჭვირვალე. იყენებდნენ ეტრუსკული სკარაბეებისათვის და იტალიკურ გლიპტიკაში. ყველაზე ლამაზი სარდიონები ავგუსტის პერიოდშია ცნობილი.

წითელი ფერის სარდიონი ქალების ქვად ითვლებოდა, მუქი ფერისა კი, რომელსაც დღეს მინერალოგიაში სარდერი უნდა ეწოდებოდეს—მამაკაცების ქვად.

სარდიონ-ფრცხილი—(σαρδόνυξ, შესაძლოა ძველად ὄνυξ ეწოდებოდა) მრავალზოლიანი ქვაა. მუქი ზოლები აქვს: წითელი ან მოწითალოყავისფერი, თეთრი, ყავისფერი. სარდონიქსი ძირითადად კამეების ამოსაჭრელად იხმარებოდა.

სარდონიქსი თეთრი განივი ზოლით ძვ. წ. III—II საუკ. იტალიის გლიპტიკაშია გავრცელებული. აგრეთვე ეგეოსის კულტურისათვისაც ცნობილია.

საფირინი—ცისფერ ან მოლურჯო ნაცრისფერ ქალცედონს ეწოდება. ფართოდ იყენებდნენ კლასიკურ პერიოდში, სახელდობრ, ძვ. წ. V—IV საუკ.

საფირონი—ლურჯი ფერის, გამჭვირვალე. კლასიკური გლიპტიკის, სახელდობრ, ბერძნულ-რომაული პერიოდის ხელოვნებაში იშვიათად იხმარებოდა. საფირონის ძველი სახელი უცნობია, იგი არ არის არც ბერძნული σάπφειρος და არც ლათინური sapphirus როგორც ჩანს ὑάκινθος ან პლინიუსის berullus aeroides უნდა იყოს.

სეილანი—(ὑάκινθος, hiacintus) ამეთვისტოს სახესხვაობადაა მიჩნეული, ძველი სახელწოდება lincurium უნდა იყოს. ნარინჯისფერი, ცეცხლისფერი, მუქი იისფერი (ღვინისფერი) და მოწითალოა, გამჭვირვალე.

ყველაზე ფართო გამოყენება ელინისტურ გლიპტიკაში ჰქონდა. რომაულ გლიპტიკაშიც იხმარება.

სერპენტინი, გველა—პლინიუსის ophites უნდა იყოს, მწვანე ფერისა, გაუმჭვირვალე, გეომეტრიულ პერიოდის გლიპტიკურ ძეგლებში ვხვდებით.

სტეატიტი, ცხიმა—(steatites) სხვადასხვა ფერისაა: თეთრი, ნაცრისფერი, მოყვითალო, მოყავისფრო, მომწვანო, მოწითალო და მოშავო. გაუმჭვირვალე. ადრეული პერიოდის ბერძნულ გლიპტიკაში იხმარებოდა ჯერ კიდევ იმ დროს, როცა დაზგა არ იყო ცნობილი.

---

[1] Claremont, The Gem Cutter's craft, London, 1906, გვ. 140—141.

ტოპაზი— (topazius) ზოგიერთი მკვლევარი მას ძველად ცნობილ τοπάζιον, τόπαζος, topazon-თან აიგივებს; ზოგს χρυσόλιθος, chrisolithus-ად მიაჩნია. ყვითელი ფერისაა, გამჭვირვალე. ელინისტურ და რომაულ ხანაში იყენებდნენ.

ფირუზი—გაუმჭვირი, მომწვანო ცისფერი ქვა ან ღია ცისფერი, ინტალიოების ამოსაჭრელად არ ხმარობდნენ. ავგუსტის პერიოდიდან იხმარება მასალად კამეებისათვის. იგი ძველად callais, callain-ად ცნობილი ქვა უნდა იყოს.

ფრცხილი—(ὄνυξ, onyches) აქატის სახესხვაობაა. როგორც ჩანს, პირველად alabaster-ის მნიშვნელობით იხმარებოდა, შემდეგ ონიქსისა და სარდონიქსის მნიშვნელობით.

ქალცედონი—(ἴασπις) პლინიუსის iaspis უნდა იყოს. იგი იასპს ასე განსაზღვრავს „seape trabucit“ (თხევად გამჭვირვალე), თანამედროვე იასპი კი სავსებით მკრქალია. ქალცედონი სხვადასხვა ფერისაა. გლიპტიკაში ძირითადად რძისფერი, ნაცრისფერი, მოყვითალო და მოყავისფრო ქალცედონები იხმარებოდა. ამ ქვის გამოყენება ყველა პერიოდში გვხვდება.

ქრიზოლითი—(χρυσόλιθος, chrysolithus) მოყვითალო-მწვანე ან ყვითელი გამჭვირვალე და ნახევრად გამჭვირვალე. იშვიათად იხმარება, აიგივებენ τοπάζιον, topazon-თან.

ჰელიოტროპი—(როგორც ჩანს heliotropium-ის შესატყვისია) მწვანე ფერის იასპის სახესხვაობაა, წითელ წინწკლებიანია.

ჰემატიტი, სისხლა—(αἱματίτης, μαγνῆτις λίθος, haematitis) მონაცრისფრო-შავი, მოწითალო-ნაცრისფერი და მოყავისფრო-წითელია. გაუმჭვირვალე; რკინის გარკვეულ ნაწილს შეიცავს. უმთავრესად იხმარებოდა ცილინდრებისათვის, აღმოსავლურ გლიპტიკაში ზოგჯერ მიკენურ გლიპტიკაშიაც; რომაულ პერიოდში პოპულარობით სარგებლობს.

მინის პასტები—(ὕαλος, vitrum) ყველა ფერისა და ხარისხის. ძვირფასი თვლების იმიტაციის მიზნით იხმარებოდა. ძვ. წ. III საუკუნემდე მინის პასტა იშვიათი მასალაა; ელინისტურ პერიოდიდან იგი ფართო გამოყენებით სარგებლობს.

იმიტირებული იყო: ამეთვისტო, ბივრილი, პლაზმა, სარდერი და სარდიონი; ნიკოლო და იასპი.

იხმარებოდა აგრეთვე: ობსიდიანი (პლინიუსი lapis obsidianis უწ.), ბაზალტი, ქარვა, სპილოს ძვალი, სადაფი, ფაიანსი, თიხა, კირქვა და ფიქალი.

გემების ამოჭრის ტექნიკა

ვიდრე ინტალიოების მასალად რბილი ქვები და ლითონი იხმარებოდა, გამოხატულებებს ხელით—დანითა და ბურღით ჭრიდნენ. რბილი ქვებისა და ლითონის დამუშავება ხელით საკმაოდ ადვილია, ხოლო მას შემდეგ, რაც ხმარებაში მაგარი ჯიშის ძვირფასი ქვები შემოვიდა, ხელით საჭრელი იარაღები ჯერ ციბრუტმა შეცვალა, ხოლო შემდეგ ბორბლის (ე. ი. დაზგის) ტექნიკამ.

ანტიკურ გლიპტიკაში ორივე ხერხია ცნობილი: პრიმიტიული ხერხით შესრულებული ინტალიოები დანითა და ბურღით (τρύπανον) იჭრებოდა. მეორე ათასწლეულში ეგვიპტეში, ასირიაში და კრეტაზე დაზგაზე ამოჭრილი გლიპტიკური ძეგლები ჩნდება.

ბერძნები დაზგის გამოგონებას ორ ცნობილ იონელ ოსტატს, როიკსა და თეოდორეს მიაწერდნენ,[1] რომლებიც არქიტექტორებად, ოქრომჭედლებად და ბრინჯაოს ჩამომსხმელებად მუშაობდნენ მცირე აზიასა და კუნძულებზე ძვ. წ. VI საუკ. დასაწყისში. ეს ცნობა ისე უნდა იქნეს გაგებული, რომ როიკმა და თეოდორემ აღმოსავლეთიდან შემოიტანეს და საბერძნეთში გაავრცელეს ქვების დაზგით დამუშავების ტექნიკა. იმ დროიდან რომის იმპერიის უკანასკნელ საუკუნეებამდე დაზგა ანტიკურ გლიპტიკაში საყოველთაოდ იყო გამოყენებული.

სამოსში ძვ. წ. VI საუკუნეში გემების მჭრელების ბრწყინვალე სკოლა არსებობდა; აქ მოღვაწეობდნენ მნესარხოსი (ფილოსოფოს პითაგორას მამა), თეოდორე და სხვები.

---

[1] М. И. Максимова, Античные резные камни Эрмитажа, Ленинград, 1926, გვ. 23.

გლიპტიკის დარგში გამოჩენილ ოსტატებად ითვლებიან: ხიოსელი დექსამენი (ძვ. წ. V ს.), რომელიც, როგორც ჩანს, ათენში მოღვაწეობდა; პირგოტელესი, ალექსანდრე მაკედონელის კარის მჭრელი, ათინადესი (ძვ. წ. V ს.), დიოსკორიდესი—ავგუსტის კარის მჭრელი, გნაიოსი, აპოლონიოსი და სხვ.

ძველ სამყაროში ფართოდ იყო გავრცელებული ქვის საჭრელი სახელოსნოები. გვიანანტიკურ ხანაში ისინი არსებობდნენ როგორც რომში, ასევე პერიფერიებში.

ქვის საჭრელი სახელოსნოების არსებობა ანტიკურ ხანაში დადგენილ ფაქტად ითვლება რეინის მხარესა, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და სხვაგან.

ძველ საქართველოში, სახელდობრ მცხეთაში, ანტიკურ ხანაში არსებობდა ამგვარი სახელოსნოები, სადაც უცხოელებს გარდა ადგილობრივ ოსტატებსაც უმუშავიათ. ჩვენის აზრით, ახ. წ. III საუკ. მჭრელი პლატონი რომელიმე ამ სახელოსნოში მოღვაწეობდა.[1]

ჩვენში ქვაზე ამოჭრის ხელოვნება (ან უკეთ, ტრადიცია), როგორც ჩანს XIX საუკ. I ნახევრამდე არსებობდა. ამას ადასტურებს დღემდე შემონახული ქართულწარწერიანი საბეჭდავები და კალმასობაში მოხსენიებული ცნობები (იხ. კალმასობის ხელნაწ. H-2170, 91r—93r).

კლასიკურ ლიტერატურაში შემონახული ცნობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქვაზე ამოჭრის მეთოდი და ტექნიკა[2] ძალიან ჰგავს, XVIII საუკ. ცნობილი მჭრელის Natter[3]-ის სიტყვით რომ ვთქვათ—„იმეორებს," დღეისათვის შემონახულ მეთოდს.

Natter-ის აღწერით დაზგა წარმოადგენს მაგიდას, რომელზედაც პატარა კოშკი (touret) დგას. კოშკს შიგნით მასრიანი ღერძი აქვს, რომელშიაც საჭრისები მაგრდება; ღერძი უკავშირდება ღვედით ბორბალს. ბორბალი მჭრელის სატერფულზე ფეხის დაჭერის მეშვეობით ამოძრავდება. ბორბლის ბრუნვითი ძრაობა გადაეცემა ღვედის საშუალებით ღერძს და შემდეგ მასთან ერთად მასრაში ჩადგმულ საჭრისსაც (სურ. 3). საჭრისები რბილი ლითონისაგანაა გაკეთებული. ისინი სხვადასხვა სახისაა. ყველა საჭრისი გარეგნულად მომრგვალებულ კონტურიან ჯოხს (ჩხირს) ჰგავს, რომელსაც ცალი ბოლო გამსხვილებული აქვს. გავრცელებულია საჭრისის სამი სახე: ა) საჭრისის „თავი" ბრტყელია, მახვილი ნაპირით; იგი პერპენდიკულარულად დგას მასრის მიმართულებით, ამგვარი საჭრისებით წმინდა და სწორი ხაზები იჭრება. ბ) ზოგი საჭრისი გარედან სფერულად არის ჩაღრმავებული იმგვარად, რომ მხოლოდ მისი მახვილი ნაპირი ჩანს. ამ საჭრისის საშუალებით ქვის ზედა ფენა იჭრება. გ) არსებობს კიდევ ხერხები სფერული თავებით, „ღილებით", ე. წ. რუნდპერლები (bouterolle, globolo). ამ საჭრისებით ოსტატები სიღრმეებსა და გამოხატულების მოსამრგვალებელ ნაწილებს ჭრიან.

---

[1] პლატონის შესახებ იხ. მ. ლორთქიფანიძე, ქვის მჭრელის პლატონის ნახელავი ახ. წ. III საუკუნისა. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVII-Б—თბ., 1951, გვ. 243—250.

[2] Theophrastus. De lapidibus, I, 5:— γλυπτοὶ γὰρ ἔνιοι, καὶ τορνευτοὶ καὶ πριστοὶ τῶν δὲ οὐδὲ ὅλως ἅπτεται σιδήριον· ἐνίων δὲ κακῶς καὶ μόλις. „ზოგიერთი ქვა ვარგისია ამოსაჭრელად (γλυφτός) ზოგიერთი ბურღით დასამუშავებლად (τορνητός), ზოგიერთი კი ხერხით დასამუშავებლად (πριστός), ზოგიერთ ქვაზე რკინის იარაღი (σιδήριον) არც კი მოქმედობს; სხვებზე კი ცუდად და ძნელად [მოქმედებს]". იქვე, VII, 41: ἔνιοι δὲ λίθοι καὶ τὰς τοιαύτας ἔχουσι δυνάμεις, εἰς τὸ μὴ πάσχειν, ὥσπερ εἴπομεν, οἷον, τὸ μὴ γλύφεσθαι σιδηρίοις, ἀλλὰ λίθοις ἑτέροις γλύφονται. ὅλως μὲν ἡ κατὰ τὰς ἐργασίας καὶ τῶν [μειζόνων] λίθων πολλὴ διαφορά. Ἄλλοι πριστοὶ γὰρ, οἱ δὲ γλυπτοὶ καθάπερ ἐλέχθη, καὶ τορνευταὶ τυγχάνουσι... οἱ δὲ σιδηρίοις μὲν γλύφονται ἀμβλέσι δέ. „არსებობს ქვები, რომელთაც აქვთ [შემდეგი] თვისება: ვერ უძლებენ რკინით ამოკვეთას, მაგრამ მათი ამოკვეთა შეიძლება სხვა ქვებით.

საერთოდ ქვების დამუშავებაში დიდი განსხვავებაა. გვხვდება ხერხით დამუშავებული [ქვები], ზოგი, როგორც ვთქვით, ამოკვეთილი და [ზოგი]—ბურღით დამუშავებული... ზოგიერთი [ქვა] ამოიკვეთება რკინის ბლაგვი იარაღით". (ბერძნული ტექსტი თარგმნილია ოთ. ლორთქიფანიძის მიერ).

Plinius Secundus, Naturalis Historiae, XXXVII,76,«...Отколки обсидиана не делают царапин на настоящих драгоценных камнях. Ложные не делают царапин на белых драгоценных камнях. И в сем есть столь великое различие, что некоторые от железа совсем не режутся, другие не иначе вырезываются как тупым железом, но все посредством Алмаза Наиболее же способствует сему разгорячение резцов» (1819 წ. გამოცემა სევერგინის კომენტარიებით).

[3] L. Natter, Traité de pierres gravées, Paris, 1750, გვ. V.

საჭრისების ამ სამი ტიპის გარდა, ოსტატს მრავალი გარდამავალი სახის საჭრისი აქვს, სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის, რომელსაც ის საჭიროებისამებრ იყენებს. ოსტატი საჭრისებს გარდა ზეთსა და ალმასის მტვერს ხმარობს, აგრეთვე ფუნჯსა და ღრუბელს.

დაზგა და საჭრისები ნატერის შრომის მიხედვით—La gravure en pierres fines (სურ. 4):

A—კოშკი, C—გორგოლაჭი, 1 და 2—ნახევრად მრგვალი საჭრისები
B—მაგიდა, E—ბორბალი, 3—მრგვალი საჭრისი—bouterolle-ი
D—საჭრისი, F—ღვედი, 4—ღრუ სახსარი—(ქვის გასახვრეტად იხმარება).

5,6 და 7—ბრტყელი საჭრისები. 8—ე. წ. ხერხი.

9, 10, 11—ამობურცულ ზედაპირიანი ქვები (ნაჩვენებია საჭრისის მიმართულება).

12, 13, 14—სხვადასხვა კუთხიანი სახეები.

ამოჭრის პროცესი ამგვარად მიმდინარეობს:—ოსტატი წინასწარ ამზადებს იმ გამოხატულების მოდელს, რომელიც ამოსაჭრელად აქვს განზრახული; მოდელი ცვილისა ან თიხისაა. შემდეგ ალმასის ნემსით—(ὄνυξ ἀδαμάντινος—ხეში ან რკინაში ჩასმული ალმასის ნატეხია)[1] ამოსაჭრელი გამოხატულების კონტურს დაიტანს პოლირებულ ქვაზე. ამის შემდეგ ოსტატი ქვას მასტიკით ხის სახელურზე ამაგრებს და დიდი სიჩქარით მბრუნავ საჭრისთან მიიტანს. მეორე ხელით ოსტატი გამუდმებით ასხამს ქვაზე ზეთში გახსნილ ალმასის ფხვნილიან სითხეს. ალმასის მტვერი სპილენძის საჭრისის დაწოლის მეშვეობით თანდათან ღრმად ჩადის ქვაში და ამ გზით იჭრება გამოხატულება.



სურ. 3

ინტალიოების ამოჭრისას, პირველ რიგში, მჭრელი ღრმად ჭრის (ღრმად ჩადის ქვაში) გამოხატულების იმ ნაწილს, რომელიც მაღალი რელიეფით უნდა იყოს შესრულებული. ამავე დროს ის ცდილობს ამოჭრილი სიღრმეების ერთმანეთთან ზუსტი თანაფარდობის დაცვას.

პირველი რიგის სამუშაოებისათვის ალმასის მსხვილი მტვერი იხმარება. მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარების შემდეგ გამოხატულებას ერთმანეთთან დაუკავშირებელი ხაზებისა და სიღრმეების სახე აქვს[2].

საჭრისი ძალიან ნელა მოქმედებს, ნელა ჭრის ქვას, ამას გარდა მჭრელი თითქმის ბრმად ჭრის გამოხატულებას იმის გამო, რომ იგი გამუდმებით ალმასის მტვერიანი ზეთით ასველებს საჭრისს

---

[1] Plinius Secundus, დასახ. ნაშრ., 4.

«... Когда же удастся разломать его, то разбивается на столь мелкие пліонки, что их едва видеть можно. Вырезыватели на камнях стараются оныя приобресть (ჩვენ ვთარგმნით: მჭრელები იყენებენ ამ ნატეხებს), и оправляют их в железо: посредством их весьма легко продалбливать твердейшее вещество» (1819 წლის გამოცემა სვეერგინის კომენტარიებით).

[2] ბრიტანეთის მუზეუმში დაცულია ელინისტური პერიოდის საბეჭდავი. საბეჭდავი ოთხწახნაგა ქალცედონს წარმოადგენს, რომლის ყველა წახნაგი გამოხატულებიანია; გამოხატულებები დაუმთავრებელია და ნათლად აგვისახავს ამოჭრის სხვადასხვა საფეხურს. პოლირებულ ქვის ერთ-ერთ წახნაგზე ალმასის ნემსით ამოკაწრულია გამოხატულების კონტური. დანარჩენ სამ წახნაგზე მჭრელს გამოყენებული აქვს ბორბალი (Walters, Catalogue of engraved gems and cameos, London, MCMXXVI, გვ. XX, გამ. a) სურ. 5.

ამის გამო მჭრელი ხშირ-ხშირად ფუნჯით წმინდავს ქვას და ადარებს ყოველ ბახსა და ჩაღრმავებას მის მიერ გაკეთებულ მოდელს. ერთ-ერთ სიძნელეს ქვაზე ამოჭრისას მასალის სიმაგრე წარმოადგენს.

როდესაც დაზგაზე ამოკვეთა მოთავდება, მჭრელი კვლავ ალმასის ნემსს მიმართავს; იმ ადგილებში, სადაც საჭრისი ვერ წვდება, მჭრელი ხელით—ალმასის ნემსით ამთავრებს გამოხატულებას. ამის შემდეგ ოსტატი ქვის ხელმეორედ გაპრიალებას იწყებს. მასრაში ლითონის საჭრისების გარდა ხის ან ტყავის იარაღები ჩაიდგმება. ეს იარაღები წმინდა მინერალური მტვერით არის გაგოზილი, რაც ხელს უწყობს ყოველგვარი ხორკლების გასწორებას და გაკრიალებას. ზოგჯერ მხოლოდ გამოხატულება პრიალდება, ხან გამოხატულების ირგვლივ—ზედაპირი, ხშირად მთელი პირი გამოხატულებითურთ. ანტიკური სამყაროს მჭრელები ხშირად თავის ნახელავს არ აკრიალებდნენ.

როგორც უკვე ითქვა, ძველადაც ამგვარ ხერხს მიმართავდნენ გემების საჭრელად. ძირითადად განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ ალექსანდრე მაკედონელის ინდოეთში ლაშქრობამდე ალმასი ანტიკურ სამყაროსათვის უცხო იყო; აქედან გამომდინარე, ისინი ვერც ალმასსა და ვერც მის მტვერს გამოიყენებდნენ. ისინი ალმასის ნაცვლად სმიგრელს ხმარობდნენ. სმიგრელით ალმასისა და კორუნდების (საფირონისა და ლალის) გარდა, ყველა ქვის დამუშავება შეიძლებოდა. სმიგრელის საბადოები კუნძულ ნაქსოსზე იყო, ამიტომ მას naxium-ის (σμύρις)[1] უწოდებდნენ.



სურ. 4

როგორც ჩანს, ძველ ოსტატებს დაზგა მოძრაობაში ციბრუტით მოყავდათ და არა ბორბალით. ერთ-ერთი ბერძენი ოსტატის სტელაზე გამოხატულია ციბრუტი, აგრეთვე ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ ძვ. წ. V საუკ. ეტრუსკულ სკარაბეიზე გამოხატულია ამოჭრის პროცესი. ოსტატს ხელში ბურღი უჭირავს, რომელიც ციბრუტის საშუალებითაა ამოძრავებული[2] (სურ. 5).

კამეების ამოსაჭრელადაც ამგვარ ხერხს (ე. ი. დაზგის ტექნიკას) მიმართავდნენ. უნდა ითქვას, რომ კამეების ამოკვეთა ბევრად უფრო შრომატევადი და ძნელი სამუშაოა. კამეებისათვის მასალად მრავალფენიან (ძირითადად პოლიქრომულ) ქვებს იყენებდნენ. კამეების სამშობლოდ ეგვიპტე, სახელდობრ, ალექსანდრია ითვლება, სადაც V—IVსს. ბრწყინვალე გლიპტიკური ძეგლები შეიქმნა.

გემების დამზადება გაცილებით უფრო ადვილი ხერხითაც ხდებოდა: ამოჭრის ხანგრძლივი და რთული პროცესი მექანიკური ჩამოსხმით იცვლებოდა. ინტალიოებსა და კამეებს მინისაგანაც ამზადებდნენ.

---

[1] პაპეს ლექსიკონის განმარტებით ალმასის სახეობაა, რომელსაც ქვისმჭრელები იყენებდნენ. სმიგრელის შესახებ პლინიუსთან (რომელიც მისი Cos Naxiae, Cos Armeniae უნდა იყოს) ნათქვამია: «Для резания и шлифования драгоценных камней наксійской камень долгое время прочим предпочитался; так называется шлифовальный камень (cos) родящийся на острове Кипре*. Потом получили преимущество привозимые из Армении.

* А в Наксосе приготовляемые для употребления по мнению Гордуеня» (Naturalis Historiae, XXXVII, VII, 10).

[2] Middleton, The engraved gems of classical times, Cambridge, 1891. გვ. 105.

ჰეროდოტესთან, სადაც ლაპარაკი აქვს ეთიოპელებზე, წიგნი VII, § 69 ვკითხულობთ: «Эфиопы... имели... и короткие трасниковые стрелы; наконечником стрелы служил вместо железа заостренный камень, такой самый каким режутся печати» (Геродот, История в девяти книгах. Перевод Мищенка, Москва, 1888, т. II).

მინის საბეჭდავები ანტიკური პერიოდიდან, სახელდობრ, ძვ. წ. X—VIII საუკუნიდანაა უკვე ცნობილი. მინა იაფი მასალა იყო და ამასთანავე ადვილად დასამუშავებელი.

კამეებისა და ინტალიოების მინაზე ამოჭრა ისეთივე ტექნიკით წარმოებდა, როგორითაც ქვებზე. ზოგჯერ მინის გემებზე გამოხატულებას ხელით ან დაზგაზე ჭრიდნენ (ამგვარი ინტალიოები



სურ. 5

შედარებით ძვირად ფასობდა), უფრო ხშირად კი — ჩამოასხამდნენ ხოლმე. გამოხატულებები მინის საბეჭდავებზე ძირითადად სპილენძის საჭრისებით იჭრებოდა. მინაზე მუშაობისას ოსტატები მხოლოდ სმიგრელის მტვერს (ზეთში გახსნილს) ხმარობდნენ, ვინაიდან მინა რბილი მასალაა და მისი დამუშავება ალმასის გარეშეც შესაძლებელი იყო.



სურ. 6

გემების ჩამოსხმის ორი ხერხია[1] ცნობილი: ერთი—პირის ასაღები ყალიბი თვით დედნიდან (ინტალიოდან ან კამეადან) იყო გაკეთებული, მეორე—დედნიდან ანაბეჭდი კეთდებოდა, შემდეგ ანაბეჭდს შემოფარგლავდნენ უდნობარი მასალით და ამგვარად დამზადებულ ყალიბში ჩაასხამდნენ თხიერ მინას.

ზოგიერთი მჭრელი მინის პირს საჭრისით დაამუშავებდა ხოლმე იმისათვის, რომ ქვის შთაბეჭდილება სრულად შეექმნა.

მინის საბეჭდავების წარმოება ჩვენში ელინისტურ და გვიანაქამენიდურ ეპოქიდან არის ცნობილი. სახელდობრ, მინის (ლაქვარდისებრი, მჭრქალი) მრავალწახნაგა საბეჭდავებს ვგულისხმობთ. როგორც ჩანს, აღნიშნული საბეჭდავების ყალიბები მთლიანი ქვის საბეჭდავებიდან, ე. ი. ქვის დედნებიდან არის ჩამოსხმული.

მინის მრავალწახნაგა საბეჭდავების წარმოების ცენტრი იბერიაში არსებობდა[2]. ხოლო, სახელდობრ, სად იყო სახელოსნო (თუ სახელოსნოები) ჯერჯერობით დადგენილი არ გვაქვს.

ელინისტურ ეპოქაში იწყებენ კამეების მინაზე ამოჭრას. როგორც ჩანს, მათი წარმოების ცენტრი აგრეთვე ალექსანდრია იყო.

კამეისათვის მინა სპეციალურად მზადდებოდა; წინასწარ ხდებოდა ორი ან სამი ფერის მინის შედუღება და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებდა ოსტატი კამეის ამოჭრას[3].

---

[1] М. И. Максимова, Стеклянные многогранные печати, найденные на территории Грузии. „ენიმკის მოამბე“, თბ., 1941, გვ. 76.

[2] М. И. Максимова, დასახ. ნაშრ. გვ. 91.

[3] სავარაუდებელია, რომ ძველი ქვის მჭრელები გამადიდებელ მინას ხმარობდნენ. სენეკასთან Naturales Questiones, I, VI, 5 ვკითხულობთ: „Dixi modo fieri specula, quae multiplicent omne corpus quod imitantur. Illud adiciam. omnia per aquam videntibus longe est maiora: litterae quamvis, minutae et obscurae per vitriam pilam aqua plenam maiores clarioresque cernuntur“. მხოლოდ ახლა აღვნიშნე, რომ მზადდება სარკეები, რომლებიც ადიდებენ მთელ სხეულს, რომელსაც არეკლავენ. ამას დაუმატებდი, რომ წყალში მომზირალისათვის თითოეული საგანი გაცილებით უფრო დიდი [ჩანს]: ასოები, როგორიც უმცირესნი და ბუნდოვანნი არ იყვნენ წყლით სავსე მინის ბურთში უფრო დიდი და ნათელი ჩანს (თარგმნილია. ილ. ლორთქიფანიძის მიერ).

პლინიუსი ამბობს: XXXIII, 9 (45) «Удивительным является свойство серебра передавать изображения, что, по общему мнению, происходит в силу отражения воздуха в обратном направлении к глазам. В силу этого же свойства когда толщина веркала от употребления уменьшается и его поверхность становится несколько выпуклой, размер изображения увеличивается до безконечности». იხ. Вопросы техники в «Естественной истории» Плиния. ВДИ. 3. М.,—Л., 1946, приложения, გვ. 302 — 303.

1. საქართველოში აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლების მოკლე მიმოხილვა

საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი გლიპტიკური ძეგლია მოპოვებული[1], ამათგან ერთი ნაწილი არქეოლოგიური გათხრების შედეგად არის აღმოჩენილი, მეორე—შემთხვევითი მონაპოვარია.

ჩვენს მიწა-წყალზე მოპოვებული გემები ძირითადად სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენენ და მცირე გამონაკლისის გარდა ყველა ინტალიო ან ლითონის საბეჭდავი ბეჭედია.

გემების გავრცელება-გამოყენების არე ჩვენში (ჩვენს ხელთ არსებული და შესწავლილი მასალების მიხედვით ვმსჯელობთ) დროის დიდ მონაკვეთს მოიცავს, სახელდობრ, ძვ. წ. V ს-დან ვიდრე ახ.წ. XIV საუკ. ჩათვლით. განათხარი მასალების შესწავლისა და დამუშავების შედეგად შესაძლებელი გახდა გამოგვეყო სხვადასხვა სახისა და წარმოშობის ნიმუშები. ჩვენს მასალებში უხვად არის წარმოდგენილი: მცირე აზიური (გვიანაქამენიდური და ელინისტური ხანისა), აქამენიდური, გვიანელინური იტალიკური, რომაული, ბიზანტიური, პართული, სასანური და აგრეთვე ადგილობრივი (ანტიკური პერიოდისა) გემები[2].

საქართველოში აღმოჩენილი გემები შინაარსობლივად მეტად მრავალფეროვანია. გვხვდება: ღვთაებები, გმირები, პორტრეტები, ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი სცენები, ცხოველები, მცენარეები, ფრინველები, მონოგრამები, წარწერები და სხვა.

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ გემებსა და საბეჭდავთაგან ყველაზე ადრეულად ძვ. წ. V—IV სს. გლიპტიკური ძეგლები უნდა მივიჩნიოთ[3]. სახელდობრ, ლითონის საბეჭდავი ბეჭდები (ე. წ. ფარაკიანი ამოკვეთილგამოხატულებიანი ბეჭდები) და ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავები. ვხვდებით აგრეთვე (ერთეულების სახით) მთლიანი ქვის მრავალწახნაგა საბეჭდავებს[4] და სკარაბეოიდებს.

ამ პერიოდის ლითონის საბეჭდავ ბეჭდებისათვის[5] მასალად გამოყენებულია ოქრო, ვერცხლი და უფრო ხშირად ბრინჯაო. აღნიშნული საბეჭდავების უმრავლესობა ბრტყელ ან მრგვალ ვიწრო-

---

[1] იხ. გემების გავრცელების რუკა.

[2] მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, III. საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული გლიპტიკური ძეგლები, ხელნაწერი.

[3] აღსანიშნავია, რომ სამთავროში, ბაიერნის მიერ გათხრილ მასალებში მოპოვებული იყო ფინიკიური სკარაბეი, რომელიც ძვ. წ. VII—VI სს. თარიღდება. იმის დადგენა, თუ რა დროს მოხვდა იგი საქართველოში, ვერ მოხერხდა. ხოლო რაც შეეხება თანმხლებ ინვენტარსა და სამარხს, რომელშიაც გემა იქნა აღმოჩენილი, პროფ. მ. მაქსიმოვა ახ. წ. III საუკუნით. ათარიღებს (Геммы из некрополя Мцхеты—Самтавро, გვ. 232).

VII—VI საუკ. საბეჭდავები საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ჯერჯერობით სხვა არ მოგვეპოვება და ამდენად არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ამ საუკუნეებში მათი გავრცელება-გამოყენების შესახებ.

[4] ქვის მრავალწახნაგა საბეჭდავი ირმის გამოხატულებით პრტენიდან. იხ. ს. ბარნაველი, ორი გემისათვის. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VI, № 7, 1945, გვ. 577—578. ავტორი, გემას ელინისტური დროის ადგილობრივ ნახელავად მიიჩნევს

[5] მათი მოპოვების ადგილები: ყოლოთო, აბელია, კამარახევი, ახალგორი, თრიალეთი.

რკალიან ბეჭდებს წარმოადგენს, რომლის მრგვალ ან ოვალურ ფარაკზე გამოხატულებაა ამოჭრილი, ზოგიერთ მათგანს რკალი პირხსნილი აქვს.

საქართველოში აღმოჩენილ ლითონის საბეჭდავ ბეჭდებზე გამოხატულება, როგორც წესი, არ არის ღრმად ნაკვეთი; ამათგან ერთი ნაწილი ჩამოსხმულია, მეორე—ხელითაა ამოჭრილი. ხელით ამოჭრას აადვილებდა საბეჭდავებად გამოყენებული რბილი მასალა. სამწუხაროდ, ამ დროის საბეჭდავები (ძვ. წ. V—IV სს.) მცირე რაოდენობითა გვაქვს და ამდენად მათ შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვით. ერთის აღნიშვნა კი შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ჩვენში აღმოჩენილ საბეჭდავი ბეჭდების ერთ ჯგუფს, სახელდობრ, ყოლოთოში (ძვ. წ. IV—III სს.) აღმოჩენილ მასალებს, ჩვენის აზრით, გარკვეულად ძველი აღმოსავლეთის, სახელდობრ, გვიან ბაბილონურ სამეფოს ხანის და მესოპოტამიის გლიპტიკის გავლენა ეტყობა[1]. ეს ფაქტი მით უფრო საინტერესო და საგულისხმოა, რომ იგი აღნიშნულ ხანაში ამ ქვეყნებთან გარკვეულ კულტურულ ურთიერთობაზე მიუთითებს.

ზემოხსენებული საბეჭდავები მკაცრი სტილითა და შესრულების ერთგვარი სიმშრალით გამოირჩევა. ზოგიერთ მათგანს ხელოსნობის დაღიც კი ადევს. რაც შეეხება ბეჭდის ფორმებს, მათი ძირითადი ნაწილი ანტიკურ ფორმებს იმეორებს. ერთი დამახასიათებელი თვისება ამ ბეჭდებისა ისიც არის, რომ გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

ჩვენს ხელთ არსებული ამ პერიოდის მასალები შინაარსობლივად არცთუ მაინცდამაინც მრავალფეროვანია; ჩვენ აქ ვხვდებით: რიტუალურ სცენებს, ფანტასტიკურ ცხოველებს, ფრინველებსა და ადამიანებს.

საქართველოში მოპოვებული ამ პერიოდის საბეჭდავების მეორე ჯგუფი ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავებს წარმოადგენს (მათი წარმოება ჩვენში საკმაოდ დიდხანს არსებობდა). ეს საბეჭდავები მთლიანი ქვის საბეჭდავებიდან არის ჩამოსხმული (იხ. გემების ამოჭრის ტექნიკა, გვ. 11) და გარეგნულად ლაჟვარდსა ჰგავს. დედნების ძირითადი ნაწილი, რომლებიდანაც აღნიშნული საბეჭდავებია ჩამოსხმული, მცირე აზიურ საბეჭდავებად არის მიჩნეული[2].

აღნიშნულ საბეჭდავებიდან კეთდებოდა იბერიაში ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავები. ამ საბეჭდავებზე ძირითადად გამოხატულია: ნადირობის სცენები, მითოლოგიური სიუჟეტები (მაგალითად, ჰერაკლესა და ახელოეს ბრძოლა), ცხოველები, ადამიანები და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ამ საბეჭდავთაგანი[3] ერთ და იმავე შინაარს იმეორებს, ერთი საბეჭდავის პირს წარმოადგენს, და, ჩვენის აზრით, ერთი და იგივე ყალიბშია ჩამოსხმული.

ამრიგად, იბერები გვიანაჭამენიდურსა და ელინისტურ ხანაში იცნობდნენ მცირე აზიის ქვის საბეჭდავებს და ამ დროისათვის უკვე დაუფლებული იყვნენ მინის ჩამოსხმის ტექნიკას.

სახელდობრ სად იყო მინის საბეჭდავების წარმოების სახელოსნოები, დღესდღეობით დადგენილი არ არის, ხოლო პროფ. მ. მაქსიმოვას აზრით, ისინი იბერიაში არსებობდნენ.

ერთი უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ (თუ მხედველობაში არ მივიღებთ სომხეთში—ორს, ჩრდ. ოსეთში—კორცხასა და აზერბაიჯანში თითო ამგვარი საბეჭდავის მოპოვების შემთხვევას, რომლებიც, ჩვენის აზრით, საქართველოდან არის გატანილი) მსგავსი საბეჭდავების მოპოვების შემთხვევა არ არის დადასტურებული[4].

მინის მრავალწახნაგა საბეჭდავების ერთი ნაწილი უკავშირდება ე. წ. ბერძნულ-სპარსულ გემებს (იგულისხმება წალკასა და არკნეთში მოპოვებული საბეჭდავები ნადირობის სცენებით),

---

[1] ყოლოთოში მოპოვებული ძეგლები №№ 694, 695, 696 აღნიშნული საბეჭდავების შესახებ იხ. დაწვრილებით ჩვენს შრომაში „საქ. მუზეუმის გემები," III.

[2] М. И. Максимова, Стеклянные многогранные печати, найденные на территории Грузии, გვ. 76—91; მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ. ხელნაწერი გვ. 97—100.

[3] მრავალწახნაგა საბეჭდავების მოპოვების ადგილები: აბელია, არკნეთი, გორის რაიონი, ბრილი, კამარახევი, კლდეეთი, ლოჭინი, სტალინირი, წალკა, ხვცე.

[4] ცენტრალურ მუზეუმებში ჩვენს მიერ აღნუსხული ერთეულების სახით დაცული ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავები საქართველოს (სამთავროს) ტერიტორიაზეა მოპოვებული.

მეორე—მცირე აზიურს. ხოლო ამ დროის ქვის ყველა საბეჭდავი სტილისტურად მცირეაზიურ გლიპტიკის წრის საბეჭდავებს უახლოვდება.

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ ახ. წ. I საუკუნის გემებს ძირითადად ჩვენ ორ დიდ ჯგუფად ვყოფთ, რომლებსაც პირობითად დასავლურსა და აღმოსავლურს ვუწოდებთ (ვსარგებლობთ პროფ. მ. მაქსიმოვას მიერ შემოღებული ტერმინით). დასავლურ ჯგუფში ანტიკური და ბიზანტიური გემები შედის, აღმოსავლურში—ადგილობრივი წარმოშობისა და პართულ-სასანური გემები.

ჩვენში მოპოვებული ანტიკური გემები, სახელდობრ, რომაული ქვების უდიდესი ნაწილი შესრულების ხელოვნებით არ გამოირჩევა. ამ მხრივ ისინი ახლო დგანან ანტიკურ სამყაროში ფართოდ გავრცელებულ გლიპტიკურ ძეგლებთან.

ახ. წ. დასაწყისი რომაული გლიპტიკის აყვავების ხანაა. ამ ეპოქისა და შემდეგდროინდელ ჭრილა ქვებს (გემებს რომაულს უწოდებენ, რომაული გლიპტიკის აყვავება ავგუსტის დროის ბერძენი ოსტატების დამსახურებაა, ხსენებულმა ოსტატებმა რომში სრულყოფილი ტექნიკა და დახვეწილი მხატვრული კულტურა შეიტანეს.

იმ დროს რომში მჭრელები უმთავრესად ბერძნები იყვნენ. ლათინი მჭრელის სახელი მხოლოდ რამდენიმეა ცნობილი მათ ნახელავს დამოუკიდებლობა არ ეტყობა, ისინი სავსებით ბერძნული გლიპტიკის გავლენის ქვეშ არიან მოქცეულნი.

რომაულ გლიპტიკას ქვაზე ამოჭრის ხელოვნებაში ახალი ბევრი არა შეუტანია რა; ნაციონალური იტალიური მიმდინარეობა ამ ხელოვნებაში ე. წ. იტალიკურ ვემებში აისახა, მაგრამ იტალიკურმა გლიპტიკამ დიდხანს ვერ იარსება და ძვ. წ. ბოლოსათვის უკვე გაქრა.

რომაული ხანის მჭრელები ძირითადად ძველ ოსტატებს ჰბაძავენ (ზოგი არქაულ სტილში მუშაობდა, ზოგი ელინისტური ხელოვნების ტრადიციებს აგრძელებდა და ა. შ.). ფორმისა და მასალის მხრივ ამ დროის გლიპტიკა ელინისტურ ტრადიციას აგრძელებს; საბეჭდავების ე. ი. ინტალიოების უმრავლესობა ამოჭრილია სხვადასხვა ფერის კვარცხე და ბეჭდის თვლებად არის განკუთვნილი.

რომაულ ხანაში ხმარებაში შემოდის ნიკოლო, იასპის ახალი სახეები (სახელდობრ, წითელი და ყვითელი). რომის იმპერიის აღმოსავლეთით განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ხმარობდნენ გრანატებს. ამის თვალსაჩინო მაგალითს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის მასალები და ჩვენს ტერიტორიაზე მოპოვებული გემები წარმოადგენენ.

აღნიშნული გემები შინაარსობლივად რომაულ თემატიკას ასახავს: უპირატესობა ღვთაებებს ენიჭება. ჩვენს გემებზე ასახული თემატიკა შემდეგია: ღმერთების სამყაროდან—ტიხე-ფორტუნა (სიუხვისა და დოვლათის ღვთაება), სინკრეტული ღვთაება—ფორტუნა-იზიდა. ომის ღმერთებიდან: მარსი—არესი, ათენა—მინერვა, გამარჯვების ღვთაება ნიკე—ვიქტორია, ზევსი, პლუტონი. მკურნალი ღვთაებები: ასკლეპიოსი—(ჯანმრთელობის ღვთაება) და ასკლეპიოსის ქალიშვილი ჰიგიეია. მზის ღვთაება—ჰელიოსი, აპოლონ კიფარედი. ბედის ღვთაება—ნემეზიდა, აფროდიტე ანადიომენე, სერაპისი, ეროტი, ფსიქეა და ა. შ[1].

გმირებიდან: პერსეოსი და ჰერაკლე.

ამ პერიოდში იტალიაში გავრცელებულ ღვთაებებიდან საქართველოში მოპოვებულ გემებზე მხოლოდ ჰერმეს ფსიქოპომპოსია წარმოდგენილი.

გემებზე აგრეთვე გამოხატულია პორტრეტები—ადგილობრივი წარჩინებული პირებისა, ფილოსოფოსებისა, უცნობი მანდილოსნებისა და მამაკაცებისა. მითოლოგიური სიუჟეტებიდან: აქტეონის ირმად გარდაქცევის სცენა, ლედა და გედი. შედარებით იშვიათია ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი სცენები.

გემიან ბეჭდებს შორის ვხვდებით რომაულ საქორწილო ბეჭდებსაც. ეს ის გემებია, რომლის პირზე თანხმობისა და კავშირის ნიშნად ხელის ჩამორთმევაა გამოხატული.

რამდენიმე ქვაზე არწივია გამოხატული, რაც რომაული იარაღის ძლიერებას ნიშნავს.

ვხვდებით აგრეთვე ლომებს, ირმებს, თხებს, თევზებს, დელფინებს, მამალს, ლარნაკებს, პურის თავთავებს (სიუხვის სიმბოლოა) და ა. შ. ამას გარდა, მასალებს შორის აპოტროპეული (ავი თვალისაგან დასაცავი საშუალება) ხასიათის გემებიც გვხვდება. ესენია: კომიკური, ტრაგიკული და სილენის ნიღბები.

---

[1] აღსანიშნავია, რომ გვიანანტიკურ ხანაში, სახელდობრ II—III სს. გამოსახულებათა თემატიკა საკმაოდ ერთფეროვანია. ასახულია ძირითადად ღვთაებები, როგორც ადამიანებისა და ქონების მფარველები, ამ ხანის მჭრელები სათანადო ატრიბუტებით აღჭურვილ ღვთაებებს სტატუალურ მდგომარეობაში გამოხატავდნენ, ზოგჯერ ღვთაების მთლიანი ფიგურაა მოცემული, ხან მხოლოდ მისი ბიუსტი.

გათხრების შედეგად მოპოვებული სხვა ნივთებიდან, გემებით შემკული მხოლოდ იარაღი გვხვდება. კლდეეთში 1941 წელს შემთხვევით აღმოჩენილ სამარხში ნაპოვნი იყო 1 მ სიგრძის ხმალი. ხმალზე ქარქაშის ორი თუ სამი სალტე იყო შერჩენილი. ზემო სალტეს, ხმლის ვადასთან გემით შემკული მედალიონი ჰქონდა[1] დამაგრებული. ვერცხლის ბუდეში (მედალიონში) ჩასმულია სარდერის გემა, რომელიც, ჩვენის აზრით, რომაული ლეგიონის ნიშანს—„ორდენს“ წარმოადგენს.

როგორც აღნიშნული იყო (იხ. შესავალი, გვ. 4) ჩვენში სხვადასხვა ნივთებისა და ტანსაცმლის (სხვა ძვირფას თვლებთან ერთად) გემებით მორთვის ტრადიცია დიდხანს არსებობდა. ამგვარ ძეგლებიდან ჩვენამდე მოღწეულია ჭედური ხელოვნების ნიმუშები, სასულიერო წოდების ტანსაცმელი, ქამრები (გლიპტიკის კაბინეტში დაცულია გასული საუკუნის გემით შემკული ქამრის ბალთა, ინვ. № 706), უნაგირები და სხვ.

ავგაროზად ხმარებულ გემებს, როგორც ჩანს, საბეჭდავების დანიშნულებაც ჰქონდათ, რადგან ძირითადად ყველა ინტალიოა (გამონაკლისს წარმოადგენს სამთავროში და წილკანში მოპოვებული აბრაზაქსები).

ჩვენს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები ძირითადად არაკრისტალიზებული კვარცის ჯიშებსა და მაგარი ჯიშის ძვირფას ქვებზეა ამოჭრილი, სახელდობრ, გრანატებზე (პიროპი და ალმანდინი), ვხვდებით აგრეთვე რბილ ქვებზე ამოჭრილ გემებსაც.

ამეთვისტოს გემები საქართველოს ტერიტორიაზე სულ რამდენიმე ცალია მოპოვებული; ყველა მათგანი ახ. წ. III—II სს. თარიღდება.

აქატზე ამოჭრილი გემები ახ. წ. პირველ საუკუნეებიდან ჩნდება, ძირითადად ისინი აღმოსავლური წარმოშობისაა. გამოყენებულია მეტწილად მუქი აქატი—ყავისფერი, ბაცი ზოლებით.

გრანატის[2] გემები საქართველოში ამ ქვის ორ სახეობაზე გვხვდება ამოჭრილი—პიროპსა და ალმანდინზე. გრანატის გემების უმეტესი ნაწილი ახ. წ. I—III სს. თარიღდება. ზოგიერთი მათგანი კი გვიანფეოდალურ ხანამდეც იხმარება.

გველაზე ამოკვეთილი გემები საქართველოში ძვ. წ. I საუკ. მიეკუთვნება.

გიშერის გემები ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ერთი კამეის სახით, რომელიც ძვ. წ. I საუკ. მიწურულით თარიღდება.

იასპზე ამოკვეთილი გემები ჩვენში ახ. წ. III საუკუნიდან შემოდის. გამოყენებულია ძირითადად ყავისფერი იასპი, იშვიათ შემთხვევებში—წითელი ე. წ. ლუქისებრი იასპი.

იასპ-აქატზე ამოჭრილი გემა ერთადერთი გაგვაჩნია. ის ელინისტური ხანით თარიღდება, მაგრამ გვიანდელ, სახელდობრ, ახ. წ. II საუკ. სამარხშია ჩატანებული.

ლაჟვარდის გემები საქართველოში ახ. წ. II საუკუნიდან ჩნდება და რამდენიმე საუკუნის მანძილზეა ხმარებაში; ისინი აღმოსავლური წარმოშობისაა.

მთიბროლზე ამოკვეთილი გემები ახ. წ. I—VI სს. თარიღდება.

ნიკოლოზე ამოკვეთილი გემები საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ მასალებში ცოტაა და ძირითადად ისინი პართული ეპოქის ნახელავად არის მიჩნეული.

პლაზმა მცირე რაოდენობით გვხვდება ახ. წ. II—III საუკუნეებში.

პრაზემის გემები ახ. წ. II-III საუკუნეებში გვხვდება; ისინი ადგილობრივი წარმოშობისაა.

სარდიონზე ამოჭრილი გემები ჩვენს ტერიტორიაზე ძვ. წ. IV საუკუნიდან ჩნდება და ხმარებაშია გვიანფეოდალურ დრომდე. ძირითადად გამოყენებულია მოწითალო, წითელი, ნარინჯისფერი და მოყვითალო შეფერილობის სარდიონები.

სარდერის გემები მცირე რაოდენობით გვხვდება და შედარებით მცირე პერიოდის, სახელდობრ, ახ. წ. პირველი სამი საუკუნის მანძილზეა სმარებაში.

---

[1] ცნობა მოგვაწოდა საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტის გამგემ დ. კაპანაძემ.

[2] ამის შესახებ დაწვრილებით იხ. მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, III, ხელნაწერი
აღსანიშნავია, რომ მცხეთაში (სტალინის ქ. № 34) აგურ-კრამიტსამარხში აღმოჩენილ იქნა იტალიკური წარმოშობის გრანატის ინტალიო, რომელიც ძვ. წ. I საუკ. თარიღდება. ინტალიო ახ. წ. I საუკ. ბეჭედშია ჩასმული.

სარდიონ-ფრცხილის გემა რამდენიმეა და ყველა მათგანი კამეას წარმოადგენს. ისინი თარიღდებიან პერიოდით გვიანელინისტური ხანიდან, ვიდრე ახ. წ. III საუკუნემდე ჩათვლით.

სეილანის გემები იშვიათია და ახ. წ. I საუკ. თარიღდება.

ტოპაზზე (ოქროსფერია ნახმარი) ამოჭრილი გემა ახ. წ. I საუკ. თარიღდება.

ფრცხილზე ამოჭრილი გემები ჩვენში ახ. წ. III—IV სს-შია გავრცელებული. ძირითადად ეს ქვა მთლიანი ბეჭდებ—ინტალიოებისათვის არის გამოყენებული. ფრცხილზე ამოჭრილი გემები —(ბეჭედში ან სხვა რამ სამკაულში ჩასასმელად განკუთვნილი თვალი) იშვიათია.

ქალცედონის გემები ჩვენს ტერიტორიაზე მოპოვებულ მასალებს შორის ახ. წ. I საუკუნიდან ჩნდება და ხმარებაში რჩება გვიანფეოდალურ დრომდე. ხმარებაშია თაფლისფერი, ძოძისფერი, მოყავისფრო და ნაცრისფერი ქალცედონები.

მინის „გემები“ საქართველოში ფართოდაა გავრცელებული, მათი უმრავლესობა მოპოვებულია სამთავროს სამაროვანზე. საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ მინის „გემების“ ძირითადი ნაწილი ინტალიოებს წარმოადგენს, ერთეულების სახით მინის კამეებიც გვხვდება. ინტალიოებისათვის გამოყენებული მინა ფერადია, სახელდობრ: თეთრი, მომწვანო, ყვითელი, მოწითალო, მოცისფრო, მწვანე, იისფერი, მუქი იასამნისფერი, ლურჯი (ლაჟვარდისებრი) და ა. შ.

ლურჯი მინის (ლაჟვარდისებრი, მკრქალი) საბეჭდავები საქართველოში ძვ. წ. IV საუკუნიდან ჩნდება და ისინი ადგილობრივ ნახელავად არის მიჩნეული.

მრავალფენიანი ფერადი მინა, რომელიც კამეებისათვის არის გამოყენებული, საქართველოში ძვ. წ. I საუკ. ჩნდება.

ფერადი მინის ინტალიოები ძვ. წ. III-I სს. შემოდის და რამდენიმე საუკუნის მანძილზე, სახელდობრ, ახ. წ. II—III სს-მდე ფართოდ არის გავრცელებული. უფრო გვიან—მინა იშვიათია.

ფერადი პასტის (ცისფერი, თეთრი, მოყვითალო, ღია ლურჯი) გემები იშვიათია; ისინი ახ. წ. II—V სს. თარიღდება და ძირითადად აღმოსავლური წარმოშობისაა.

ჩვენში, ყველაზე ძლიერ ცენტრად გლიპტიკური ძეგლების მოპოვების თვალსაზრისით, მცხეთა, სახელდობრ, სამთავროსა და არმაზისხევის სამაროვნები უნდა ჩაითვალოს. მცირე, მაგრამ საგულისხმო ძეგლები შეგვმატა ბაგინეთზე აღმოჩენილმა აკლდამამაც.

მცხეთა—სამთავროს ტერიტორიაზე ჩატარებულმა გათხრებმა (1938—48 წლები) მდიდარი და საკმაოდ მრავალფეროვანი გლიპტიკური მასალა შეგვძინა, რომელიც ნათელ სურათს იძლევა ანტიკური მცხეთის მოსახლეობაში საბეჭდავების ფართოდ გამოყენებისა და გემებით მორთულ სამკაულებზე დიდი მოთხოვნილების შესახებ ძვ. წ. II საუკუნიდან მოყოლებული—ახ. წ. X საუკ. ჩათვლით.

მცხეთის მასალების (სამთავროს, არმაზისხევსა და ბაგინეთს ვგულისხმობთ) უმრავლესობა შემოტანილი — საგანგებოდ შერჩეული და დიდი ოსტატობით შესრულებული გლიპტიკური ძეგლებია, რაც მომხმარებელის უთუოდ მაღალმხატვრულ გემოვნებასა და კულტურულ დონეზე მიუთითებს.

მცხეთაში ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა პიტიახშთა სამაროვანის სამარხებში მოპოვებული გემები, ეს გემები შესრულების მხრივ პირველხარისხოვან და მეტად ძვირფას გლიპტიკურ ძეგლებს წარმოადგენს.

რაც შეეხება რიგით სამარხებს—აქ იაფფასიანი და ჩვეულებრივი მასალა გვხვდება. ეს გარემოება მოსახლეობის ქონებრივ უთანასწორობაზე მიუთითებს.

სამთავროს სამარხებში მოპოვებულ მასალებში მხოლოდ პატარა ჯგუფი გამოირჩევა თავისი შესრულებით; ძირითადი ნაწილი კი ჩვეულებრივი ნახელავია. ამ მასალებში უხვად არის წარმოდგენილი მინის ჩამონასხამები ბრინჯაოსა და რკინაში ჩასმული, რაც იაფფასიანი და ყველასათვის ხელმისაწვდომი ნივთები იყო. რაც შეეხება ქვის გემებს, არაკრისტალიზირებული კვარცის ჯიშებზე (სარდიონი, ფრცხილი, ქალცედონი, იასპი და ა. შ.) ამოკვეთილს, ისინი ძირითადად არ გამოირჩევა

შესრულების მხრივ და მაღალმხატვრულ ნაწარმოებს არ წარმოადგენენ. უკეთ, ამგვარი ძეგლები ფართო მომხმარებელზეა განსაზღვრული, რასაც ვერ ვიტყვით პიტიახშთა სამაროვანში აღმოჩენილ გემებზე. იმის გარდა, რომ აქ მოპოვებული გემები თავის მხრივ მაღალმხატვრული ღირებულების ხელოვნების ძეგლებს წარმოადგენს, ყველა ძვირფას, სახელდობრ, ოქროს ბუდეებშია ჩასმული და ხშირად ბუდეები ფერადი თვლებითაც არის ხოლმე მოოჭვილი. მცხეთაში ამ მხრივ გარკვეულად შეიძლება დაიდოს ზღვარი მოსახლეობის მაღალ წოდებასა და საშუალო ფენას შორის.

მცხეთის ტერიტორიაზე მოპოვებული გემები (ისევე, როგორც მთელს საქართველოში), ორ ძირითად ჯგუფად იყოფა—დასავლური და აღმოსავლური; დასავლურ ჯგუფში შესულია ანტიკური გემები, სახელდობრ, იტალიკური (ელინისტური და ეტრუსკული მიმართულებისა)[1], რომაული და ბიზანტიური გემები. აღმოსავლურში—ადგილობრივი, პართული და სასანური.

ანტიკური წარმოშობის გემების მცხეთაში მასობრივად შემოტანა ძვ. წ. I საუკუნის შუა წლებიდან დაიწყო. ზოგიერთი მკვლევარი, სახელდობრ, პროფ. მ. მაქსიმოვა შესაძლებლად მიიჩნევს ეს ფაქტი პომპეუსის ამიერკავკასიაში ლაშქრობას დაუკავშიროს (66, 65 წწ.).

ძვ. წ. I საუკ. შუა წლებიდან მოყოლებული ახ. წ. III საუკ. I ნახევრამდე მცხეთაში დიდი რაოდენობით შემოაქვთ ანტიკური გლიპტიკის ნიმუშები. ამათგან უმრავლესობა II და III საუკ. თარიღდება. ცნობილია, რომ რომაულ ეპოქაში გემები ისევე, როგორც სხვა ნაწარმი, შორს გაჰქონდათ, მაგალითად, მცირე აზიის ქალაქებსა და შორეულ აღმოსავლეთში. როგორც ჩანს, ერთ-ერთ სავაჭრო გზად გამოყენებული იყო ფასიდიდან კასპიის ზღვამდე მტკვარი, რომელიც უშუალოდ მცხეთაზე გადიოდა[2]. მკვლევარებს დასაშვებად მიაჩნიათ, რომ ამ საქონლის ნაწილი, სახელდობრ, გემები (იხ. მაქსიმოვა, დასახ. ნაშრ.), მცხეთაში რჩებოდა იმასთან დაკავშირებით, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ფართოდ იყენებდა და ხმარობდა გემებს.

როგორც აღნიშნული გვქონდა, ძველ საქართველოში, კერძოდ, მცხეთაში, ანტიკურ ეპოქაში არსებობდა გემების საჭრელი სახელოსნოები.

გემებისა და საბეჭდავების ქვისგან ამოჭრის ტექნიკას ჩვენში წინ უძღოდა მინის საბეჭდავების დამზადება, ვინაიდან ელინისტურ ეპოქაში იბერები უკვე დაუფლებულნი იყვნენ მინის ჩამოსხმის ტექნიკას მცირე აზიიდან შემოტანილი გვიანაქამენიდური და ელინისტური ხანის მთლიანი ქვის საბეჭდავებიდან.

ადგილობრივი მოსახლეობა, მინის საბეჭდავების წარმოებასთან ერთად, დაუფლებული იყო აგრეთვე საბეჭდავების—ინტალიოების ამოჭრას რბილ ლითონზე. ამის მაგალითს სამთავროს სამაროვანში მოპოვებული ელინისტური ხანის ინტალიო და აგრეთვე ყოლოთოში მოპოვებული ბრინჯაოს საბეჭდავი ბეჭდები წარმოადგენს, რომლებსაც ჩვენ ძვ. წ. IV—III საუკუნეებით ვათარიღებთ. (ამავე ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ახალგორში აღმოჩენილი ძვ. წ. V—IV საუკ. საბეჭდავი ბეჭდებიც).

ამრიგად, იბერიის მოსახლეობა პომპეუსის ლაშქრობამდეც იცნობდა და იყენებდა საბეჭდავებს; როგორც ჩანს, მათზე მოთხოვნილებაც იმდენად დიდი იყო, რომ მათი ადგილობრივად წარმოება აუცილებელი გახდა.

---

[1] იტალიკური გემები საქართველოში, როგორც ჩანს, მეტად იშვიათად შემოდიოდა; ისინი ჩვენს მასალებში ერთეულების სახით გვხვდება.

ელინისტური მიმართულების იტალიკურ ინტალიოს (ძვ. წ. III—I ს. სამთავროში, № 27 S ქვევრსამარხში აღმოჩენილი. 1939 წ. გათხრები) მინის ჩამონასხამი წარმოადგენს—ნიკეს გამოხატულებით (М. И. Максимова, Геммы из некрополя Мцхеты—Самтавро. გამ. 1). ეტრუსკული მიმართულების იტალიკური გლიპტიკის ნიმუშად ჰერმეს ფიქოპომპოსის (სულთა იმიერ ქვეყნად გამძღოლი) გამოხატულებიან გემას მივიჩნევთ (მ. ლორთქიფანიძე, ანტიკური დროის გემები მცხეთაში აღმოჩენილი ბავშვის სამარხიდან. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVI-B, თბ., 1950, გვ. 91).

[2] ამის შესახებ იხ. М. И. Максимова, Геммы из некрополя Мцхеты—Самтавро. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე XVI-B, თბ., 1950, გვ. 228.

З. И. Ямпольский, О торговом пути в Закавказье, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II, თბ., 1956, გვ. 180. და Г. К. Гозалишвили, О древнем торговом пути в Закавказье, გვ. 153—160.

რაც შეეხება დასავლურ ჯგუფში შემავალ ბიზანტიურ გემებს, მცხეთის ტერიტორიაზე სულ რამდენიმე ცალია მოპოვებული და არცთუ მაინცდამაინც ტიპიური.

ანტიკურ გემებთან პარალელურად მცხეთაში შემოაქვთ აღმოსავლური გემებიც—პართული და სასანური; მათი შემოტანა გვიანსასანურ დრომდე გრძელდებოდა, იმ დროს, როდესაც დასავლური გემების შემოტანა IV საუკუნის დასაწყისში შეწყდა.

როგორც ცნობილია, ახ. წ. დამდეგის ირანული წარმოშობის გემებს ყველა მკვლევარი სასანურად მიიჩნევდა. უკანასკნელ დროს ზოგიერთი მკვლევარი ირანული გემების ჯგუფებიდან გამოყოფს პართულ გემებს[1]. ეს ჯგუფი შინაარსობლივად და მასალითაც თითქმის იმეორებს სასანურ გემებს, მაგრამ სტილისტურად და დამუშავების მხრივ თვალსაჩინოდ განსხვავდება მათგან (იხ. გვ. 26—27).

სამარხებში მოპოვებული მასალებიდან ჩანს, რომ გემებს ჩვენშიც სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდა, სახელდობრ: სამკაულის, საბეჭდავისა და ავგაროზის[2].

საბეჭდავებს ოთხ ძირითად ტიპად ვყოფთ: 1. გემებით (ინტალიოებით) შემკული ბეჭდები, 2. ლითონის საბეჭდავი ბეჭდები, 3. მთლიანი ქვის საბეჭდავები და 4. ლითონის საბეჭდავები.

ბეჭდები სხვადასხვა ლითონისაგან არის გაკეთებული: ოქრო, ვერცხლი, ელექტრუმი, ბრინჯაო და რკინა. საბეჭდავებს შინაარსობლივად დიდი მრავალფეროვნება ახასიათებთ, ჩვენ აქ ვხვდებით წარჩინებულ, მაღალი თანამდებობისა და ისტორიულ პირებს (იხ. წინამდებარე ნაშრ., №№ 837, 838, ასპავრუკ ერისთავი, ალექსანდრე მაკედონელი), მითოლოგიურ გმირებს (ჰერაკლე, პერსეოსი, აქტეონი), ღმერთების პანთეონიდან — ზევსს, პლუტონს, სერაპისს, არესს, აპოლონს, ჰერმესს, ათენას, ჰიგიეიას, ნემეზიდას, ფორტუნას, პანსა და ა. შ., მცენარეებსა და ცხოველებს.

ახ. წ. II საუკუნიდან მცხეთაში ჩნდება (ჯერჯერობით საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული უფრო ადრეული წარწერით გემა ჩვენ არ გვეგულება) მფლობელის წარწერიანი და წარწერიანი გემები.

რამდენიმე საბეჭდავზე გამოხატულებასთან ერთად ბეჭდის მფლობელის სახელი, სახელის ინიციალები ან სახელი და თანამდებობაა აღნიშნული (წარწერები ბერძნულია). ამის მაგალითს წარმოადგენს სამთავროს ერთ-ერთ სამარხში მოპოვებული ახ. წ. II საუკ. სარდიონის ინტალიო მფლობელის სახელით—KOVAK, არმაზისხევის № 2 აკლდამაში აღმოჩენილი ახ. წ. III საუკ. გრანატის ინტალიო (იხ. წინამდებარე ნაშრ., გვ. 64), ასპავრუკ ერისთავისა (ახ. წ. II ს.), და უჩა პიტიახშის[4] (ახ. წ. III—IV საუკ.) საბეჭდავი ბეჭდები. ასპავრუკის (იხ. გვ. 59). ისევე როგორც უჩას საბეჭდავზე, ბეჭდის მფლობელის სახელსა და პორტრეტთან ერთად მოხსენიებულია მათი თანამდებობაც,— ΠΙΤΙΑΞΗC ΑCΠΑΙΡΟΙΚΙC — ამიტომ ორივე საბეჭდავს უფლებრივ საბეჭდავებად მივიჩნევთ[5].

უჩა პიტიახშის საბეჭდავზე გამოხატულების ირგვლივ ამოჭრილია ბერძნული წარწერა— OVCAC ΠΙΤΙΑΞΗC ΙΒΗΡωΝ ΚΑΡΧΗΔωΝ. აკად. თაყაიშვილი წარწერას ასე თარგმნის: „უჩა პიტიახში იბერთა—ქართლელთა“[6]. აკად. კუფტინი კი წარწერას შემდეგნაირად კითხულობს: „უშა პიტიახში იბერთა—ქართთა (აზრით „იბერიისა—ქართლისა“)[7].

---

[1] М. И. Максимова, Геммы из некрополя Михеты—Самтавро (раскопки 1938—39гг), გვ. 234—235; მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, გვ. 3-4; Neilson, C. Debevoise, Parthian Seals. A survey of Persian art. v. 1, New-York—London, 1938, გვ. 471—474.

[2] ჭრილა ქვებსა და ლითონის საბეჭდავ ბეჭდებს, ისევე როგორც სხვა ინვენტარს, მიცვალებულს ჩვეულებისამებრ თან ჩაატანდნენ ხოლმე. არის შემთხვევები როდესაც ერთ სამარხში რამდენიმე გემიანი ბეჭედი ან სამკაულია მოპოვებული.

[3] მ. ლორთქიფანიძე, სამთავროში მოპოვებული გემების კატალოგი, გვ. 30.

[4] საბეჭდავი ინახება პარიზში Bibliotheque Nationale-ში. საქართველოს მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტში დაცულია აღნიშნული გემიდან თაბაშირის ანაბეჭდი (საბეჭდავი ცნობილი იყო არშუშა პიტიახშის სახელით).

[5] წერილობით წყაროებში მოხსენიებულია ერისთავთა საბეჭდავები, მაგალითად, ვარსქენ პიტიახშის საბეჭდავი, რომელიც V საუკ. წყაროშია დამოწმებული „...და ვითარცა შევიდეს ციხედ, პოვეს სახლაკი ერთი ჩრდილოჲთ კერძო, მცირჱ და ბნელი, და მუნ შეაყენეს წმინდაჲ იგი. და ჯაჭჳ იგი, რომელ ედვა ქედსსა, ზედა ეგრეთვე ედვა, და დაჰბეჭდა. ურჩულ(ო) მან ვარსქენ ბეჭდითა თჳსითა“ (იაკობ ცურტაველი, მარტვილობაჲ შუშანიკისი, ილ. აბულაძის გამოცემა თბილისი, 1938, გვ. 28—29).

[6] ე. თაყაიშვილი, როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ, „მნათობი“, 1948, № 8, გვ. 100.

[7] ბ. კუფტინი, საქართველოს ძველი ეთნო და ტოპონიმიკის ზოგიერთ გაურკვეველ შემთხვევაზე უცხო წყაროებით, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, X, № 5, 1949, გვ. 32.

ოფიციალურ საბეჭდავებს გარდა ინდივიდუალური საბეჭდავებიც არის ცნობილი. აღსანიშნავია, რომ ჩვენში საბეჭდავებით არა მარტო მაღალი წოდების ადამიანები და თანამდებობის პირები სარგებლობდნენ, არამედ ფართო ფენებიც. ამას მოწმობს ინტალიოებისათვის დიდი რაოდენობით გამოყენებული იაფფასიანი მასალა—მინა, სამთავროს სამარხებში უხვად წარმოდგენილი დაბალი მხატვრული ღირებულების (რაც ძვირად არ ფასობდა) ინტალიოები და ბუდეებად გამოყენებული ბრინჯაო და რკინა.

ძველ სამყაროში გემების, სახელდობრ, საბეჭდავების გავრცელება უკავშირდება კერძო საკუთრების ინსტიტუტის განვითარებას, იგივე მოვლენით უნდა იქნეს ახსნილი საქართველოში საბეჭდავების ფართოდ გამოყენება[1].

სამკაულად განკუთვნილი გემებისათვის, კამეებისა და ინტალიოებისათვის მასალად გამოყენებულია ნახევრად ძვირფასი და ძვირფასი (მცირე რაოდენობით) ქვები.

მრავალფენიან ქვებსა და არაკრისტალიზირებულ კვარცის ჯიშებზე ამოჭრილი კამეებით შეიკულია: მანიაკები (იხ. არმაზისხევიდან ამეთვისტოს კამეით შემკული ოქროს მანიაკი, ინვ. № 244 და სარდონიქსის კამეით შემკული მანიაკი, ინვ. № 831), ქამრის ბალთები (იხ. ასპავრუკ ერისთავის ერთ-ერთი ბალთა № 835), საყურეები[2] და სამაჯურები (იხ. ბაგინეთის № 1 აკლდამაში აღმოჩენილი კამეებით შემკული სამაჯურები №№ 852, 853). ძირითადად ამ მასალებს ახ. წ. II—III სს. ვათარიღებთ.

სამკაულად გამოყენებული ინტალიოები ჩასმულია სამაჯურებში (არმაზისხევი, პრაზემის ინტალიო ათენას გამოხატულებით, ინვ. № 832), ქამრის ბალთებში (არმაზისხევი, ინვ. №№ 834, 835, 836), მედალიონებში (სამთავრო, ჰიაცინტის გემით შემკული ვერცხლის მედალიონი, პერსეოსი)[3], აგრაფებსა და ყველაზე მრავლად ბეჭდებში.

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული გემების (როგორც ადგილობრივის, ისევე შემოტანილის) დასამუშავებლად ძირითადად გამოყენებულია დაზგის ტექნიკა. მინის ინტალიოები ჩამოსხმულია, ზოგ შემთხვევაში ჩამოსხმის შემდეგ, ე. ი. თვალის ყალიბიდან აშოლების შემდეგ, ოსტატს ნახმარი აქვს გამოხატულების დასამუშავებლად საჭრისი. ჩვენის აზრით, ოსტატები ამგვარ ხერხს იმისათვის მიმართავდნენ, რომ ქვის სრული შთაბეჭდილება შეექმნათ.

ჩვენს მიწა-წყალზე აღმოჩენილ სამარხებში, სახელდობრ, სამთავროსა და არმაზისხევის ტერიტორიაზე, დიდი რაოდენობით მოპოვებული გემები და ზოგიერთი მათგანის ადგილობრივად წარმოების ფაქტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აქაური მოსახლეობა ყოფაში ფართოდ იყენებდა საბეჭდავებს და მოთხოვნილებაც ამგვარ ძეგლებზე დიდი იყო.

---

[1] განძეულობის დაბეჭდვის ტრადიცია ჩვენში დიდხანს გრძელდება, „ვეფხისტყაოსანში“ ვკითხულობთ: „...მოიხმო მისი გამზრდელი, ერთგული, ნაერთგულევი უბრძანა: ჩემი საჭურჭლე, შენგან დ ა ნ ა ბ ე ჭ დ უ ლ ე ვ ი, მომართვი ჩემი ყველაი, ჩემი ნაუფლისწულევი“ (სტრ. 52). იქვე, სტრ. 619 „.... ფრიდონ ნახნა საჭურჭლენი და ბ ე ჭ ე დ ნ ი მისნი დასხნა...“ იქვე, სტრ. 1372, „ოქროც რამე წაიტანეს, მარგალიტი ღარიბები, გამოვიდეს გ ა მ ო ბ ე ჭ დ ე ს ორმოცივე საჭურჭლები...“ იქვე, სტრ. 1498. „მოიარეს ქვაბოვანი, თამაშობდეს მხიარულნი. პოვნეს იგი საჭურჭლენი, ტარიასგან დ ა ბ ე ჭ დ უ ლ ნ ი.“ (ვეფხისტყაოსანი, 1951 წლის გამოცემა, თბილისი).

[2] მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ანტიკური დროის გემები მცხეთაში აღმოჩენილი ბავშვის სამარხიდან, გვ. 95—98, აგრეთვე სამთავროში მოპოვებული გემების კატალოგი, №№ 3 და 3 a.

[3] მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, სამთავროს გემების კატალოგი, გვ. 8.

2. არმაზისხევის გლიპტიკური ძეგლები

არმაზისხევის სამაროვანში მოპოვებულმა გლიპტიკურმა ძეგლებმა ბრწყინვალე მასალებით შეავსო ჩვენი მუზეუმის საგანძური; პიტიახშთა სამაროვანში აღმოჩენილი გემები თვალსაჩინოდ გამოირჩევა მცხეთაში მოპოვებულ სხვა ამ რიგის ძეგლთაგან მაღალი ოსტატობით, დახვეწილი გემოვნებითა და შინაარსის მრავალფეროვნებით. არმაზისხევის პიტიახშთა და მდიდრულ სამარხებში აღმოჩენილი თითოეული გემა საკმაოდ რთული, მაღალი მხატვრული ნაწარმოებია და ამდენად განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს.

საგანგებოდ შერჩეულ, უცხო—შემოტანილ მასალებთან ერთად, პიტიახშთა სამაროვანში შესანიშნავად შესრულებული ადგილობრივი ნახელავი „ჭრილა“ ქვებია მოპოვებული. მცხეთაში აღმოჩენილი სხვა მასალებისაგან განსხვავებით (სამთავროს სამაროვანში მოპოვებულ გლიპტიკურ ძეგლებს ვგულისხმობთ), აქ აშკარად შეიძლება დაიდოს ზღვარი ადგილობრივსა და შემოტანილ მასალებს შორის. ადგილობრივი გემების თვალსაჩინო ნიმუშებს წარმოადგენენ ასპავრუკ ერისთავის საბეჭდავი ბეჭედი (ინვ. № 837), გრანატის გემით შემკული ბალთა—კარპაკისა და ზევახის გამოხატულებით (ინვ. № 834), პრაზემის გემიანი სამაჯური ათენას გამოხატულებით (ინვ. № 832), ამეთვისტოს კამეა ცხვრის თავის გამოხატულებით (ინვ. № 844) და გრანატის გემიანი ბეჭედი წარჩინებული მამაკაცის ბიუსტით (ინვ. № 833).

რიგ შემთხვევაში ადგილობრივი ოსტატები ანტიკური ტრადიციებისგან ვერ თავისუფლდებიან და ისინი ანტიკურ ხელოვნებაში გავრცელებულ სახეს იმეორებენ. ეს კარგად ჩანს № 2 ქვისსამარხში აღმოჩენილ პრაზემის ინტალიოზე—ათენა-პალადას გამოხატულებითა და კარპაკისა და ზევახის პორტრეტიან გემაზე (ეს უკანასკნელი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, იკონოგრაფიულად, ერთგვარად, რომაული პორტრეტების მიმბაძველობას წარმოადგენს).

ყოველი ადგილობრივი მჭრელის ნახელავში გარკვეული ინდივიდუალობა და თავისებურება ჩანს. ძირითადად ეს სტილსა და ამოჭრის მანერაში მჟღავნდება. ანტიკური გლიპტიკის კლასიკური ნორმებისაგან განსხვავებით, ადგილობრივი ოსტატები მეტწილად უპირატესობას ფორმების საერთო მოხაზულობას აძლევენ; დეტალები მარტივად, ასე ვთქვათ, გრაფიკულად არის გადმოცემული და ამდენად ის გამოხატულებები, რომლებიც ოდნავ შესამჩნევი (ბრტყელი) რელიეფითა და ხაზებით (სიბრტყობრივი სტილით) არის შესრულებული, ერთგვარად სქემატურ ხასიათს ატარებს (იხ. კარპაკის, ზევახისა და ათენას გამოხატულებები).

რიგ შემთხვევაში უპირატესობა ნახატს ეძლევა. ცალკეული ნაკვთები მკვეთრად არის ერთმანეთისაგან გამოყოფილი (იხ. საყურიანი მამაკაცის პორტრეტი № 846 და მმართველი პირის ან დიდგვაროვანი მამაკაცის პორტრეტი აფრიანი თავსაბურავით №833 და სხვ.).

მეტწილად მთელი გამოხატულება ერთ სიბრტყეშია მოცემული და ამის გამო (თანადროული ანტიკური წარმოშობის ძეგლთაგან განსხვავებით) ნახელავი პლასტიკურობას მოკლებულია; ფორმათა რელიეფური გადმოცემა შეცვლილია ხაზოვანი კონტურით.

წარწერიან გემებზე ჩვენ შემდეგ გარემოებას მივაქციეთ ყურადღება: ჩვენ მიერ ადგილობრივად მიჩნეულ გემებზე ბერძნული წარწერები (როგორც შემდეგაც გვექნება აღნიშნული, იხ. გვ. 58, 60) თავისებურად, ანტიკური ხანის ოსტატების წესისაგან განსხვავებული მანერით არის ამოჭრილი. ასე მაგალითად: 1. კარპაკისა და ზევახის გამოხატულებიან ასპავრუკის ერთ-ერთ ბალთაზე წარწერის ნაწილი წაღმაა ამოჭრილი, ნაწილი უკუღმა (იხ. გვ. 56).

„წაღმა-უკუღმა“ შესრულებულ წარწერებს რომაულ ხანაში ლაპიდარულ წარწერებში ეხვდებით რაც ძველი ნიმუშების მიმბაძველობას წარმოადგენს. ძველად ამგვარი წარწერები ე. წ. βουστροφηδόν ქვებზე, ჭურჭლებსა, ჭრაქებსა და სხვა ნივთებზე გვხვდება.

2. ასპავრუკის საბეჭდავზე სიტყვა სწორად დამარცვლული არ არის და მხოლოდ ერთი ასოა გადატანილი (იხ. გვ. 59). როგორც პირველი, ასევე მეორე შემთხვევა ანტიკურ ჭრილა ქვებზე გამორიცხულია. კომპოზიციურად წარწერები არ არის კარგად შერწყმული გამოხატულებასთან, ისინი მეტისმეტად თვალსაჩინოა, რაც განასხვავებს მათ ანტიკური წარმოშობის ამ ტიპის ქვებისაგან. ზემოჩამოთვლილი თავისებურებები ზედმეტ საბუთად გამოდგება აღნიშნული გემების ადგილობრივი წარმოშობის მტკიცებისათვის.

ზემოხსენებული ძეგლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უნდა აღინიშნოს, რომ ქვაზე ამოჭრის ხელოვნება ძველად ჩვენში განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგა. უდავოა, რომ ადგილობრივი ოსტატები დაზგის ტექნიკას იცნობდნენ.

ამას მოწმობს: 1. გემებად გამოყენებული ქვის მაგარი ჯიშები (გრანატი, პრაზემი, ამეთვისტო, სარდიონი და სხვ.), რომელთა დამუშავება დაზგის გარეშე შეუძლებელია[1].

2. აგრეთვე ამოჭრის ტექნიკა,—ყველა ზემოჩამოთვლილ გემას ბორბლის ბრუნვითი ძრაობით დამუშავება ეტყობა.

ნახელავის მიხედვით ჩანს, რომ გემების ადგილობრივი მჭრელები კარგად იყვნენ დაუფლებული ამ რთულ ტექნიკურ პროცესს, ყველა ნამუშევარს ოსტატის ზუსტი და მტკიცე ხელი ეტყობა (იხ. ასპავრუკი, ათენა და ა. შ.).

ჩვენი ყურადღება მიიპყრო მცხეთის ახალ აკლდამაში[2] აღმოჩენილმა ერთადერთმა გემამ, რომელიც მეტად მრავალრიცხოვან ქვებში იყო გაბნეული. ქვის გულმოდგინედ შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ მჭრელს აღნიშნული გემის გამოხატულება დაუმთავრებელი დარჩენია (იხ. წინამდებარე ნაშრ. გვ. 53—54). ეჭვს არ უნდა იწვევდეს ჩვენი მოსაზრება, რომ აღნიშნული გემა რომელიღაც ადგილობრივ სახელოსნოში იჭრებოდა, რადგან ძნელად წარმოსადგენია იგი ამ სახით სხვა მხრიდან ყოფილიყო შემოტანილი. სამარხში ფერადი (ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი) ქვებისა და მინის თვლების უჩვეულო სიმრავლე და აღნიშნული გემის მოპოვების ფაქტი

---

[1] სავარაუდებელია, რომ ნედლი მასალა ჩვენშიც, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, აღმოსავლეთიდან შემოჰქონდათ (სამწუხაროდ, ამის შესახებ ლიტერატურაში ცნობები არ მოგვეპოვება). დასაშვებად მიგვაჩნია, რომ გრანატები ინდოეთიდან, ბირმასა და სიამიდან შემოდიოდა.

რაც შეეხება პრაზემს, მისი საბადოები მხოლოდ კვიპროსზე არსებობდა (А. Е. Ферсман, Самоцветы России, Петроград, 1920, გვ. 165). აქედან გამომდინარე აღნიშნული მასალა ჩვენში კვიპროსიდან უნდა იყოს შემოსული. ეს ფაქტი მით უფრო საინტერესო და საგულისხმოა, რომ იგი აღნიშნულ ხანაში ამ ქვეყნებთან გარკვეულ სავაჭრო ურთიერთობაზე მიუთითებს.

პროფ. გ. ლ ე მ ლ ე ი ნ ი დასაშვებად მიიჩნევს, რომ სარდიონის, აქატისა და ქალცედონის ზოგი სახესხვაობის საბადოები მცირე კავკასიაში, პონტოს, ტავროსსა და სომხეთის ზეგანზე არსებობდა, რომელთა დამუშავება ჩვენთვის უცნობ ცენტრებში ხდებოდაო (Г. Г. Лемлейн, Каменные бусы Самтаврского некрополя, მასალები კავკასიისა და საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1951, ნაკვეთი 29, გვ. 184).

[2] 1951 წ. აღმოჩენილი აკლდამა (გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ი. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ახლად აღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე ტ. XII, № 10, 1951).

გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია აქ დაკრძალული იყო რომელიმე სახელოსნოს ოსტატი ანდა მისი მფლობელი[1].

არმაზისხევის № 17 ქვისსამარხში (რომელიც 1938 წელს გაითხარა), სხვა ინვენტარს შორის აღმოჩნდა აქატის კონუსისებრი მოყვანილობის საკმაოდ მაღალი ქვა, რომელსაც ძალიან ფართო „ფუძე“ აქვს (სურ. 5ა). აღნიშნულ აქატს ტიპიური ფორმის გამო ჩვენ საბეჭდავად მომზადებულ ქვად მივიჩნევთ.

ამრიგად, ადგილობრივი ქვის საჭრელ სახელოსნოებში, როგორც ეს თავის დროზე პროფ. მ. მაქსიმოვამ აღნიშნა, ადგილობრივ ოსტატებსაც უმუშავნიათ.

არმაზისხევის მასალებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სრულიად განსხვავებული ტექნიკით შესრულებული № 6 აკლდამაში მოპოვებული ახ. წ. II საუკ. ამეთვისტოს გემა (ინვ. № 843), რომელიც სავსებით განცალკევებულად დგას გლიპტიკურ ძეგლებს შორის და ამის გამო მისი მოთავსება რომელიმე გარკვეულ ჯგუფში ჯერჯერობით გვიჭირს (იხ. გვ. 48). აღნიშნული გემა უზადო ამეთვისტოზე ამოჭრილ ინტალიოს წარმოადგენს, რომელზედაც ჩვენთვის უცნობმა უბადლო ოსტატმა აქტეონის ირმად გარდაქცევის მითი ასახა.



სურ. 5ა

აღებულია ნაპირებშეჩრილი ოქროს სიფრიფანა ფურცელი, რომლის შუაგული ჩაწნეხილია საუცხოოდ ნაკვეთ ინტალიოში—გამოხატულებაში. ინტალიო ბუდეში პირით ე. ი. ამონაკვეთით ძირისკენ არის ჩასმული. ამიტომ როდესაც თვალს ზევიდან დავცქერით (რომელსაც ოდნავ ამობურცული, აღნიშნული თვალისათვის ზედაპირი, ხოლო ინტალიოსათვის ქვედაპირი — აქვს), გამოხატულება გამჭვირვალე ამეთვისტოში ჩასმულ შესანიშნავ რელიეფად წარმოგვიდგება.

ზემოხსენებული ტექნიკით შესრულებული გემები მსოფლიოს გლიპტიკურ ძეგლებს შორის (გამოცემული მასალების და სსრკ ცენტრალურ მუზეუმებში დაცული მასალების მიხედვით ვმსჯელობთ) ჩვენთვის მხოლოდ სამია ცნობილი. სამივე გემა საქართველოს ძველ ტერიტორიაზეა მოპოვებული: 1. ბათუმის მიდამოებში მოპოვებული მთის ბროლის ინტალიო ლუცი ვერის გამოხატულებით (ერმიტაჟი № Ж. 1431), 2. უსახელოში მოპოვებული ოქროსფერი ტოპაზიონი ჰელიოსის გამოხატულებით (ერმიტაჟი № Ж. 1432) და 3. არმაზისეული აქტეონი (იხ. აღწერილობა).

მტკიცებისათვის, რომ ზემოხსენებული გემები იბერული ან კოლხური წარმოშობის გლიპტიკის ხელოვნების ძეგლებია, ძალიან მცირე მასალები გაგვაჩნია და დღესდღეობით არც ეს მასალებია ბოლომდე შესწავლილი. ბათუმისა და უსახელოს გემებზე ამოჭრილი გამოსახულებები სტილისტურად ბერძენი ოსტატების მიერ შესრულებულ ტიპიურ ნიმუშებს წარმოადგენენ, ხოლო რაც შეეხება არმაზისეულ აქტეონს, იგი რომაული კლასიციზმის ბრწყინვალე ნიმუშია. ამისდა მიუხედავად ერთის აღნიშვნა სავსებით შესაძლებელია: უსაფუძვლო არ უნდა იყოს ჩვენი ვარაუდი იმის შესახებ, რომ ჭრილა ქვის ოქროს ფირფიტით „მოპირკეთების“ ტექნიკას დაუფლებულები იყვნენ ძველ საქართველოში და აღნიშნული ძეგლები (ახალი სახე გლიპტიკაში) რომელიღაც ადგილობრივ სახელოსნოშიც (კოლხეთში ან იბერიაში) იქმნებოდა.

ტექნიკურად ამ მეტად რთული შესასრულებელი ხელოვნების ახალ ნიმუშებზე, ადგილობრივი დამკვეთებისათვის, შესაძლოა აქ მოღვაწე ბერძენი და ადგილობრივი ოსტატები ერთად მუშაობდნენ.

ბერძენი ოსტატი ალბათ გამოხატულებას ჭრიდა, ადგილობრივი კი—მის ოქროთი მოპირკეთებაზე მუშაობდა. ადგილობრივი ოსტატების თანამშრომლობა მით უფრო მიგვაჩნია დასაშვებად, რომ აღნიშნული ტექნიკა, როგორც ჩანს, ანტიკური და აღმოსავლური სამყაროსათვის უცხო თუ არა, იშვიათი იყო.

---

[1] აღსანიშნავია, რომ ამავე სამარხში ნაპოვნია ოქროს რკალი, რომელსაც ნუმიზმატი დ. კაპანაძე მონეტის ნამზადად თვლის.

მხოლოდ ხედმიწევნით ფაქიზ ტექნიკას დაუფლებულსა და ნატიფი გემოვნების ოსტატს შეეძლო მსგავსი ძეგლების შექმნა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აგრეთვე ბერსუმა ერისთავის სამარხში (აკლდამა № 3) აღმოჩენილი პრაზემის გემით შემკული ოქროს ბეჭედი. გემაზე შესანიშნავად შესრულებული წარჩინებული მამაკაცის პროფილია გამოხატული, რომელიც ჩვენ ახ. წ. III საუკ. ალექსანდრე მაკედონელის იდეალიზირებულ პორტრეტად მიგვაჩნია[1] (იხ. გვ. 52). გამოხატულების ქვემოთ, პირის კიდესთან, ქვაზე მარჯვნიდან მარცხნივ ბერძნული წარწერაა ამოჭრილი—მამაკაცის სახელი ΠΛΑΤωΝ — პლატონ. წარწერა შესრულების ხასიათით გამოირჩევა არმაზისხევის სამაროვანში მოპოვებული სხვა წარწერიანი გემებისაგან, სახელი მოცემულია ნომინატივში; იგი ძალიან წმინდა, არაღრმად ნაკვეთი და წვრილი ასოებით არის შესრულებული. წარწერა იმდენად სადა და მოკრძალებულია (მფლობელის სახელიანი გემებისაგან განსხვავებით, იხ. ასპავრუკი), რომ ერთი შეხედვით ყურადღებას არც კი იპყრობს. ამ ყაიდაზე აწერდნენ ხოლმე ხელს თავის ნახელავს ანტიკური ხანის ოსტატები[2]. აქედან გამომდინარე ჩვენ ვასკვნით, რომ ΠΛΑΤωΝ ოსტატის ხელმოწერაა.

გემის სტილისტური თავისებურებისა, ოსტატის ხელმოწერისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიოს ახ. წ. III საუკ. ნახელავად მივიჩნევთ. ამრიგად, პლატონი ახ. წ. III საუკ. ოსტატია, რომლის სახელი საქართველოს ფარგლებს გარეთ მოპოვებულ მასალებსა და წყაროებში არ შეგვხვედრია. აქედან გამომდინარე თავს უფლებას ვაძლევთ გამოვთქვათ მოსაზრება, რომ პლატონი (საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ერთ-ერთი საუკეთესო გემის მჭრელი) რომელიმე ადგილობრივ სახელოსნოში მოღვაწე ბერძენი ოსტატია.

რიგითი სამარხებიდან წარმომდგარ ადგილობრივ საბეჭდავებს შორის განცალკევებით დგას ახ. წ. III—IV სს. ლითონის საბეჭდავი ბეჭედი (№ 791), რომლის პირზე, ჩვენის განსაზღვრით, გამოხატულია მკის პროცესი. წელში მოხრილ მკელს მარცხენა ხელში პურის თავთავები კონად აქვს შეგროვილი[3], მარჯვენა ხელში ნამგალი უჭირავს და მკის. გამოხატულება ძალიან სტილიზებულია.

შინაარსის საფუძველზე და სათანადო მასალების შესწავლის შედეგად[4] ჩვენ აღნიშნული ბეჭედი ავგაროზად[5] მივიჩნიეთ.

სტილისა და შესრულების თავისებურებების მიხედვით ინტალიოს ადგილობრივი ლითონის საბეჭდავი ბეჭდების ჯგუფს ვაკუთვნებთ (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. გვ. 72).

არმაზისხევის ერისთავთა საგვარეულოსა და აგრეთვე ქალისა და მამაკაცის მდიდრულ სამარხებში[6] უხვად არის ჩატანებული გემებით შემკული სამკაულები და საბეჭდავებად განკუთვნილი ჭრილა ქვები.

ასპავრუკის თვლებით მოოჭვილი ოქროს ბალთებიანი საერისთავო სარტყელი რამდენიმე ინტალიოთი და ერთი კამეით არის შემკული. ბერსუმა პიტიახშის სამარხში ალექსანდრე მაკედონელის პორტრეტიანი გენით შემკული ბეჭედია ჩატანებული. № 6 აკლდამაში ამეთვისტოს კამეით შემკული მანიაკი, ამავე ქვაზე ამოჭრილი ინტალიო აქტეონის გამოხატულებითა და გრანატის კამეიანი

---

[1] მ. ლორთქიფანიძე, ქვის მჭრელის პლატონის ნახელავი ახ. წ. III საუკუნისა, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVII-B, თბ., 1953, გვ. 243—250.

[2] ოსტატების ხელმოწერა გემაზე უფრო ხშირად მოცემულია ნომინატივში, ზოგჯერ მჭრელის სახელს თან ახლავს სიტყვა ἐποίει—„გააკეთა იგი". ხან ოსტატი თავის სახელს გენეტივში იძლევა ხოლმე, მაშინ მას ἔργον—„ნახელავია" უმატებს.

[3] ერთბაშად ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მკელი პურს ძნად შეკვრას უპირებს.

[4] იხ. Bonner-თან (Studies in Magical amulets. London, 1950). ალექსანდრიული ბრინჯაოს მონეტები და საფლავის კედლის მხატვრობა თებესიდან. ტაბ. XXII, გამ. 1 და 2.

[5] სამკურნალო მაგიად ცნობილი ამულეტია.

[6] პიტიახშთა სამაროვანის სამარხები: 1, 2, 3, 4, 6, 7, 9, 18.
მდიდრული სამარხები: 12, 13, 19, 40, 41, 43, 48, 49. სამარხების ამგვარი დანაწილება გ. ლომთათიძემ მოგვაწოდა.

ბეჭედია მოპოვებული; № 2 აკლდამაში პრაზემის გემით შემკული სამაჯური ათენას გამოხატულებით, მანიაკი სარდონიქსის კამეით — ძაღლი და გრანატის გემიანი ბეჭედია ჩატანებული და ა. შ.

ბეჭდის თვლებად გამოყენებულ გემებს სამკაულის გარდა პრაქტიკული დანიშნულებაც ჰქონდათ. ისინი უმთავრესად საბეჭდავად გამოიყენებოდნენ[1] (საბეჭდავებად მიჩნეული ბეჭდები: №№ 839, 838, 833, 840, 850 და ა. შ.).

ყველაზე ადრეული, წარწერით დამოწმებული ისტორიული პირის პორტრეტიანი საბეჭდავი საქართველოში არმაზისხევში აღმოჩნდა — ასპავრუკ ერისთავის საბეჭდავ ბეჭედს ვგულისხმობთ (იხ. გვ. 59—60)[2]. როგორც აღნიშნული იყო, ამ გემას უფლებრივ საბეჭდავად მივიჩნევთ (იხ. შესავალი, გვ. 18).

ისტორიული პირები — ერთ-ერთი სახელმწიფო მმართველი და მისი ოჯახის წევრი მოხსენებულია აგრეთვე ასპავრუკის საერისთავო სარტყლის ბალთის გემაზე, სახელდობრ, ზევახი და მისი მეუღლე კარპაკი. წარწერასთან ერთად ქვაზე გამოხატულია აგრეთვე ამ დიდებულთა პორტრეტებიც (იხ. გვ. 56).

აკად. გ. წერეთლის ვარაუდით, აღნიშნულ გემაზე გამოხატული ზევახი და არმაზის ბილინგვაში მოხსენიებული ფარსმან მეფის უმცროსი პიტიახში ზევახი (სერაფიტას მამა) ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს[3].

ზემოხსენებულ გემას ჩვენ ახ. წ. II საუკ. ბოლო წლებით ვათარიღებთ (იხ. გვ. 58), რაც ბილინგვის თარიღს ეთანხმება[4].

სახელ „ზევახს“ ჩვენ არმაზისხევის № 6 აკლდამაში აღმოჩენილ ოქროს გრანატის გემიან ბეჭედზედაც (№ 840) ვხვდებით. აღნიშნული ბეჭედი საბეჭდავად განკუთვნილი არ ყოფილა, რადგან წარწერა ZEYAXHC ქვაზე მარცხნიდან მარჯვნივ იკითხება (ხოლო ანაბეჭდზე პირუკუ გამოდის). მსგავსი შემთხვევები საბეჭდავებად განკუთვნილ ქვებზე გამორიცხულია.

აღნიშნულ ბეჭედს ჩვენ ახ. წ. I საუკ. II ნახევრით ვათარიღებთ; აქედან გამომდინარე შესაძლებლად მივიჩნევთ გემაზე ამოკვეთილი სახელი „ზევახი“ და მიჰრდატ მეფის სტელაზე მოხსენიებული ზევახი ერთსა და იმავე პიროვნებას დავუკავშიროთ[5]. თუ ამ დებულებას დასაშვებად მივიჩნევთ, მაშინ გემაზე მიჰრდატ მეფის შარაგას პიტიახშის მამის სახელია ამოჭრილი. ბეჭედი სამარხში ახ. წ. II საუკუნისა და III საუკ. დასაწყისის გემებთან (იხ. №№ 841, 839) ერთად არის აღმოჩენილი, ზემოხსენებულიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული გემა (რომელიც გვიანდელი სამარხიდან წარმოსდგება) მემკვიდრეობით გადადიოდა თაობიდან თაობაზე, ხოლო მისი უკანასკნელი მფლობელისათვის იგი საფლავში თან ჩაუტანებიათ.

გემების შესწავლის შედეგად ჩვენ შესაძლებლად მივიჩნიეთ არმაზისხევის გემებში სამი ძირითადი ჯგუფის გამოყოფა, სახელდობრ, გვიანანტიკური — რომაული გემებისა, ადგილობრივი გემებისა (ანტიკური პერიოდისა) და პართულ-სასანური გემებისა. მასალა აკლდამებისა და ქვისსამარხებიდან წარმოდგება (რამდენიმე საბეჭდავი კულტურულ ფენაშია ნაპოვნი)[6].

---

[1] ზოგი ბეჭედი, როგორც ჩანს, ყოველდღიურად თითზე სატარებლად განკუთვნილი არ იყო, ამას მისი სახმარებლად მოუხერხებელი ფორმა მოწმობს. იხ. ასპავრუკის ბეჭედი.

[2] 1940 წ. არმაზისხევში აღმოჩნდა არმაზული დამწერლობით შესრულებული სტელა, რომელზედაც სხვა ისტორიულ პირთა სახელებთან ერთად იხსენიება ასპავრუკი. წარწერა გამოცემული აქვს პროფ. გ. წერეთელს. Г. В. Церетели, Эпиграфические находки в Мцхета в древней столице Грузии. ВДИ, М.—Л., 1948, № 2, გვ. 52. წარწერას გ. წერეთელი ახ. წ. I საუკ. II ნახევრით ათარიღებს.

[3] Г. В. Церетели, Армазская билингва, Тбилиси, 1941, გვ. 47—50.

[4] გ. წერეთელი ბილინგვას ახ. წ. II საუკ. მეორე ნახევრის დასაწყისით ან უკანასკნელი მეოთხედით ათარიღებს. დასახ. ნაშრ., გვ. 49.

[5] გ. წერეთელი მიჰრდატ მეფის წარწერას ახ. წ. I საუკ. II ნახევრით ათარიღებს. Эпиграфические находки в Мцхета в древней столице Грузии, ВДИ, № 2,1948, გვ. 52—53. ზევახი წარწერაში „მბრძანებლად“ იხსენიება. დასახ. ნაშრ., გვ. 52.

[6] მეოთხე ჯგუფში დაუთარიღებელი გემები მოვათავსეთ.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია არმაზისხევის სამაროვანსა და ბაგინეთში (აკლდამა № 1) მოპოვებული გლიპტიკური მასალა. მასალა წარმოშობის მიხედვითა და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გვაქვს დალაგებული.

გემების ძირითადი ნაწილი ბეჭდებშია ჩასმული და საბეჭდავებად არის განკუთვნილი, აგრეთვე შემკულია ქამრის ბალთები, სამაჯურები და მანიაკები. პიტიახშთა და მდიდრულ სამარხებში მოპოვებული გემებისათვის მასალად გამოყენებულია: ამეთვისტო, გრანატი (ალმანდინი და პიროპი), მოწითალო სარდიონი, პრაზემი, ნეფრიტი (?) და სარდიონ-ფრცხილი. ბუდეებად—ოქრო (არის ბრინჯაო, ვერცხლი და ცოტაოდენი რკინაც).

რიგით სამარხებში მოპოვებული გემებისათვის გამოყენებულია: ალმანდინი (ერთეულების სახით), სხვადასხვა ფერის სარდიონი (მოწითალო, მუქი ნარინჯისფერი, მოვარდისფრო), სარდერი (მუქი და ღია), ლაჟვარდის ქვა და სხვადასხვა ფერის მინა. აგრეთვე ინტალიოების დასამზადებლად გამოყენებულია: ვერცხლი და ბრინჯაო. ბუდეებად ძირითადად ნახმარია: ბრინჯაო, ვერცხლი, რკინა და იშვიათად ოქრო.

გემებს შორის შვიდი (ორი ბაგინეთიდან, ხუთი პიტიახშთა სამაროვანიდან) კამეას წარმოადგენს. ამათგან სამი სარდიონ-ფრცხილზეა ამოჭრილი, ორი გრანატზე, ერთი—ამეთვისტოზე.

არმაზისხევში მოპოვებული გემები შინაარსობლივად მრავალფეროვანია; პიტიახშთა სამაროვანისა და ბაგინეთის მასალებში (სამთავროსა და აგრეთვე არმაზისავე მასალებისაგან განსხვავებით) თვალსაჩინო ადგილი უჭირავს პორტრეტულ გემებს. პორტრეტულ გემებს ძირითადად ადგილობრივად მივიჩნევთ და ახ. წ. II—III სს. ვათარიღებთ (იხ. ასპავრუკ ერისთავის, კარპაკისა და ზევახის, უცნობი წარჩინებული პირის, აფრიან თავსაბურავით, აგრეთვე ალექსანდრე მაკედონელის პორტრეტები და უცნობი მანდილოსნების პორტრეტები ბაგინეთიდან). ღვთაებებიდან ადგილობრივ გემებზე გამოხატულია: ათენა—პალადა, ცხოველთა სამყაროდან ცხვარი, დელფინი. წარწერები—ბერძნულია.

ერისთავთა სამაროვანისა და მდიდრული სამარხების რომაულ გემებზე გამოხატულია: ძევსი, ფორტუნა-იზიდა, მენადა, ძაღლი და თხა. რიგით სამარხებში: ცისტოფორი, თევზი, პურის თავთავები.

პიტიახშთა სამაროვანის რომაული ჯგუფის გემებიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ახ. წ. II საუკ. გრანატის ინტალიო, რომლის პირზე მაღალ ტახტზე მჯდომარე ღვთაებაა გამოხატული (იხ. გვ. 30). ჩვენ მას სინკრეტულ ღვთაებად მივიჩნევთ, შესაძლებელია ძევსი-სერაპისი იყოს.

ინტალიოს შემქმნელი ოსტატი ელინისტური ტრადიციის გავლენის ქვეშ იმყოფება, ამასთანავე ნახელავში გარკვეული სიახლეა შეტანილი (იხ. ტანსაცმელი). ჩვენის აზრით, ინტალიოზე ამოკვეთილი გამოხატულება ჩვენთვის უცნობი რომელიღაც მონუმენტალური ძეგლის დედნიდან გაკეთებული პირია. შესაძლებელია არმაზისეული გემა მცირე აზიის რომელიმე სახელოსნოდან მომდინარეობდეს (აღნიშნული ინტალიო ჩვენ ჯერჯერობით პირობითად მოვაქციეთ რომაულ ჯგუფში).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს № 2 კრამიტსამარხში მოპოვებული (1943 წ.) სარდიონის ინტალიო თავახდილი ცისტოფორის (κιστοφόρος) გამოხატულებით, რომლიდანაც გველი მოძვრება (იხ. გვ. 45)[1]. აღნიშნული შინაარსი გავრცელებულია მცირეაზიურ ვერცხლის მონეტებზე (იხ. გვ. 46), ისინი ცისტოფორებად იწოდებიან. რაც შეეხება ჭრილა ქვებს—ჯერჯერობით მხოლოდ არმაზისხევში მოპოვებული გემით არის წარმოდგენილი. ჩვენ მიერ შესწავლილ გლიპტიკურ ძეგლებს შორის (უცხოურ სპეციალურ ლიტერატურასა და ცენტრალურ მუზეუმებში დაცულ მასალებს ვგულისხმობთ)

---

[1] ცისტა დემეტრასა და დიონისოს მისტიურ კულტებს უკავშირდება. ცისტას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ყველა ანტიკური მისტერიების დღესასწაულის დროს. თავდახურული ცისტა გამოყენებული იყო საღვთო და იდუმალი (ἱερά) ნივთების დასაცავად ღვთისმგმობელი თვალისაგან.

განსაკუთრებით დიონისოს მისტიკურ კულტში ცისტა ძირითად ელემენტს წარმოადგენდა. რომაულ ხანაში იგი დამახასიათებელ სახედ იქცა ბახუსსა და ვაკხანალიასთან დაკავშირებულ მოქმედებებში (Daremberg et Saglio, Dictionnaire des antiquiteés grecques et romaines. L e n o r m a nt-ის სტატია, Cista mistica, გვ. 1205—1208).

მსგავსი შინაარსის გემა არ შეგვხვედრია. ჩვენის აზრით არმაზისეული ცისტოფორის (ინტალიოს პირობითად ვუწოდებთ ამ სახელს) დაკავშირება შესაძლებელია მცირეაზიური წარმოშობის ძეგლებთან.

ირანული წარმოშობის გემები (პართული და სასანური) ჩვენ ერთ ქვეთავში გვაქვს განხილული. ამ გემებს შორის ადგილობრივი მასალების გამოყოფა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

ჩვენ მიერ პართულად მიჩნეული გემების ერთი ნაწილი მდიდრულ სამარხებშია მოპოვებული, მეორე—რიგით სამარხებში. რიგით სამარხებში მოპოვებული ამ ხანის ძეგლები არ გამოირჩევა ამავე დროის სამთავროს ძეგლებისაგან და ბევრი მათგანი ერთმანეთს იმეორებს. რაც შეეხება მდიდრული სამარხებიდან წარმომდგარ გემებს, როგორც აღნიშნული იყო, ისინი სტილისტურად სავსებით თავისებურნი არიან და ჭრილა ქვების ახალ ნიმუშებს წარმოადგენენ. თითქმის ყველა მათგანი, ჩვენი მასალების მიმართ მაინც, უნიკალურად შეიძლება ჩაითვალოს.

არმაზისხევის მასალების შესწავლისა და მათი თანადროულ მასალებთან შედარების შედეგად[1] ჩვენ პართულ გლიპტიკურ ძეგლებში გემების სამი ჯგუფი გამოვყავით.[2] სახელდობრ: I. პართული გემების ჯგუფი, რომელიც ანტიკური გლიპტიკის გავლენას განიცდის და რომელზედაც ანტიკური სიუჟეტებია ასახული (ასკლეპიოსი, ფილოკტეტი, ტრიტონი). II. გემების ჯგუფი, რომელზედაც ჯერ კიდევ შესანიშნავად შეიმჩნევა ძველი სპარსული ხელოვნების, სახელდობრ, აქამენიდური ხელოვნების ტრადიციები. ამის თვალსაჩინო მაგალითს გრანატის ინტალიო წარმოადგენს სპარსელი ქალის გამოხატულებით (იხ. № 698).

ამ ქვაზე შეიძლება თვალი მივაყოლოთ იმას, თუ რა დიდხანს შემოინახა გლიპტიკამ აქამენიდური ხელოვნების ტრადიციები. არმაზისეული ინტალიო ამ სახის მეტად საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს; ოსტატმა აღნიშნულ გემაზე აქამენიდურ გლიპტიკაში ფართოდ გავრცელებული სპარსელი ქალის ტიპი გადმოგვცა (იხ. აღწერილობა, გვ. 74—75). ჩვენი ქვის მჭრელმა ზოგი დეტალი სწორად ვერ გაიგო და თავისებურად გაიაზრა (ტანსაცმელში), ამას გარდა გამოხატულება ძალზე სტილიზებული აქვს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კამარახევში აღმოჩენილ იქნა ამავე შინაარსის მქონე საბეჭდავი ბეჭედი, რომელსაც ჩვენ ძვ. წ. V—IV საუკ. აქამენიდურ საბეჭდავ ბეჭდად მივიჩნევთ.

III. რიგით სამარხებში მოპოვებულია გემები, რომლებიც კარგად ასახავს ამ დროს გავრცელებულ ვეულებრივ სიუჟეტებს (ფრთოსანი რაში, კუზიანი ხარი, ფასკუნჯი, ირემი, ჯიხვი, ლომი და ა. შ.).

პართული გემები (სასანურისაგან განსხვავებით) არ არის ღრმად ნაკვეთი. გამოსახულება, როგორც წესი, მეტად ბრტყელი რელიეფით არის ამოკვეთილი, ქვაში მცირეოდენი ჩაღრმავებით. პარალელური ხაზებისა და მკრთალი ღარებისაგან შედგენილი გამოხატულება ესკიზური მანერით არის შესრულებული. გამოხატულების ცალკეული დეტალები არ არის თვალსაჩინოდ გამოყოფილი ერთმანეთისაგან და ერთ გაერთიანებულ სიბრტყეშია მოცემული.

პართულ ეპოქაში შესრულების მხრივ და მხატვრული თვალსაზრისით უფრო მაღალ საფეხურზე მდგომი გლიპტიკური ძეგლები გვხვდება. ამის თვალსაჩინო მაგალითს არმაზისხევში № 48 ქვისსამარხში მოპოვებული ზემოხსენებული გრანატის ინტალიო წარმოადგენს ასკლეპიოსის გამოხატულებით (იხ. გამ. 29).

რიგითი სამარხებიდან წარმომდგარი პართული საბეჭდავების ჯგუფიდან ყურადღების ღირსია № 83 ქვისსამარხში მოპოვებული ლითონის სფერული საბეჭდავი, რომლის პირზე მწოლიარე ლომი და კუდმოკეცილი მორიელია გამოხატული (იხ. გვ. 81)—ზოდიაქოს სიმბოლოები, რომელიც ზოროასტრიულ ნიშნებს უკავშირდება.

[1] ვგულისხმობთ: დ უ რ ა-ე უ რ ო პ ო ს ი ს, Neilson C. Debevoise-ის მიერ Parthian Seals-ში გამოცემულს, სამთავრულს, Paikuli-ს და ნისაში მოპოვებულ მასალებს.

მადლობით უნდა მოვიხსენიოთ განსვენებული პროფ. მ. დიაკონოვი, რომელმაც ნისაში მოპოვებული მასალები (ბულების სახით) გაგვაცნო.

[2] აღსანიშნავია, რომ პართული გლიპტიკური ძეგლები საერთოდ სუსტად არის შესწავლილი და ჯერჯერობით მცირე რაოდენობითაც არის გამოცემული.

ლომის თავის გასწვრივ ერთსტრიქონიანი წარწერაა ამოჭრილი, რომელიც ჩვენ ფალაურად მივიჩნიეთ (შესაძლოა რომელიმე ფორმულა ან მფლობელის სახელი იყოს).

განსვენებულმა მიხ. დიაკონოვმა, რომელსაც ჩვენ აღნიშნული საბეჭდავი ვაჩვენეთ, იგი არაკლასიკური ფალაურით შესრულებულ წარწერად მიიჩნია. მისი ვარაუდით არმაზისეულ ინტალიოზე საქმე გვაქვს ადგილობრივ დამწერლობასთან. თუკი ეს მოსაზრება საბოლოოდ დადასტურდება, მაშინ აღნიშნული საბეჭდავი პართული ხანის ადგილობრივ ნახელავად უნდა იქნეს მიჩნეული, რომელიც პართული გლიპტიკის დიდი გავლენით არის გაკეთებული. ვიდრე საბეჭდავის წარმომავლობა საბოლოოდ გაირკვეოდეს, ჩვენ მას პართული გემების ჯგუფში ვათავსებთ.

ჩვენში მოპოვებული ამ ხანის გემების ძირითადი ნაწილი ბეჭდის თვლებად არის გამოყენებული; თვლები ოვალური ან მრგვალია. მცხეთის მასალებს შორის მთლიანი ქვის ბეჭდები, ე. წ. ცრუ ბეჭდები და მთლიანი ქვის სფერული ან ელიფსისებრი საბეჭდავებიც გვხვდება, რომლებიც ზონარზე სატარებლად იყო განკუთვნილი.

ქვის ინტალიოების გარდა ჩვენს მასალებში ლითონის საბეჭდავები და ლითონის საბეჭდავი ბეჭდებიც საკმაოდ გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს.

ბეჭდის თვლები ჩასმულია ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ბეჭდებში. ამ ბეჭდების ძირითადი ნაწილი შემდეგი სახისაა: წაკვეთილი კონუსისებრი ბუდე მირჩილულია მრგვალ რკალზე. ბუდის ვიწრო ნაპირები თვალზეა შემოჭედილი. ეს ფორმა რამდენიმე საუკუნე, სახელდობრ, გვიანსასანურ დრომდე არსებობს. ზოგჯერ ბუდესთან, ბეჭდის „მხარზე“ ლითონის ბირთვია დარჩილული (ერთი, ხან ორი)[1].

მასალად გამოყენებულია ნახევრად ძვირფასი ქვები, ფერადი მინა და ლითონი. ქვებიდან, ალმანდინი, სხვადასხვა ფერის სარდიონი (ნარინჯისფერი, მოწითალო), ქალცედონი (თაფლისფერი), აქატი, ლაჟვარდი (ღია და მუქი) და ყავისფერი იასპი.

რიგით სამარხებში აღმოჩენილ პართული ხანის გემებზე ძირითადად ცხოველები, მცენარეები და ფრინველებია წარმოდგენილი; ცხოველებიდან: ზებუ, ირემი, ცხენი, ანტილოპა, ჯიხვი, თხა. ფანტასტური არსებანი: გრიფონი, ფრთოსანი რაში (რომელიც ბერძნული პეგასის გავლენით წარმოიქმნა).

სასანური გემები შინაარსობლივად, ფორმითა და მასალითაც თითქმის იმეორებს პართულ გემებს, მაგრამ დამუშავების მხრივ და სტილისტურად განსხვავდება მათგან.

სახელდობრ, გამოხატულებები ღრმად და მკვეთრად არის ნაკვეთი განსაკუთრებული მოდელირებით. საჭრისებიდან ძირითადად გამოყენებულია bouterolle-ი; დეტალები და ნაკვთები ერთმანეთისაგან მკაფიოდ არის გამოყოფილი.

ვინაიდან ოქრომჭედლობის ხელოვნების საკითხები ჩვენ სპეციალურად შესწავლილი არა გვაქვს, მის შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ მიუხედავად ამისა ზოგი დაკვირვების აღნიშვნა აუცილებლად მიგვაჩნია.

როგორც აღნიშნული გვქონდა, ერისთავთა საგვარეულოსა და მდიდრულ სამარხებში ბეჭდებისათვის გამოყენებულია მხოლოდ ოქრო. ანტიკურ ჯგუფში შემავალი ბეჭდები სავსებით იმეორებს ახ. წ. II—III საუკუნეებში ანტიკურ სამყაროში არსებულ ფორმებს[2].

ადგილობრივი ჯგუფის ბეჭდების ერთი ნაწილი (ასპავრუკ ერისთავის ბეჭედი, ბერსუმა პიტიახშის ბეჭედი) გვიანანტიკურ ფორმებს აგვისახავს, მეორე—სავსებით ახალ და დამოუკიდებელ ფორმებს წარმოადგენს (იხ. ბეჭდები №№ 846, 846), ანდა ოქრომჭედელს არსებულ ფორმებში გარკვეული თავისებურება შეაქვს (იხ. ბეჭედი № 833, აფრიანი თავსაბურავით).

---

[1] ხშირად პართული გემები თანადროულ ანტიკურ ბეჭდებშია ჩასმული (მ. ლორთქიფანიძე, სამთავროში მოპოვებული გემების კატალოგი, გვ. 4).

[2] ანტიკური ბეჭდები ძალიან დეტალურად აქვთ შესწავლილი Marshall-სა და Henkel-ს. Marshall, Catalogue of the finger rings greek, etruscan and roman, London, 1911; Henkel, Die römischen Fingerringe der Rheinlande, Berlin, 1912.

რაც შეეხება პართული ჯგუფის მდიდრულ სამარხებში მოპოვებულ ბეჭდებს, სრულებით ახალი სახეა ბეჭდებისა, რომელიც, ჩვენის აზრით, ადგილობრივად წარმოიშვა. ჩვენ ამ ბეჭდების ერთ ჯგუფს პირობითად მხრებდაქანებულ ბეჭდებს ვუწოდებთ (იხ. გვ. 73—80).

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ჩვენ მიერ შესწავლილ და გადასინჯულ ანტიკურსა და აღმოსავლურ[1] თანადროულ (და აგრეთვე ადრეულ და გვიანდელ) მასალებში, სახელდობრ, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის, ხმელთაშუაზღვისპირეთის, რეინის სანაპიროების, დურა-ეუროპოსის, შუა აზიისა და სხვა არქეოლოგიურ მონაპოვართა შორის, მსგავსი ბეჭდები არ გვეგულება. აღნიშნული ბეჭდები საქართველოს ფარგლებს გარეთ ანალოგიებს ვერ პოულობს.

ადგილობრივმა ოქრომჭედლებმა ძველი და არსებული ფორმების ბაზაზე სრულიად ახალი და თავისებური ტიპის ბეჭდები შექმნეს. თითოეული მათგანი, მიუხედავად ერთგვაროვნებისა, ერთმანეთის სახესხვაობას წარმოადგენს და გარკვეული ინდივიდუალობით ხასიათდება. როგორც ჩანს, ეს ერთგვარად შემკვეთების გემოვნებითაც უნდა იყოს გაპირობებული.

რაც შეეხება რიგით სამარხებში მოპოვებულ ბეჭდებს, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ისინი სავსებით იმეორებენ სამთავროულ ბეჭდებს.

ბერძნულ წარწერიან გემებს გარდა, მასალებში ფალაური და არაბულწარწერიანი საბეჭდავებიც არის[2].

ამრიგად, ყოველივე ზემოხსენებულის შედეგად ჩვენ შემდეგს ვასკვნით:

1. არმაზისხევის სამაროვანში აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლების ერთი ნაწილი, რომელიც ჩვენ მიერ ადგილობრივად არის მიჩნეული, აქვე მოპოვებული მთლიანი ქვის საბეჭდავად მომზადებული აქატი (იხ. გვ. 22), მცხეთის ახლად აღმოჩენილ აკლდამაში მოპოვებული დაუმთავრებელი ინტალიო (იხ. გვ. 21) და სამთავროში მოპოვებული ადგილობრივი მასალები ადასტურებს მოსაზრებას[3], რომ მცხეთაში ახ. წ. პირველ საუკუნეებში, ხოლო ჩვენი აზრით, უკვე დანამდვილებით ახ. წ. I საუკუნეში ქვის საჭრელი სახელოსნო თუ სახელოსნოები არსებობდა.

აღნიშნულ სახელოსნოებში იბერიელ ოსტატებს (თავს უფლებას ვაძლევთ ასე ვუწოდოთ მათ) შესანიშნავი გლიპტიკური ძეგლები შეუქმნიათ. მასალების შესწავლა ცხადყოფს, რომ ამ ძეგლების ერთი ნაწილი რომაული მხატვრული სტილის ზეგავლენას განიცდის, მეორე — თავისებური სტილით გამოირჩევა და დამოუკიდებელ მხატვრულ ნაწარმოებებს წარმოადგენენ გლიპტიკაში.

ჩვენი ვარაუდით, ძველ საქართველოში დაუფლებულები იყვნენ ჭრილა ქვის ახალ სახეს— ოქროს ფურცლით მოპირკეთების ტექნიკას.

ადგილობრივი გემების ერთი ნაწილი, გარდა იმისა, რომ ყოველი მათგანი მაღალი მხატვრული ღირებულების ნაწარმოებია, ამასთან ერთად დიდი მნიშვნელობის ისტორიული ძეგლებია (იბერიელი მმართველი წრის წარმომადგენლებისა და მათი ოჯახის წევრების წარწერით დამოწმებულ პორტრეტებს ვგულისხმობთ).

გემებზე გაკეთებული ბერძნული წარწერები თანადროული ანტიკური გლიპტიკური ძეგლებისაგან განსხვავებული მანერით არის შესრულებული, რაც კიდევ ერთ ზედმეტ საბუთს წარმოადგენს აღნიშნული გემების ადგილობრიობის მტკიცებისათვის.

2. გემების ადგილობრივი წარმოება გაპირობებული იყო შემდეგი აუცილებლობით: მცხეთის მოსახლეობა ძალიან ფართოდ იყენებდა ყოფაში საბეჭდავებსა და გემებით მორთულ სამკაულებს. ამას მოწმობს საბეჭდავების დიდი რაოდენობით მოპოვების ფაქტი როგორც არმაზისხევის ნეკროპოლსა და სამთავროში, აგრეთვე მცხეთაში შემთხვევით გათხრილ სამარხებში.

---

[1] აღმოსავლური ბეჭდები სპეციალურად შესწავლილი და დამუშავებული არ არის. მათ შესახებ ცნობებს მხოლოდ ცალკეულ სტატიებსა და წერილებში ვხვდებით. ამიტომ აღმოსავლური ბეჭდების დამუშავება გარკვეულ სიძნელესთან არის დაკავშირებული.

[2] ქართლში არაბულწარწერიანი საბეჭდავი ბეჭდების მოპოვების რამდენიმე შემთხვევა გვაქვს აღნუსხული. ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ აქაური მოსახლეობა არაბების შემოჭრის შემდეგაც სარგებლობდა საბეჭდავებით.

[3] М. И. Максимова, Геммы из некрополя Мцхеты—Самтавро, გვ. 226; მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, გვ. 4, 29—36.

საბეჭდავებით სარგებლობდნენ არა მარტო მმართველი წრეებისა და მაღალი წოდების ადამიანები, არამედ ფართო ფენებიც, რასაც ფართო მომხმარებლის მასალა და გემების ღარიბულ და რიგით სამარხებში მოპოვების თვალსაჩინო სიმრავლე ადასტურებს.

3. მასალების მიხედვით ჩანს, რომ გემის ძირითადი დანიშნულება მცხეთის მოსახლეობას შორის საბეჭდავი იყო. უფლებრივისა და ოფიციალური დანიშნულების გარდა საბეჭდავს აქ არაოფიციალური საჭიროებისათვისაც, ალბათ საკეტების ნაცვლად, ჭონების დასაცავად ყოველგვარი ხელყოფისაგან იყენებდნენ, რაც კერძო საკუთრების ინსტიტუტის არსებობაზე მიუთითებს.

4. მცხეთის მმართველ წრეებსა და მაღალი წოდების ადამიანთა შორის დიდი უპირატესობა ენიჭებოდა აგრეთვე გემას, როგორც სამკაულს. ამას ერისთავთა საგვარეულო სამარხებსა და ბაგინეთზე მოპოვებული გლიპტიკური ძეგლები მოწმობენ.

უცხოეთიდან (ანტიკური ქვეყნებიდან და აღმოსავლეთიდან) მცხეთაში შემოტანილი გემები უთუოდ საგანგებო შეკვეთით იყო გაკეთებული დახელოვნებული ოსტატების მიერ.

ძველ საქართველოში იმპორტული საქონლის დიდი რაოდენობით მოპოვებისა და აგრეთვე გემების დასამზადებლად ნედლეული მასალის შემოტანის ფაქტი გარკვეულ კულტურულ და სავაჭრო ურთიერთობაზე მიუთითებს იბერიისას ანტიკურ სამყაროსთან, მცირე აზიასთან, გვიანპართულსა და სასანიანთა ხანის ირანთან.

5. არმაზისხევის პიტიახშთა სამაროვანის რომაული გემები ძირითადად ახ. წ. II—III სს. თარიღდება. ამავე დროით თარიღდება აქედანვე წარმომდგარი ადგილობრივი გემების უმეტესი ნაწილი (გამონაკლისს შეადგენს №№ 826, 841, 791).

მდიდრული სამარხების პართული ხანის გემებს ახ. წ. პირველ საუკუნეებს ვაკუთვნებთ.

რიგით სამარხებში მოპოვებული რომაული გემები ახ. წ. III საუკ. თარიღდება. რაც შეეხება ირანული წარმოშობის ამავე რიგის ახ. წ. გემებს, პართულსა და სასანურ ხანებს ვაკუთვნებთ.

3. კატალოგი

ა. რომაული გემები

1 (ინვ. № 840).

არმაზისხევი, 1940 წლის არქეოლოგიური კამპანია, აკლდამა № 6, საველე № $\frac{\text{ა}-40}{\text{VI}-21}$.

ინტალიო ალმანდინისა, ოქროს ბეჭედს ამკობს[1]. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა; ამობურცული პირი აქვს.

პირზე გამოხატულია მაღალ ტახტზე მჯდომარე ღვთაება, ძევსი უნდა იყოს, პირდაპირ. ზეაპყრობილი მარჯვენა ხელით გრძელ კვერთხს ეყრდნობა, მარცხენა ხელში მეხი უჭირავს, რომელიც კალთაზე უდევს[2]. მარცხენა ხელის თითები ზედმიწევნით არის დამუშავებული (იხ. შესავალი, გვ. 25).

ღვთაების თავს უკან დაფნის შტოებია ამართული. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს ფოთლებისაგან შედგენილი გვირგვინი ღვთაებას კეფაზე აქვს მიმაგრებული. შტოები (თუ გვირგვინი) ბაბთებით არის შეკრული, რომლის ბოლოები ჰაერში ფრიალებს. თავის შუა ნაწილზე სამკუთხა გაურკვეველი ატრიბუტია ამართული[3] (შდრ. Walters, Sealect bronzes, ძევსის თავს. გვ. XXXIX).

ძევსს (?) გვერდზე გაყოფილი გრძელი და ხვეული თმა აქვს; მოკლე, ნიკაპზე შემოკვერცხილი ხვეული წვერი. ულვაშები ძირსაა დაშვებული. თმის კულულები ფართო შუბლზე ჩამოშლია; წვერი და თმა საფეთქელთან შეზრდილი აქვს. დიდი ზომის თვალები რელიეფურად გამოირჩევა სახეზე; სწორი, ლამაზი მოყვანილობის ცხვირი აქვს.

ღვთაებას გულთან სამკუთხად ჩაჭრილი (რაც თავისებურებად უნდა იქნეს მიჩნეული) ნაოჭიანი კვართი აცვია. ნაოჭები წმინდა, რელიეფური ღარებით არის გადმოცემული; მარცხენა მხარზე ქლამიდა აქვს წამოსხმული, ქლამიდის ქვედა ნაწილი მუხლებსა და ფეხებზეა შემოხვეული ისე, რომ ფეხის ტერფებიც ქსოვილშია გახვეული. ოსტატურად შესრულებული ქსოვილი ღრმა ნაკეცებითაა

---

[1] ბეჭედი ნაპოვნია სამარხის SW კუთხეში.

[2] ამასთან დაკავშირებით იხ. Jacobsthal, Die Blitz in der orientalischen und griechischen Kunst, Berlin, 1906.

[3] ერთი პირობა აღნიშნული ატრიბუტი სერაპისის თავსაბურავად მივიჩნიეთ. თუ ეს ასეა, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა აღნიშნული გამოხატულების Ἀγαθοδαίμων—აგათოდაიმონთან დაკავშირება, რომელიც თავის მხრივ ძევს-სერაპისს უკავშირდება.

დაფარული; ნაკეცები დაჭიმულია. ძევსს ფეხები დაბალ სკამზე უდგას; მარჯვენა ფეხი წინ აქვს წამოწეული, მუხლები მაღალი რელიეფით არის გადმოცემული, განსაკუთრებით მარჯვენა; მარცხენა ფეხი მარჯვენა ფეხს უკან აქვს შემოდებული.

ტახტი მაღალზურგიანია, ლამაზი მოყვანილობის გახრილი ფეხები აქვს, რომელიც რელიეფური ცხოველის თათებზე დგას[1].

არათანაბარი რელიეფით შესრულებული გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს; ანაბეჭდზე მკვეთრ რელიეფს იძლევა.

ინტალიო დაზგაზეა ამოჭრილი, არათანაბარი ჩაღრმავებით (რელიეფით), ზოგან გამოხატულება ძალიან ღრმაა, ზოგან ქვის თხელი ფენაა ამოკვეთილი. შესანიშნავი და ფაქიზი ნახელავია, ოსტატურად შესრულებული. ოსტატს ქვა გამოხატულებითურთ მჭრქალად გაუპრიალებია.

ვერ მოხერხდა დადგენა იმისა, თუ სახელდობრ ვინ არის გამოხატული გემაზე, ჯერჯერობით ჩვენ მიერ გადასინჯულ სახვითი ხელოვნების ძეგლებს შორის ანალოგია ვერ მოვუძებნეთ. ისე კი, საკმაოდ აშკარაა, რომ ოსტატს რომელიღაც მონუმენტალური სკულპტურის პირი გაუკეთებია; ინტალიოზე გამოხატული ღვთაება სტატუალური ტიპისაა, შესაძლებელია იგი რომელიმე სინკრეტულ ღვთაებას—ძევს-სერაპისს ან სხვას გამოხატავდეს (არმაზისხევის ინტალიოზე გამოხატული ძევსის თავის ტიპი პოსეიდონისათვისაა დამახასიათებელი[2]. იგი ფიდიას ოლიმპიური ძევსის თავს მოგვაგონებს, იხ. Walters, Sealect bronzes, London, 1915, ტაბ. XXXIX, ბრინჯაოს ძევსის თავი).



სურ. 7

ბეჭედი მუქი ყვითელი ფერის ოქროს სქელი ფირფიტისაგან არის გაკეთებული. ბეჭედი დიდი ზომისაა; ელიფსის მოყვანილობა აქვს. ღრუ და მრგვალი რკალი „მხრებთან“ მკვეთრად ფართოვდება და უშუალოდ გადადის ოვალური მოყვანილობის დაბალ ბუდეში. ბუდე შიგ ბეჭედშია ამოჭრილი. ბუდესთან რკალი შებრტყელებულია; საკმაოდ ღრმა ბუდეს ფართო და ოდნავ შედრეკილი ძირი აქვს. ბუდის ვიწრო ნაპირები თვალის მიმართულებითაა გადმოკეცილი. ბეჭედი პასტით არის ამოვსებული (სურ. 7).

ანალოგიური ფორმის ბეჭდები ახ. წ. II საუკ. თარიღდება. იხ. Henkel, Die römischen Fingerringe der Rheinlande, Berlin, 1911. ტაბ. V, გამ. 194.

დაცულობა: თვალი სისქეში გაბზარულია; ადგილ-ადგილ ატკეცილია, მცირედ; პირი გახეხილი აქვს.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—18 მმ, ინტალიოს განი—13 მმ,
ბეჭდის სიმაღლე—22 მმ, ბეჭდის დიამეტრი—18—15 მმ,
რკალის განი—11,5 მმ, ბუდის სიგრძე—18 მმ,
ბუდის განი—14 მმ.

ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო ახ. წ. II საუკ. თარიღდება.

სავარაუდებელია, რომ ინტალიოს ოსტატს ორიგინალად ან ძვ. წ. IV—III ს. ძეგლი აუღია, ანდა ისეთი რომაული პირი (ძვ. წ. IV—III სს. სკულპტურიდან), რომელშიც ბერძნული ტრადიციებია შემონახული[3].

---

[1] ტახტების შესახებ იხ. G. Richter, Ancient furniture, The Thron (Solium), გვ. 119.

[2] პოზა შდრ. Fossing-ის მიერ გამოცემულ პლაზმაზე გამოხატულ სერაპისს, Catalogue of engraved gems, Copenhagen, MCM XXIX, ტაბ. VII, გვ. 96.

[3] შესაძლებლად მივიჩნევთ, რომ გემა რომელიმე მცირეაზიურ სახელოსნოში იყოს გაკეთებული. ამ საკითხს სპეციალური შესწავლა ჭირდება.

ამავე სამარხიდან[1] არის გემებით შემკული ბეჭდები, №№ 839 და 841.

2 (ინვ. № 836)

არმაზისხევი, 1940 წლის არქეოლოგიური კამპანია, აკლდამა № 1, საველე № $\frac{\text{ა}—40}{1—43}$.

ინტალიო პიროპისა (გრანატი), თვლებით მოოქვილ ოქროს ბალთას ამკობს[2]. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ამობურცული პირი აქვს.

პირზე გამოხატულია ზეზემდგომი ფორტუნა-იზიდა პირდაპირ, თავი პროფილში მარჯვნივ აქვს, მიმავალია. ღვთაების თავს პურის თავთავი ამკობს. თავთავი სქემატურად—ერთი ღარითაა გადმოცემული. თავის ირგვლივ ჩახვეული თმაც სქემატურადაა შესრულებული—სწორი ხაზით; თავი წაგრძელებული მოყვანილობისა აქვს, სახე სუმარულადაა ამოკვრილი, ნაკვთები არ უჩანს. მაღალ კისერს სწორი ღარი გამოხატავს. ღვთაებას ფართო გულმკერდი აქვს.

ფორტუნა-იზიდას თეძოებზე გადმოფენილი გრძელი, უსახელო პეპლოსი აცვია. ტანსაცმლის ნაოჭები ძალზე სქემატურადაა შესრულებული. ქსოვილი მოუხეშავ შთაბეჭდილებას ტოვებს. ღვთაებას მარჯვენა ხელში დიდი ზომის სიუხვის ყანწი უჭირავს, იდაყვში მოხრილ და წინ გაწვდილ მარცხენა ხელში—პურის თავთავები.

ნიადაგის აღმნიშვნელი ზოლი ორმაგი, არაღრმა ღარით არის მოცემული.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა.

ინტალიო დაზგაზეა ამოჭრილი არაღრმად. გამოხატულება შესრულების მხრივ სიფაქიზით არ გამოირჩევა, ტლანქი ნახელავია. მეტად სქემატურად შესრულებული ფორტუნას თავ-პირი გაერთიანებულია ერთ სიბრტყეში. კისერი, ზედა და ქვედა კიდურები ჯოხებივით არის გადმოცემული.

თვით ქვა კარგად არის გათლილი და შესანიშნავად გაპრიალებული. გამოხატულება მჭრქალია; მჭრელს მხოლოდ გულმკერდი და თავის ნაწილი გაუპრიალებია.

რომაული ეპოქის ხელოვნებაში ფორტუნა-იზიდა დიდი პოპულარობით სარგებლობდა[3]. სინკრეტული ღვთაების ფორტუნა-იზიდას სახე გლიპტიკაშიც აისახა[4]. ჩვენს ტერიტორიაზე, სახელდობრ, მცხეთაში მოპოვებული გემებიდან იხ. М. Н. Максимова, Геммы из некрополя Мцхеты—Самтавро, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVI-B, თბ., 1950, ტაბ. I, გამ. 14. შდრ. აგრეთვე Richter, Catalogue of engraved gems, New-York, 1920, ტაბ. 49, გამ. 185; Furtwängler, Die Antiken Gemmen, Leipzig, ტაბ. XXVII, გამ. 69 (ფორტუნა-იზიდა ზის); Walters, Catalogue of engraved gems... გვ. 187, აღწერილობა 1752.

ფორტუნა-იზიდას სახე რომაულ მონეტებზედაც საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული, აგრეთვე კედლის მხატვრობასა და ძირითადად ბრინჯაოში.

ბალთა მუქი ყვითელი ფერის ფურცლოვანი ოქროსაგან არის გაკეთებული; ნაჭედი უნდა იყოს. ოთხკუთხაა (საკმაოდ ასიმეტრიული), ორი ფირფიტისაგან შედგენილი—სადა ზურგისა და თვლებით მოოქვილი პირისაგან. ზედა და ქვედა ფირფიტა ვიწრო, ოქროსავე ფირფიტისაგან გაკეთებული წახნაგით არის ერთმანეთთან შეკავშირებული. ზურგი რამდენიმე ნაჭრისგან არის შედგენილი—„გადაკერებულია“.

ზედაპირის კიდეზე დარჩილული აქვს 2 მმ სიგანის მჭონე წნული მავთული (წახნაგისებურად).

კუთხეებთან (ოთხივე მხარეს) დარჩილულია მსხლისებრი მოყვანილობის დაბალი ბუდეები, წვერით კუთხისაკენ მიმართული, რომელთაც ასეთივე მოყვანილობის ამობურცული გრანატები—პიროპები ამკობს. ქვების ზედაპირი მეტ-ნაკლებად ამობურცულია. ბუდეებს გარს უვლის გა-

---

[1] სამარხში აღმოჩენილი მონეტები: აურეუსი ჰალბასი (68—69), აურეუსი ნერონისა (54—68), აურეუსები ადრიანესი (117—138), აურეუსი ანტონინე-პიუსისა (138-161), აურეუსი კომოდისა (180-192).

[2] სამარხის იატაკზე ნაპოვნი იყო ფერადი თვლებით შემკული ქამრის 9 ოქროს ბალთა—ამათგან 3 თვალგემიანია. ბალთები ასპავრუკის საერისთავო სარტყელს ამკობდა.

[3] G. Richter, Catalogue of engraved gems, New-York, 1920, გვ. 115.

[4] ყველა მოყვანილი ანალოგია სტილისტურად განსხვავდება არმაზისეული გემისაგან.

ვარსის ერთი წყება. მარცვლები ერთმანეთთან ისე მჭიდროდაა მირჩილული, რომ ჰდეებიანი მავთულის შთაბეჭდილებას ტოვებს.

გრანატიან ბუდეებს შორის, გავარსიდან შედგენილი სპირალებია დარჩილული S-ბრი ფორმისა. თითოეული სპირალის თავსა და ბოლოს ოთხ-ოთხი მარცვლისაგან შედგენილი ვარდული აბოლოვებს.

ბალთის შუაგულს ოვალური მოყვანილობის დიდი ზომის თვალგემიანი დაბალი ბუდე ამკობს. ბუდის ვიწრო ნაპირები თვალზე მჭიდროდ არის შემოჭედილი. ბუდეს გარს უვლის მსხვილი გავარსის ერთი წყება (გავარსი აქაც ისეა შედგენილი, რომ ერთი მთლიანი მავთულის შთაბეჭდილებას ტოვებს). (სურ. 8).

ზურგზე ფირფიტას ნახვრეტი აქვს გაკეთებული. პირის ფირფიტაზე, ბუდის გასწვრივ, ცენტრში მირჩილულია ვერცხლის სამსჭვალი (თუ გემიან ბუდეს ამაგრებს?), რომელიც ქვედა ფირფიტაზე მოთავსებულ ნახვრეტს ეხება. როგორც ჩანს, ბალთა ამ სამსჭვალით იყო დამაგრებული თასმაზე ან ქამარზე. ბალთა ფორმით, შემკულობითა და დამუშავების ტექნიკით იმეორებს № 834 გემიან ბალთას.



სურ 8.

დაცულობა: ინტალიოს სიგანეში ღრმა ბზარი ჰკვეთს. ბზარი იმდენად ღრმაა, რომ ქვა ორად გატეხილსა ჰგავს. ბზარის ირგვლივ ამოტეხილი ადგილებიც არის. ინტალიო რამდენიმე ადგილას სისქეში გაბზარულია, ცერად.

სამი თვალი დაზიანებულია; ერთი ორად არის გატეხილი; მეორეს—ზედა ნაწილი ჩამოტეხილი აქვს და აკლია, მესამე—თავწატეხილია.

ოქრო ადგილ-ადგილ დაჟყლეტილია. ზურგის 1/3 ჩამოგლეჯილია, აკლია; ოქროს მოხეული ნაწილის ნაპირები ადგილ-ადგილ გადმოკეცილ-ჩახვეულია.

ზომები: ინტალიოს სიგრძე—16 მმ, ინტ. განი—11 მმ, ბუდის სიგრძე—18 მმ, განი—14 მმ, ბალთის სიგრძე—42 მმ, ბალთის განი—38 მმ, სიმაღლე—10 მმ (თვალით). უთვალოთ სიმაღლე—7 მმ, თვალიანი ბუდის სიგრძე—13 მმ, სპირალის სიგრძე—14 მმ. ზურგის ნახვრეტის დიამ.—6 მმ, ლითონის სამსჭვალის დიამ.—2 მმ.

ინტალიო ახ. წ. II საუკ. თარიღდება (შდრ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, ტაბ. I, გამ. 9). ამგვარ დათარიღებას სამარხში აღმოჩენილი გემიანი სამკაულებიც ადასტურებს. ინტალიო კარპაკისა და ზევახის გამოხატულებით № 834, ასპავრუკ ერისთავის ბეჭედი № 837 და კამეით შემკული ბალთა № 835.

3 (ინვ. № 835.)

არმაზისხევი, 1940 წლის არქეოლოგიური კამპანია, აკლდამა № 1. ასპავრუკ პიტიახშის სამარხი, საველე № $\frac{ა—40}{1—4დ}$.

კამეა წითელი ფერის სარდიონისა, ნახევრად გამჭვირვალე, გრანატებით მოოჭვილ ბალთას[1] ამკობს.

კამეა ოვალური მოყვანილობისაა, დაბალი რელიეფით შესრულებული.

კამეა ახალგაზრდა ქალის ბიუსტს გამოხატავს, პროფილში მარჯვნივ. თავს სუროს ფოთლების გვირგვინი უმკობს. ფოთლები შესანიშნავად არის დამუშავებული, ყოველ მათგანს მთავარი ძარღვიც კი ეტყობა; ტალღებად ოდნავ დატეხილი, უკან გადავარცხნილი თმის ბოლოები კეფის ქვემოთ, კისერზე, ჩახვეული აქვს. ყურის გასწვრივ, კისერზე, გრძელი კავი აქვს ჩამოშვებული. თმა დიდი

[1] ასპავრუკ ერისთავის ქამრის ერთ-ერთი ბალთაა. სამარხის იატაკზე 9 ბალთა იყო ნაპოვნი, ამათგან სამი თვალგემიანია. №№ 837, 834.

ოსტატობითა და სიფაქიზით არის დამუშავებული; მეტად წმინდა, არაღრმა, მაგრამ მკვეთრი ღარებითაა შესრულებული. თმაში გაბნეული სუროს ფოთლები (მეტწილად ყვრიმალის ძვლის გასწვრივ, საფეთქლიდან მოყოლებული კეფამდე) ჰარმონიულადაა დაკავშირებული თმის ვარცხნილობასთან.

კამეაზე დიონისეს წრის ღვთაება, ახალგაზრდა არიადნაა გამოხატული (ამგვარ განსაზღვრას ღვთაების თმაში ჩაწნული სუროს გვირგვინიც უწყობს ხელს).

არიადნას დაბალი შუბლი აქვს, ლამაზი მოყვანილობის სწორი ცხვირი (შუბლი და ცხვირი ერთ სწორ ხაზს ქმნის), მკვეთრად გამოხატული ნესტოებით, კარგად გამოხატული პირი, მორგვალებული ნიკაპი. საკმაოდ მაღალი ყვრიმალის ძვალი რბილი რელიეფით არის გადმოცემული.

არიადნას დიდი თვალი აქვს, თვალის კაკალი გულამოღებული წერტილით არის გადმოცემული. ფაქიზად შესრულებული თვალის უპეები მკვეთრად ჩანს. წვრილი მორკალური წარბი საფეთქლამდე წვდება. არიადნა სივრცეს გასცქერის. მაღალი და ლამაზი მოყვანილობის კისერი აქვს.

ღვთაებას გულ-მკერდსა და ზურგთან ოდნავ ჩაჭრილი ხშირნაოჭიანი კვართი აცვია. ნაოჭები რელიეფური ზოლებითაა გადმოცემული. მარჯვენა მხარზე კვართი მრგვალი მოყვანილობის აგრაფით არის შეკრული ისე, რომ არიადნას ტიტველი მხარი უჩანს. მხარი ლამაზი მოყვანილობისა აქვს, მომრგვალებული კონტურით.

ზურგიდან მარცხენა მხარიც ჩანს ნაწილობრივ, უფრო სწორად—მხარზე ქსოვილის ნაოჭები. ქსოვილი საკმაოდ კარგად არის გადმოცემული.

კამეა დაზგაზეა ამოჭრილი, დაბალი რელიეფით. ძალიან წმინდა და ფაქიზი ნახელავია; დიდი ოსტატობით და ხელოვნებითაა შესრულებული. განსაკუთრებული სიზუსტით არის დაცული პროპორციები. ყველა დეტალი გულმოდგინედ და ზედმიწევნით მხატვრულად არის დამუშავებული—ცალკეულ ნაკვთებზე გადასვლა პლასტიკურია.

ქვა კარგად არის გათლილი და ზედმიწევნით გაპრიალებული—ელვარებს.

არიადნას სახე ანტიკურ გლიპტიკაში (კამეებსა და ინტალიოებზე) ფართოდ არის გავრცელებული. მსგავსი შინაარსის გემები იხ. King, Antique gems and rings, London, 1872. ტაბ. XXVIII, გამ. 1; Reinach, Pierres gravées, Paris, 1895. ტაბ. 40, გამ. 83^{7}, 83^{9}; 84^{12}; ტაბ. 100, გამ. 25. Lippold, Gemmen und Kameen des Altertums und der Neuzeit, ტაბ. 17, გამ. 6; Southesk. H. Carnegie, Catalogue of the collection of antique gems, v. II. ტაბ. V, გამ. E 12; Davenporte, Cameos, New York 1900, ტაბ. 12, 4; Babelon, Catalogue des camées antique, Paris, 1897 ტაბ. X, გამ. 85; Cook, Catalogue of gems, ტაბ. 10, გამ. 200. ყველაზე ახლო ანალოგიად Walters-ის მიერ Catalogue of engraved gems and cameos-ში გამოცემული ინტალიო უნდა ჩაითვალოს შდრ. ტაბ. XXX, გამ. 2945; (სურ. 9).



სურ. 9

ყველა ზემოჩამოთვლილ ანალოგიაში არიადნას ისეთივე მშვიდი პოზა და გამომეტყველება აქვს, როგორც ასპავრუკის ბალთის გემაზე გამოხატულ ღვთაებას[1]. იგი ამ მხრივ განსხვავდება ფართოდ გავრცელებული მენადებისა და არიადნებისაგან, რომლებიც თმაგაშლილნი, გულ-მკერდ გაშიშვლებულნი და უკან გადაგდებული თავებით არიან გამოხატულნი.

მუქი ყვითელი ფერის ფურცლოვანი ოქროსაგან გაკეთებული ბალთა ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი. ოქროს ფურცელი სქელია; ცენტრში დარჩილული აქვს ოვალური მოყვანილობის დაბალი ბუდე, რომელსაც კამეა ამკობს. ბუდის ვიწრო ნაპირები საკმაოდ მჭიდროდაა კამეაზე შემოჭედილი. ბუდეს გარს უვლის წვრილი გავარსის წყება. ყოველი მარცვალი იმდენად ახლოა ერთმანეთთან მირჩილული, რომ ჰდეებიანი მავთულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ასეთივე გავარსის წყება, მხოლოდ უფრო მსხვილი, ბალთის ნაპირზეა დარჩილული (სურ. 10).

---

[1] აღსანიშნავია, რომ დიონისეს ძალიან ხშირად ქალისებურად გამოხატავდნენ ხოლმე, გრძელი, ქალისებრ დავარცხნილი თმითა და მორთულობით, ფაქიზი ნაკვთებით. მაგალითისათვის იხ. სახ. ერმიტაჟის რომაული დროის მარმარილოს ქანდაკებები № 170; აგრეთვე: Carnegie, Catalogue of gems, v. I, ტაბ. IV, გამ. C 34.

კამეიანი ბუდის ირგვლივ, ფირფიტაზე, დარჩილულია ოვალური მოყვანილობის თერთმეტი დაბალი და სხვადასხვა ზომის თხელი ფირფიტისგან გაკეთებული ბუდე. ბუდეები ოვალური მოყვანილობის ამობურცული პიროპებით (გრანატებით) არის შემკული. ზოგი ნუშისებრი ფორმისაა, ზოგი კვერცხისებრი მოყვანილობისა, მთლად ოვალური, ნახევარსფერული და სხვა. ერთი ბუდე ნაკლულია (თვალი ამოვარდნილი აქვს).

ზურგზე სამკაულს ქამარზე დასამაგრებელი სამსჭვალები ჰქონია, ამჟამად ამის ნაკვალევიღა დარჩა. მრგვალი, ნაპირებშემოჭყლეტილი ნახვრეტი, ერთი ცენტრში, ორი ნაპირებზე (სიგანეში); ერთ-ერთ ნახვრეტში შერჩენილია სამსჭვალის პატარა ნატეხი.



სურ. 10

იმ ადგილას, სადაც კამეით შემკული ბუდეა დარჩილული, ზურგი ოდნავ ამობურცულია.

ოქრომჭედლობის მხრივ სამკაული არ გამოირჩევა დიდი სიფაქიზით,—ბუდეების ნაპირები საკმაოდ დაუდევრად არის შემოკეთებული.

მსგავსი ბალთები საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ მასალებს შორის საკმაო რაოდენობით არის მოპოვებული, ვგულისხმობთ ლეჩხუმში (სოფ. უსახელოში) მოპოვებულ ბალთას, იხ. Е. М. Придик, Новые кавказские клады, Петроград, 1914. ტაბ. I, №№ 1 და 2. აგრეთვე И. А. Амиранашвили, Новая находка в низовьях р. Ингура, Тифлис, 1935, გვ. 63.

უცხოური მასალებიდან შდრ. სირიაში მოპოვებულ ოქროს ბალთას, რომელიც გამოცემული აქვს Marshall-ს. იხ. Catalogue of the jewelery greek, etruscan and roman, London, 1911, ტაბ. LXV, გამ. 2863, აგრეთვე 2864 (ავტორი სამკაულებს ახ. წ. III საუკ. ათარიღებს). (სურ. 11).

დაცულობა: ქვა—კამეა კარგად არის შენახული. ოვალურ ბუდეებში ჩასმული ზოგი თვალი გაბზარულია სისქეში, მცირედ. ერთი ბუდე თვალამოვარდნილია; სამსჭვალები მოტეხილი და დაკარგული აქვს. ბალთა დაჭყლეტილია, ფირფიტა ორგან გახეულია.

ზომები: კამეის სიგრძე—29 მმ,
კამეის განი — 19 მმ,
გამოხატულების სიგრძე — 26 მმ,
კამეიანი ბუდის სიგრძე — 30 მმ,
„ „ განი — 21 მმ,
ბალთის სიგრძე — 43 მმ,
ბალთის განი — 41 მმ.
გრანატით შემკული უდ. ბუდის სიგრძე — 8 მმ, განი — 5 მმ.



სურ. 11

შესრულების მიხედვით ვფიქრობთ, კამეა ახ. წ. II საუკ. უნდა დათარიღდეს. იგი ცოტა უფრო გვიანდელ ბუდეშია ჩასმული, სახელდობრ, ახ. წ. III საუკ.

ამავე სამარხში არის მოპოვებული ასპავრუკ ერისთავის ბეჭედი № 837, ინტალიო კარპაკისა და ზევახის გამოხატულებით № 834 და გრანატის გემიანი ბალთა ფორტუნა—იზიდას გამოხატულებით № 836.

4 (ინვ. № 839).

არმაზისხევი, 1940 წლის არქეოლოგიური კამპანია, აკლდამა № 6, საველე № $\frac{ა—40}{VI—24}$.

ინტალიო ნეფრიტისა (?), ბაცი მწვანე ფერისაა, თხელი ფენისაგან გაკეთებული, ოქროს ბეჭედს ამკობს.

ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ოდნავ ამობურცული პირი აქვს, ბრტყელი ქვედაპირი.

პირზე გამოხატულია ხანში შესული წვერიანი მამაკაცის ბიუსტი, პროფილში მარჯვნივ. მამაკაცს თმა კეფაზეღა შერჩენია, მელოტია; ფართო და ოდნავ დაქანებული შუბლი აქვს, საკმაოდ განვითარებული კუნთებით; მოკლე და სწორი ცხვირი მკვეთრად გამოხატული ნესტოებით. ღრმად მოთავსებული თვალი მრგვალი მოყვანილობისაა, ქუთუთოები მკაფიოდ ჩანს. გრძელი წარბი ოდნავ მორკალული ხაზით არის გადმოცემული; დიდი ზომის ყური შედარებით მაღალი რელიეფითაა შესრულებული, გრძელი წვერი და ძირს დაშვებული ულვაშები ფაქიზადაა დამუშავებული. წვერი და თმა (კეფაზე შერჩენილი) ცალ-ცალკე ბღუჯებად არის გადმოცემული. ოსტატს ყოველი ცალკეული ბღუჯის ამოჭრასა და დამუშავებაზე გულმოდგინედ უმუშავნია. ოდნავ გადმოწეული ზედა ტუჩი ქვედასთან შედარებით დიდი აქვს.

მოხუცებულს საკმაოდ მაღალი კისერი აქვს. იგი ქლამიდითაა შემოსილი, ქსოვილის ნაკეცები სქემატურად არის შესრულებული. მხარი პირობითადაა გადმოცემული.

გემაზე პორტრეტული გამოხატულებაა ამოჭრილი. ხასიათის მიხედვით იგი მეცნიერის ან ფილოსოფოსის პორტრეტი უნდა იყოს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი არა ღრმად, მაგრამ მკვეთრად. ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა. ფაქიზი და ოსტატური ნახელავია, ჩანს ოსტატი კარგად ყოფილა დაუფლებული ქვაზე ამოჭრის ხელოვნებას; მჭრელს ყოველი დეტალი გულმოდგინედ დაუმუშავებია.

ნახელავში ზოგან ერთგვარი სქემატურობა ჩანს, სახელდობრ, ეს ქსოვილის გადმოცემაში მჟღავნდება. გემა ზედმიწევნით არის გაპრიალებული გამოხატულებითურთ; თმა და წვერი გამოხატული პიროვნებისა ოსტატს მჭრქალად გაუპრიალებია. ქვა კარგი გათლილია.

ერთი შეხედვით ინტალიოზე გამოხატული პიროვნება შეიძლება ფილოსოფოს სოკრატედ აღიარებულ პორტრეტად იქნეს მიჩნეული. მაგალითისათვის შდრ. Richter, Engraved gems and cameos, ტაბ. 54, გამ. 213, 214; Furtwängler, Beschreibung der Geschnittenen Steine im Antiquarium, Berlin, 1896. ტაბ. 51, გამ. 6974; Reinach. Pierres gravèes. ტაბ. 20, გამ. 42[1]; King, Engraved gems, London, 1866. ტაბ. XLVI, გამ. 4; A. Morrison, Catalogue of the valuable and important collection of camei, intagli; gold rings. June 29, 1898. ტაბ. I, გამ. 78.

მაგრამ არმაზისეულ ინტალიოზე გამოხატული პიროვნების სოკრატეს პორტრეტებთან შედარებისას ირკვევა, რომ პორტრეტებს შორის საკმაოდ დიდი სხვაობაა. სოკრატეს პორტრეტებში განსაკუთრებით თვალსაჩინოა მეტად პაჭუა ცხვირი და საკმაოდ მძიმე ქვედა ყბა; რაც არმაზისეულ გემაზე გამოხატულ პორტრეტს არ ახასიათებს. არმაზისეულ გემაზე გამოხატულ პიროვნებას ლამაზი მოყვანილობის ცხვირი აქვს და სწორი, საკმაოდ დახვეწილი სახის ნაკვთები.

ფილოსოფოსების, მეცნიერებისა და პოეტების გამოხატვა გემებზე ელინისტური პერიოდიდან მომდინარეობს. ეს ტრადიცია რომაულ პერიოდშიც გრძელდება. ჩვენს ქვაზე ამოკვეთილი პიროვნების ვინაობის დადგენა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა[1].

ბეჭედი ღია ყვითელი ფერის ოქროს სქელი ფურცლისაგან არის გაკეთებული; დიდი ზომისაა ღრუ, თავის დროზე მასტიკით ან პასტით ყოფილა ამოვსებული. გვერდებისკენ განზიდული რკალი მხრებთან მკვეთრად ფართოვდება და უშუალოდ გადადის ოვალური მოყვანილობის ბუდეში. ბუდე შიგ ბეჭედშია ამოჭრილი; ბუდეს ვიწრო, თვალისკენ გადმოკეცილი ნაპირები აქვს, ჩანს იგი თავის დროზე თვალზე ყოფილა შემოჭედილი.

ბეჭედი ოთხწახნაგაა; წახნაგებს ძალზე მომრგვალებული კონტურები აქვს. ბუდის ძირიც წახნაგიანია. რკალის ქვედა ნაწილზე წახნაგები მოშლილია; როგორც ჩანს ბეჭედი ხანგრძლივად უტარებიათ (სურ. 12).

---

[1] ჩვენს მიერ შესწავლილი მასალების (როგორც ლიტერატურის სახით, ასევე ცენტრალურ მუზეუმებში დაცული კოლექციების) მიხედვით, ვინაობის გარკვევა შეუძლებელი შეიქნა.

ბეჭედი თავისი ფორმით ახ. წ. II საუკ. ბოლოსა და III საუკ. დასაწყისს მიეკუთვნება. ბეჭედს ძალიან მკრთალად გამოხატული მხრები ეტყობა და ამიტომ ამ ტიპს ჩვენ II საუკუნიდან — III საუკუნეში გარდამავალ ტიპად მივიჩნევთ.

მსგავსი ბეჭდები იხ. Henkel, Die römischen Fingerringe der Rheinlande, ტაბ. XIX, გამ. 194; ტაბ. XXI, გამ. 420, 420a, 420b; Marshall, Catalogue of the finger rings greek, etruscan and roman, London, 1911. ტაბ. V, გამ. 187.

დაცულობა: კარგად შენახული თვალი ბუდიდან ამოვარდნილია. ბეჭედი ტარებისაგან ადგილ-ადგილ დაჟყლეტილი და „გაცვეთილია“.



სურ. 12

ზომა: ინტალიოს სიგრძე—17 მმ,
რკალის უდ. განი—7 მმ,
ინტალიოს განი—11 მმ,
ბუდის სიგრძე—16 მმ,
ბუდის განი—10 მმ,
ამავე სამარხში მოპოვებული ბეჭდები №№ $\frac{ა—40}{VI—27}$, $\frac{ა—40}{VI—29}$, $\frac{ა—40}{VI—30}$ (სურ. 13) ახ. წ. II—III სს. თარიღდება; შდრ. Henkel, Die römischen Fingerringe der Rheinlande, ტაბ. XI, გამ. 211.

სტილისტური თავისებურება, თმის ცალკეულ ბღუჯებად გადმოცემა, ერთგვარი პირობითობა (მხარის გამოხატვაში), სქემატურობა—ქსოვილის გადმოცემაში, ამოჭრის თავისებურება, ბეჭდის ფორმა და თანმხლები მასალა[1] უფლებას გვაძლევს ინტალიო ახ. წ. II საუკ. ბოლო წლებით დავათარიღოთ. რაც შეეხება ბეჭედს, როგორც უკვე აღინიშნა, მას გარდამავალ ტიპად მივიჩნევთ ახ. წ. II — საუკუნიდან III საუკუნეში.

ამავე სამარხიდან არის გემიანი ბეჭდები №№ 840 და 841.



სურ. 13

5 (ინვ. № 842).

არმაზისხევი, 1940 წლის არქეოლოგიური კამპანია, აკლდამა № 7, საველე № $\frac{ა—40}{VII—6}$.

კამეა მუქი ფერის გრანატისა, ოქროს ბეჭედს[2] ამკობს.

კამეა ქალის თავს გამოხატავს. გამოხატულება პორტრეტული უნდა იყოს. ქალს დამწუხრებული სახის გამომეტყველება აქვს; ფართო და დაბალი შუბლი შუაზე ამობურცულია. საკმაოდ გრძელი ცხვირი და შუბლი ერთ სწორ ხაზს ქმნის. ოდნავ წინ წამოწეული პირი მკვეთრადაა გამოხატული, საკმაოდ დიდი ზომის თვალები ოვალური მოყვანილობისა აქვს. თვალის უპეები ღრმადაა ამოღებული, წარბები ძირსაა დაშვებული; ქალს სახე ოვალური მოყვანილობისა აქვს, მოკლენიკაპიანია. თმა რელიეფური, ადგილ-ადგილ დაღარული ზოლით არის გადმოცემული. თავზე თითქოს მაღალი დიადემა ადგას. ბუდის ვიწრო ნაპირი ოსტატს (ოქრომჭედელს) ისე გაუაზრებია, რომ იგი თავსამკაულზე წამოხურულ წამოსასხამსა ჰგავს.

---

[1] ამავე სამარხში მოპოვებულია შემდეგი მონეტები: ოქროს აურეუსი ანტონინე პიუსისა (138—161), აურეუსი ადრიანესი (117—138), აურეუსი კომოდისა (180—192) და სხვ. .

[2] ბეჭედი სამარხის ცენტრში იყო მოპოვებული, ოქნეზოებთან იდო სხვა ბეჭდებთან ერთად.

მანდილოსანს მაღალი კისერი აქვს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასიმეტრიული სახე (მარჯვენა მხარე მარცხენაზე გაცილებით დიდია), მარცხენა თვალი ოდნავ ძირსაა დაწეული.

კამეა დაზგაზეა ამოჭრილი ძალიან მაღალი რელიეფით. ნახელავი არ გამოირჩევა განსაკუთრებული სიფაქიზით და ოსტატობით. სახე ასიმეტრიულად აქვს გაკეთებული. ნაწილობრივ სქემატურობაც ეტყობა. ქვა თავის დროზე გაპრიალებული ყოფილა.

მსგავსი კამეებით ე. ი. მაღალი რელიეფით შესრულებული კამეებით შემკული ბეჭდები[1] რომაულ ხანაში ფართოდ იყო გავრცელებული, სახელდობრ, ადრე იმპერიის ხანიდან დაწყებული ახ. წ. III — IV საუკუნეებამდე.

მსგავსი გამოხატულებები იხ. Furtwängler, Beschreibung der Geschnittenen Steine im Antiquarium, გამ. 11104, 11106, 1115; Babelon, Catalogue des camèes antique et modernes de la Bibliotheque Nationale, ტაბ. II, გამ. 14; ტაბ. XII გამ. 113; Eichler und Kris, Die Kameen im Kunsthistorischen Museum, ტაბ. 7, გამ. 11, 15, 17; ტაბ. 17, გამ. 92; Richter, Catalogue of engraved gems, ტაბ. 74, გამ. 330; Walters, Catalogue of antique engraved gems and cameos ტაბ. XXXVII, გამ. 3549*[2].

ბეჭედი მუქი ყვითელი ფერის ოქროსაგან არის გაკეთებული, მასიურია. ვიწრო რკალი მხრებთან მკვეთრად ფართოვდება და დაბალ ბუდეში გადადის; ბეჭედს საკმაოდ მკვეთრად ეტყობა ოდნავ დაქანებული მხრები; რკალი ოთხწახნაგაა, ზედაპირზე გამოყვანილი წიბო ძალიან მკვეთრად არის გამოხატული, შიდაპირზე მოთავსებულ წახნაგს მომრგვალებული კონტური აქვს. ბუდე რომბისებრი ფორმისაა, მომრგვალებული კუთხეებითა და ფუძით. ბუდე პირდაპირ ბეჭედშია ამოჭრილი, ვიწრო ნაპირები თვალის მიმართულებით არის გადმოკეცილი—კამეას (მანდილოსანს) თავის ნაწილს უფარავს (სურ. 14).



სურ. 14

ბეჭედი გარდამავალი ფორმისაა „უმხრო“ ბეჭდიდან „მხრებიანში“. ბეჭედს მხოლოდ „სამხრეები“ ეტყობა და ჯერ კიდევ მხრები მკვეთრად გამოყვანილი არ აქვს. ამიტომ ბეჭდების ამ ტიპს ახ. წ. II—III საუკ. ნახელავად მივიჩნევთ (სურ. 15).

ბეჭედი თავისი ფორმით ახ. წ. II—III საუკ. ბეჭდების ჯგუფს მიეკუთვნება, იხ. Henkel, Die römischen Fingerringe der Rheinlande, ტაბ. III, გამ. 212; აგრეთვე Marshall, Catalogue of finger rings greek, etruscan and roman, ტაბ. XIV, გამ. 487 (ავტორი ბეჭედს ახ. წ. II—III საუკ. ათარიღებს).

დაცულობა: კამეა დაზიანებულია, ორგან ამოტეხილი—თავსამკაულთან და კისერთან, რამდენიმე ადგილას გაბზარული, რამდენიმე შიდა ბზარიც აქვს. ზედაპირი გატეხილია. ბეჭედი კარგად არის შენახული.

ზომები: კამეის სიგრძე — 19 მმ, ბეჭდის სიმაღლე — 27 მმ, დიამეტრი — 15—13 მმ,
კამეის სიმაღლე — 8 მმ, ბუდის სიგრძე — 18 მმ, განი — 12 მმ,
კამეის განი — 12 მმ, რკალის უდ. განი — 9 მმ, უმც. განი — 3 მმ.

ნახელავის, ანალოგიური მასალის საფუძველზე, ბეჭდის ფორმისა და ამავე სამარხში აღმოჩენილი ბეჭდების №№ $\frac{ა—40}{VII—8ბ}$ $\frac{ა—40}{VII—8ა}$ $\frac{ა—40}{VII—8დ}$ მიხედვით (სურ. 15 ა) კამეა ახ. წ. II საუკ. ბოლო წლებითა და III საუკ. დასაწყისით უნდა დათარიღდეს.

---

[1] ვსარგებლობთ პროფ. მ. მ ა ჭ ს ი მ ო ვ ა ს შენიშვნით: ამგვარ კამეებზე გამოხატული სიუჟეტი საკმაოდ მრავალფეროვანია—ღვთაებები და მეტწილად კი პორტრეტული ხასიათისაა.

[2] მედუზას გამოხატულება,
იუნონას გამოხატულება, მერკურის გამოხატულება.
ტიბერიუსი, ახალგაზრდის თავი, გორგონა.
ავგუსტის თავი.
მედუზას გამოხატულება.

ამავე სამარხიდან[1] წარმოსდგება გემიანი ბეჭედი № 843 აქტეონის გამოხატულებით და მანიაკი ვერძისთავის კაბეით № 844.

6 (ინვ. № 831).

არმაზისხევი, 1940 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვისსამარხი № 2, საველე № $\frac{ა—40}{II—13}$.

კამეა ორფენიანი სარდიონ-ფრცხილისა, ოქროს მანიაკს ამკობს.

ქვაზე ამოჭრილია წინა ფეხებზე ჩამჯდარი ძაღლი, პროფილში მარცხნივ.

ცხოველს ბრაზიანი გამომეტყველება აქვს, თითქოს ყეფს. გრძელი დრუნჩი დეტალურად არის დამუშავებული. ქვედა ყბა კისრისაგან მკვეთრი ღარით არის გამოყოფილი. ნესტო მკვეთრად ჩანს. დიდი თვალი რელიეფური წერტილითაა გადმოცემული. ძაღლი ყურებაცქვეტილია. კისერი სხეულისაგან ღრმა რკალ-ღარით აქვს გამოყოფილი; ძაღლს გრძელი ტანი და საკმაოდ მაღალი ფეხები აქვს. ბრჭყალები მკვეთრადაა გამოხატული, საკმაოდ ღრმა ღარებით. ფერდები სამი ღრმა—პარალელური ღარით არის გადასერილი. ძაღლი დაძაბულ მდგომარეობაშია, ჩაჩოქებისას ტყავი დაეჭიმა და ნეკნები უჩანს; ნეკნებს ღარები გამოხატავს.



სურ. 15

მოკლე კუდი ზევით აწეული და ჩახვეული აქვს. ბალანი ადგილ-ადგილ მოკლე-მოკლე ამოღარული ხაზებით არის აღნიშნული, დრუნჩზე (რამდენიმე ხაზით), უკანა ფეხებსა და კუდზე.

ფეხებს სიგრძეზე ღარები დაჰყვება. ამით ოსტატმა შესძლო სახსრებისა და კუნთების გამოყოფა.

გამოხატულებას, ქვის კიდეზე, გარს უვლის თეთრი ვიწრო ზოლი.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, დაბალი და ბრტყელი რელიეფით. ფონისათვის გამოყენებულია ზოყვითალო გამქვირვალე ფენა; გამოხატულება და მის ირგვლივ ამოკვეთილი ზოლი თეთრ ფენაზე არის გაკეთებული.

წმინდა და საკმაოდ ფაქიზი ნახელავია, იგრძნობა ოსტატის მტკიცე და ამოჭრის ხელოვნებას დაუფლებული ხელი.

ფონი და ასევე გამოხატულებაც მჭრქალად არის გაპრიალებული.

ფონს ადგილ-ადგილ საჭრისის კვალი ეტყობა, მკვეთრად ჩანს ღარისებრი ჩაღრმავებები (თეთრი ფენის ამოკვეთის შედეგად დარჩენილი კვალია).



სურ. 15a

ანტიკური ხელოვნების ძეგლებზე ძაღლის გამოხატულება საკმაოდ ხშირია[2]. იგი ამოკვეთილ-გამოხატულებიან ქვებზედაც ფართოდაა გავრცელებული. მაგალითისათვის იხ. E. Babelon, Catalogue des camées antique et moderne, ტაბ. XIX, გამ. 186 (ძაღლის ჯიში ჩვენს კამეაზე გამოხა-

---

[1] სამარხში მოპოვებული იყო შემდეგი მონეტები: აურელიუსი ანტონინე პიუსისა (138—161), ოქროს მონეტები მარკ ავრელიუსისა (161—180), აურელიუსი ფაუსტინა უფროსისა (138—141), აურელიუსი ფაუსტინა უმცროსისა (175) და სხვ.

[2] Otto Keller, Die antiken Tierwelt, I Band, Leipzig, 1909. გვ. 91—151. Hound.

ტულ ჯიშს უნდა ენათესავებოდეს). Southesk: H. Carnegie, Catalogue of antique gems II. ტაბ. VIII, გამ. G 19; ტაბ. III, გამ. B 11; Lippold, Gemmen und Kameen des Altertums und der Neuzeit, ტაბ. 87 გამ. 2; Imhoof—Blümer und Otto Keller, Tier und der Planzenbilder aus Gemmen und Münzen, ტაბ. I, გამ. 24; Reinach, Pierres gravées, ტაბ. 52 გამ. 205; Walters, Catalogue of engraved gems, ტაბ. XXVIII, გამ. 2420.

ოქროს მანიაკი ორი ნაწილისაგან შედგება:—ძეწკვისა და კამეით შემკული ყუნწიანი მედალიონისაგან. მედალიონი ძეწკვზე არის ჩამოცმული.

ძეწკვი შედგენილია შემდეგნაირად: ორ-ორი ძალიან წვრილი მავთულისაგან გაკეთებულია 8-ის მოყვანილობის ნაწილი, რომელსაც „წელზე“ მრგვალი, საკმაოდ სქელი სალტე აქვს შემორტყმული. ეს „რვიანები“ ერთმანეთზე ძალიან წმინდათ არის გადაჯაჭვული. ძეწკვი გრძელია, თავსა და ბოლოში შესაკრავით. შესაკრავი ცალ მხარეს საკმაოდ მასიურ პაწია რგოლს წარმოადგენს, მეორე მხარეს საკმაოდ გრძელი მამალი დუგმაა, რომელსაც ბირთვისებრი თავი აქვს მირჩილული.



სურ. 16

ძეწკვზე ჩამოცმულია ოვალური მოყვანილობის, სქელი ფურცლოვანი ოქროსგან გაკეთებული, ყუნწიანი მედალიონი. მედალიონის ყუნწი ცილინდრული მოყვანილობისაა, გოფრირებული (დამუხლული) ზედაპირით; მედალიონს ქვედა ნაწილზე მირჩილული აქვს სამი მრგვალი პატარა რგოლი. ამ რგოლებზე ჩამოცმულია წვრილი მავთულისგან გაკეთებული თითო ოქროს საკიდი, რომელსაც თავი ზამბარისებურად აქვს დახვეული. ყოველი საკიდი დიდი ზომის სფერული მარგალიტით ბოლოვდება. იმისათვის, რომ მარგალიტის მძივი არ ჩამოვარდეს მავთულზე ოქროს პაწია ბირთვია მირჩილული (სურ. 16).

მედალიონის დაბალი ბუდე ტიხრებიანია, ტიხრებს შორის ჩასმულია თხელი გრანატ—პიროპის თვლები, მოგრძო-ოთხკუთხა მოყვანილობისა, ცალგვერდმომრგვალებული (სულ რვა ტიხარია, ამდენივე გრანატის თვალი); მედალიონის ცენტრში ჩასმულია ოვალური მოყვანილობის კამეით შემკული ბუდე. ცენტრალურ ბუდეს გარს უვლის გრანატიანი ბუდეები. გრანატიან ბუდეებს ძირზე დაფენილი აქვს ოქროს თხელი ფირფიტა, რაც თვალს განსაკუთრებულ ელვარებას ანიჭებს.

დაცულობა: თვალი ადგილ-ადგილ ატკეცილია, ნაპირთან ერთგან ამოტეხილი. ორი გრანატი „დაკენკილია“, მცირედ. მარგალიტი გამოფიტულია—იშლება. ძეწკვი და ბუდე (საერთოდ ოქრო) კარგი შენახულია.

ზომები: კამეის სიგრძე—17 მმ,
კამეის განი—12 მმ,
ძეწკვის სიგრძე—47,5 სმ? (შესაკრავით),
ბუდის სიგრძე—18 მმ; ბუდის განი—13 მმ,
მედალიონის სიგრძე—25 მმ,
ბუდის განი—20 მმ, სიმაღლე—5 მმ.
საკიდის სიგრძე—15 მმ.

კამეა დამუშავების ტექნიკისა და სტილის მიხედვით—ბრტყელი რელიეფით შესრულებული გამოხატულება მკაფიოდ არის შემოხაზული, (რაც ახ. წ. II საუკ. ბოლო ან ახ. წ. III საუკ. კამეებს ახასიათებს). ახ. წ. II საუკუნის მიწურულით და III საუკ. დასაწყისით თარიღდება.

სამარხში აღმოჩენილი ინვენტარის ნაწილიც ამ თარიღზე მიუთითებს, სახელდობრ ოქროს „მხრებიანი" ბეჭედი № $\frac{\text{ა—40}}{\text{II—1ბ}}$ (სურ. 17.), გრანატის გემიანი ოქროს ბეჭედი № 833, ოქროს აურეუსი სეპტიმი-სევერისა (193—211), აურეუსი ვალერიანისა (253—260) და ა. შ.

ამავე სამარხიდან არის გემით შემკული სამაჯური № 832 ათენა—პალადას გამოხატულებით. 7 (ინვ. № 852).

ბაგინეთი, 1948 წლის არქეოლოგიური კამპანია, აკლდამა № 1, ორფერდა სახურავით გადახურული[1], საველე № VIII. 4.18.

კამეა ორფენიანი სარდიონ-ფრცხილისა, ოქროს სამაჯურს[2] ამკობს. ოვალური მოყვანილობის კამეა მაღალი რელიეფით არის შესრულებული. ქვედა ფენა მოლურჯო ფერისაა, ზედა ფენა (გამოხატულება) მოცისფრო-რძისფერია.

კამეაზე მანდილოსანის ბიუსტია გამოხატული, პროფილში მარჯვნივ. იგი გარკვეული პიროვნების პორტრეტი უნდა იყოს; საკმაოდ დამახასიათებელი სახის ნაკვთებით. მანდილოსანს დაბალი შუბლი აქვს. მოკლე, თითქოს ოდნავ კეხიანი ცხვირი (ცხვირის ამოპრისას მჭრელს ქვის ფენა ბრტყლად წაუკვეთია ისე, რომ ერთი შეხედვით ცხვირი წატეხილსა ჰგავს). პირი მკვეთრადაა გამოხატული, სქელი ქვედა ტუჩით; წინ წამოწეული, საკმაოდ ენერგიული ნიკაპი აქვს.



სურ. 17

დიდი თვალი გულამოღებული წერტილითაა შესრულებული, წინ იყურება. მკვეთრად გამოხატული თვალის ქუთუთოები, ორ-ორი წმინდა ღარითაა შემოფარგლული. მორკალული წარბი საკმაოდ მკრთალად გამოირჩევა შუბლზე.

მანდილოსანს მრგვალი მოყვანილობის პირისახე აქვს, ფაქიზად დამუშავებული ღაწვები. საკმაოდ მაღალი ყვრიმალის ძვალი დაბალი რელიეფით არის გადმოცემული. ლამაზი მოყვანილობის მაღალი კისერი აქვს.

მანდილოსანს გრძელი, უკან გადავარცხნილი თმა აქვს; თმისვარცხნილობა რომაელი ქალების ყაიდაზე აქვს გაკეთებული.—ფართო ტალღებად დატეხილი თმა დახვეულია, ერთმანეთისაგან ღრმა ღარებით გამოყოფილი ტალღები მაღალი რელიეფით არის შესრულებული; თმის ყოველი ბეწვი წმინდა, ტეხილი ხაზით არის გადმოცემული. ტალღები თავზე სიმეტრიულადაა განლაგებული. გრძელი თმა კეფაზე დახვეული აქვს — (Chignion-ი აქვს გაკეთებული). „შინიონი" ორი ნაწნავით არის გადაჭერილი.

მანდილოსანი მრავალნაოჭიანი პეპლოსით არის შემოსილი. ქსოვილი რელიეფური, საკმაოდ რბილი ტეხილი ხაზებითაა შესრულებული. სამოსი მარჯვენა მხარზე მრგვალი მოყვანილობის აგრაფით არის შეკრული. შესაკრავს ქვემოთ გატიტვლებული მხარი ჩანს.

---

[1] სამარხი რკინის გამირებით იყო შეკრული.

[2] სამარხში წყვილი, სავსებით ერთნაირი სამაჯური აღმოჩნდა, ორივე სამაჯური კამეებით არის შემკული. იხ. № 853.

გამოხატულება დაზგახეა ამოჭრილი, მაღალი რელიეფით. გამოხატულება მოცისფრო-რძისფერ ფენაზეა ამოჭრილი, ერთფერია. ჩანს ეს ფენა სქელი ყოფილა. ფონი კამეას მოლურჯო ფერის ფენისა აქვს.

გულმოდგინე და სუფთა ნახელავია. თმა საკმაოდ ფაქიზად არის დამუშავებული. ქსოვილს ერთგვარი სქემატურობა ეტყობა.

ქვის ქვედა ფენა ზედაპირწევნით არის გაპრიალებული — ელვარებს. გამოხატულება ოსტატს ნაწილობრივად გაუპრიალებია, — თმა და თვალის უპეები მკრთალად დაუტოვებია.

მსგავსი თმის ვარცხნილობა რომში მოდაში ახ. წ. III ს. იყო.

მანდილოსნები ანალოგიური თმის ვარცხნილობით რომაული ხანის სახვით ხელოვნების ძეგლებზე და გლიპტიკურ ძეგლებზე ფართოდ იყო გავრცელებული. იხ. Furtwängler, Beschreibung der Geschnittenen Steine im Antiquarium, ტაბ. 67, გამ. 11111; E. Babelon, Catalogue des camèes antique et moderne de la Bibliothèque Nationale, ტაბ. XLI, გამ. 367 (რომაული მანიაკის ერთ-ერთი მედალიონი[1]). (სურ. 18).



სურ. 18

სამაჯური ღია ყვითელი ფერის ოქროსაგან არის გაკეთებული. იგი ორი ნაწილისაგან შედგება: კამეით შემკული მედალიონისა და რგოლისაგან. რგოლი ვიწრო, ერთმანეთთან შეგრეხილი და მირჩილული მავთულებისაგან არის შედგენილი. სამაჯურის რგოლი სამი რკალისაგან შედგება. ზონარისებურად დაგრეხილი რგოლი ორი ვიწრო, ერთმანეთთან შეგრეხილი მავთულისაგან გაკეთებულ ასეთივე მეორე რგოლს, წვრილი — ჰდეული მავთულით უკავშირდება (მავთული ჰრიალში მრგვალია). ეს სამი რგოლი ერთმანეთთან მჭიდროდ არის მირჩილული და ერთ მთლიან, შუაზე ჩადრეკილ სალტეს შეადგენს (ჰდეული მავთული პატარა დიამეტრის მჭონეა და ამის გამოა, რომ სალტე შუაწელზე ჩადრეკილია). (სურ. 19).

თავსა და ბოლოში სამაჯურს ბრტყელი, დაღარული ფირფიტები აქვს შემოჭედილი (სამაჯურის ქვედაპირზე ფირფიტა გადაკერებულია; პირი პირთან არ მიდის). ერთ ამგვარ ფირფიტაზე სქელი მავთულის მრგვალი დუგმაა დარჩილული. მეორე ბოლოზე — ორი ფართო დაღარულზედაპირიანი და ბრტყელზიდაპირიანი რგოლი. ამ რგოლებს შორის ჩადგმულია კამეით შემკული მედალიონის ყუნწი — (რგოლი). რგოლებსა და ყუნწს შორის ვიწრო, თავშეკრული სამსჭვალია გაყრილი, რომელიც დაკუთხული მავთულისაგან არის გაკეთებული. კამეით შემკული მედალიონი თავისუფლად მოძრაობს.

მედალიონი ფურცლოვანი ოქროსაგან არის გაკეთებული. ოვალური მოყვანილობის, კოლოფისებრი ბუდე ღრმა არის; ბუდეს ამობურცული ძირი აქვს, არასწორი ზედაპირით. ბუდის ზედა ნაპირი გოფრირებული ვიწრო ფირფიტისაგან არის გაკეთებული. ამ ფირფიტას ნაპირთან, კამეის ირგვლივ, ჰდეებით შემკული (წნულისებრი), გაბრტყელებული მავთული აქვს დარჩილული. თვით ნაპირს გარს უვლის ვიწრო და მრგვალი მავთული (მავთული, ზოგან ჩამოცურებულია).

ბუდის ნაპირი კამეას საკმაოდ მჭიდროდ ეკვრის. მედალიონის გვერდზე მირჩილულია ცილინდრული მოყვანილობის, დაღარულზედაპირიანი ყუნწი, რომელსაც დედალი დუგმის დანიშნულება აქვს — შესაკრავია (სურ. 19).

მსგავსი ტექნიკით გაკეთებული სამაჯური იხ. Marshall, Catalogue of jewelery greek, etruscan and roman, ტაბ. LXIII, გამ. 2793 (სამაჯური ახ. წ. III საუკ. თარიღდება).

---

[1] ავტორი კამეაზე გამოხატულ მანდილოსანს იულია დომნად მიიჩნევს. ჩვენ ამ მოსაზრებას არ ვიზიარებთ.

დაცულობა: კამეა დაზიანებულია, ცხვირის წვერი წატეხილია; კისერზე სისქეში ბზარი აქვს. ფონი (ლურჯი ფერის ფენაზე) ერთგან ნაპირთან ატკეცილია.

ზომები: კამეის სიგრძე — 22 მმ,
კამეის განი — 16 მმ,
გამოხატულების სიგრძე — 20 მმ,
რელიეფის სიმაღლე — 3 მმ,
ბუდის სიგრძე — 30 მმ,
ბუდის განი — 14 მმ,
ბუდის სიმაღლე — 6 მმ,
სამაჯურის დიამ. — 54—42 მმ,
სამაჯ. რკალ. განი — 10 მმ,
„ სისქე — 5 მმ.

არსებული ანალოგიებისა და თმისვარცხნილობის მიხედვით კამეა ახ. წ. III საუკ. თარიღდება. ამავე დროით თარიღდება აკლდამაში აღმოჩენილი გემიანი ბეჭედი № 854 და კამეით შემკული სამაჯური № 853, აგრეთვე ბეჭდები №№ $\frac{\text{ბ}—46}{1—26}$, $\frac{\text{ბ}—24}{1—24}$, $\frac{\text{ბ}—46}{1—27}$.



სურ. 19

8 (ინვ. № 853).

ბაგინეთი, 1948 წლის არქეოლოგიური კამპანია, აკლდამა № 1. ორფერდა სახურავით გადახურული, საველე № VIII. 4. 19.

კამეა ორფენიანი სარდიონ-ფრცხილისა, ოქროს სამაჯურს ამკობს. კამეა მაღალი რელიეფით არის შესრულებული, ოვალური მოყვანილობისაა. ქვედა ფენა — ფონი მოლურჯო ფერისაა; ზედა ფენა (გამოხატულება) მოცისფროა.

კამეა მანდილოსნის ბიუსტს გამოხატავს, პროფილში მარცხნივ. კამეა პორტრეტულია. მანდილოსანს საკმაოდ დამახასიათებელი სახის ნაკვთები აქვს. გრძელი, ფართო ტალღებად დატეხილი თმა დაწნული აქვს; ნაწნავი კეფაზე რამდენიმე წყებადაა შემოხვეული (chignion-ი აქვს გაკეთებული). მანდილოსანს მაღალი და ფართო შუბლი აქვს, სწორი და გრძელი ცხვირი, მკვეთრად გამოხატული ნესტოებით; პატარა პირი, წინ წამოწეული ზედა ტუჩით; მძიმე ნიკაპი, მორგვალებული კონტურით.

მანდილოსანს დიდი, ფართოდ გაღებული და ამობურცული თვალი აქვს, საკმაოდ მაღალი რელიეფით შესრულებული. ორი წმინდა ღარით შესრულებული თვალის ზედა ქუთუთო მკაფიოდ ჩანს. საკმაოდ მაღალი ყვრიმალის ძვალი რბილი რელიეფით არის გადმოცემული. მანდილოსანს ოდნავ გამობერილი ლოყა აქვს. სახე კისრისაგან მკვეთრი ღარით არის გამოყოფილი. ბრტყელი რელიეფით შესრულებულ მეტად მაღალ კისერზე ხორხის ძვალი თვალსაჩინოდ არის გამოხატული.

მანდილოსანს კვართი აცვია. სამოსის ნაოჭები ღრმა, საკმაოდ სქემატური ღარებით არის გადმოცემული. მხრებზე ქლამიდა აქვს წამოსხმული. წამოსასხამის ნაკეცებს ღრმა ღარები გამოხატავს. გამოხატულება ფონს მთლიანად ავსებს.

გამოხატულება დაზგაზეა აწოწილი, მაღალი რელიეფით, გამოხატულებისათვის ოსტატს მოცისფრო ფენა გამოუყენებია, მოლურჯო ფერის ფონი ოვალური და ბრტყელია. გულმოდგინე და სუფთა ნახელავია, გაბედული ხელით შესრულებული. ქსოვილი სქემატურად არის გადმოცემული.

გამოხატულება და ფონი ზედმიწევნით არის გაპრიალებული. თმა და თვალის უპე ოსტატს მჭრქალად დაუტოვებია.

მანდილოსანს რომაული თმისვარცხნილობა აქვს; იგი თითქმის იმეორებს ამავე სამარხში მოპოვებულ კამეაზე გამოხატული მანდილოსნის თმისვარცხნილობას. ამგვარი თმისვარცხნილობა გავრცელებული იყო ახ. წ. III საუკ. იხ. Furtwängler, Beschreibung der Geschnittenen Steine im Antiquarium, ტაბ. 67, გამ. 11111; E. Babelon, Catalogue des camées antique et moderne, ტაბ.

XLI, გამ. 367; Daremberg et Saglio, Dictionnaire des antiquitées grecques et romaines, Fas. 20. გვ. 1485.

სამაჯური ორი ნაწილისაგან შედგება:—კამეით შემკული მედალიონისა და სამაჯურის რგოლისაგან. სამაჯური ღია ყვითელი ფერის ოქროსაგან არის გაკეთებული.

მედალიონი ოვალური მოყვანილობის კოლოფისებრ ბუდეს წარმოადგენს. ბუდე ფურცლოვანი ოქროსაგან არის გაკეთებული, დაბალია; ოდნავ ამობურცული უსწორ-მასწორო ძირი აქვს. ბუდის ზედა ნაწილი გოფრირებული ფირფიტისაგან არის გაკეთებული. ფირფიტის ნაპირს, კამეის ირგვლივ, მირჩილული აქვს ჰდეებიანი — შებრტყელებული მავთული (იგი წნული მავთულის ყაიდაზეა გაკეთებული). ბუდის ნაპირს, გვერდის გასწვრივ, ვიწრო და მრგვალი მავთული აქვს შემოვლებული (მავთული ზოგან ჩამოცურებულია). ბუდეს ორ მხარეს, აქეთ-იქით თითო მოზრდილი ყუნწი აქვს მირჩილული. ყუნწებს ზედაპირი რელიეფური ზოლებით აქვს შემკული. ერთი ყუნწით მედალიონი სამაჯურს უერთდება, მაგრდება; მეორე — დედალი დუგმის დანიშნულებას ასრულებს — შესაკრავად არის გამოყენებული.



სურ. 20

სამაჯურის რგოლი სამი რკალისაგან არის შედგენილი. ორი სქელი რკალი ერთმანეთთან შეგრეხილი მავთულებისაგან არის გაკეთებული. ამ ორ რკალს შორის წვრილი, სეგმენტირებური რკალია მირჩილული (სამაჯური სავსებით იმეორებს წინა სამაჯურის ფორმას). თავსა და ბოლოში რგოლს თხელი ფირფიტა აქვს შემოჭედილი. ცალ მხარეს სქელი მავთულის დუგმა აქვს დარჩილული; მეორე მხარეს ორი დიდი რგოლი. რგოლებს შორის მედალიონზე მირჩილული ყუნწია ჩადგმული, ყუნწებსა და რგოლს ბრტყელი სამსჭვალი აქვს გაყრილი, მედალიონი მოძრაობს (სურ. 20).

მსგავსი ტექნიკით გაკეთებული სამაჯურის რგოლი იხ. Marshall, Catalogue of jewelery greek, etruscan and roman, ტაბ. LXIII, გამ. 2793, 2812 (სამაჯურები ახ. წ. II-III. ს. თარიღდება).

დაცულობა: კამეა დაზიანებულია, ცხვირი შუა ადგილას ატკეცილი აქვს. რამდენიმე ადგილას ოქრო დაჭყლეტილია.

ზომები: კამეის სიგრძე — 24 მმ,
კამეის განი — 15 მმ,
გამოხატ. სიმაღლე — 5 მმ,
ბუდის სიგრძე — 32 მმ,
ბუდ. განი — 24 მმ,
ბუდის სიგრძე — 6 მმ,
სამაჯ. დიამ. — 53 მმ,
რკალის საერთო განი — 10 მმ.

არსებული ანალოგიებისა, თმისვარცხნილობისა, სამაჯურის ფორმისა და ამავე სამარხში მოპოვებული ბეჭდების მიხედვით (სურ. 21 და 22) კამეა ახ. წ. III საუკუნით თარიღდება.[1]

ამავე სამარხიდან არის კამეით შემკული სამაჯური № 852 და გემიანი ბეჭედი № 854.

9 (ინვ. № 854).

ბაგინეთი, 1946 წლის არქეოლოგიური კამპანია, აკლდამა № 1, ორფერდა სახურავიანი,[2] საველე № VIII. 4. 23.

ინტალიო მოწითალო ფერის სარდიონისა, სისქეში რამდენიმე ადგილას შავი წინწკლები აქვს, ოქროს ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, მაღალი, ქვედაპირისკენ ფართოვდება, პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი საკმაოდ დაქანებული აქვს. პირბრტყელია.

პირზე გამოხატულია თხა, პროფილში მარჯვნივ, ხესა და მცენარეს შორის დგას. თხას დიდი, უკან გადაყრილი და ზევითკენ აგრეხილი რქები აქვს, გრძელი „წვერები“, მეტად წვრილი დრუნჩი.

---

[1] სამარხში მოპოვებულია ვერცხლის თასი ოქროს მედალიონით, რომელსაც სეპტიმი სევერის პორტრეტად მიიჩნევენ, რაც ხელს უწყობს კამეების ამგვარ დათარიღებას.

[2] აკლდამა რკინის გამირებით იყო შეკრული. სამარხი ჭალისა იყო; ვარაუდობენ, რომ აკლდამაში სამეფო ოჯახი წევრი იყო დასაფლავებული.

საერთოდ თავი სქემატურად არის შესრულებული, თითქმის ერთ სიბრტყეშია მოცემული; თხას ლამაზი მოყვანილობის მაღალი კისერი აქვს. კოხტა და მაღალი ფეხები, მკვეთრად გამოხატული ჩლიქებით. უკანა ფეხები სახსრებში ოდნავ მოხრილი აქვს. საკმაოდ გრძელი, ზევით აწეული კუდი სწორი ხაზით არის გადმოცემული.

თხას მთელი სხეული ბალნით აქვს დაფარული; კისერზე ბალანი ირიბი ხაზებით არის გადმოცემული, გავაზე—ჰორიზონტალურით, ხოლო ზურგსა და მუცელზე კვლავ ირიბი ხაზებით, რომლებიც ერთმანეთს ფერდზე ხვდება და წიწვიან ორნამენტს მოგვაგონებს.



სურ. 21

თხის წინ მოთავსებული მცენარე საკმაოდ მაღალია, წვრილფოთლებიანი. მცენარე ძირსაა (მარჯვენა მხარეს) დახრილი. ხე თხის ზურგს უკან დგას; მაღალია, სქელტანიანი; საკმაოდ დიდი ფოთლები მოგრძო მოყვანილობისა აქვს. ხშირფოთლიანი შტო თხის მიმართულებით—მარჯვნივ არის გადმოხრილი. ნიადაგის ზოლი მკვეთრად არის გამოხატული. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი ღრმად და მკვეთრად. გულმოდგინე და სუფთა ნამუშევარია, საკმაოდ სქემატურად შესრულებული. ფეხის ჩლიქები და თვალი ოსტატს bouterolle-ით გაუკეთებია. ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალებული. გამოხატულება ოსტატს მჭრქალად გაუპრიალებია.

მსგავსი გამოხატულებები ხშირია რომაული დროის გემებზე. სამთავროს გემათაგან იხ. მარგ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, ტაბ. II, გამ. 12; შდრ. აგრეთვე Walters, Catalogue of engraved gems, ტაბ. XXVIII, გამ. 2379; Imhoof—Blümer und Otto Keller, Tier und Pflanzenbilder aus Münzen und Gemmen, ტაბ. XVIII, გამ. 3,6.

მუქი ყვითელი ფერის ოქროსაგან გაკეთებული ბეჭედი მასიურია. ქვედა ნაწილში ბეჭედი 10 მმ სიგრძეზე სწორ და მოუხრელ, თანაბარი სისქის რკალს წარმოადგენს; შემდეგ რკალი მკვეთრად მორკალულია—მოკეცილია ისე, რომ კუთხეებს ჰქმნის და აქედანვე იწყებს გაფართოებას. შიდა კონტური ბეჭედს ოთხკუთხა მოყვანილობისა აქვს. გვერდებისკენ ოდნავ განზიდული. ერთი შეხედვით კი ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ბეჭედი თითქოს ქვევითკენ არის ჩამოგრძელებულიო. ბუდის დაბალი ნაპირი თვალზე მჭიდროდ არის შემოჭედილი; ძირი ბუდეს ოდნავ ამობურცული აქვს არათანაბრად (სურ. 23).



სურ. 22

ვიწრო რკალი ბეჭდისა მხრებისკენ თანდათან ფართოვდება და უშუალოდ გადადის ძალიან დაბალ, ოვალური მოყვანილობის ბუდეში (ბუდის ძირი ოქროს ცალკე ფურცლისაგან არის გაკეთებული და შემდეგ არის მირჩილული ბუდის ნაპირებზე). ბეჭდის რკალს შიდაპირიცა და ზედაპირიც მცირედ ამობურცული აქვს (მხრების გასწვრივ, შიდაპირზე შებრტყელებული).

დაცულობა: ბეჭედი კარგად არის შენახული.

ზომები: ბეჭდის დიამ.—15 მმ, ინტალიოს სიგრძე—12 მმ.

სტილისტური თავისებურების მიხედვით, აგრეთვე ამავე სამარხში მოპოვებული კამეებისა №№ 852, 853 და ბეჭდების საფუძველზე ინტალიო ახ. წ. III საუკ. თარიღდება[1].

10 (ინვ. № 797).

არმაზისხევი, 1943 წლის ექსპედიცია, კრამიტსამარხი № 2, საველე №536.

ინტალიო მოყავისფრო სარდიონისა, რკინის ბეჭდის ფრაგმენტს ამკობს. ინტალიო ბრტყელია, ოვალური მოყვანილობისა, ქვედაპირისკენ ფართოვდება; პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი დაქანებული აქვს.

---

[1] სამარხში აღმოჩენილი მონეტები: აურელიუსები — ვესპასიანესი (69—79), ტიტის (79 — 81), ადრიანეს (117 — 438). ვერცხლის მონეტები—ავგუსტისა, ტრაიანის, ადრიანესი და ფაუსტინასი.

პირზე გამოხატულია ცისტოფორი (cista, κιστη, κιστοφόρος). იგი მრგვალი მოყვანილობისა უნდა იყოს (ყოველ შემთხვევაში მომრგვალებული კონტურები აქვს). ცისტას კედლები გარედან ამობურცულია (შესავალი, გვ. 25).

ცისტა თავახდილია. სახურავიც მრგვალი აქვს, ამობურცულზედაპირიანი. ცისტოფორს ნაპირზე გარს ავლია რელიეფური ზოლი. თავახდილ ცისტოფორიდან გველი მოძვრება. გველი პირდაღებულია, ნესტარი უჩანს. გველი დაკლაკნილია, მისი ტანი რამდენიმე ტეხილი ხაზით არის გადმოცემული.



სურ. 23

გამოხატულების ირგვლივ საკმაოდ ვიწრო არე (მოედანი) რჩება, იგი თითქმის მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და ბრტყელი რელიეფით (ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა). ნახელავი არ გამოირჩევა სიფაქიზითა და ოსტატობით, საკმაოდ ტლანქადაა შესრულებული.

აღნიშნული სიუჟეტი ფართოდ არის გავრცელებული მცირეაზიურ ვერცხლის მონეტებზე (ეს მონეტები ცისტოფორებად —cistophori იწოდებიან.) იხ. Daremberg et Saglio, Dictionnaire des antiquitèes grecques et romaines, Fas. 8. გვ. 1205 — 1208, სტატია Cista mistica, გამ. 1545; V. Head, Historia numorum. A manual of greek numismatic, Oxford, 1911. გვ. 534 — 535. იქვე, გვ. 479 (Province of Crete); გვ. 575 (Ionia. Ephesus).

გემები ცისტოფორის გამოხატულებით ჩვენთვის უცნობია (ჩვენს მიერ შესწავლილ, გამოცემულ გლიპტიკურ ძეგლებსა და ცენტრალურ მუზეუმებში დაცულ მასალებს შორის არც ერთი მსგავსი შინაარსის გემა არ არის). შინაარსის მიხედვით შესაძლებლად მივიჩნევთ იგი მცირეაზიურ გლიპტიკურ ძეგლებს დავუკავშიროთ[1].

ბეჭედი რკინისაგან არის გაკეთებული. ამჟამად ბეჭდისაგან დარჩენილია მხოლოდ დაჟანგული ბუდე. მიუხედავად იმისა, რომ ნატეხი პატარაა, მაინც შესაძლებელი არის ვიქონიოთ წარმოდგენა ბეჭდის ფორმაზე. ვფიქრობთ, რომ იგი იმ ბეჭდების ტიპს ეკუთვნის, რომლის რკალი უშუალოდ გადადის ბუდეში და ქვევითკენ არის ჩამოგრძელებული, — თვალისა და დაბალი ბუდის ნაპირები ერთ სიბრტყეზეა მოთავსებული.

დაცულობა: ბეჭდისაგან დარჩენილია დაჟანგული და დეფორმირებული ბუდე. თვალი სისქეში გაბზარულია, პირი ერთგან ამოტეხილი აქვს.

ზომები: ინტალიოს სიგრძე — 10 მმ, ბუდის სიგრძე — 20 მმ,
„ განი — 8 მმ, „ განი — 11 მმ.

სტილისტური თავისებურებისა, ქვაზე ამოჭრის მანერისა და აგრეთვე ამავე სამარხში აღმოჩენილი გემების №№ 796, 795 მიხედვით, ინტალიო ახ. წ. III საუკ. თარიღდება.

11 (ინვ. № 796).

არმაზისხევი, 1943 წლის არქეოლოგიური კამპანია, კრამიტსამარხი № 2, საველე № 536 „ა".

ინტალიო ბაცი ფერის სარდერისა, რკინის ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი.

პირზე გამოხატულია პურის ორი თავთავი — ნაყოფიერებისა და სიუხვის სიმბოლო.

თავთავებს საკმაოდ გრძელი ღერო აქვს, სწორი ხაზით გადმოცემული. ფხა წმინდა ღარებით არის შესრულებული.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა.

---

[1] აღნიშნული გემა სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. ჩვენ მას პირობითად რომაული გემების ჯგუფს ვაკუთვნებთ.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და ბრტყელი რელიეფით. ნახელავი საკმაოდ ტლანქად არის შესრულებული. ოსტატს მხოლოდ ორი საჭრისი აქვს ნახმარი. გამოხატულება ზედმიწევნით სქემატურია.

თვალი კარგად არის გაპრიალებული, გამოხატულება ოსტატს მკრჭალად გაუპრიალებია, ამიტომ იგი მკვეთრად გამოირჩევა პრიალა პირზე.

ანალოგიური გამოხატულება ფართოდაა გავრცელებული რომაული დროის გემებზე. საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ გემათაგან იხ. М. Максимова, Геммы из некрополя Мцхеты—Самтавро (раскопки 1938—39 гг.). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XVI-B, ტაბ. II, გამ. 59 და Zakharow, Gemmen und Siegeln des Museums Georgiens, საქ. მუზეუმის მოამბე, V, თბ., 1930, ტაბ. V, გამ. 159.

ბეჭედი რკინისაგან არის გაკეთებული. ამჟამად ძალზე დაჟანგული და დეფორმირებულია, მაგრამ ფორმის აღდგენა მაინც შესაძლებელია.

როგორც ჩანს, ბეჭედს ვიწრო რკალი ჰქონდა, რომელიც მხრებთან ფართოვდებოდა და უშუალოდ გადადიოდა ბუდეში. ბუდე დაბალი უნდა ყოფილიყო. თვალისა და ბუდის ნაპირები ერთ სიბრტყეზეა მოთავსებული. ჩანს, ზომით ბეჭედი მოზრდილი ყოფილა.

დაცულობა: ინტალიო სისქეში გაბზარულია სიგანეზე. ბეჭდისაგან დარჩენილია დაჟანგული ფრაგმენტი. რკალს 1/2 აკლია.

ზომა: ინტალიოს სიგრძე — 8 მმ, ბეჭდის დიამ. დაახლ. — 18 მმ,
„ განი —6 მმ, რკალის განი დაახლ. — 5 მმ.

სამთავროს სამაროვანში მოპოვებული ანალოგიური გემისა[1] (სტილისტური მსგავსება, შინაარსი, ამოჭრის მანერა) და ამავე სამარხში მოპოვებული № 795, 797 გემების საფუძველზე ინტალიო ახ. წ. III საუკ. თარიღდება.

12 (ინვ. № 795).

არმაზისხევი, 1943 წლის არქეოლოგიური კამპანია, კრამიტსამარხი № 2, საველე № 536 „გ".

ინტალიო მუქ სარდერზე ამოჭრილი; ინტალიოს ოვალური მოყვანილობა აქვს, ბრტყელია. რკინის ბეჭედს ამკობს. ჩანს მჭრელს გემისათვის ქვის საკმაოდ სქელი ფენა აუღია.

პირზე გამოხატულია თევზი, მეტად სქემატურად შესრულებული; თავი, ასევე ბოლო დამუშავებული არ არის. ამის გამო გამოხატულება დაუმთავრებელ მთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს თავ-ბოლო წაჭრილიაო. ფარფლები მოკლე და დახრილი, არა ღრმა ხაზებით არის გადმოცემული. ცალ მხარეს ხუთი ფარფლი არის გამოხატული, მეორე მხარეს ოთხი. თევზს გრძელი და ვიწრო ტანი აქვს.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად, მეტად სქემატური და ტლანქი ნახელავია. იგი გადმოცემულია ერთი ფართო და რამდენიმე ვიწრო და მოკლე, არა ღრმა ღარით.

ქვა თანაბრად არის ვათლილი. მჭრელს ქვა ზედმიწევნით გაუპრიალებია, გამოხატულება მკრჭალად არის დატოვებული.

გემები მსგავსი გამოხატულებით რომაულ ხანაში საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული. საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ გემათაგან მსგავსი გემა მოპოვებულია სამთავროში. იხ. М. И. Максимова, Геммы из некрополя Мцхеты—Самтавро (раскопки 1938/39 гг). ტაბ. II, გამ. 54. უცხოეთის მუზეუმში დაცულ გემათაგან იხ. Furtwängler, Beschreibung der Geschnittenen Steine im Antiquarium, გამ. 7958.

ბეჭედი რკინისაგან არის გაკეთებული. ვიწრო და მრგვალი ბეჭდის რკალი ეტყობა ქვევითკენ ყოფილა ჩამოგრძელებული. ჩანს რკალი მხრებთან ოდნავ ფართოვდებოდა და უშუალოდ გადადიოდა ბუდეში; ბუდე[2] ბეჭედს ოვალური მოყვანილობისა აქვს, დაბალი თვალი ბუდეში მაღლა ზის.

---

[1] М. И. Максимова, დასახ. ნაშრომი, გვ. 261.

[2] ამჟამად ბუდე ფართოა, მაგრამ ეს იმით არის გამოწვეული, რომ რკინა ძალზე დაჟანგულია,

დაცულობა: ინტალიო სიგანეზე ორგან გაბზარულია, სისქეში. ბეჭდისაგან დარჩენილია დაჟანგული და დეფორმირებული ბუდე. ბეჭედს თან ახლავს რკალის ნატეხი.

ზომები: ინტალიოს სიგრძე — 7 მმ, ბუდის სიმაღლე — 4 მმ,
ინტალიოს განი — 5 მმ, რკალის დიამეტრი. — 3 მმ,
საშ. სიმაღლე — 2 მმ, ბეჭდის დიამ. დაახლ. — 14 მმ.

სამთავროში მოპოვებულ გემასთან მსგავსების (ამოჭრის მანერა, სტილი) და ამავე სამარხში მოპოვებული გემების №№ 796, 797 საფუძველზე ინტალიო ახ. წ, III ს. თარიღდება.

ბ. ადგილობრივი გემები

უცხო ოსტატების ნახელავი.

13 (ინვ. № 843)

არმაზისხევი, 1940 წლის არქეოლოგიური კამპანია, აკლდამა № 7, საველე № $\frac{ა-40}{VII-7}$.

ინტალიო ღია იასამნისფერი ამეთვისტოსი, გამჭვირვალე, ოვალური; მოყვანილობისაა; ოქროს ბეჭედს ამკობს. გემა ქვედაპირისკენ მკვეთრად ვიწროვდება. ქვედაპირისა და პირის შემაერთებელი წახნაგი მაღალია და ძალიან დაქანებული. ინტალიოს ქვედაპირი ოდნავ ამობურცულია და ირგვლივ საკმაოდ კარგად გამოხატული წახნაგი დაჰყვება; ინტალიოს შეუმჩნევლად ამობურცული პირი აქვს.

გემაზე გამოხატული სიუჟეტი გადმოგვცემს ცნობილ მითს აქტეონის ირმად გარდაქცევის შესახებ.

პირზე გამოხატულია ჭაბუკი, რომელსაც ზეაპყრობილ მარჯვენა ხელში პედუმი უჭირავს და მისეულ ძაღლებს იგერიებს. გამოხატული ახალგაზრდა აქტეონია. აქტეონი ფეხებგაშლილი დგას. მარცხენა ფეხით მტკიცედ ებჯინება დედამიწას, მარჯვენათი კი მხოლოდ თითებით ეხება; ფეხის კუნთები დაჭიმული აქვს. პროფილში მიბრუნებული, ლამაზი მოყვანილობის თავი აქტეონს დაუხრია და ძაღლებს უყურებს; გაოცებული სახის გამომეტყველება აქვს. ერთი ძაღლი ჭაბუკს კანჭებში წვდა, მეორე კი უკანა ფეხებზე შემდგარა და ზედ შეხტომას უპირებს.

აქტეონს მოკლედ შეჭრილი ხვეული თმა აქვს, ძალიან ფაქიზად დამუშავებული; ლამაზი მოყვანილობის ცხვირი, მკვეთრად გამოხატული პირი და ოდნავ წინ წამოწეული ნიკაპი. მაღალშუბლიანია. აქტეონს თვალი საკმაოდ. ფართოდ გაუღია; გრძელი და წვრილი წარბი საფეთქლამდე წვდება. პატარა ზომის კოხტა ყური მკაფიოდაა გამოხატული. მარცხენა ხელში ჭაბუკს სანადირო შუბი უჭირავს, ამავე ხელზე ცხოველის ტყავი აქვს გადაკიდებული, რომელიც ნაწილობრივ მკლავზეა დახვეული. ტყავი თხელი უნდა იყოს, იგი ღრმა ნაკეცებით ეცემა ძირს. მისი ბოლო ჰაერში ფრიალებს. ტყავი ოსტატურად, ფაქიზი და რბილი ხაზებით არის შესრულებული და ოდნავ შესამჩნევი რელიეფით გადმოცემული.

არტემიდას რისხვის შედეგად აქტეონს თავზე რქები ამოსვლია. მას ლამაზი მოყვანილობის მაღალი კისერი აქვს, ფართოდ გადაშლილი გულ-მკერდი, განიერი ბეჭები, ვიწრო წელი, მაღალი ლამაზად მოყვანილი ფეხები. ახალგაზრდა ვაჟს კარგი აღნაგობის ტანი აქვს; მეტად პროპორციული ფორმებით. მთელი სხეული კუნთებითაა დაფარული. აქტეონი ტიტველია.

ძაღლები, რომლებიც აქტეონს მიესია, მწევრის ჯიშისა უნდა იყვნენ; ძაღლს, რომელიც ჭაბუკს შეხტომას უპირებს, გრძელი სხეული აქვს, მაღალი ფეხები; კოხტა მოყვანილობის პატარა თავი წაგრძელებული დრუნჩითა და აცქვეტილი ყურებით; თვალი გულამოღებული წერტილითაა აღნიშნული.

აქტეონიდან მარჯვნივ, საკმაოდ შორს, არტემიდას ედიკულა — მღვიმე ჩანს, ორფერდა სახურავით გადახურული, ქოხს მოგვაგონებს. ედიკულა ქვის ლოდებზე დგას, კარებში სილუეტი მოჩანს — არტემიდას ქანდაკებაა.

ედიკულას უკან, იქვე მარცხნივ, გამოხატულია ხე, რომლის მაღალი ტოტები პატარ-პატარა ფოთლებითაა დაფარული. გრძელი ნიადაგის ზოლი ღრმა ღარით არის გამოხატული.

აქტეონს მთელი სხეული დაძაბულ მდგომარეობაში აქვს; ოსტატმა შესანიშნავად გადმოგვცა ჰაბუკის შინაგანი განწყობა—მისწრაფება, რაც შეიძლება მალე დააღწიოს თავი საკუთარ ძაღლებს, რომლებიც პატრონს ველარ ცნობენ და გაგლეჯას უპირებენ. აქტეონს ყველა კუნთი დაჭიმული აქვს, მან მთელი ძალა მოიკრიბა იმისათვის, რომ პირუტყვებს გაუმკლავდეს და მოიგერიოს.

აქტეონის დაღუპვის შესახებ რამდენიმე ვერსია არსებობს[1]. არმაზისეულ გემაზე აქტეონი არტემიდას რისხვის შედეგად დაისაჯა. ჩვენის აზრით ქვაზე ოვიდიუსის მიერ „მეტამორფოზებში“ აღწერილი ვერსიაა გამოხატული.

ოვიდიუსი „მეტამორფოზებში“ მოგვითხრობს[2]: აქტეონი, არისტესა და ავტონოეს შვილი, თებესის მეფის კადმოსის შვილიშვილი და ცენტავრ ხირონის გაზრდილი, განთქმული მონადირე იყო. კითერონის ტყეებში ერთ-ერთი ნადირობის დროს დაიღალა და ტყეში უმიზნო ხეტიალი დაიწყო. აქტეონი არტემიდასადმი ხელთდასხმულ ველზე გარგაფიაზე გამოვიდა, სადაც ხეების ჩრდილქვეშ ტყეების ქალღმერთის თირის მღვიმე იდგა; აქვე ანკარა წყარო ჩამოდიოდა, ნადირობით დაღლილ არტემიდას აქ უყვარდა ხოლმე დასვენება.

ხეტიალის დროს აქტეონი შემთხვევით არტემიდას მღვიმეს მიადგა და არ იცოდა რა, რომ იგი ღვთაებას ეკუთვნოდა, შიგ შესვლა მოინდომა. სწორედ ამ დროს მღვიმეში ახალი შესული იყო ნადირობიდან დაბრუნებული არტემიდა. სანადირო შუბი, კაპარჭი და მშვილდ-ისარი ნიმფებს გადასცა, ტანთ გახადეს, თმა შეუკრეს და ჩვეულებისამებრ, ტყეების ქალღმერთი საბანაოდ მოემზადა. ნიმფები (ნეფალა, გიალა, რაპისი) სავსე ლარნაკებით ღვთაებას წყაროს წყალს ავლებდნენ. აქტეონი გაჩნდა თუ არა მღვიმესთან, ნიფმები მჭიდროდ შემოეკრენ გარს არტემიდას, მაგრამ ღვთაება სიმაღლით გამოირჩეოდა და მისი გაშიშვლებული მხრები ვერ დაუმალეს აქტეონის შეხედვას.

განრისხდა მოკრძალებული ქალღმერთი—მომაკვდავმა იგი გაშიშვლებული დაინახა, სახეზე ალმური აუვიდა, აქტეონს ამაყად შეხედა, ელვის სისწრაფით წყალი ამოხაპა, აქტეონს სახეში შეასხა, თმა დაუსველა და უთხრა: «...Можешь теперь рассказать, что Диану видел без одежды, если рассказывать можешь!—Угрозы другой не прибавив, на голове ставит рога долговечных оленей...[3]» ამის შედეგად აქტეონს თავზე დიდი რქები ამოუვიდა, კისერი დაუგრძელდა, ხელის მტევნები ჩლიქებად ექცა, მთელი სხეული ბალანმა დაუფარა—აქტეონი ირმად გარდაიქცა! მხოლოდ გონება შერჩა ადამიანისა. ირემ-აქტეონმა თავისი ანარეკლი წყაროში დაინახა და თვალთაგან ცრემლმა დაუწყო დენა.

აქტეონი—ირემი მონადირე მეგობრებმა და საკუთარმა ძაღლებმა ველარ იცნეს, დაედევნენ და სასოწარკვეთილებას მიცემული კადმოსის შვილიშვილი, რომელიც შველას ამაოდ ითხოვდა, ნაწილ-ნაწილ დაგლიჯეს!

გემა ყურადღებას იპყრობს დამუშავების განსხვავებული ტექნიკით. გამოხატულება დაზგაზეა ამოკვრილი არაღრმად. აქტეონის ფიგურა შედარებით მაღალი რელიეფით არის გადმოცემული, ედიკულა და ხე მკრთალი რელიეფითაა შესრულებული, ასევე ტყავი და ძაღლები. ყოველი დეტალი მკაფიოდ არის გადმოცემული. წმინდა და ზედმიწევნით ფაქიზი ნახელავია. ნამუშევარს ეტყობა, რომ მჭრელი შესანიშნავი ოსტატი ყოფილა. განსაკუთრებული სიზუსტით დაცული პროპორციები გულმოდგინეთ და დეტალურად არის დამუშავებული. სხეულის სხვადასხვა ნაკვთებზე გადასვლა

---

[1] Acusilaus-ის მიხედვით აქტეონი ზევსის რისხვის შედეგად დაიღუპა, რადგან იგი მას სემელას სიყვარულში შეეცილა.

სხვა ვარიანტის მიხედვით აქტეონი დიანასთან გამოცხადდა და ცოლად შერთვა შესთავაზა იმის გამო, რომ უკეთეს მონადირედ თვლიდა თავს. იხ. Daremberg et Saglio, Dictionnaire des antiquitées grecques et romaines, Actaeon, გვ 52—53.

[2] იხ. Публий Овидий Назон, Превращения (перевод Игнатьевой, Москва, 1874), წიგნი I—VIII, გვ. 70—74).

[3] ოვიდიუსი, გვ. 71.

ფაქიზი და სრულყოფილია (ნახელავს საპრისების კვალი არ ეტყობა). დიდი ოსტატობით არის გადმოცემული თმა და ტყავი. ქვა გამოხატულებითურთ ზედმიწევნით არის გაპრიალებული. გამოხატულება ანაბეჭდზე დაბალ და ძალიან მკაფიო რელიეფს იძლევა.

ინტალიო განსაკუთრებული ტექნიკითაა შესრულებული, სახელდობრ, ბუდის ძირზე „დაფენილია“ ოვალური მოყვანილობის, ნაპირებშეჩრილი, ოქროს თხელი ფირფიტა[1]. ამ ფირფიტის ცენტრალური ნაწილი თავის დროზე ჩაწნეხილი ყოფილა გამოხატულებაში (ამჟამად ფრაგმენტირებულ ფირფიტაზე დარჩენილია ამის კვალი, — აქტეონის თავი და სხეულის ზედა ნაწილი). ინტალიო ბუდეში პირით ძირისკენ იყო ჩასმული; ამონაკვეთით (ინტალიო) ბუდისკენ ჩაბრუნებული და ქვედა-პირით ზევით. გამოხატულება ოქროსფრად გამოსჭვივის გამჭვირვალე ამეთვისტოში და თვალწინ ოქროსფერ რელიეფად წარმოგვიდგება. ამგვარად, ინტალიო საბეჭდავად არ ყოფილა განკუთვნილი და მას მხოლოდ და მხოლოდ სამკაულის დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

ამგვარი ტექნიკით შესრულებული ჭრილა ქვები ჯერჯერობით მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ გლიპტიკურ ძეგლთა შორის გვხვდება; სახელდობრ, ბათუმის მიდამოებში მოპოვებული, მთის ბროლზე ამოჭრილი აგრაფში ჩასმული ინტალიო ლუცი ვერის გამოხატულებით[2], და ოქროს ბუდეში ჩასმული ოქროსფერ ტოპაზიონზე ამოჭრილი ინტალიო ჰელიოსის გამოხატულებით, უსახელოდან[3].


სურ. 24

მითი აქტეონის ირმად გარდაქცევის შესახებ ანტიკური ხანის სახვით ხელოვნების სხვადასხვა ძეგლებზე აისახა[4]. იგი ფართოდ გავრცელდა გლიპტიკურ ძეგლებზედაც — ინტალიოებსა და კამეებზე. იხ. Walters, Catalogue of antique engraved gems and cameos, ტაბ. XXXI, გამ. 3128 (ავტორი გემას ე. წ. ბერძნულ-რომაულ ქვებს აკუთვნებს) ტაბ. XXXVII, გამ. 3555 —(სარდიონ-ფრცხილის კამეის ფრაგმენტი (სურ. 24); Lippold, Gemmen und Kameen des Altertums und der Neuzeit, ტაბ. XXIII, გამ. 4 (სურ. 25). ყველაზე ახლო ანალოგიად Furtwängler-ის[5] მიერ Die Antiken Gemmen-ში გამოცემული გემა უნდა მივიჩნიოთ (სურ. 25). შდრ. ტაბ. XLII, გამ. 20 (არმაზისეულ გემასა და ფურტვენგლერისეულში მცირეოდენი განსხვავებაა, სახელდობრ, ფურტვენგლერის მიერ გამოცემულ გემაზე არტემიდას ქანდაკება ედიკულის გარეშე დგას კლდეზე და არმაზისეულთან შედარებით დიდი ზომისაა. ავტორი გემას ახ. წ. I საუკ. ათარიღებს. ჩვენი აზრით იგი ჩვენი გემის თანადროული უნდა იყოს).

აქტეონის გამოხატულებას ეტრუსკულ სკარაბეებზეც ვხვდებით, მაგ. Osborne, Engraved gems, ტაბ. XII, გამ. 20.

ბეჭედი მუქი ყვითელი ფერის ფურცლოვანი ოქროსაგან არის გაკეთებული (ორი სქელი ფურცლისაგან); დიდი ზომისაა, ღრუ, თავის დროზე პასტით ყოფილა ამოვსებული (ბუდის კედლებზე თეთრი ფერის პასტა არის შერჩენილი); ბეჭედს ელიფსისებრი მოყვანილობა აქვს, მხრებდაქანებულია. განიერი რკალი მკვეთრად ფართოვდება მხრების მიმართულებით და უშუალოდ გადადის

---

[1] იხ. შესავალი, გვ. 22—23.

[2] ინტალიო დაცულია სახელმწიფო ერმიტაჟის ანტიკურ ქვეყნების განყოფილებაში. № Ж. 1431, გამოცემულია Jahrbuch, № 23, Berlin, 1909, Archaelogicher anzeiger, გვ. 163, ნახ. 7.

[3] ინტალიო დაცულია სახელმწიფო ერმიტაჟის ანტიკური ქვეყნების განყოფილებაში № Ж. 1432, გამოცემული აქვს პრიდიკს Кавказские клады. ტაბ. I, გამ. 1 და 2.

[4] სიუჟეტი აისახა: ბერძნულ მოხატულ ვაზებზე, იხ. Vinet-ს სტატია „Actaeon“, Dictionnaire des antiquitées grecques et romaines, გამ. 85; კედლის მხატვრობაში, სახელდობრ, პომპეის კედლის მხატვრობაში. ამავე სტატიაში გამ. 86. სკულპტურაში, იხ. ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ქანდაკება F., Walters, Britich Mus. catalogue of sculpture, გვ. 25.

[5] ფურტვენგლერი აღნიშნავს, რომ იგივე კომპოზიცია მეორდება Satyr aus Pergamon. გვ. 10. იხ. Antiken Gemmen, ტ. II, გვ. 201, აღწ. 20.

ოვალური მოყვანილობის, ღრმა ბუდეში. ბუდე შიგ ბეჭედშია ამოჭრილი, ზედაპირი და ქვედაპირი ცალ-ცალკე, და შემდეგ ერთმანეთთან მირჩილული. გარედან მირჩილვის ადგილი ისეა დამუშავებული, რომ ნაკერავი არ ჩანს (სურ. 26).

ბეჭედს ამობურცული ზედაპირი აქვს (მხრებთან შებრტყელებულია), ბუდის ძირი ოდნავ შედრეკილია. რკალი ბრტყელშიდაპირიანია.



სურ. 25

ბუდის ძირზე დაფენილია ოქროს ფურცლის გვერდებჩაჭრილი თხელი ფირფიტა ოდნავ ჩახვეული ნაპირებით (ამ ფირფიტის ცენტრია გამოხატულებაში ჩაზნექილი). ბეჭდის ქვედაპირისა და ზედაპირის შემაერთებელი წიბო მკვეთრად არის გამოხატული. ოვალური მოყვანილობის ინტალიო ღრმა ბუდეშია ჩასმული; ბუდის ნაპირები ოდნავ არის გადმოკეცილი თვალზე.

ანალოგიური ფორმის ბეჭდები ახ. წ. II საუკუნით თარიღდება. შდრ. Henkel, Die römischen Fingerringe der Rheinlande, გამ. 194.

დაცულობა: კარგად შენახული თვალი ბუდიდან ამოვარდნილია, ინტალიოში ჩაწნეხილი ფირფიტა ქვიდან ავარდნილია და დახეული.

ზომები: ინტალიოს სიგრძე — 18 მმ, ბეჭდის სიმაღლე — 25 მმ,
ინტალიოს განი — 14 მმ, ბეჭდის დიამ.— 17 — 14 მმ,
ინტალიოს სიმაღლე — 4 მმ, რკალის განი — 13 მმ,
ქვედაპირის სიგრძე — 9 მმ, ბუდის სიგრძე — 17 მმ,
ქვედაპირის განი — 6 მმ, ბუდის განი — 13 მმ.

გამოხატულების სტილის მიხედვით ინტალიო რომაული კლასიციზმის ხანით თარიღდება, სახელდობრ, ადრიანეს ეპოქით[1] და ახ. წ. II საუკ. მიეკუთვნება[2]. ამავე დროით (ახ. წ. II საუკ.) თარიღდება თვით ბეჭედიც. ინტალიო აქტეონის ირმად გარდაქცევის გამოხატულებით გვიანანტიკური ხელოვნების სრულყოფილი ძეგლია; რაც შეეხება მის წარმოშობას (თუ სახელდობრ სად იყო მსგავსი ტექნიკით შესრულებული გლიპტიკური ძეგლების წარმოების ცენტრი) ჯერჯერობით გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით და კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ამგვარი ტექნიკით დამუშავებული გემები მხოლოდ ძველ საქართველოს ტერიტორიაზეა მოპოვებული — ორი კოლხეთში, ერთი — იბერიაში.



სურ. 26

ამავე სამარხიდან წარმოსდგება კამეით შემკული ოქროს ბეჭედი № 842 და მანიაკი ამეთვისტოს ვერძის თავით № 844.

14 (ინვ. № 838).

არმაზისხევი, 1940 წლის არქეოლოგიური კამპანია, აკლდამა № 3 (ბერსუმა პიტიახშის სამარხი), საველე № $\frac{ა—40}{III—12}$.

ინტალიო[3] მუქი ფერის პრაზემისა, ოქროს ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა; ოდნავ ამობურცული პირი აქვს.

---

[1] ადრიანეს ეპოქის ძეგლებს ბერძნულ კლასიციზმისადმი მისწრაფება ახასიათებს. ეს ტრადიცია ჩვენს გემაზედაც ჩანს (აქტეონის ატლეტური აღნაგობა: ფართო მხრები, კუნთიანი სხეული, შესანიშნავად გადმოცემული თმა).

[2] გემის სხვადასხვა ძეგლებთან შედარებისას პროფ. მ. მაქსიმოვამ ადრიანეს ეპოქის მითოლოგიურ რელიეფებზე მიმითითა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

[3] ბეჭედი გამოცემულია, იხ. მ. ლორთქიფანიძე, ქვის მჭრელის პლატონის ნახელავი ახ. წ. III საუკუნისა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XVII-ბ, თბ., 1953, გვ. 243 — 250.

ინტალიოს პირზე გამოხატულია ალექსანდრე მაკედონელის ბიუსტი, პროფილში მარცხნივ. ალექსანდრეს ნაღალი, ოდნავ დაქანებული შუბლი აქვს, საკმაოდ განვითარებული კუნთებით წარბებთან; გრძელი და სწორი ცხვირი, მკვეთრად გამოხატული ნესტოებით. ოდნავ გაღებული პირი; მრგვალი, ენერგიული ნიკაპი, მაღალი ყვრიმალის ძვალი; გრძელი ჩამოზრდილი წარბები ნახევარრკალის მოყვანილობისა აქვს. მკვეთრად გამოხატული თვალის ჭუთუთოები ფაქიზი ღარებით, ხოლო ფართოდ გაღებული თვალი გულამოღებული წერტილითაა აღნიშნული. ლამაზი მოყვანილობის მაღალი კისერი კუნთიანი აქვს.

ალექსანდრეს ხვეული თმა აქვს, წმინდა ღარებისგან შედგენილი, ღრმა და ფართო ტალღებითაა გადმოცემული. მოკლე ტალღები სიმეტრიულადაა განლაგებული მთელ თავზე. შუბლის ზედა ნაწილსა და საფეთქელს კულულები უფარავს. ყურს უკან გადაწეული თმის ბოლოები კისერზე ჩაშლია. ლამაზი მოყვანილობის ყური რელიეფურად გამოირჩევა გამოხატულებაზე.

მეფის თავს სადა და ვიწრო დიადემა ამკობს. დიადემა კეფაზე ბაბთებითაა შეკრული, რომლის უკან ჩაშვებული გრძელი ბოლოები ჰაერში ფრიალებს.

ალექსანდრე ქლამიდითაა შემოსილი; წამოსასხამის ღრმა ნაკეცები რბილი ხაზებითაა გადმოცემული. ქლამიდა მარცხენა მხარზე მრგვალი მოყვანილობის აგრაფით არის შეკრული.

გამოხატულების ქვემოთ (ინტალიოს ქვედა ნაწილზე), პირის კიდესთან ამოჭრილია ბერძნული ერთსტრიქონიანი წარწერა — მარჯვნიდან მარცხნივ (ნეგატივური) — ΠΛΑΤωΝ — პლატონ. წარწერა ძალიან წვრილი შრიფტით არის შესრულებული; თავისი ხასიათით იგი ოსტატის ხელმოწერაა[1]. ასოების მოხაზულობის მიხედვით წარწერა ახ. წ. III საუკ. მიეკუთვნება (შდრ. IOSPE, 11, 48).

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, ზედმიწევნით წმინდა და ოსტატური ნახელავია. ყოველი დეტალი ფაქიზად არის დამუშავებული. გამოხატულება არ არის ღრმად ნაკვეთი, ანაბეჭდზე მკაფიო რელიეფს იძლევა. გამოხატულება, სახელდობრ სახე, ზედმიწევნით არის გაპრიალებული და თვალსაჩინოდ გამოირჩევა ნაკლებად გაპრიალებულ ფონზე. ოსტატურად შესრულებული თმა მჭრელს არ გაუპრიალებია.

ΠΛΑΤωΝ

სურ. 27

ალექსანდრეს პორტრეტები ფართოდ გავრცელდა ანტიკური ხანის გლიპტიკურ ძეგლებზეც. ელინისტური დროის გლიპტიკური ძეგლებიდან, იხ. Furtwängler, Die antiken Gemmen, ტაბ. XXXII, გამ. 4; ტაბ. XXXII, გამ. 8, 9; (სურ. 28); Lippold, Gemmen und Kameen des Altertums und der Neuzeit, ტაბ. 70, გამ. 9; ტაბ. 157, გამ. 1; The Encyclopaedia Britanica, 14th ed. v. 10, London — New York, 1929—32. Gems in art. ტაბ. 111, გამ. 20. რომაული დროის გემებიდან: მოსკოვის ისტორიული მუზეუმის გემა, А. А. Захаров, Геммы и античные перстни Гос. Исторического Музея. ტაბ. IX, გამ. 204; (სურ. 28).

შდრ. აგრეთვე მონეტებზე გამოხატულ ალექსანდრეს სახეს იხ. Imhoof — Blümer, Porträtkopfe aus antiken Münzen, Leipzig, 1885, ტაბ I გამ. 1; А.Н. Зограф, Статеры Александра Македонского, Труды античного отдела, Эрмитаж, 1945, ტაბ. 1. საქართველოს მუზეუმში დაცული ლისიმახის ტეტრადრაქმა № 194.



სურ. 28



სურ. 28a

ბეჭედი ღია ყვითელი ფერის ოქროსაგან არის გაკეთებული, მასიურია. სამწახნაგა, ოდნავ შებრტყელებულ და გვერდებისკენ განზიდულ რკალს მკვეთრად გამოხატული მაღალი მხრები აქვს. რკალის შიდაპირი ბრტყელია, გარედან (სიგრძეში) წიბო დაჰყვება რკალი, რომელიც ბუდის მიმართულებით ფართოვდება, ოვალური მოყვანილობის თხელ ფირფიტაში — ბუდის ძირში გადადის; ფირფიტაზე დაბალი ბუდეა დარჩილული. ბუდის ვიწრო და თხელი ნაპირები გემაზეა შემოჭედილი (თვალს მჭიდროდ ეკვრის) სურ. 29.

[1] მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 245—246. აგრეთვე, შესავალი გვ. 23.

მაღალი ჰორიზონტალური მხრებიანი ბეჭდები[1] ახ. წ. III საუკ. თარიღდება. იხ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული ბეჭდების კატალოგი, ტაბ. 2, გამ. 18, 19; Marshall, Catalogue of the finger rings greek, etruscan and roman, ტაბ. XV, გამ. 531, 532.

დაცულობა: პირი ერთგან გაკაწრულია, ბუდის გვერდები ორგან შეჭყლეტილია, ასევე რკალიც.

ზომები: ინტალიოს სიგრძე — 15 მმ, ინტალიოს განი — 12 მმ,
ბეჭდის სიმაღლე — 18 მმ, ბეჭდის დიამ. — 17 — 12 მმ,
ბუდის სიგრძე — 16 მმ, ბუდის განი — 12 მმ.
რკალის სისქე — 4 — 3 მმ,

რომაელი ისტორიკოსის ტრებელიუს პოლიონის (ახ. წ. III ს. ბოლო და IV ს. დასაწყისი) ცნობით ალექსანდრე მაკედონელის პორტრეტები განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა ახ. წ. III საუკ. სხვადასხვა სამკაულებზე[2] — ბეჭდებზე, მანიაკებზე, სამაჯურებზე, თავსამკაულებზე და სხვა. ხალხში რწმენა არსებობდა, რომ ალექსანდრეს სახიანი სამკაული გამარჯვებისა და სიკეთის მომტანია, ამიტომ ზოგი მას ავგაროზის ძალასაც კი ანიჭებდა.



სურ. 29

მჭრელი პლატონის სახელი სხვა გლიპტიკურ ძეგლებზე არსად შეგვხვედრია. მისი სახელი არც უცხო წყაროებშია ცნობილი. ჩვენის აზრით პლატონი ბერძენი მჭრელი უნდა იყოს, რომელსაც რომელიმე ადგილობრივ სახელოსნოში უმუშავნია.

გამოხატულების სტილის (პირობითობა — მხარის გამოხატვაში, სახის ნაკვთების მკვეთრი ხაზებით შესრულება, თმის ცალკეულ ბღუჯებად გადმოცემა), ასოების მოხაზულობისა, ბეჭდის ფორმისა და თანმხლები მასალის[3] მიხედვით ინტალიო ახ. წ. III საუკ. თარიღდება.

პლატონის მიერ შესრულებული ინტალიო რომაული ხანის შესანიშნავი პირია ელინისტური გემიდან.

15 (ინვ. № 826)

მცხეთა, 1951 წელი, აკლდამა № 1, საველე № 18.

ინტალიო მუქი ყავისფერი აქატისა ბაცი სიგრძივი ზოლებით სისქეში. პირის კიდეზე ერთგან მონაცრისფრო, გამჭვირვალე, პატარა ზომის ლაქა აქვს.

ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ქვის თხელი ფენისაგან არის გაკეთებული; პირი ბრტყელი აქვს, ქვედაპირი ოდნავ ამობურცული (მეტნაკლებად). პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი ოდნავ მორგვალებულ კონტურიანია.

პირზე გამოხატულია დელფინი, პროფილში მარჯვნივ; ორად გაშლილი ბოლო თითქოს მოქნეული აქვსო. თავი სხეულისაგან მეტად მკრთალი, ოდნავ შესამჩნევ ჩაღრმავებით არის გამოყოფილი. საერთოდ კი, თავი და ტანი სუმარულადაა გადმოცემული, გაერთიანებული აქვს. სამი ფარფლი ოდნავ შესამჩნევი ხაზით არის აღნიშნული. ორად გაყოფილი ბოლო გაშლილია და შუა ადგილას ჩაჭრილი.

გამოხატულების ირგვლივ მინდვრის საკმაოდ დიდი თავისუფალი არე რჩება. გამოხატულება ანაბეჭდზე მეტად დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა.

გამოხატულების ამოსაჭრელად დაზგაა გამოყენებული; ოსტატს ქვის ძალიან თხელი ფენა აქვს ამოკვეთილი; ძირითადად გამოხატულების კონტური და დელფინის ბოლოა დამუშავებული.

---

[1] საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული ტიპის ბეჭდები საკმაოდ დიდი რაოდენობით არის მოპოვებული. სახელდობრ: არმაზისხევში, სამთავროში, მცხეთაში, ურეკში და ა. შ.

[2] Visconti, Iconographie greeque, Paris, MDCCCXI, გვ. 34 — 35; E. Babelon, La gravure en pierres fines, Paris, 1894, გვ. 127 — 128.

[3] ოქროს მონეტები გოტარზესი (218 — 44), ფილიპე უფროსისა (244 — 49), ტრაიანე დეციუსისა (251 — 59), ჰოსტილიანესი (251); ვერცხლის ჭუსლიანი ჯამი, რაშის გამოხატულებით (შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, თბილისი, 1944, გვ. 120, ტაბ. 29).

ბოლოს ამოსაჭრელად, როგორც ჩანს, მჭრელს ალმასის ნემსი აქვს ნახმარი. ინტალიო დაუმთავრებელია[1]; მხოლოდ პირველადი შავი სამუშაოა ჩატარებული. ამის გამოა, რომ გამოხატულება ერთობ სქემატურად გამოიყურება. გამოხატულება წინასწარ გაპრიალებულ ქვაზეა ამოჭრილი და ამიტომ ნაწილობრივ პრიალებს, დელფინის ბოლო მჭრქალია.

ანალოგიური შინაარსის გემები გავრცელებულია რომაულ გლიპტიკაში. იხ. Imhoof — Blümer und Otto Keller, Tier und Planzenbilder auf Münzen und Gemmen des Klassichen Altertums, Leipzig 1889, ტაბ. XX, გამ. 17; Fossing, Catalogue of antique engraved gems and cameos, Copenhagen, MCMXXIX; ტაბ. XVII, გამ. 1506, 1508, 1509; Walters, Catalogue of antique engraved gems and cameos, ტაბ. XXVIII, გამ. 2500.

დაცულობა: პირის კიდესთან გამოხატულება ერთგან ატკეცილია, პირი სისქეში გაბზარულია, ქვედაპირი ზოგან „დაკენკილია".

ზომები: სიგრძე — 11 მმ, განი — 9 მმ, სიმაღლე — 2 მმ.

გამოხატულების სტილის მიხედვით და ამოჭრის მანერით ინტალიო ახ. წ. I საუკ. თარიღდება. ამავე თარიღს ადასტურებს სამარხში მოპოვებული მონეტები — რომაული აურეუსები: ტიბერიუსისა (14 — 37 ახ. წ.), ნეროსისა (54 — 69 ახ. წ.) და ა. შ.

ბ. ადგილობრივი გემები

იბერიელი ოსტატების ნახელავი

16 (ინვ. № 841)

არმაზისხევი, 1940 წლის არქეოლოგიური კამპანია, სარკოფაგი № 6, საველე № $\frac{ა - 40}{VI - 30}$.

ინტალიო პიროპისა (გრანატი), ოქროს ბეჭედს ამკობს. ინტალიო სწორკუთხედის მოყვანილობისაა, ბრტყელი; ოდნავ დაქანებული წახნაგები აქვს.

პირზე, მთელ სიგრძეზე, ამოჭრილია ერთსტრიქონიანი და ერთსიტყვიანი ბერძნული წარწერა — Z ЄΥΑΧΗС — ზევახი[2]. ზევახი ბეჭდის მფლობელის სახელი უნდა იყოს (სურ. 30).



სურ. 30

წარწერა ქვაზე მარცხნიდან მარჯვნივ არის ამოკვეთილი ისე, რომ პირდაპირ ქვიდან იკითხება. ამდენად, გემა საბეჭდავად არ ყოფილა განკუთვნილი. მას მხოლოდ სამკაულის დანიშნულება ჰქონია (ანაბეჭდზე წარწერა უკუღმა გამოდის — მარჯვნიდან მარცხნივ და არ იკითხება)[3].

წარწერა სწორ ხაზზეა ამოჭრილი და საკმაოდ არათანაბარი ასოებით არის შესრულებული; Z და Y შედარებით სხვა ასოებთან დიდი ზომისაა, Є და A — პატარა ზომისა, X, H და C თანატოლია (სურ. 31).

წარწერა დაზგაზეა ამოჭრილი არაღრმად, მაგრამ მკვეთრად, სუფთა ნახელავია.

ჩანს, თვალი ოსტატს ცოტა უფრო დიდი ზომისა გაუკეთებია შემდეგ, იმისათვის, რომ ბუდისათვის მოერგო, მარჯვენა გვერდი მცირედ ჩამოუკვეთია. გემას ცალი გვერდი მომრგვალებული აქვს და ამის გამო კუთხეები არათანაბარია.

ქვა არ არის გაპრიალებული, მჭრქალია.

ბეჭედი ფურცლოვანი ოქროსაგან არის გაკეთებული. ღრუ, მომრგვალებული რკალი ზევითკენ ფართოვდება და უშუალოდ გადადის სწორკუთხედის მოყვანილობის, ჰორიზონტალურ ბუდეში.

---

[1] აღნიშნული გემის შესახებ იხ. შესავალი გვ. 21—22.

[2] ზევახი № 1 აკლდამაში მოპოვებული გრანატის გემიან ბალთაზეც არის მოხსენიებული.

[3] შესავალი, გვ. 24.

ღრმა ბუდე შიგ ბეჭედშია ამოჭრილი. ბუდეს შედარებით მაღალი ხაპირი ჰქონია (ამჟამად მხოლოდ ცალი გვერდია დარჩენილი), რომელიც თვალზე ყოფილა შემოჭედილი (სურ. 32).

მსგავსი ფორმის ბეჭდები ახ. წ. I საუკ. თარიღდება, იხ. Henkel, Die romischen Fingerringe der Rheinlande, ტაბ. X, გამ. 190; ტაბ. VIII, გამ. 150, 150a, 150b.

დაცულობა: თვალი ბუდიდან ამოვარდნილია, ინტალიო ერთგან სისქეში გაბზარულია. ხანგრძლივი ტარების შედეგად თვალი გადახეხილია. რკალი ორგან გახეულია, ბეჭედი აქა-იქ დაჟყლეტილია, ბუდეს ნაპირები შემოკბილული აქვს.



სურ. 31

ზომები: ინტალიოს სიგრძე — 9 მმ,
ინტალიოს განი — 4 მმ,
ინტალ. დაახლ. სიმაღ. — 2 მმ,
ბუდის სიგრძე — 10 მმ,
ბუდის განი — 5 მმ,
ბეჭდის სიმაღლე — 22 მმ,
ბეჭდის დიამ. — 15 — 17 მმ,
რკალ. უდ. განი — 6 მმ,
„ უმც. განი — 4 მმ.

ინტალიო ადგილობრივი ოსტატის მიერ უნდა იყოს ამოჭრილი. წარწერა თავისი ხასიათით პიტიახშთა სამაროვანის წარწერიან გემებს ჰგავს (შდრ. ასპავრუკის საბეჭდავ ბეჭდისა და კარპაკისეულ გემის წარწერას).



სურ. 32

ინტალიო ბეჭდის ფორმის მიხედვით ახ. წ. I საუკ. თარიღდება. ამავე სამარხიდან არის გემიანი ბეჭდები №№ 839 და 840.

17 (ინვ. № 834).

არმაზისხევი, 1940 წლის არქეოლოგიური კამპანია, აკლდამა № 1, ასპავრუკ ერისთავის სამარხი. საველე № $\frac{ა—40}{1—4დ}$.

ინტალიო მუქი ფერის პიროპისა (გრანატი), თვლებით მოყვითალო ოქროს ბალთას ამკობს[1]. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა; ამობურცული პირი აქვს, ამოღრმავებული ქვედაპირი.

პირზე ამოჭრილია წყვილი პორტრეტის გამოხატულება — წვერიანი მამაკაცისა და ქალის ბიუსტები, ერთმანეთის პირდაპირ, პროფილში. მამაკაცი პროფილში მარჯვნივ არის მიბრუნებული, ქალი — პროფილში მარცხნივ.

მამაკაცს თმა რომაულ მოდაზე აქვს დავარცხნილი. ოდნავ დატეხილი თმა ისე აქვს ჩამოვარცხნილი, რომ შუბლს თითქმის მთლიანად, ხოლო ყურს ნაწილობრივად უფარავს. ცალკეულ ბღუჯებად გადმოცემული თმის გრძელი და სწორი ბოლოები კისრამდე წვდება. თმა თავზე სამ წყებად არის განლაგებული: ერთი წყება საქოჩრეზე ძვლის ირგვლივ, მეორე — კეფასა და შუბლზე, მესამე — კეფის ქვემოთ.

მოკლე წვერი წმინდა ღარებითაა შესრულებული. წვერი და თმის ნაწილი საფეთქლებთან ერთდება; საკმაოდ გრძელი ულვაშები ძირს აქვს დაშვებული.

მამაკაცს დახვეწილი სახის ნაკვთები აქვს. ოდნავ წინ წამოწეული ქვედა ტუჩი მკაფიოდაა გამოხატული. წვერს ქვემოდან ენერგიული ნიკაპი ეტყობა; გრძელი, დაბალკეხიანი ცხვირი, საკმაოდ ლამაზი მოყვანილობისა აქვს, მკვეთრად გამოხატული ნესტოებით. დიდი ზომის, ფართოდ გაღებული თვალი თითქმის მრგვალია. მამაკაცი წინ იყურება. ფაქიზი ღარებით შესრულებული თვალის უპეები მკვეთრად ჩანს. გრძელი, ნახევარრკალის მოყვანილობის წარბი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, დაბალი, ე. ი. თვალთან ახლო მდებარე წარბი თვალის კილომდე წვდება.

მამაკაცი გრძელსახიანია; მას მაღალი, ლამაზი მოყვანილობის კისერი აქვს. იგი ტუნიკითა და ქლამიდითაა შემოსილი. წამოსასხამი მარჯვენა მხარზე მრგვალი მოყვანილობის აგრაფით არის შეკრული. წამოსასხამს ქვემოთ, მკერდზე, ტუნიკის ნაწიბური ჩანს. სამოსის ქვემოდ — ფართო

[1] სამარხის იატაკზე ნაპოვნი იყო ფერადი თვლებით შემკული 9 ოქროს ბალთა. ეს ბალთები ასპავრუკის ქამარს ამკობდა. ამათგან 3 ბალთა თვალგემიანია. იხ. №№ 835, 836, 837.

გულ-მკერდი ეტყობა. მარჯვენა მხარი პირობითად არის გადმოცემული. ქსოვილის ნაოჭები სქემატურადაა შესრულებული.

მანდილოსნის პორტრეტი არ გამოირჩევა განსაკუთრებული სილამაზით; ამასთანავე მას სირბილეს მოკლებული მკვეთრი სახის ნაკვთები აქვს.

მანდილოსანს დაბალი შუბლი აქვს, სწორი, დიდი ზომის ცხვირი, მკვეთრად გამოხატული ნესტოებით; საკმაოდ სქელი ტუჩები, მოკლე, წინ წამოწეული ნიკაპი; პირისახე გრძელი მოყვანილობისა აქვს. მოზრდილი თვალი ოდნავ ამობურცულია, მოკლე და დაბალი წარბი მკრთალად არის აღნიშნული. ყური საკმაოდ მკვეთრადაა გამოხატული. მანდილოსანს რომაული თმის ვარცხნილობა აქვს. სქემატურად გადმოცემული თმა (ჰორიზონტალურ — პარალელური ხაზებით) თითქმის მთლიანად უფარავს შუბლს. დაწნული თმა ზევით აქვს ავარცხნილი. სქელი ნაწნავი გვირგვინივით ადევს თავის ირგვლივ, საქოჩრეზე. ხანგამოშვებით სამი ხაზით არის გაყოფილი, რომელიც კეფაზე თმაშია ჩაწნული (შუბლზე, საფეთქელზე და ყურის გასწვრივ). მანდილოსანს რამდენიმე პაწია კულული კეფასთან კისერზე ჩამოშლია.

მანდილოსანი ტუნიკითა და ქლამიდით არის შემოსილი. ძალიან მაღალ კისერს მანიაკი უმკობს; გულმკერდს (ტანსაცმლის ნაოჭებს შორის ჩანს) ისრისებრი მოყვანილობის რაღაც სამკაული უმშვენებს; ქსოვილი ღრმა ღარებით, მაგრამ საკმაოდ სქემატურად არის გადმოცემული. მარცხენა მხარი პირობითად არის შესრულებული, თითქოს წაკვეთილიაო.



სურ. 33

სქემატურად შესრულებულ გამოხატულებას პირის კიდესთან, გარს უვლის ბერძნული ერთსტრიქონიანი წარწერა. წარწერის ნაწილი წაღმაა ამოჭრილი, ნაწილი უკუღმა.

ქალის პორტრეტის გასწვრივ, ნახევარრკალად, მარჯვნიდან მარცხნივ, ამოჭრილია სახელი — KAPIIAK — კარპაკ (წარწერა იწყება მამაკაცის გულმკერდის გასწვრივ და ქალის კეფის გასწვრივ თავდება). მამაკაცის პორტრეტის გასწვრივ ამოჭრილია (ანაბეჭდზე მარცხნიდან მარჯვნივ, ხოლო ქვაზე მარჯვნიდან მარცხნივ)—ZƐYAXHC—ზევახი. წარწერა იწყება მამაკაცის მხარის გასწვრივ და თავდება თავის გასწვრივ. ასევეთივე პრინციპით, პორტრეტების თავებს შორის, ზემოთ, ასევე პირის კიდესთან — ZOH MOY—ზოე მუ. წარწერა ამგვარად იკითხება: Καρπάκ, Ζενάχης ζωὴ—μου კარპაკი, ზევახი, ჩემი სიცოცხლე[1] (სურ. 34).



სურ. 34

წარწერა დიდი ასოებით არის შესრულებული, საკმაოდ ღრმადაა ნაკვეთი; თავისი ხასიათით იგი გამოხატული პიროვნების სახელების აღმნიშვნელია, როგორც ჩანს საგანგებო შეკვეთით ამოკვეთილი.

ამრიგად, ინტალიოზე გარკვეული პიროვნების პორტრეტებია ამოკვეთილი კარპაკისა და ზევახის. ვარაუდობენ, რომ კარპაკი და ზევახი მეუღლენი არიან[2].

კარპაკს თმისვარცხნილობა ფაუსტინა უფროსის მიერ შემოღებული მოდის ყაიდაზე აქვს გაკეთებული[3]. შდრ. Bernouilli, Romische Iconographie, II, Berlin, 1891, ტაბ. XLVI. აგრეთვე შდრ. რიხტერის კატალოგში გამოცემული ქალცედონზე ამოჭრილი ქალის პორტრეტი ფაუსტინა უფროსის

[1] ს. ყაუხჩიშვილი, არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები (ავტორი ეპიგრაფიკული მონაცემების საფუძველზე წარწერას II—III სს. ათარიღებს).

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბილისი, 1951., გვ. 445.

[3] ფაუსტინა უფროსის მონეტები, შდრ. თმის ვარცხნილობას (სურ. 36). საქ. მუზ. ნუმიზმატ. კაბ. განძების ფონდი № 9188

თმისვარცხნილობით[1], ტაბ. 75. გამ. 403, (სურ. 35); აგრეთვე Fossing, Catalogue of antique engraved gems, Phihadelphia, MCMXXIX, ტაბ. XX, გამ. 1789.

როგორც აღნიშნული იყო, ზევახსაც რომაულ მოდაზე აქვს თმა დავარცხნილი, სახელდობრ, ადრიანეს მსგავსად, შდრ. ადრიანეს თმისვარცხნილობას[2]; იხ.Walters, Catalogue of engraved gems and cameos, ტაბ. XXV, გამ. 1998.



სურ. 35

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი არაღრმად, იგი ბრტყლადაა ნაკვეთი. პორტრეტების გამოხატვისას ოსტატს ქვის ძალიან თხელი ფენა ამოუკვეთია; ამას გარდა გამოხატულება ძირითადად ხაზებისგან არის შედგენილი (რაც მას გარკვეულად თავისებურ იერს აძლევს) და ამის გამო იგი მეტად სქემატურად გამოიყურება.

გამოხატულება ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა. წმინდა და ფაქიზი ნახელავია.

განსაკუთრებული სიფაქიზით არის დამუშავებული მამაკაცის პორტრეტი. ქვა ძალიან კარგად არის გაპრიალებული ზედაპირსა და ქვედაპირზეც. ოსტატს გამოხატულება მკრჩალად გაუპრიალებია, წარწერა გაუპრიალებელი დაუტოვებია. ქვა კარგად არის გათლილი.

რომაულ გლიპტიკაში წყვილი პორტრეტის გამოხატულება II—III სს ვრცელდება. იხ. Walters, Catalogue of engraved gems and cameos, ტაბ. XXV, გამ. 2023[3] (ავტორი გემას ახ. წ. III საუკ. დასაწყისით ათარიღებს); Furtwängler, Die Antiken Gemmen, ტაბ. X LVIII, გამ. 29 (ავტორი გემას ადრიანეს ეპოქით ათარიღებს) და 33 (ავტორი გემას ელაგაბალის დროით ათარიღებს); Richter, Catalogue of engraved gems, ტაბ. 80, გამ. 394. (ავტორი გემას ახ. წ. III საუკ. ათარიღებს).



სურ. 36

ოთხკუთხა ბალთა, მუქი ყვითელი ფერის (ადგილ-ადგილ მოწითალო ფერი გადაჰკრავს), საკმაოდ სქელი ოქროს ფურცლისაგან არის გაკეთებული; სადა ზურგი აქვს, პირი — ორნამენტირებული და თვლებით მოოჭვილი.

ბალთის ნაპირს გარს უვლის საკმაოდ წკრილი, დაწნული მავთულისაგან გაკეთებული 3 მმ სიგანის, „ზონარი“—წნული. წნული ნაპირზეა დარჩილული. კუთხეებთან, ბალთაზე, დარჩილულია ოვალური მოყვანილობის (ცალ მხარეს შევიწროებულ ოვალს წარმოადგენს) ბუდეები. ბუდეებს ასეთივე მოყვანილობის პიროპის (გრანატი) თვლები ამკობს. ბუდეები. დიდ-პატარაა, სხვადასხვა სიგანისა; ყველა გრანატის თვალი მეტ-ნაკლებად ამობურცულია. გრანატები ბუდეებში მჭიდროდაა ჩასმული.

ბუდეებს შორის მოთავსებულ არეს წმინდა მარცვლებისაგან შედგენილი S-სებრი მოყვანილობის სპირალი ამკობს. ყოველ სპირალს თავსა და ბოლოში ოთხ-ოთხი ოქროს მარცვლისაგან შედგენილი პირამიდა აქვს დარჩილული (ზოგან მარცვლები აკლია: ორგან, თითო, ხოლო ერთ სპირალთან თითოლაა შერჩენილი).

---

[1] Catalogue of engraved gems.

[2] შდრ. ადრიანეს მონეტებს.

[3] ავტორი მამაკაცს სეპტიმი სევერს ამსგავსებს, მანდილოსანს პლაუტილას.

ბალთის ცენტრში დაბალი, ოვალური მოყვანილობის გრანატის გემიანი ბუდეა დარჩილული. ბუდის ძირს გარს უვლის მომსხო გავარსის წყება. მარცვლები იმდენად ახლო-ახლო არის ერთმანეთთან მირჩილული, რომ ერთი მთლიანი მავთულის შთაბეჭდილებას ტოვებს (სურ. 37).



სურ. 37

ბალთას ზურგზე, ბუდეების გასწვრივ, რკინის ხუთი სამსჭვალი ჰქონია მიმაგრებული (ოთხი — კუთხეებში და ერთი ცენტრში). ბალთაში (ე. ი. ოქროს ფირფიტაში) გაკეთებულია ნახვრეტები, რომელშიც აღნიშნული სამსჭვალები არის ჩამაგრებული (ამჟამად სამი სამსჭვალი გადატეხილია, ძირიღა აქვს შერჩენილი, ერთი ცენტრში და ორი კუთხეებში). როგორც ჩანს, ბალთა ამ სამსჭვალებით მაგრდებოდა ქამარზე.

თვალგემიანი ბუდის ნაპირები არ არის შემოჭედილი თვალზე.

ბალთა სუფთა და კარგი ნაკეთებია. ნაჭედია. იგი ძალიან ჰგავს № ა—40 / 1—43 ბალთას შემკულობის ხასიათით, მაგრამ ბევრად უფრო ფაქიზი ნახელავია.

საქართველოში გემებით შემკული მსგავსი ქამრის ბალთების მოპოვების შემთხვევა სხვაც არის ცნობილი, სახელდობრ, იხ. პრიდიკის Кавказские клады, I ტ. 1, 2; 11, 15, 15а.

დაცულობა; ინტალიო ბუდიდან ამოვარდნილია; ნაპირები შემომტვრეული აქვს.

გემიან ბუდეს ნაპირები დაჭყლეტილი აქვს, ბალთა ოდნავ დეფორმირებულია. ბალთის კუთხეებში მოთავსებული სამი გრანატი დაზიანებულია. ერთი გატეხილი და ნაკლულია, მეორე — სიგანეზეა გაბზარული, მესამე—სიგრძეზე; სამი სამსჭვალი მოტეხილი აქვს.

ზომები: ინტალიოს სიგრძე — 21 მმ,
ინტალიოს სიმაღლე — 3 მმ,
ინტალიოს განი — 18 მმ,
თვალგემიანი ბუდის სიგრძე — 22 მმ,
ოვალური ბუდის სიგრძე — 13 მმ,
გავარსით განი — 9 მმ,
წნული მავთულის განი — 2,5 მმ.

ბალთის სიგრძე — 44 მმ,
ბალთის განი — 38 მმ,
დაახლოებით სიმაღლე — 5 — 6 მმ,
თვალგემიანი ბუდის განი — 19 მმ,
სპირალის სიგრძე — 14 მმ,
განი — 2 მმ,
შერჩენილი სამსჭვალების სიგრძე — 5 მმ, განი — 2 — 1 მმ.

სტილისტურად და შესრულების მხრივ აღწერილი გემა თვალსაჩინოდ განსხვავდება არმაზისხევის ნეკროპოლის რომაულად მიჩნეულ გემებისაგან. ოსტატს მთელი ყურადღება გამახვილებული აქვს გამოხატულების გრაფიკულ მხარეზე; მთელი გამოხატულება ოდნავ ჩაღრმავებული სიბრტყეებითა და ხაზებით აქვს შესრულებული.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს წარწერის ამოჭრის მანერა. წარწერის ნაწილი წაღმაა ამოჭრილი, ნაწილი უკუღმა; ეს ჩვენი გემის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს[1].

კარპაკისა და ზევახის თმის ვარცხნილობის მიხედვით ინტალიო ახ. წ. II საუკ. უნდა დათარიღდეს[2].

ამავე სამარხში არის მოპოვებული ასპავრუკ ერისთავის საბეჭდავი ბეჭედი № 837, ოქროს გემიანი ბალთა ფორტუნა-ეიზიდას გამოხატულებით № 836, კამეით შემკული ოქროს ბალთა მენადას გამოხატულებით № 835.

---

[1] პროფ. მ. მაქსიმოვა აღნიშნავს, რომ მსგავსი რამ ბერძნულ ერისტრიქონიან წარწერებში არ გვხვდება იხ. შესავალი გვ. 21.

[2] Pauly - Wissowa, Realenciclopedie, Haartracht.

[3] სამარხში მოპოვებული მონეტები: აურელიუსები — ტიტუს ვესპასიანესი, ტრაიანესი, ადრიანესი; დენარი ავგუსტისა.

არმაზისხევი, 1940 წლის არქეოლოგიური კამპანია, აკლდამა № 1, საველე № $\frac{ა—40}{1—8}$ [1].

ინტალიო წითელი ფერის ნახევრად გამჭვირვალე სარდიონისა, ოქროს ბეჭედს ამკობს.

ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, შეუმჩნეველად ამობურცული პირი აქვს.

პირზე გამოხატულია ასპავრუკ ერისთავის პორტრეტი, მკერდამდე, პროფილში მარჯვნივ; იგი ხანში შესული მამაკაცია, გამხდარი პირისახით.

გამოსახული პიროვნება რომ ერისთავია, ამაზე პორტრეტის ირგვლივ ამოკვეთილი წარწერა მიგვითითებს (იხ. შესავალი, გვ. 18, 24).

ასპავრუკს ძალიან დამახასიათებელი, მკვეთრი სახის ნაკვთები აქვს: წინ წამოწეული კუნთიანი შუბლი, დიდი ზომის მაღალკეხიანი და წაწვეტებული ცხვირი, ფართო ნესტოებით. ასპავრუკს წინ წამოწეული ენერგიული ნიკაპი აქვს, მაღალი ყვრიმალის ძვალი. პიტიახშის ფართო შუბლს მოკლედ შეჭრილი, ხშირი, მარჯვენა გვერდზე გადმოვარცხნილი თმა უფარავს; საკმაოდ სქემატურად გადმოცემული თმის ბოლოები კეფამდე წვდება. ცალკეულ ბღუჯებად დანაწევრებული თმა ტალღებადაა დატეხილი; ყურის ზედა ნაწილი თმით აქვს დაფარული, მხოლოდ ბიბილო უჩანს.

ასპავრუკს წვერ-ულვაში აქვს; ბოლოში ძალიან გაწვრილებული გრძელი წვერი (რომელიც ერთ სიბრტყეშია გადმოცემული) მკერდამდე წვდება, ღაწვებს უფარავს და თმასთან არის შეზრდილი. სქელი ულვაშები ძირსა აქვს დაშვებული. ფართოდ გაღებული დიდი თვალი ღრმად არის უპეში მოთავსებული. ერისთავი წინ იყურება; გრძელი და სქელი წარბი თვალზე თითქმის გადმოსულა. პირის კუთხეები ქვევით აქვს დაწეული.



სურ. 33

ასპავრუკს ლამაზი მოყვანილობის მაღალი კისერი აქვს, კუნთიანი სხეული; სამოსი არ აცვია. შედარებით ვიწრო მხარი საკმაოდ მკვეთრად არის გამოხატული. მკერდზე ძუძუსთავი წერტილითაა აღნიშნული. ერისთავის გულ-მკერდი და მხარი ერთმანეთისგან მკვეთრად გამოყოფილი სამი სიბრტყით არის გადმოცემული (იგივე მაგალითს ვხვდებით № 833 ინტალიოზე).

ასპავრუკის გამოხატულების ირგვლივ, პირის კიდესთან, ამოჭრილია ბერძნული ერთსტრიქონიანი წარწერა; ასპავრუკის სახის წინ, მარცხნიდან მარჯვნივ, ამოჭრილია —ΑCΠΑΥΡΟΥ—გულ-მკერდის გასწვრივ —ΚΙC.

თავს უკან, მხრიდან მოყოლებული საჭოჩრემდე—ΠΙΤΙΑΞΗ—(სურ. 38). კეფასთან Τ და Ι შორის, ქვემოთ C. ეს ასო „C“ მჭრელს იმიტომ მოუთავსებია მეორე სტრიქონში, რომ, როგორც ჩანს, მისთვის ადგილი აღარ დარჩა პირის ზედა არეზე (სურ. 39).

ერთიანად წარწერა ასე იკითხება: —ΑCΠΑΥΡΟΥΚΙC ΠΙΤΙΑΞC—'Ασπαυρούκις πιτιάξης „ასპავრუკი პიტიახში“ [2].

წარწერა დიდი ზომის არათანაბარი ასოებით არის შესრულებული; მანძილი ასოებსა და ინტალიოს პირის შორის სხვადასხვაა. წარწერა თითქმის მთლიანად ფარავს ფონს და თვალსაჩინოა. კომპოზიციურად იგი არც თუ მაინცადამაინც კარგად არის დაკავშირებული გამოხატულებასთან. წარწერა გამოხატული პიროვნების სახელსა და თანამდებობას აღნიშნავს. ამდენად, ინტალიო ასპავრუკის უფლებრივი და საკუთარი ბეჭედია.[3]

---

[1] ასპავრუკ ერისთავის სამარხი. აკლდამა რკინის გამირებით ყოფილა შეკრული. აკლდამის იატაკი ფილაქვებისაგან იყო გაკეთებული.

[2] ასპავრუკ ერისთავის საბეჭდავის წარწერა გამოცემული აქვს თ. ყაუხჩიშვილს. იხ. ბერძნული წარწერები საქართველოში, თბილისი, 1951, გვ. 261 — 262.

[3] ანტიკურ გლიპტიკაში ხშირად ვხვდებით ბეჭდის მფლობელის სახელიან საბეჭდავებს. საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ ძეგლთაგან იხ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, ტაბ. III, გამ. 27 „ΚΟΥΑΚ“. იხ. აგრეთვე Walters, Catalogue of gems, 2161 „ΚΛΑΥΔΙΟΥ ΠΡΟΚΛΟΥ“.

ასოების მოხაზულობის მიხედვით წარწერა ახ. წ. II საუკ. თარიღდება. შდრ, IOSPE, II, № 27 (დამათარიღებელ ელემენტად „K“ ჩაითვლება).

ასპავრუკ ერისთავის საბეჭდავზე მოთავსებული წარწერა თავისი ხასიათით ძალიან ახლოა „კარპაკისეულ“ და „კოვაკისეულ“ გემების წარწერებთან[1].

ოსტატს ინტალიოდ სარდიონის თხელი ფენა აუღია. გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, მკვეთრად, წმინდა და გულმოდგინე ნახელავია. იგრძნობა ოსტატის მტკიცე ხელი. საჭრისები



სურ. 39

გაბედულად არის ნახმარი ცალკეული დეტალების დამუშავებისას. პორტრეტი რეალისტურადაა შესრულებული. ნახელავი გარკვეულად თავისებურ ხასიათს ატარებს; სახე არათანაბარი რელიეფით არის გადმოცემული, ადგილ-ადგილ (შუბლი, ლოყა) მკვეთრადაა ჩაღრმავებული, თვალი შედარებით მაღალი რელიეფით არის შესრულებული, სახის ნაკვთებს შორის თითქოს რაღაც ზღვარია დადებული. ინტალიოზე მოთავსებული წარწერის ამოჭრისას ოსტატს ასოების ზომის სიზუსტე არ დაუცავს, მათ შორის მცირეოდენი სხვაობაა. როგორც ჩანს, ოსტატს წარწერისათვის ადგილი წინასწარ ზუსტად ვერ გამოუანგარიშებია, შემდეგ კი ასოების მოთავსება გასჭირვებია.

ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალებული. გამოხატულება ადგილ-ადგილ, სახელდობრ, წვერი, თმა და შუბლი მკრთალია.

გამოხატულება ანაბეჭდზე საკმაოდ მაღალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა.

ბეჭედი მუქი ყვითელი ფერის ოქროსაგან არის გაკეთებული. დიდი ზომისაა. სამწახნაგა ვიწრო რკალი მხრებისკენ მკვეთრად ფართოვდება და დაბალ, ოვალური მოყვანილობის ბუდეში გადადის; ბეჭედს მკრთალად გამოხატული პატარა ზომის ჰორიზონტალური მხრები აქვს (სურ. 40).

ამ ფორმის ბეჭდებს გარდამავალ ტიპად მივიჩნევთ ახ. წ. II საუკუნიდან III საუკუნეში (სადა ბეჭდებიდან მკვეთრად გამოხატული ჰორიზონტალურ მხრებიანში), იმ განსხვავებით, რომ ბუდე აქ ჯერ კიდევ ბეჭდის უშუალო ნაწილს შეადგენს ბუდის ნაპირს შიდა მხრიდან მირჩილული აქვს ვიწრო ფირფიტა. ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს თვით ბუდის ნაპირია ჩაკეცილი; რკალს ამობურცული შიდაპირი აქვს, ბუდეს — ფართო და საკმაოდ ბრტყელი ძირი, მომრგვალებული ნაპირებით. ბეჭდის ღრუ რკალი პასტით უნდა იყოს ამოვსებული.



სურ. 40

მსგავსი ფორმის ბეჭდები ახ. წ. II საუკ. თარიღდება. იხ. Henkel, Die römischen Fingerringe der Rheinlande, ტაბ. XIX გამ. 194; Marshall, Catalogue of the finger rings greek, etruscan and roman, ტაბ. V. გამ. 187.

ჩვენი ბეჭედი ახ. წ. II საუკ. ბოლო წლებითა და III საუკ. დასაწყისით უნდა დავათარიღოთ იმის გამო, რომ მას „სამხრეები“ ეტყობა. შდრ. ამავე კატალოგის № 839 ბეჭედს.

---

[1] პროფ. მ. მაქსიმოვამ შემდეგ გარემოებაზე მიმითითა: ანტიკურ ქვებზე, სიტყვის მარცვლებად დანაწევრებისას ერთი რომელიმე ასოს გადატანა ცალკე, როგორც ეს ასპავრუკის საბეჭდავზეა „C“-ს მიმართ, ანდა ერთი სიტყვის პოზიტიურად, ხოლო მეორის ნეგატიურად ამოკვეთა გამორიცხულია.

ზემოხსენებული შენიშვნიდან გამომდინარე ჩვენ ვასკვნით, რომ ასპავრუკ ერისთავის საბეჭდავზე მოთავსებული წარწერა, ისევე როგორც მისი ბალთის გემის (№ 834) წარწერა არაბერძნული ხასიათისაა.

დაცულობა: თვალი ძალზე დაზიანებულია — დამტვრეული და შეწებებულია (ქვა ხუთად არის გატეხილი პატარ-პატარა ნაწილებად, თითქოს ანატკეცია, შუბლის გასწვრივ, ტუჩების გასწვრივ, და ორგან სახის წინ; PO შორის და YP შორის; აგრეთვე, გულმკერდისა და წვერის არეში ნაპირს წვდება). თვალი რამდენიმე ადგილას დაბზარულია; ბზარები საკმაოდ ღრმად არის წასული, ჰკვეთს მთელ გულმკერდს და ეხება წარწერას —П-მდე მიდის (ზურგს უკან —ПТІАΞНС— პირველ ასომდე). ადგილ-ადგილ პირი ატკეცილია—წარწერასთან (ACHAY...) YP შორის—ისე, რომ ასოები დაზიანებულია; პირი ქვედა კიდესთან ჩამოტეხილი აქვს (KIC — ბოლო, ჩამოტეხილია), ასევე ზედა ნაწილიც ერისთავის საქოჩრის გასწვრივ

თვალი ბუდიდან ამოვარდნილია და შემდეგ არის ჩაწებებული.

ზომები: ინტალიოს სიგრძე — 21 მმ, ინტალიოს განი — 17 მმ,
ბეჭდის სიმაღლე — 21 მმ, ბეჭდ. დიამეტრი — 17 — 16 მმ,
ბუდის სიგრძე — 23 მმ, ბუდის განი — 12 მმ, სიმაღლე — 3 მმ,
რკალის უდ. განი — 10 მმ, რკალის უმც. განი — 3 მმ.

წარწერის თავისებურება, სახელდობრ, მისი არაბერძნული ხასიათი (იხ. შესავალი გვ. 21) გამოხატულების სტილი და ამოჭრის მანერის (საკმაოდ მაღალი და ამავე დროს ბრტყელი რელიეფი, ერთ სიბრტყეზე მოთავსებული გულ-მკერდისა და მხრების მკვეთრი დანაწევრება სამ ნაწილად, ბღუჯებად დაყოფილი თმის სქემატურად გადმოცემა, ნაკვთები სკულპტურულად დამუშავებული არ არის რაც თანადროულ, ანტიკურ პორტრეტებს არ ახასიათებს), აგრეთვე გემაზე გამოხატული, იბერიის ერთ-ერთი პიტიახშის პორტრეტის საფუძველზე ინტალიოს ადგილობრივი ოსტატის ნახელავად მივიჩნევთ და ბეჭდის ფორმის მიხედვით ახ. წ. II საუკ. ბოლო წლებითა და ახ. წ. III საუკუნის დასაწყისით ვათარიღებთ. ამგვარ დათარიღებას ადასტურებს სამარხში მოპოვებული გემებით შემკული სამკაულები №№ 834, 835, 836.

19 (ინვ. № 832).

არმაზისხევი, 1940 წლის არქეოლოგიური კამპანია, აკლდამა № 2, საველე № $\frac{\text{ა}-40}{11-15}$.

ინტალიო მუქი მწვანე ფერის პრაზემისა, ოქროს სამაჯურს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ოდნავ ამობურცული პირი აქვს.

პირზე გამოხატულია ათენა-პალადა, ტახტზე ჩამომჯდარი. თავი და ფეხები პროფილში მარჯვნივ არის მოცემული, სხეულის ზედა ნაწილი — პირდაპირ. ღვთაება საომარი ტანსაცმელით არის შემოსილი, თავზე კორინთული მუზარადი ახურავს. მუზარადს ბაბთები ამკობს, რომლის ბოლოები ჰაერში ფრიალებს. უსახელო კვართს ზევიდან აბჯარი აცვია; აბჯარი გულ-მკერდს უფარავს. სადა და უნაოჭო კვართი გულ-მკერდთან ვიწრო სარტყელით არის გადაჭერილი. თეძოებსა და ნაწილობრივ ფეხებზე ღვთაებას ქლამიდა აქვს შემოხვეული. წამოსასხამის ბოლო ძირსაა ჩაშვებული. ქსოვილის ნაკეცები მეტად სქემატურად არის შესრულებული — სწორი და ხშირი ხაზებით, ამიტომ იგი მოუხეშავ შთაბეჭდილებას ტოვებს. ათენას მაღალყელიანი ფეხსაცმელი აცვია.

ღვთაებას პატარა თავი აქვს. სწორი, შუბლთან გაერთიანებული ცხვირი; მკვეთრად გამოხატული პირი, ოდნავ წინ წამოწეული ნიკაპი. ფართოდ გაღებული თვალი მოკლე ხაზითაა აღნიშნული. გრძელი, ჩახვეული თმა მხრებამდე წვდება; მაღალი, ლამაზი მოყვანილობის კისერი აქვს.

იდაყვში მოხრილ მარჯვენა ხელში ათენას გრძელი შუბი უჭირავს, რომლის ტარი ფეხის წვივებთან ჩანს. ღვთაება, ამავე ხელით ტახტზე შედგმულ ფარს ეყრდნობა. ფარი მრგვალი მოყვანილობისაა, ამობურცული ზედაპირით, ნაპირზე რელიეფური ზოლი ავლია. პირდაპირ გამოხატულ ფარს ცენტრალური ადგილი უჭირავს, ფარი იმდენად დიდია, რომ ქალღმერთს ტახტის კუთხეღა დარჩენია ჩამოსაჯდომად.

ათენას წინ, ფეხთით, დაბალი და დამუხლულ ძირიანი სამსხვერპლო დგას. სამსხვერპლოზე ცეცხლი ანთია; ალის ენები მოკლე ხაზებითაა გადმოცემული.

ათენას სამსხვერპლოს მიმართულებით გაწვდილ მარცხენა ხელში ფიალა—პატერა (patera) უჭირავს; ლიბაციას ასრულებს.

ჭალღმერთს ფეხი-ფეხზე ისე აქვს შემოდებული, რომ მარცხენა მუხლი მარჯვენაზე უფრო მაღლაა მოთავსებული (მარცხენა ფეხის ტერფი არ ჩანს).

ტახტს, რომელზედაც ღვთაება ზის, ყანწისებური მოყვანილობა აქვს, მძიმეა; ცალი გვერდი (ზურგის მხარე) ირიბი, მოკლე-მოკლე რელიეფური ზოლებითაა შემკული (დასერილი). ნაპირს, ზედა ნაწილში, ორი პარალელური რელიეფური ზოლი ავლია. ტახტის ფეხი ლომის ან რომელიმე სხვა მხეცის თათს გამოხატავს.



სურ. 41

ნიადაგის აღმნიშვნელი გრძელი ზოლი მკვეთრი ღარით არის გადმოცემული.

ათენას გრძელი ხელ-ფეხი აქვს, კუთხოვანი ფორმებით. მთელი სხეული უსიცოცხლო და გახევებულია. მიუხედავად იმისა, რომ ნახელავი კარგად არის შესრულებული, მთელი გამოხატულება მკაცრი სტილის ხასიათს ატარებს.

სტილისტურად და ამოჭრის ტექნიკის მიხედვით (სქემატურობა, ფორმების უსიცოცხლობა, ქსოვილის გრაფიკულად გადმოცემა) ინტალიო საგრძნობლად განსხვავდება არმაზისხევის ანტიკური წარმოშობის გემებისაგან, და ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და მკვეთრად. იგი ერთ სიბრტყეშია მოცემული. გულმოდგინე და სუფთა ნახელავია. გამოხატულება ანაბეჭდზე დაბალ და საკმაოდ ბრტყელ რელიეფს იძლევა. ნახელავს მტკიცე ხელი ეტყობა, ჩანს ოსტატი დახელოვნებული მჭრელი ყოფილა. მიუხედავად ამისა მისთვის ზოგი რამ, სახელდობრ, ქსოვილი, რთული შესასრულებელი ჩანს.

ინტალიო მთლიანად არის გაპრიალებული; გაპრიალებისას ოსტატს განსაკუთრებული ყურადღება თვით გამოხატულებისათვის მიუქცევია. გამოხატულება ელვარებს და გამოირჩევა შედარებით ნაკლებად გაპრიალებულ ფონზე. ქსოვილის ნაკეცები, შუბი, პატერა, ბაბთები და ალი ოსტატს მჭრელად დაუტოვებია. ქვა კარგად არის გათლილი.

ანტიკური ხანის სახვით ხელოვნების ძეგლებზე ათენას სახე ფართოდ იყო გავრცელებული. იგი რომაული ხანის გლიპტიკურ ძეგლებზედაც ხშირად გვხვდება. იხ. Furtwängler, Beschreibung der Geschnittenen Steine im Antiquarium, ტაბ. 16, გამ. 1448, 1450; ტაბ. 28, გამ. 3545 (სურ. 41) King, Antique gems and rings, London, 1872, ტ. II, ტაბ. XIX B, გამ. 11; Reinach, Pierres gravées, Paris, 1896, ტაბ. 60. გამ. 53[3]; Walters, Catalogue of the engreved gems and cameos; ტაბ. XIX გამ. 1366 (აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გემა სტილისტურად აღწერილი გემისაგან სავსებით განსხვავებულია და კომპოზიციაშიც მცირეოდენი სხვაობაა. ამდენად არმაზისხევის ათენასათვის პირდაპირ ანალოგიას არცერთი ამათგანი არ წარმოადგენს).

ლიბაციასთან დაკავშირებით შდრ. Osborne, Engraved gems, New York, 1926. ტაბ. XXIII, გამ. 25 (ათენა აქ ზეზემდგომია; ღვთაება ცეცხლიან სამსხვერპლოს წინ დგას, ფიალით ხელში).

მსგავსი გამოხატულება იხ. კლავდიუსისა, (საქ. მუზ. ნუმიზმატ. კაბინეტი. განძების ფონდი, № 9332, სურ. 42); ლისიმახისა და ანტონინე პიუსის მონეტებზე. Bernhart, Handbuch zum Münzkunde der Römischen Keiserzeit, München, 1926, ტაბ. 37, გამ. 9.

კომპოზიცია შდრ. რომაულ მონეტებზე გამოხატულ რომას Mattingly, The roman Imperial coinage, ტაბ. XI გამ. 175, 176, 182.

აგრეთვე ანტონინე პიუსის სვეტის ბაზის რელიეფზე გამოხატულ რომას E. Strong, La scultura Romana Da Augusto a Constantino, ტ. I, Firenze, 1923, გვ. 246, გამ. 151. და ჰილდესჰაიმის ვერცხლს ფიალის ძირზე გამოხატულ ათენას რელიეფს Pernice und Winter, Hildesheimer Silberfund, Berlin, 1901, ტაბ. I, II; Walters, The art of the romans, London, 1926.

ოქროს წნული სამაჯური მედალიონიანია. მედალიონი გემით არის შემკული, ოვალური მოყვანილობისაა. ფურცლოვანი ოქროსაგან გაკეთებული მედალიონი, დაბალ, კოლოფისებრ ბუდეს წარმოადგენს; ბუდეს ბრტყელი ძირი აქვს, რომლის ვიწრო ნაპირები გადმოკეცილია და შემოჭედილი თვალზე. ბუდეს ირგვლივ მორჩილული აქვს ჭდეებით შემკული სქელი და მრგვალი მავთული.

ბუდის გვერდებზე, აქეთ-იქით, მირჩილულია ამობურცულ ზედაპირიანი ოთხ-ოთხი ყუნწი, რომელშიც ბადისებრი (დაფანჯრული) სამაჯურის სარტყელია ამოყრილი. სამაჯურის სარტყელი ფართო ჯაჭვს წარმოადგენს, პირხსნილია, იგი შედგება ცალ მხარეს თოთხმეტ, ხოლო მეორე მხარეს თხუთმეტ, ერთმანეთთან სიგრძეზე მირჩილული რგოლების წყებისაგან. თითოეულ წყებაში ოთხ-ოთხი თხელი და ბრტყელი ფირფიტისაგან გაკეთებული რგოლია. ყოველი „ოთხეულის“ რგოლი მეზობელ ოთხეულთან მასიურია, ამობურცულზედაპირიანი ოქროს რგოლით არის გადაჯაჭვული; ე. ი. ყოველ ოთხეულს მეორე ოთხეულთან ოთხი რგოლი აკავშირებს, რომელიც ცალი გვერდით ბრტყელ რგოლთანაა მირჩილული (ცალ მხარეს ყოველი მარცხენა „გვერდი“ მეორე მხარეს — ყოველი მარჯვენა „გვერდი“). სამაჯური იკეცება (სურ. 43).



სურ. 42

ჯაჭვს ორივე მხარეს, ხანგამოშვებით, ცილინდრული მოყვანილობის სან-სამი დაღარული ყუნწი აქვს მირჩილული. ყუნწები ერთმანეთში ჯდება ისე, რომ გოფრირებული მილის შთაბეჭდილებას ტოვებს. ყუნწებს შესაკრავის დანიშნულება აქვს. ერთ-ერთ ზედა ყუნწს ბირთვისებრი თავი აქვს დარჩილული. ყუნწები. ბრტყელია, ორმაგი მავთულისგან გაკეთებული, სფერული თავიანი სამსჭვალით იკვრება. ერთ-ერთ



სურ. 43

ყუნწს პაწია ნახვრეტი აქვს დატანებული (რომელიც, როგორც ჩანს, სამსჭვალისათვის იყო განკუთვნილი).

დაცულობა: ჭვა ჯრამდენიმე ადგილას ატკეცილია, მცირედ; სისქეში ზოგან პატარ-პატარა ბზარები აქვს. ბუდის ძირი ზოგან დაჭყლეტილია. საერთოდ კი სამაჯური კარგად არის შენახული. პირველი წყება (სამაჯურის) რგოლებისა ნარჩილში ერთგან გახსნილია.

ზომები: ინტალიოს სიგრძე — 24 მმ,
ინტალიოს განი — 19 მმ,
ბუდის სიგრძე მავთულიანად — 25 — 27 მმ,
ბუდის განი მავთულიანად — 20 — 25 მმ,
ბუდის სიმაღლე — 6 მმ,
სამაჯურის განი — 19 მმ,
რგოლის დიამ. — 5 მმ,
შესაკრავი ყუნწის სიგრძე — 3 მმ,
სამსჭვალის სიგრძე — 21 მმ,
ბირთვის დიამ. — 3 მმ,
შემაერთ. რგოლის დიამ. — 3 მმ.

ინტალიო სტილისტურად თვალსაჩინოდ განსხვავდება ამ რიგის ანტიკური ძეგლებისაგან გამოსახულების არასწორი პროპორციებით — მეტად პატარა თავი ტანთან შეფარდებით, გრძელი ხელ-ფეხი,

კუთხოვანი ფორმები, ქსოვილის მეტად სქემატურად—სწორი ხაზებით გადმოცემა. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე თავისი ფორმით ტახტი[1], რომლის პირდაპირი ანალოგია ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. კომპოზიციაშიც გარკვეული თავისებურება ჩანს. მაშინ, როცა ანტიკურ ძეგლებზე ღვთაება ყურადღების ცენტრშია ოსტატისათვის, ჩვენს ინტალიოზე ცენტრალური ნაწილი თითქოს ფარს უჭირავს.

ვფიქრობთ, რომ ინტალიო ათენას გამოხატულებით ადგილობრივი ოსტატის ნახელავად უნდა იქნეს მიჩნეული. ამავე სამარხში აღმოჩენილ გემებით შემკულ სამკაულების მიხედვით (გრანატის გემიანი ოქროს ბეჭედი № 833 და კამეით შემკული ოქროს მანიაკი № 831) ინტალიო ახ. წ. II საუკ. ბოლო წლებითა და III საუკ. დასაწყისით უნდა დათარიღდეს.

20 (ინვ. № 833).

არმაზისხევი, 1940 წლის არქეოლოგიური კამპანია, აკლდამა № 2 ორფერდა სახურავით გადახურული, სავლე № $\frac{\text{ა—40}^{2}}{\text{II—9}}$.

ინტალიო ალმანდინისა (გრანატი), ოქროს ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი პირი აქვს. პირი ქვედაპირთან შედარებით ვიწროა. პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი მომრგვალებულ კონტურიანი და დაქანებულია.

პირზე გამოხატულია წვერიანი მამაკაცის ბიუსტი, თავი პროფილში მარჯვნივ აქვს მიბრუნებული, როგორც ჩანს ქვაზე წარჩინებულის პორტრეტია ამოკვეთილი. ამას მისი მაღალ სავარცხლიანი, დამახასიათებელი თავსაბურავი და ყურში გაყრილი საყურე მოწმობს. ინტალიო პორტრეტულია.

წარჩინებულს თავზე მაღალი, კეფაზე ბაბთებით შეკრული თავსაბურავი ადგია[3]. სქემატურად შესრულებული ბაბთების ბოლოები ძირსაა ჩაშვებული. თავსაბურავი თითქოს გადამტყდარი სხივებისაგან არის შედგენილიო — წინგადმოკეცილი („გადმოტეხილი") ბოლოებით, მაღალაფრიან მუზარადს გვაგონებს.

წარჩინებულს საკმაოდ მაღალი შუბლი აქვს, მოკლე, კეხიანი ცხვირი; გრძელი, ნახევარრკალის მოყვანილობის წარბი, დიდი თვალი. პირობითად გამოხატულ ყურს აბრისებრი მოყვანილობის საყურე უმკობს. საყურე დიდი ზომისაა, ღაწვამდე წვდება. ტუჩები მკაფიოდ ჩანს. გრძელი წვერი პირობითად არის გადმოცემული ოდნავ ჩაღრმავებული სიბრტყით და ირგვლივ ძალიან მკრთალი კონტურითაა შემოფარგლული. თმა არ არის წვერზე აღნიშნული; ნახელავი დაუმთავრებელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

წარჩინებულის დაბალ კისერს სადა მანიაკი ამკობს. მამაკაცი ტიტველია. პირდაპირ მოცემული გულ-მკერდი და მხრები ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოყოფილი სამი ბრტყელი რელიეფით არის გადმოცემული (შდრ. ასპავრუკის გამოხატულებას). მხრებთან შედარებით მკერდი არაპროპორციულად ვიწროა აქვს. თითოეულ ნაწილზე, ე. ი. მკერდსა და მხრებზე, თითო ბერძნული ასოა ამოკვეთილი, ε, ν და τ. წარწერა თავისი ხასიათით (განლაგების მანერით) ბეჭდის მფლობელის, სახელდობრ, ინტალიოზე გამოხატული პიროვნების სახელის ინიციალები უნდა იყოს. დადგენა იმისა, თუ ვისი პორტრეტია საბეჭდავზე გამოხატული, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

---

[1] ჯ ი ბ ე ლ ა რ ი ხ ტ ე რ ი ს მიერ განხილულ მასალებს შორის იხ. G. Richter, Ancient furniture, Oxforde, 1926, თავი The Thron (Solium), გვ. 119. მსგავსი მოყვანილობის ტახტები არ არის.]

ამგვარი ტახტები ღრმა იყო, მეტწილად მაღალი ზურგითა და სახელურებით. ტახტის წინა ნაწილი ცხოველის თათებით იყო ხოლმე შემკული, ხოლო გვერდები და უკანა ნაწილი რელიეფური ორნამენტით ან სახეებით.

პროფ. მ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი მ ო ვ ა მ ჩვენი ყურადღება შემდეგ გარემოებას მიაქცია, რომ ჩვენი გემის ოსტატს როგორც ჩანს, ანტიკური ხელოვნების ძეგლებზე გავრცელებული ტახტის გამოხატულება, სახელდობრ, მარმარილოს ან ქვისგან გაკეთებული ტახტები ჰქონია ხელთ, რომელიც, როგორც, ჩანს, სწორად ვერ გაუაზრებიაო.

[2] აკლდამაში ორი მიცვალებული იყო დასაფლავებული. ვარაუდობენ, რომ დედა-შვილია.

[3] მსგავსი თავსაბურავი ჩვენს მიერ გადასინჯულ მასალებს შორის (სკულპტურა, გლიპტიკა, ნუმიზმატიკა, მხატვრობა და ა. შ.) როგორც აღმოსავლურ ძეგლებზე, ასევე ანტიკურზე არ შეგვხვედრია.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალ და მკაფიო რელიეფს იძლევა.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი ბრტყელი რელიეფით, იგი არათანაბარი სიმკვეთრითაა შესრულებული და უფრო მეტად გრაფიკულ ხასიათს ატარებს. ინტალიოს ერთგვარი სქემატურობა (თავსაბურავი) და პირობითობა (წვერი) ახასიათებს. მჭრელი ზოგან ქვის ზედაპირს იარაღებით ოდნავ შეხეხია (სახელდობრ, წვერსა და კისერს) და ამიტომ გამოხატულება ერთი შეხედვით დაუმთავრებელი ნახელავის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ერთი რამ აუცილებლად ხაზგასასმელი და აღსანიშნავია, რომ ნახელავი გაბედული მჭრელის ხელით არის შესრულებული და თავისებური ოსტატობითაც გამოირჩევა.

ქვა, და როგორც ჩანს, ინტალიოს ფონიც, გაპრიალებული ყოფილა, გამოხატულება ოსტატს მკრქალად დაუტოვებია.

ბეჭედი მუქი ყვითელი ოქროსგან არის გაკეთებული. ვიწრო რკალი ოდნავ ფართოვდება და ორნამენტირებულ ნაწილში გადადის. ორნამენტირებული ნაწილი (რომელიც მხრების ქვემოთ იწყება) სტილიზებულ ფოთლოვან მცენარეს გამოხატავს. ყოველ მხარზე სამ-სამი ფოთოლია გამოხატული, რომლებიც ერთმანეთში სხედან. ფოთლები ნაკვთებიანია; ზედა ფოთლის წვერი (რომელიც შუა ნაწილით არის ბუდეზე მირჩილული) სამნაკვთიანია. ყოველი ფოთლის ზედაპირი ამოღარულია; ზოგ მათგანს მთავარი ძარღვიც საკმაოდ კარგად ეტყობა. იმ ადგილას, სადაც რკალის სადა ნაწილი სტილიზებულში გადადის, ოთხ-ოთხი პაწია ოქროს მარცვალია დარჩილული.



სურ. 44

რკალს ბრტყელი შიდაპირი აქვს. ბეჭედი ნაჭედია; კარგი და ფაქიზი ნახელავია. როგორც ეტყობა, რკალის ქვედა ნაწილი ნაწილობრივ დაღარული ყოფილა, მაგრამ ხანგრძლივი ტარების შემდეგ ამისი სუსტად გამოხატული კვალიღაა შერჩენილი.

ბუდე ოვალური მოყვანილობისაა, დაბალი; ბრტყელი ძირი აქვს, რომლის ნაპირები თვალზე საკმაოდ კარგად არის შემოჭედილი. ცალ მხარეს ბუდეს მირჩილული აქვს შებრტყელებული ბირთვი. ბუდის ძირზე დაფენილია თხელი ფირფიტა, რაც თვალს ელვარებას ანიჭებს. ჩანს რკალის ქვედა ნაწილიც ფართო ყოფილა და შემდეგ მისი ნაპირები ოქრომჭედელს შიდაპირისკენ გადმოუკეცნია და შეუდუღებია.

ბეჭედი თითქოს ოვალური მოყვანილობისაა, ქვედა ნაწილში გვერდებისკენ ოდნავ განზიდული (სურ. 44).

სტილიზებულ მხრებიანი ბეჭდები[1] ახ. წ. III საუკ. თარიღდება. შდრ. Henkel, Die römischen Fngerringe der Rheinlande, ტაბ. XII, გამ. 251, 251a, 251b; Marshall, Catalogue of the finger rings greek, etruscan and roman, ტაბ. XV გამ. 537, 539, 540, 544.

დაცულობა: ბეჭედი კარგად არის შენახული. ინტალიოს პირი ძალიან გაცვეთილია, ხანგრძლივი ხმარების შედეგი უნდა იყოს; ადგილ-ადგილ დაკაწრულია.

ზომები: ინტალიოს სიგრძე — 11 მმ,
ინტალიოს განი — 9 მმ,
პირის სიგრძე — 10 მმ,
ბეჭდის სიმაღლე — 20 მმ,
ინტალიოს სიმაღლე — 2 მმ,
პირის განი — 7 მმ,
რკალის უდ. განი — 8 მმ,
ბირთვის დიამეტრი — 2 მმ,
რკალის უმც. განი — 2 მმ,
ბეჭდის დიამეტრი 18 — 14 მმ,
მარცვლ. დიამეტრი — 1 მმ.

[1] აღსანიშნავია, რომ არმაზისეულ ბეჭედს პირდაპირი ანალოგიები ვერ ეძებნება.

თავისებური სტილი, ამოჭრის მანერა (რაც გულ-მკერდისა და წვერის გამოხატვაში მჟღავნდება, იხ. გვ. 64. მჭრელმა ძირითადი ყურადღება მიაქცია ნახატს, მან გამოხატულების დეტალები სკულპტურულად არ დაამუშავა, ამის გამო ნახელავი გრაფიკულ ხასიათს ატარებს) და თავსაბურავის ფორმა უფლებას გვაძლევს ინტალიო ადგილობრივ ნახელავად მივიჩნიოთ. ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო ახ. წ. III საუკ. თარიღდება.

ამავე დროით თარიღდება სამარხში აღმოჩენილი ოქროს ბეჭდები №№ $\frac{ა—40}{11—48}$, $\frac{ა—40}{11—8}$. (სურ. 45).

ამავე სამარხიდან არის სამაჯური ათენა-პალადას გამოხატულებიან გემითა №№ 832 და კამეით შემკული მანიაკი № 831.

21 (ინვ. № 844).

არმაზისხევი, 1940 წლის არქეოლოგიური კამპანია, აკლდამა № 7, ორფერდა სახურავიანი, საველე № $\frac{ა—40}{VII—16}$.

კამეა მუქი ფერის ამეთვისტოზე ამოჭრილი, თვლებით მოოჭვილ მანიაკს ამკობს, რომელზედაც სანელსაცხებლე ჭურჭელია შეკიდული[1].

კამეა ცხვრის თავს გამოხატავს, პირდაპირ[2]. იგი ბუდეში ისეა ჩასმული, რომ მაყურებელი მას ზევიდან დასცქერის. კამეა მაღალი რელიეფით არის შესრულებული.

ცხვარს გრძელი, ნახევარმთვარის მოყვანილობის ფართო და ჩახვეულ-დაგრეხილი რქები აქვს. რქის ძირები შუბლის ძვლიდან იწყება, ბოლო — ლოყამდე წვდება. რქები სიგანეში ხანგამოშვებით ღრმა ჭდეებითაა დასერილი. ჭდეები მორკალული ღარებითაა აღნიშნული. თვალები — თვალბუდეები ღრმა, ოვალური მოყვანილობის „სიღრმეებით“ არის გამოხატული. ორივე თვალბუდის ზედა ნაწილი, შუბლის ძვალს ქვემოთ, მორკალული ღარით არის შემოფარგლული. ღარები სხვადასხვა ზომისაა: მარჯვენა მოკლეა, მარცხენა — გრძელი.



სურ. 45

ცხვარს გრძელი დრუნჩი აქვს, სანელსაცხებლისკენ მიქცეული. პირი და ცხვირის ნესტოები ღარებით, არის გადმოცემული. ცხვირის ზურგი შეუმჩნევლად გადადის ფართო შუბლში; ნიკაპს მომრგვალებული კონტური აქვს. მაღალი ყვრიმალის ძვლები მკაფიოდაა გამოხატული. ცხვარს სხვადასხვა ზომის ყურები აქვს; ცალი ყური ვიწროა და გრძელი, მეორე — ფართო და მოკლეა. ყურები გულამოღებული სიბრტყეებით — ჩაღრმავების წესით არის მოცემული. ცალი ყური უფრო ღრმადაა ჩაჭრილი. თხემის ძვალს შუაზე ჰყოფს საკმაოდ მაღალი, რბილი რელიეფით გამოხატული ქედი[3].

კამეა დაზგაზეა ამოჭრილი, მაღალი რელიეფით, სკულპტურული ხასიათისაა. გაბედულად შესრულებული ნახელავი არ გამოირჩევა სიფაქიზით, ერთგვარი დაუდევრობაც კი ჩანს —

---

[1] სამარხში მოპოვებული მონეტები: აურელიუსები, სეპტიმი—სევერისა (193—211), აურელიუსი ვალერიანისა (253—260) აურელიუსი ფილიპე უმრწემესისა (247—249).

[2] მანიაკი სამარხის NW კუთხეში არის მოპოვებული.

[3] მ. რჩეულიშვილი ცხვრის ამ ტიპს იმერულ ჯიშად მიიჩნევს. იხ. М. Рчеулишвили, Истории овцеводства Грузии, Тбилиси, 1953, стр. 64—65.

[4] კამეაზე გამოხატული რქოსანი თავდაპირველად ჩვენ ნიამორად—გარეულ თხად მივიჩნიეთ.

(დიდ-პატარა თვალები, სხვადასხვა ზომის ყურები). ქვა ზედმიწევნით არის გაპრიალებული, ელვარებს განსაკუთრებით შუბლი და კისერი.

მსგავსი გამოხატულებიანი გემა ჩვენს მიერ შესწავლილ მასალებს შორის არ შეგვხვედრია.

ანალოგიური გამოხატულებები საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ არქეოლოგიურ ძეგლთა შორის სხვა სახის ნივთებზეა ცნობილი. სახელდობრ, იხ. არმაზისხევის № 6 აკლდამაში მოპოვებული ვერცხლის ჭურჭლის ტარზე გამოხატული რელიეფი, კლდეეთში მოპოვებული ბრინჯაოს № $\frac{8—51}{3}$ ჭურჭლის ტარზე გამოხატული რელიეფი და ა. შ. უცხო მასალებს შორის—ერმიტაჟში დაცული პომპეიში მოპოვებული ჭურჭლის ტარზე გამოხატული რელიეფი და ა. შ.

ღია ყვითელი ფერის ოქროსგან გაკეთებული, თვლებით მოოჭვილი მანიაკი რამდენიმე ნაწილისაგან შედგება: კამეით შემკული კოლოფისა, ჯაჭვისა და სანელსაცხებლე ჭურჭლისაგან. საკმაოდ სქელი ფირფიტისაგან გაკეთებული ცილინდრის მოყვანილობის დაბალი კოლოფი თავსახურავიანია[1]. ორმაგი ფირფიტისაგან გაკეთებული სახურავი კოლოფთან (ძირთან) შედარებით მაღალია, შიდა მხარე სადა და ბრტყელი აქვს, თხელი ფირფიტით მოპირკეთებული.

სახურავის შუაგულზე დარჩილულია ოვალური მოყვანილობის ამეთვისტოს კამეით შემკული დაბალი ბუდე. ბუდეს გარს უვლის საკმაოდ მსხვილი გავარსის მჭიდრო წყება. ასეთივე გავარსის წყება ავლია ბუდის ნაპირს (კიდიდან 2 მმ მანძილზე). ნაპირსა და გავარს შორის, ცერად, თხელი ფირფიტაა ჩადგმული. გავარსის წყებებს შორის მოთავსებულ (11 მმ. მჭონე სიგანის) მინდორი, კამეით შემკული ბუდის ირგვლივ, დარჩილულია 20 დიდ-პატარა ბუდე: მრგვალი, ოვალური და მომრგვალებულ კონტურიანი სწორკუთხედის ფორმისა. მრგვალი და ოვალური ბუდეები ამობურცული (cabochon) გრანატ-პიროპებით არის შეკმული, სწორკუთხედის ფორმის ბუდეები — ღია მწვანე ფერის ქვებით — მალაქიტით (?). მწვანე ქვები დაკუთხულია, წახნაგები მკვეთრად აქვს გამოყვანილი (გრანატის თვალი 10 ცალია, ამდენივე მალაქიტი).

სახურავის გვერდი ტიხრებიანია; ტიხრებს შორის მოთავსებულია სწორკუთხა, ღრუ ბუდეები (47 ბუდე), რომლებსაც მწვანე ქვის თხელი ფირფიტები ამკობს (ერთ ბუდეში თვალი ამოვარდნილია).

კოლოფი, სახელდობრ, ძირი მრგვალი და საკმაოდ თხელი ფირფიტისაგან არის გაკეთებული; იგი დიდი ზომისაა. ნაპირზე (2 მმ დაცილებით) თხელი ფურცლისაგან გაკეთებული სალტე (დაბალი გვერდები) აქვს დარჩილული. ძირს ნაპირი ორგან, დიამეტრალურად საწინააღმდეგო მხარეს, შეჭრილი აქვს. იქვე, 5 მმ მანძილზე დარჩილულია („ჩანაჭერის“ გასწვრივ) თითო ბრტყელი ყუნწი; ერთში დუგმაა (საკეტი) ამოყრილი, მეორეში — ზამბარისებრი მავთული, რითაც ძირი სახურავთან მაგრდება. დუგმა მრგვალი მავთულისაგან არის გაკეთებული, მხედრულ „გ“-ს მოგვაგონებს (სურ. 46).

სახურავს ქვედა ნაწილზე, დიამეტრალურად მოპირდაპირე მხარეს, დარჩილული აქვს ორი პაწია რგოლი, ერთი საკეტისათვის არის განკუთვნილი, მეორე კი კოლოფს იმაგრებს; კოლოფის ძირზეც ამგვარი რგოლია დარჩილული, — ეს ორი რგოლი ერთმანეთთან წვრილი და მრგვალი მავთულით მაგრდება. მავთული მარყუჟივით არის შეკრული და დახვეული. ძირი თავისუფლად მოძრაობს.

სახურავს გვერდებზე, მწვანე თვლებით შემკულ ბუდეებს შორის, მირჩილული აქვს ორ-ორი ყუნწი. ყუნწებში თავსა და ბოლოში მრგვალბუდეებიანი ბრტყელი გრანატებით შემკული სამსჭვალებია გაყრილი (ერთი ბუდე თვალამოვარდნილია) ყოველ სამსჭვალზე ამოყრილია ძირზე ყუნწმირჩილული, ტიხრებიანი და თვლებით მოოჭვილი ცილინდრი (ცილინდრი ისევეა გაკეთებული, როგორც სახურავის გვერდები), რომელიც შვიდ-შვიდი მალაქიტის ფირფიტითაა შემკული. ამ

[1] კოლოფში ბავშვის კბილები იყო შენახული.

ცილინდრებში წვრილი მავთულისგან შედგენილი სქელი, წნული ჯაჭვია ჩამაგრებული. ჯაჭვი ელასტიურია „რვაწახნაგა“ (თითოეული წახნაგი დაწნული უნდა იყოს). ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თითქოს ჯაჭვი ერთი წვრილი მავთულისაგან იყოს ყაითანსავით ნაქსოვი. ჯაჭვის ბოლოებზე ფურცლოვანი ოქროსაგან გაკეთებული, სიგრძეზე მკრთალად დაკუთხული, ცილინდრებია ჩამოცმული. ცილინდრის ცალი ბოლო ბრტყელი ფირფიტითაა შემოჭედილი, რომელზედაც სქელი მავთულის ყუნწია დარჩილული. ერთ-ერთი ამგვარი ყუნწი დედალი დუგმის დანიშნულებას ასრულებს. მეორე ყუნწში გრძელი დუგმაა ამოყრილი. იგი სქელი მავთულისაგან არის გაკეთებული (ცალი ბოლო, რომლითაც ყუნწშია ამოყრილი, სამწყებად არის შემოხვეული თვით დუგმაზე). ცილინდრები ჯაჭვზე სამსჭვალებით არის დამაგრებული.



სურ. 46

წნულ ჯაჭვს შეკიდული აქვს ფურცლოვანი ოქროსაგან გაკეთებული მსხლისებრი მოყვანილობის თავსახურავიანი სანელსაცხებლე ჭურჭელი. სანელსაცხებლე საკმაოდ მაღალყელიანია, პირფართო; გამობერილი მუცელი და ძირი აქვს. სანელსაცხებლეს გვერდებზე ორგან, დიამეტრალურად საწინააღმდეგო მხარეს, დარჩილული აქვს ორი ყუნწი. ყოველ ყუნწში წვრილი ორმაგი მავთულისგან გაკეთებული მოკლე ჯაჭვია ამოყრილი (მავთული 12 თავშეჭცეული „8“-სგან არის შედგენილი). ბოლოებზე ჯაჭვს თითო დიდი, წვრილი მავთულის რგოლი აქვს გაყრილი. პირიპირზე გადასული რგოლები თავებჩახვეულია (ამიტომ 1/3 ორმაგია). ამ რგოლებითაა სანელსაცხებლე წნულ ჯაჭვზე ჩამოცმული.

სანელსაცხებლეზე 32 დაბალი, მრგვალი მოყვანილობის, დიდ-პატარა ბუდეა დარჩილული. ბუდეები ჭურჭელზე ოთხწყებად არის განლაგებული. რვა ბუდისაგან შედგენილი თითოეული წყება (ძირთან არსებულის გარდა) გარს უვლის ჭურჭელს. ქვედა წყება ძირთან—7 ბუდისაგან შედგენილი, მერვეზე—დიდი ბუდე ძირზე ცენტრში აქვს დარჩილული.

31 ბუდეს კონუსის მოყვანილობის მაღალი გრანატის თვლები ამკობს, ზოგი მათგანი საკმაოდ მაღალი და მეტად წვეტიანია, ხოლო 32-ე ბუდე (სანელსაცხებლის ძირზე) მომწვანო-ცისფერი ქვით არის შემკული. სანელსაცხებელზე მირჩილულ ერთ-ერთ რგოლზე მოკლე ჯაჭვია ამოყრილი. ამ ჯაჭვზე ცილინდრული სახურავია დამაგრებული. სახურავს ზედაპირი სადა და ბრტყელი აქვს. ზედა ნაწილზე, ცენტრში, დარჩილულია დაბალი, დიდი ზომის მრგვალი ბუდე, რომელიც კონუსისებრი მოყვანილობის გრანატითაა შემკული. ბუდეს გარს უვლის წვრილი მავთულისგან გაკეთებული წნული. ასეთივე წნულით არის შემკული სახურავი ძირთან და იმ ადგილას, სადაც ზედა ნაწილი „ფერდში“ გადადის (ფერდის თავსა და ბოლოში). ფერდზე სახურავს გარს უვლის ბუდეების ერთი წყება (6 ბუდე), რომელშიც კონუსისებრი გრანატებია ჩასმული. კონუსისებრი გრანატები სანელსაცხებლეს ბუნის იერს აძლევენ. თვლებით მოოქვილი ოქროს ჭურჭელი თავის ფორმითა და შემკულობის მანერით ხორკლიან სანელსაცხებლეს ჰგავს და ჰერკულესის კომბალის თავს მოგვაგონებს.

სანელსაცხებლე ჭურჭელი შდრ. სახელმწიფო ერმიტაჟში დაცულ რესკუპორიდის სამარხში (ახ. წ. II საუკ.) მოპოვებულ სანელსაცხებლე ჭურჭელს (სურ. 47)[1].

წნული ჯაჭვი შდრ. დურა-ეუროპოსში მოპოვებული მანიაკის ჯაჭვს A survey of Persian art, v. IV, New York—London, 1938, ტაბ. 139, გამ. D.

დაცულობა: კამეა ძალზე დაზიანებულია — რამდენიმე ადგილას გატეხილია სისქეში, მრავალი ნაბზარი აქვს. ფერადი თვლები, რომლითაც მანიაკია შემკული, დაზიანებულია. ზოგი თვალი გაბზარულია, ზოგს ამონატეხი აქვს და ზოგიც ატკეცილია. ოქრო კარგად არის დაცული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ზოგან დაჭყლეტილია მცირედ.

ზომა: მანიაკის საერთო სიგრძე — 36 სმ,
კამეის სიგრძე — 32 მმ,
კამეის სიმაღლე — 15 მმ,
კამეის განი — 23 მმ,
სანელსაცხებ. სიმაღლე — 47 მმ,
ჯაჭვის სიგრძე — 24 სმ,
კოლოფის დიამ. — 59 მმ,
ჯაჭვის დიამ. — 4 მმ,
კოლოფ. სიმაღლე — 10 მმ.



სურ. 47

სტილისტური თავისებურების მიხედვით კამეა ადგილობრივ ნახელავად უნდა მივიჩნიოთ. მხედველობაში არის მისაღები ცხვრის ჯიშიც. კამეა ახ. წ. II საუკ. თარიღდება. ამავე დროით თარიღდება სამარხში აღმოჩენილი № 843 გემიანი ბეჭედი, აგრეთვე რესკუპორიდის სამარხი.

ამავე სამარხიდან[2] არის კამეით შემკული ბეჭედი № 842 და ბეჭედი აქტეონის გამოხატულებიანი გემით № 843.

22 (ინვ. № 845).

არმაზისხევი, 1943 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვაყუთი № 40, საველე № $\frac{ა-43}{XL-665}$.

კამეა ღია ფერის ალმანდინისა (გრანატი), ოქროს ბეჭედს ამკობს. კამეა მაღალი რელიეფით არის გაკეთებული, სკულპტურული ხასიათისაა.

კამეა ადამიანის თავს გამოხატავს; ქალისაა თუ მამაკაცისა გარჩევა ძნელია, იმის გამო, რომ ცალკეული ნაკვთები სუმარულად და ძალიან სქემატურად არის შესრულებული.

ადამიანს წინ წამოწეული ვიწრო და დაქანებული შუბლი აქვს. მოკლე და ბრტყელი ცხვირი. პირი კვადრატული სიღრმით არის აღნიშნული. თვალის უპეები არათანაბარი სიღრმის სიბრტყეებითაა გადმოცემული, ხოლო თვალები — რამდენიმე უსწორმასწორო შტრიხით; ადამიანს გრძელი და წვეტიანი ნიკაპი აქვს, თმა აქა-იქ რამდენიმე ხაზით არის აღნიშნული.

ადამიანს თავი ზევითკენ შევიწროებული აქვს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თითქოს ოსტატს დიადემის გამოხატვა უნდოდა. დიადემა (?) სადაა, მომრგვალებულ კონტურიანი, შუბლისგან წყვეტილი ღარითაა გამოყოფილი.

გამოხატულება დაზგახეა ამოჭრილი, საკმაოდ ტლანქი, დაუდევრად შესრულებული ნახელავია. კამეა ნაწილობრივად არის გაპრიალებული; თვალის უპეები, შუბლის ნაწილი და პირი ოსტატს მჭრქალად დაუტოვებია.

---

[1] А. П. Иванова, Искусство античных городов Северного Причерноморья, Ленинград, 1953, გვ. 178, ნახ. 75.

[2] სამარხში აღმოჩენილი მონეტები: (138—161), მარკ ავრელიუსის (161 — 180), ფაუსტინა უფროსისა (138 — 141), ფაუსტინა უმცროსისა (175) და ა. შ.

ჩვენი აზრით, კამეა არმაზისხევის ნეკროპოლში აღმოჩენილ № 7 აკლდამიდან წარმომდგარ № 842 კამეის მიმბაძველობას წარმოადგენს.

მსგავსი, ე. ი. მაღალი რელიეფით შესრულებული კამეები რომაული ხანის გლიპტიკაში ხშირია. იხ. Eichler und Kris, Die Kameen im Kunsthistorischen Museum, Wien, 1927, ტაბ. 7, გამ. 15, 17; ტაბ. 12, გამ. 31; ტაბ. 18, გამ. 105, 106, 107, 108; Furtwängler, Beschreibung der Geschnittenen Steine im Antiquarium, გამ. 2588, 7115; Walters, Catalogue of antique engraved gems and cameos, ტაბ. XLIV, გამ. 3664, 3663.

ბეჭედი მუქი ყვითელი ფერის ოქროსგან არის გაკეთებული. მასიური, გვერდებში ოდნავ განზიდული და ვიწრო რკალი ზევითკენ თანდათან ფართოვდება და მოკლე ჰორიზონტალურ მხრებში გადადის. მხრები მაღალი ბუდის უშუალო გაგრძელებას — ნაწილს წარმოადგენს.



სურ. 48

რკალის ზედაპირი მაღალი — რელიეფური ზოლებითაა შემკული; ბრტყელი ზედაპირი აქვს. რკალი მხრებიდან მკვეთრად არის გამოყოფილი მაღალი „ქედით“. ქვედა ნაწილში, ბუდის ცენტრის გასწვრივ, რკალს მირჩილული აქვს პატარა ბირთვი[1].

მაღალი, ოვალური მოყვანილობის ბუდე ფურცლოვანი ოქროსგან არის გაკეთებული, რკალის გასწვრივ, სიმაღლეში, დაკუთხულია; წახნაგები შიდაპირიდან აქვს გამოყვანილი, დაჭდევის წესით. ბუდე ძირისკენ ვიწროვდება; თვალის მიმართულებით გადმოკეცილი ვიწრო და ბრტყელი ნაპირი კამეაზე მჭიდროდ არის შემოჭედილი. ბუდეს შედრეკილი ძირი აქვს, ცალკე, თხელი ფურცლისაგან გაკეთებული (სურ. 48).

ვფიქრობთ, რომ ბეჭედი ე. წ. მხრებიანი ბეჭდების (სურ. 38) ადგილობრივ სახესხვაობას წარმოადგენს და ახ. წ. III საუკ. უნდა დათარიღდეს.

დაცულობა: კამეა კარგად არის შენახული. ბეჭედი აქა-იქ დაკაწრულია.

ზომები: კამეის სიმაღლე — 6 მმ,
კამეის სიგრძე — 12 მმ,
კამეის განი — 9 მმ,
ბეჭდის სიმაღლე — 32 მმ,
ბეჭდის დიამ. — 21 — 18 მმ,
ბირთვის დიამ. — 2 მმ.
ბუდის სიგრძე — 19 მმ,
ბუდის განი — 12 მმ,
ბუდის სიმაღლე — 5 მმ,
რკალის უდ. განი — 4 მმ,
რკალის უმც. განი — 2 მმ.

კამეა ბეჭდის ფორმის მიხედვით ახ. წ. III საუკ. უნდა დათარიღდეს. ამავე სამარხიდან არის გემით შემკული ბეჭედი № 846.

23 (ინვ. № 846).

არმაზისხევი, 1943 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვისსამარხი № 40, საველე № $\frac{\text{ა—43}}{\text{XL—653}}$.

ინტალიო პიროპისა (გრანატი) ოქროს ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ამობურცული პირი აქვს.

პირზე გამოხატულია წვერიანი მამაკაცის ბიუსტი, პროფილში მარჯვნივ. მამაკაცს გრძელი, კავებად დახვეული თმა აქვს, რომლის ბოლოები მხრებამდე წვდება. გრძელი, ასევე დახვეული წვერი საფეთქელთან თმას უერთდება; ღაწვებსა და საფეთქელთან თმას მოკლე-მოკლე ხაზები გამოხატავს (შდრ. უჩა პიტიახშის პორტრეტს, სურ. 49).

---

[1] ამგვარი შემთხვევა ჯერჯერობით არსად შეგვხვედრია.

მამაკაცს დაბალი შუბლი აქვს, გრძელი, საკმაოდ სწორი, მკვეთრად მოხაზული ცხვირი. გრძელი წარბი სწორი ხაზითაა გადმოცემული; პატარა და ვიწრო თვალი აქვს. მოკლე ულვაში პირის კილომდე წვდება. ქვედა ტუჩი სქელი ღარითაა აღნიშნული.

მამაკაცის ყურს მრგვალი მოყვანილობის საყურე ამკობს, გულ-მკერდს სადა მანიაკი. მამაკაცი წარჩინებული უნდა იყოს (ამაზე საყურე და მანიაკი მიუთითებს).



სურ. 49

წარჩინებულის გულ-მკერდი სამი სიბრტყით არის გადმოცემული (შდრ. № 833 ინტალიოზე გამოხატული მამაკაცის გულ-მკერდს), სიბრტყეები ერთმანეთისაგან მკრთალი ღარებითაა გამოყოფილი. გულ-მკერდზე ტეხილი ხაზია ამოჭრილი, სამოსის სახე უნდა იყოს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და მკვეთრად, იგი გრაფიკულ ხასიათს ატარებს და ერთგვარი სქემატურობაც ახასიათებს. სუფთა და გაბედული ხელით შესრულებული ნახელავია. ოსტატს გამოხატულება არ გაუპრიალებია, ფონი — ელვარებს.

ბეჭედი ღია ყვითელი ფერის ოქროსგან არის გაკეთებული. ვიწრო, გარედან რელიეფური რკალი მხრებიანია; ბრტყელი შიდაპირი აქვს. რკალი მხრების მიმართულებით მსხვილდება და „მაღალ—შედრეკილ გვერდებიან“ ოვალური მოყვანილობის ბუდეში გადადის. ბუდე ფურცლოვანი ოქროსგან არის გაკეთებული; ოდნავ შედრეკილი ძირი აქვს. ვიწრო ნაპირი თვალის მიმართულებითაა გადმოკეცილი და თვალზე შემოჭედილი (სურ. 50). მსგავსი ბეჭდები ჩვენთვის საქართველოში მოპოვებული მასალების გარდა არ არის ცნობილი.

დაცულობა: თვალი ერთგან ნაპირთან ამოტეხილია. ოქრო ზოგან დაჭყლეტილია, მცირედ.

ზომები: ინტალიოს სიმაღლე — 6 მმ,
ინტალიოს განი — 19 მმ,
ინტალიოს სიგრძე — 24 მმ,
ბუდის დიამეტრი — 20 მმ.
ბეჭდის სიმაღლე — 23 მმ,
ბუდის სიგრძე — 25 მმ,
ბუდის სიმაღლე — 4 მმ.



სურ. 50

ამოჭრის მანერის მიხედვით ვფიქრობთ ინტალიო ადგილობრივი წარმოშობის უნდა იყოს (შდრ. № 833 გემას) და ახ. წ. III — IV სს. უნდა დათარიღდეს[1]. ამავე სამარხიდან არის გემიანი ბეჭედი № 845.

24 (ინვ, № 791).

არმაზისხევი, 1941 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვისსამარხი № 23, საველე № 418.

ინტალიო — ბეჭედი ბრინჯაოსი, ინტალიო ოვალური და ბრტყელია. ერთბაშად ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს იგი ერთიანი ფირფიტისაგან არის ამოჭრილი. მაგრამ როდესაც დააკვირდებით, ჩანს, რომ ბეჭდის ფარი და რკალი ცალ-ცალკეა გაკეთებული.

---

[1] სტილისტურად ჯემა დიდ მსგავსებას პოულობს უჩა პიტიახშის პორტრეტთან.

ბეჭდის ფარი, რომელიც თხელ ფირფიტაზე ამოჭრილ ინტალიოს წარმოადგენს, მრგვალია. ფარზე მირჩილულია მეტად ვიწრო და ბრტყელი რკალი, რომელიც პირშეუკვრელ რგოლს წარმოადგენს; მისი ბოლოები წაკვეთილი და გაბრტყელებულია. ჩანს ბეჭედი დიდი ზომისა უნდა ყოფილიყო. ბეჭედი ნაჭედი უნდა იყოს (სურ. 51).

ინტალიოს პირზე გამოხატულია მკის პროცესი. კონად შეგროვილი პურის თავთავების წინ წელში მოხრილი მკელი დგას (ქალია თუ მამაკაცი გარჩევა ძნელია).

მკელს მარჯვენა ხელში ნამგალი უჭირავს, მარცხენა ხელში პურის თავთავები აქვს შეგროვილი და მკის. ნამგალი ხელის მტევნისაგან არ არის გამოყოფილი. მკელს დიდი თავი აქვს[1]. თავსაბურავი უნდა ეხუროს (თუ თმის ვარცხნილობაა?), რომელიც შარავანდედს მოგვაგონებს და თავს მჭიდროდ ეკვრის. მკელს კისერი არ უჩანს; მეტად გრძელი ხელები აქვს, მაღალი ფეხები უნდა ჰქონდეს. მას გრძელი, ნაოჭიანი და უსახელო კაბა აცვია. მკელი პროფილში მარცხნივ დგას. ერთობ სუმარულად შესრულებული სახე პირდაპირ არის მოცემული. მარცხენა ფეხი მუხლში მოხრილი აქვს, მარჯვენა—თითქმის გასწორებული. მას ზურგზე (კისერსა და ზურგს შორის) ორი რაღაც „მორჩი“ აქვს მიმაგრებული, ბაბთების ბოლოები ხომ არ არის(?).



სურ. 51

მკელსა და პურის თავთავებს შორის გველი უნდა იყოს გამოხატული, იგი საკმაოდ ღრმა ღარით არის გადმოცემული. გველს თავი ადამიანისკენ აქვს გადახრილი. პურის თავთავები ზევით არის ამართული, ფხა მკაფიოდაა აღნიშნული (იხ. შესავალი გვ. 23).

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს (ნაწილობრივ უშუალოდ ეხება პირის კიდეს).

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი მცირეოდენი ჩაღრმავებით ლითონში, მაგრამ ძალიან მკაფიოდ. ყოველი ხაზი, და დეტალი მეტად გულმოდგინედ და მკვეთრად არის საკრისით დამუშავებული; გამოხატულება ანაბეჭდზე მკაფიო რელიეფს იძლევა. გამოხატულების კონტურები ადგილ-ადგილ მეტად კუთხოვანია. ნახელავს გაბედული ხელი ეტყობა. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ გამოხატულება შესრულების მხრივ არ გამოირჩევა ხელოვნებითა და სიფაქიზით. იგი მეტად მშრალი და მკვეთრი, ერთგვარად პრიმიტიულიც კი არის; ეს განსაკუთრებით ქსოვილისა და პურის თავთავების გამოხატვაში მჟღავნდება.

ბეჭდის ფარს საკმაოდ წესიერი ფორმა აქვს — კარგად არის შემოსწორებული. ინტალიო (ე. ი. ბეჭდის ფარი) არათანაბარი სისქისაა. შესაძლებელია, ეს ხანგრძლივი ტარების შედეგი იყოს. ბეჭედი თავისი ფორმით უახლოვდება ახ. წ. III — IV სს. ბეჭდებს. შდრ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროში მოპოვებული გემების კატალოგი, ტაბ. 3, გამ. 24.

მსგავსი გამოხატულებები ხშირია მაგიურ ამულეტებსა და გნოსტიურ გემებზე, იხ. C. Bonner, Studies in Magical amulets, Cambridge, 1950, ტაბ. V, გამ. 114 — 124 (ამათგან ყველა გემა აბრაქსასია); Delaporte, Catalogue des cylindres et des cachets orienteaux II, Acquisitions, Paris, 1926, ტაბ. 108, გამ. 22ª (A. 1266); 23ᵇ. (A. 1267); Ridder, Collection de Clerque, გვ. 787, გამ. 3988 (კომპოზიციაში სხვაობაა).

მსგავსი გამოხატულებები ხშირია მონეტებზეც[2], იხ. Bonner, დასახ. ნაშრ. გვ. 74. გამ. I, ტაბ. XXII.

დაცულობა: ბეჭედი ორად არის გატეხილი, რკალი ნაკლულია; საკმაოდ მოზრდილი ნაწილი დაკარგული აქვს, მთელი ბეჭედი პატინით არის დაფარული, ამის გამო საბეჭდავის პირი ადგილ-ადგილ „დაკენკილია“; ნაპირები ოდნავ შემოკბილული აქვს.

---

[1] იმის გამო, რომ გამოხატულება პატინამ დააზიანა, ზოგიერთი დეტალი ძნელი გასარჩევი ხდება.

[2] კომოდის, კარაკალასა და გეტის მონეტებზე, მსგავსი გამოხატულება სიმბოლურად ზაფხულს ასახავს.

ზომები: ინტალიოს დიამ. — 12 მმ, ინტალიოს სისქე — 1 მმ,
რკალის სიგანე — 3—2 მმ, ბეჭდის დიამ. დაახლ. — 18 მმ.

შინაარსის მიხედვით ინტალიოს ავგაროზად მივიჩნევთ, სახელდობრ, სამკურნალო მაგიად ცნობილ ჯგუფს ვაკუთვნებთ[1]. სტილისა და ამოკვრის მანერის მიხედვით (კუთხოვანი ფორმები, ბრტყელი რელიეფი მკვეთრად შემოფარგლული კონტურით), აგრეთვე მკელს ტანსაცმელითა და პურის თავთავების გადმოცემით (მკელს პურის თავთავები ჩვენს საბეჭდავზე კონად აქვს შეგროვილი ხელში, უცხოურ მასალებში პურის თავთავები თითო-თითოდ არის გამოხატული) ინტალიო სავსებით განსხვავდება ზემოჩამოთვლილ გემებისაგან. შესაძლებლად მივიჩნევთ იგი ადგილობრივად დამზადებულ ლითონის საბეჭდავ ბეჭდების ჯგუფს დაუკავშიროთ (შდრ. М. И. Максимова, Геммы из некрополя Мцхеты—Самтавро, № 63). ბეჭდის ფორმის მიხედვით ავგაროზი ახ. წ. III—IV სს. თარიღდება.

ამავე სამარხიდან არის გემიანი ბეჭედი № 785.

ბ. პართული და სასანური პერიოდის გემები

25 (ინვ. № 849).

არმაზისხევი, 1944 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვისსამარხი № 43[2], საველე № $\frac{\text{ა—44}}{\text{XLIII—687}}$.

ინტალიო ბუქი ფერის გრანატისა — პიროპი, ოქროს ბეჭედს ამკობს[3]. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ამობურცული პირი აქვს.

პირზე გამოხატულია კოჭლი ფილოკტეტი, პროფილში მარჯვნივ, მიმავალი. ფილოკტეტს თავზე მუზარადი ახურავს; თავი ოდნავ დახრილი აქვს. სახის ნაკვთები სუმარულად არის გადმოცემული—ცალკეული დეტალების გარჩევა ძნელი ხდება; ცხვირი გრძელი უნდა ჰქონდეს, დიდი პირი ორი პარალელური ხაზითაა გადმოცემული.

მაღალი კისერი თითქოს მხრებში აქვს ჩავარდნილი. გულ-მკერდი და ხელის კუნთები მეტად ხაზგასმით არის გადმოცემული. მარჯვენა ხელის მხოლოდ მკლავის ზედა ნაწილი ჩანს; მარცხენა ხელით ფილოკტეტი გრძელ ჯოხს (ყავარჯენს) ეყრდნობა. გამოხატულება თითქმის მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოკვრილი, არაღრმად, მაგრამ მეტად მკაფიოდ; მიუხედავად იმისა, რომ იგი ნაწილობრივ სუმარულად არის შესრულებული, ეტყობა მჭრელის გაბედული და თამამი ხელი; გულმოდგინე ნახელავია. მჭრელს ცალკეული დეტალები თავისებურად დაუმუშავებია—მთელი გამოხატულება ცალ-ცალკე მონაკვეთებად არის დაყოფილი; ფილოკტეტის სხეული ერთმანეთისგან მკვეთრად გამოყოფილი სიბრტყეებით არის წარმოდგენილი.

ქვა ზედმიწევნით არის გაპრიალებული. გამოხატულება ოსტატს მჭრქალად გაუპრიალებია.

ფილოკტეტის სახე ანტიკურ გლიპტიკაში საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული; იტალიკურ გემებზე იხ. Furtwängler, Die Antiken Gemmen, ტაბ. XXI, გამ. 20, 21; ბერძნულ გემებზე, იქვე, ტაბ. XXXI, გამ. 10; რომის რესპუბლიკის პერიოდის გემებიდან იხ. Walters, Catalogue of engraved gems and cameos, ტაბ. XIV, გამ. 963; იხ. აგრეთვე Daremberg et Saglio, Dictionnaire des antiquités grecquee et romaines, გვ. 1473, გამ. 3507 (სტილისტურად ყველა ჩამოთვლილი გემა განსხვავდება არმაზისეულ ინტალიოსაგან).

ბეჭედი ბუქი ყვითელი ფერის ოქროსგან არის გაკეთებული იგი ორი ნაწილისგან შედგება: მაღალი ბუდისგან, რომლის წაგრძელებული გვერდები რკალის ზედა ნაწილს, „მხრებს“ წარმოა-

---

[1] Bonner-ი (დასახ. ნაშრ. გვ. 73) ამბობს, რომ ალბათ აღნიშნული ტიპი ადამიანების წარმოდგენით განსაკურნავ საშუალებას წარმოადგენს წელკავისა და იშიაზისაგანო — σχίων θεραπια.

[2] ქვისსამარხში ოთხი მიცვალებული იყო დასაფლავებული.

[3] ბეჭედი S-ით მდებარე ჩონჩხის ყელის არეში აღმოჩნდა.

დგენს და ფართო, ქვევითკენ ჩამოგრძელებული მასივური რკალისგან. რკალი და ბუდე ერთმანეთთან მირჩილულია (სურ. 52).

ოვალური ბუდე ორი თხელი ფირფიტისგან არის გაკეთებული. ბუდე ირგვლივ (სიგრძეში, ხანგამოშვებით) დაწახნაგებულია; წახნაგები დაჭდევის საშუალებით შიგნიდან აქვს გამოყვანილი.

ბუდის ნაპირზე წვრილი გავარსის ორი წყებით შემკული ფართო სალტეა დარჩილული — თვალბუდე, რომლის ნაპირი თვალზეა შემოჭედილი; ბუდეს ვიწრო, თითქმის მრგვალი და ჩადრეკილი ძირი აქვს (თითქოს ცალკე ფირფიტა არის ჩადგმული). ბუდის ძირზე ოქროს ფირფიტაა ჩაფენილი, რაც თვალს ელვარებას ანიჭებს.

ბეჭედი ბუდის მიმართულებით დიამეტრში იკლებს. ბრტყელი და ფართო რკალი გარედან გავარსის სამი წყებით არის შემკული (თითო წყება რკალის ნაპირებზე, ერთი — ცენტრში). ვარსი წვრილი მარცვლებისგან არის შედგენილი; სქელ რკალს სადა შიდაპირი აქვს. რკალი და „მხრები“ ერთმანეთისგან გავარსის წყებით არის გამოყოფილი. გავარსი რკალზე ჰორიზონტალურადაა განლაგებული (ცალ მხარეს გავარსის წყება ნაკლულია.)



სურ. 52

მსგავსი ფორმის ბეჭდები საქართველოს ტერიტორიის გარდა, სახელდობრ, არმაზისხევის გარდა, არსად შეგვხვედრია.

დაცულობა: თვალი რამდენიმე ადგილას გაბზარულია სისქეში; ბეჭედი დეფორმირებულია. ოქრო ადგილ-ადგილ დაჟანგულია.

ზომა: ინტალიოს სიგრძე — 10 მმ,
ინტალიოს განი — 7 მმ,
ინტალ. დაახლ. სიმაღლე — 4 მმ,
ბეჭდის სიმაღლე — 26 მმ,
ბეჭდის დიამ. — 18 — 20 მმ,
ბუდის სიგრძე — 15 მმ,
ბუდის განი — 11 მმ,
ბუდის სიმაღლე — 7 მმ,
რკალის განი — 4 მმ.

სტილისა და ქვაზე ამოჭრის ტექნიკის მიხედვით, ჩვენის აზრით, ინტალიო პართული ხანის გლიპტიკას უნდა მივაკუთვნოთ. რაც შეეხება ბეჭედს, ვფიქრობთ, იგი ახ. წ. III საუკ. უნდა დათარიღდეს; აღწერილი ბეჭედი ჰორიზონტალური და დაქანებული მხრებიანი ბეჭდების სახესხვაობა უნდა იყოს.

26 (ინვ. № 850)

არმაზისხევი, 1944 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვისსამარხი № 48, საველე № $\frac{\text{ა}-44}{\text{XLVIII}-698}$.

ინტალიო მუქი ფერის პიროპისა — (გრანატი) ოქროს ბეჭედს ამკობს ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა; ამობურცული პირი აქვს.

პირზე გამოხატულია სპარსელი ქალი პროფილში მარცხნივ. გრძელი, წელში გამოყვანილი, ვიწრო კაბა აცვია; კაბა მარცხენა თეძოზე შემოკრული აქვს და ნაოჭებით ძირს ეცემა (ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ თითქოს ქსოვილი შემოხვეული აქვს თეძოსა და ფეხზე). წინ, წელს ქვევით, ფეხებს შორის, ხშირნაოჭიანი კალთაა ჩაშვებული. ნაოჭები სწორი ხაზებითაა მოცემული. კაბას გრძელი და გახსნილი სახელოები აქვს.

მანდილოსნის თავი სუმარულად არის შესრულებული. სწორი და გრძელი ცხვირი აქვს. პირს ორი არაღრმა ჰორიზონტალური ღარი გამოხატავს. ოდნავ წინ წამოწეული მოკლე ნიკაპი დაუდევრად არის შესრულებული. თმა ისე აქვს დავარცხნილი, რომ შუბლსა და ყურებს უფარავს. ნაწნავივით ჩახვეული გრძელი თმა უკან აქვს ჩაშვებული და წელამდე წვდება.

ბოკლე წამოსასხამის — ჰიმატიონის ბოლო ჰაერში ფრიალებს. მანდილოსანს მაღალი გულმკერდი აქვს. იდაყვში მოხრილ მარჯვენა ხელში ყვავილი უჭირავს; თავი ოდნავ დაუხრია, თითქოს სახესთან მიტანილ ყვავილს უნდა უყნოსოს. მარცხენა ხელი ძირს აქვს ჩაშვებული.

ინტალიოს ზედა ნაწილში პირის კიდესთან, მანდილოსანის კეფის გასწვრივ გაურკვეველი ნიშანია(?) ამოკვეთილი (ასო ხომ არ არის?)  .

სურ. 53

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა.



სურ. 54

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი მკვეთრად და ბრტყელი რელიეფით; გამოხატულების ნაწილი შედარებით ღრმად არის ნაკვეთი. აქაც ისევე, როგორც № 849 გემაზე, გამოხატულება ცალკეულ მონაკვეთებად არის დაყოფილი. ნახელავს ერთგვარი სქემატურობა ეტყობა. ნაწილობრივად. სუმარულადაც კი არის შესრულებული, სახელდობრ, თავი და ხელები.

გამოხატულება ოსტატს მჭრქალად გაუპრიალებია. პირი ინტალიოს ზედმიწევნით აქვს გაპრიალებული — ელვარებს.

ანალოგიური გამოხატულებები საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული ე. წ. ბერძნულ-სპარსულ გემებზე. იხ. Furtwängler, Beschreibung der Geschnittenen Steine im Antiquarium, მეგალოპოლისში მოპოვებული სკარაბეოიდი. ტაბ. 4, გამ. 181 (ავტორი ინტალიოს ძვ. წ. V ს. ათარიღებს); Furtwängler. Die Antiken Gemmen, ტაბ. XI, გამ. 6, 10; ტაბ. XII გამ. 11; Maximowa, Über Griechish — Persische Kleinkunst in Kleinasien nach den Perserkriegen, Archäologischer Anzeiger, $^{3}/_{4}$ Berlin, 1928, გვ. 654, გამ. 5; გვ. 655, გამ. 11, 12, ნახ. 10a (ავტორი ინტალიოს მცირეაზიურ ნიმუშად მიიჩნევს), (სურ. 54). Southesk: H. Carnegie. Collection of antique gems, v. I. ტაბ. XVI, გამ. O 10 (მანდილოსანი მამაკაცთან ერთად დგას); Osborne, Engraved gems, ტაბ. VI, გამ. 22 (მეგალოპოლისში მოპოვებული გემა); Lippold, Gemmen und Kameen des Altertums und der Neuzeit, ტაბ. LXV, გამ. 4,56 (სურ. 55); Walters, Catalogue of engraved gems and cameos, ტაბ. VII, გამ. 433, 434, აგრეთვე 436 (მანდილოსანი მამაკაცთან ერთად დგას (სურ. 56, 56a).



სურ. 55

ბეჭედი მუქი ყვითელი ფერის ოქროსგან არის გაკეთებული. ბეჭედი ორი ნაწილისგან შედგება: 1 მმ სისქის მჭონე ფართო ოთხწახნაგა რკალისგან და მაღალ, ოვალური მოყვანილობის ფურცლოვანი ოქროს ბუდისგან, რომლის გვერდები რკალში გადადის და დაქანებული მხრების შთაბეჭდილებას ტოვებს; რკალის ნაწილიც ფურცლოვანი ოქროსგანაა გაკეთებული. რკალზე მირჩილულია მაღალი ბუდე. რკალს ზედაპირი იმგვარად აქვს დაღარული, რომ ნაწილობრივ იგი რელიეფური ზოლებით, სახელდობრ, ორი ზოლით არის შემკული; შიდაპირი ბრტყელი აქვს. ბუდე და რკალის ნაწილი — „დაქანებული მხრებით“ სიმაღლეში დაკუთხულია. წახნაგები

შიგნიდან დაჭდევის წესით არის გამოყვანილი. ბუდის ნაპირს დარჩილული აქვს ფართო, მუხლიანი სალტე, რომელიც თვალს არამჭიდროდ ეკვრის.

ბუდის ამობურცული ძირი (ე. ი. რკალის ნიწილი) ცალკე ფურცლისგან არის გაკეთებული და შემდეგ არის ბუდესთან მირჩილული. ბეჭედი ნაჭედია.

იმისათვის, რომ საკმაოდ თხელი თვალი ძაღლა მჯდარიყო, ოსტატს ბუდე პასტით ამოუვსია. ბუდეს ძირზე ოქროს ფირფიტა უნდა ჰქონდეს დაფენილი, რაც თვალს ელვარებას მატებს. (სურ. 57.).



სურ. 56



სურ. 56ა

დაცულობა: ინტალიო სისქეში რამდენიმე ადგილას გაბზარულია, ძალიან მცირედ. ბეჭედი ზოგან დაჟანგულია.

ზომები: ინტალიოს სიგრძე — 13 მმ,
ინტალიოს განი — 9 მმ,
ბეჭდის სიმაღლე — 25 მმ,
რკალის განი — 3 — 8 მმ,
ბეჭდის დიამეტრი — 15 — 17 მმ,
ბუდის სიმაღლე — 6 მმ,
ბუდის სიგრძე — 17 მმ,
თვალბუდის სიგრძე — 14 მმ.

სტილისა და დამუშავების ტექნიკის მიხედვით (შდრ. № 850 გემას, აგრეთვე მ. ლორთქიფანიძე, სამთავროში აღმოჩენილი გემების კატალოგი, 48) ინტალიოს პართული ხანის ნახელავად მივიჩნევთ[1]. ამგვარ დათარიღებას ხელს უწყობს აგრეთვე თვით გამოხატულებაც, სახელდობრ, მანდილოსნის ჩაცმულობა (აქამენიდური ხანის სპარსელი ქალების ჩაცმულობაა და სასანური პერიოდის ძეგლებზე აღარ გვხვდება).

ამავე სამარხიდან არის გემიანი ბეჭედი № 851.

27 (ინვ. № 848).

არმაზისხევი, 1944 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვისსამარხი № 42, საველე № ა—44 / XLII—676.

ინტალიო გრანატისა — პიროპი, ოქროს ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა; ამობურცული პირი აქვს.

პირზე გამოხატულია ტრიტონი, პროფილში მარჯვნივ. თავი და გულ-მკერდი ადამიანის აქვს, ტანი და ბოლო თევზისა. წინა კიდურები მარწუხებით უბოლოვდება. ტრიტონი მიცურავს.



სურ. 57

ტრიტონის თავი სუმარულადაა გადმოცემული; ცხვირი, შუბლი და თვალი გაერთიანებულია. პირსა და ნიკაპს ორი პარალელური ხაზი გამოხატავს. კისერი არ უჩანს. წინა კიდურები — მკლავები მხართან ძალიან სქელი აქვს, მარწუხებთან — მკვეთრად წვრილდება. ორად გაშლილი ბოლო ზევით აქვს აქნეული. ფარფლები სქემატურად არის გადმოცემული. წელს ქვემოთ სხეული (ე. ი. ბოლო) ირიბი ხაზებითაა დასერილი.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე საკმაოდ ბრტყელ რელიეფს იძლევა.

[1] შესავალი გვ. 26.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი არაღრმად და მკვეთრი რელიეფით (ამოჭრის მანერა შდრ. გემებს №№ 849, 850, 847). გაბედული ხელით შესრულებული ნახელავი არ გამოირჩევა სიფაქიზით. პირი ზედმიწევნით არის გაპრიალებული, ოსტატს გამოხატულება მკრქალად დაუტოვებია.

მსგავსი გამოხატულებები იხ. Reinach, Pierres gravées, ტაბ. 59, გამ. 47[1]; Southesk: Carnegie, Catalogue of the antique gems, v. II, ტაბ. VIII, გამ. 4 (სტილისტურად აღნიშნული გემები სავსებით განსხვავდება არმაზისეულ ინტალიოსგან).



სურ. 58

ბეჭედი მუქი ყვითელი ფერის ოქროსგან არის გაკეთებული. ვიწრო რკალი ბუდის მიმართულებით ფართოვდება და სქელდება. ბეჭედს საკმაოდ კარგად გამოხატული დაქანებული მხრები აქვს (სურ. 58).

ფურცლოვანი ოქროსაგან გაკეთებული მაღალი ბუდე ოვალური მოყვანილობისაა, ღრმა; წაგრძელებული გვერდები შედრეკილი აქვს. სიგრძეზე ბუდეს რელიეფური ზოლები — წახნაგები დაჰყვება, ბუდის ნაპირს კიდეზე ღარიანი, საკმაოდ ფართო სალტე აქვს დარჩილული, რომლის ნაპირი თვალზე გადმოკეცილი და შემოჭედილია. ბეჭდის რკალი გარედან ამობურცულია; შიდაპირი ბრტყელი აქვს. ბუდის ძირზე ოქროს ფირფიტაა დაფენილი, რაც თვალს ელვარებას ანიჭებს.

ბუდეზე ცალ მხარეს ამოკაწრულია არმაზული წარწერა[1]— ⴀ ⴁⴑ ⴀ ⴂⴓ (სურ. 59). ბეჭედს №№ 847, 849, 850 ბეჭდების ჯგუფს ვაკუთვნებთ.

დაცულობა: ქვა სისქეში გაბზარულია ცერად. ადგილ-ადგილ დაკენკილია; ბუდეს ნაპირები დაჭყლეტილი აქვს.

ზომები: ინტალიოს სიგრძე — 12 მმ, ინტალიოს განი — 10 მმ, ბეჭდის სიმაღლე — 25 მმ, ბეჭდის დიამეტრი — 15¦— 16 მმ, ბუდის სიგრძე — 6 მმ, ბუდის განი — 13 მმ, რკალის განი — 4 მმ.

ამოჭრის მანერისა და №№ 847, 849, 850 ბეჭდებთან სტილისტური მსგავსების საფუძველზე ინტალიოს პართული ხანის ნახელავად მივიჩნევთ.

ამავე სამარხიდან არის გემიანი ბეჭედი № 847.

28 (ინვ. № 847).

არმაზისხევი, 1944 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვისსამარხი № 42, საველე № $\frac{\text{ა—44}}{\text{XLII—675}}$.

ინტალიო ღია ფერის ალმანდინისა (გრანატი), ოქროს ბეჭედს ამკობს; ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ამობურცული პირი აქვს.

პირზე გამოხატულია ძალიან სტილიზებული, გრძელყურებიანი ცხოველი, პროფილში მარჯვნივ. ცხოველს აცქვეტილი ყურები აქვს, სუმარულად შესრულებული ორნაწილედი თავი; გრძელ ულვაშებს ორი სწორი ხაზი გამოხატავს. ცხოველს მაღალი, წმინდა ღარებით შესრულებული ფეხები აქვს. მოკლე და სქელი კუდი საკმაოდ დიდი სიბრტყით არის გადმოცემული.

სხეულის ცალკეული ნაწილები ერთმანეთისაგან საკმაოდ თვალსაჩინოდ არის გამოყოფილი.

---

[1] Г. В. Церетели, Армазское письмо и проблема происхождения грузинского алфавита, I. Эпиграфика Востока, II, М.—Л., 1948, стр. 94.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბუდეზე ამოკაწრულია სახელი „ადად“, იხ. გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1952, გვ. 129.

სქემატურად შესრულებული გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე მკაფიო რელიეფს იძლევა.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, საკმაოდ ღრმად და მკვეთრად. გამოხატულება ცალცალკე მონაკვეთებად არის დაყოფილი და მკვეთრად გამოყოფილი ერთიმეორისაგან (შდრ. №№ 848, 849). ნახელავი თამამი და გამოცდილი ხელით არის შესრულებული; პირი კარგად არის გაპრიალებული. გამოხატულება ოსტატს მჭრქალად გაუპრიალებია.



სურ. 59

ბეჭედი მუქი ყვითელი ფერის ოქროსგან არის გაკეთებული. გვერდებისკენ ოდნავ განზიდული ვიწრო რკალი მხრების მიმართულებით სქელდება. ბეჭედს მკვეთრად გამოხატული, ოდნავ დაქანებული მხრები აქვს. მხრები რკალის უშუალო გაგრძელებას — ის გვერდებს წარმოადგენს (სურ. 60).

ბეჭედს ფურცლოვანი ოქროსაგან გაკეთებული ოვალური ჰოყვანილობის მაღალი ბუდე აქვს. ბუდის ზედაპირი, ასევე მხრებიც, სიგრძეში დაკუთხულია — რელიეფური ზოლებით არის შემკული. ბუდის ნაპირს წვრილი გავარსის ორმაგი წყებით შემკული სალტე აქვს დარჩილული, რომელიც ინტალიოს მჭიდროდ ეკვრის. ბუდეს ფართო და ბრტყელი ძირი აქვს. რკალი, მხრებთან თითო ტეხილი ხაზით არის შემკული[1]. რკალი ქვედა ნაწილში ისეა ჭოხრილი, რომ მომრგვალებულკონტურიან კუთხეებს ჰქმნის.

დაცულობა: თვალი სისქეში ერთგან გაბზარულია, ცერად. ბეჭდის რკალი გაცვეთილია, ხანგრძლივი ტარების შედეგი უნდა იყოს.

ზომები: ინტალიოს სიგრძე — 8 მმ, ბეჭდის დიამეტრი 15 — 16 მმ,
ინტალიოს განი — 7 მმ, ბუდის სიგრძე — 15 მმ,
ბეჭდის სიმაღლე — 23 მმ, ბუდის განი — 13 მმ.

ინტალიოს პართული გლიპტიკის ნიმუშად მივიჩნევთ (შდრ. №№ 848, 850, 851). ამავე სამარხიდან არის გემიანი ბეჭედი № 848.

29 (ინვ. № 851).

არმაზისხევი, 1944 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვისსამარხი № 48, საველე № $\frac{ა—44^2}{XLVIII—696}$.



სურ. 60

ინტალიო მუქი პიროპისა (გრანატი) ოქროს ბეჭედს ამკობს. ინტალიო მრგვალი მოყვანილობისაა, ბრტყელი; ქვის თხელი ფენისგან უნდა იყოს გაკეთებული.

პირზე გამოხატულია წვერიანი მამაკაცის ბიუსტი, პროფილში მარჯვნივ, ზურგიდან ჩანს. საკმაოდ გრძელი თმა თავის ირგვლივ (კეფა, საფეთქელსა, შუბლის ზემოთ) რგოლებად ეხვევა, კულულები ფართო შუბლსა და კისერზე ჩამოშლილია; კეფასა და საყოჩრეზე თმა წმინდა ღარებითაა შესრულებული. მამაკაცს გრძელი, ლამაზი მოყვანილობის დაბალკეხიანი ცხვირი აქვს, მკვეთრად გამოხატული ნესტოებით.

---

[1] ბეჭდის ეს ფორმა შორეულ მსგავსებას პოულობს Pollak-ის მიერ გამოცემული Antiken Goldsmiedearbeiten in Besitz von Nelidow, 1903, ტაბ. XVIII, გამ. 453.

[2] სამარხი ბანურსახურავიანი იყო. ვარაუდობენ, რომ სამარხი მამაკაცს ეკუთვნოდა.

ძალიან გრძელი, სვეული წვერი ფართოდა აქვს გაშლილი, თითქოს გაწეწილიაო. თმა და წვერი საფეთქელთან შეზრდილია. დიდი ზომის თვალი რელიეფურად გამოირჩევა სახეზე, ლამაზი მოყვანილობის გრძელი წარბი ვიწრო რკალით არის გადმოცემული; მამაკაცს მაღალი ყვრიმალის ძვალი აქვს. წინ წამოწეული ნიკაპი, მკვეთრად გამოხატული პირი (ზედა ტუჩი ქვედა ტუჩზე დიდია).

მამაკაცს თავს ფოთლოვანი გვირგვინი უმკობს, რომელიც თმაზე მჭიდროდ არის შემოჭერილი. ოსტატმა გემაზე მკურნალი ღვთაება — ასკლეპიოსი გამოხატა[1]. ასკლეპიოსის წინ, მარჯვენა მხართან, ორი ერთმანეთზე გადახლართული გველი ამართულა. თითქოს გველები ღვთაებას მხარზე ამოსვლიაო. ასკლეპიოსს თავი ოდნავ დაუხრია და ქვეწარმავლებს დასცქერის.

ღვთაებას ზურგი გატიტვლებული აქვს; ოსტატს იგი საგანგებოდ გაუპრიალებია. ლამაზი მოყვანილობის ფართო მხრები რბილი კონტურებითაა შემოფარგლული; ასკლეპიოსს, მარცხენა მხარზე ქლამიდა აქვს წამოსხმული. ქსოვილი რამდენიმე სქემატურ-რელიეფური ხაზითაა გადმოცემული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი. საკმაოდ ღრმად და მკაფიოდ. ზედმიწევნით ფაქიზი და ოსტატური ნახელავია, იგრძნობა ოსტატის მტკიცე და გამოცდილი ხელი. ასკლეპიოსის მჭრქალად გაპრიალებული სახე მკვეთრად გამოირჩევა ზედმიწევნით პრიალა პირზე. თუმცა უხდა ითქვას, რომ გამოხატულება მჭრელს ნაწილობრივ მაინც აქვს გაპრიალებული. ასე მაგალითად: მხარ-კისერი, სახის მცირე ნაწილი ყვრიმალის ძვალთან და რამდენიმე წერტილი თმაში. ქვა კარგად არის გათლილი, წესიერი ფორმა აქვს მიცემული.

ასკლეპიოსის სახე ფართოდ არის გავრცელებული ანტიკური დროის გლიპტიკურ ძეგლებზე. არმაზისეული ინტალიო ანალოგიებს რომაული ხანის გლიპტიკურ მასალაში პოულობს, სახელდობრ, Furtwängler, Die Antiken Gemmen, ტაბ. LXI, გამ. 58, 278 (სარდიონზე ამოჭრილი ინტალიო დაცულია მიუნხენის მუზეუმში. მკვლევარი მას ავგუსტის დროით ათარიღებს, აღსანიშნავია, რომ არმაზისეულ გემასთან შედარებით ფურტვენგლერისეულ გემაზე ქსოვილი მეტი ოსტატობითა და დახელოვნებული ხელით არის შესრულებული; თმა ღვთაებას მეტი სიფაქიზით აქვს დამუშავებული: ასკლეპიოსის თავს, აქ სადა ბაბთი ამკობს, ხოლო გველი ჯოხს შემოხვევია); Furtwänger, Beschreibung der Geschnittenen Steine im Antiquarium, ტაბ. 51, გამ. 6929 (ნიკოლოზე ამოკვეთილი ინტალიო. მკვლევარი მას ელინისტურ-რომაული დროით ათარიღებს); იქვე, ტაბ. 24, გამ. 2678 (ამეთვისტოს გემა, მკვლევარი გემას გვიანრომაული დროით ათარიღებს).

საკმაოდ დიდ მსგავსებასთან ერთად, ფურტვენგლერის მიერ გამოცემულსა და არმაზისეულ გემებს შორის თვალსაჩინო სხვაობაც ჩანს და სახელდობრ, ფურტვენგლერისეულ გემაზე 6929 გამოხატული ასკლეპიოსის წვერი (არმაზისეულისგან განსხვავებით) ბღუჯებად არის დაყოფილი და მოკლე ჰორიზონტალური ღარებით გადმოცემული. ქსოვილი რბილი ხაზებითაა შესრულებული — ვიწრო და გრძელი მორკალული ღარებით. შდრ. აგრეთვე Walters, Catalogue of engraved gems and cameos, ტაბ. XII, გამ. 1687, ინტალიო ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული. ავტორი მას ბერძნულ-რომაულ გემებს აკუთვნებს; ამ გემაზეც ქსოვილი — არმაზისეულთან შედარებით მეტი ოსტატობით არის შესრულებული. ვუოლტერსისეულ ასკლეპიოსის პოზა მშვიდია და იგი უფრო ხანში შესულსა ჰგავს (სურ 61). Reinach, Pierres gravées, ტაბ. 33, გამ. 68[1].

ანალოგიად მოყვანილ ყველა გემაზე ღვთაებას ერთი გველი აქვს ატრიბუტად.

ბეჭედი მუქი ყვითელი ფერის ფურცლოვანი ოქროსგან არის გაკეთებული; დიდი ზომისაა. ცილინდრული მოყვანილობის მაღალი ბუდე „დაკუთხულია“ — სიმაღლეში რელიეფური ზოლებითაა შემკული. ბუდე ნახევრად ჰორიზონტალურ დაქანებულ მხრებში გადადის. მხრებს სამ-სამი რელიეფური ზოლი (დაკუთხვის შედეგია) დაჰყვება; ბუდეს მირჩილული აქვს საკმაოდ ვიწრო რკალი, რომელიც მხრებთან ფართოვდება. მხრებთან რკალი ამობურცულია, ბრტყელი

---

[1] ამას მისი ფოთლოვანი გვირგვინი და გველები მოწმობს.

შიდაპირი და ოდნავ ამოზნექილი ზედაპირი აქვს. მხრები და რკალი ერთმანეთისგან მკვეთრი ღარით არის გამოყოფილი; ბუდეს ცალკე ფურცლისაგან გაკეთებული შედრეკილი და ელიფსისებრი მოყვანილობის ძირი აქვს, რომელიც შემდეგ არის მირჩილული ბეჭედზე. ფურცელი თავსა და ბოლოში დაუდევრადაა შემოკეთებული. ბუდეზე ორნუხლიანი, მაღალი ნაპირია დარჩილული.



სურ. 61

თვალი ბუდეში ღრმად ზის. რკალი გვერდებისკენ განზიდულია (სურ. 62). ბეჭედი ნაჭედია.

ამ ტიპის ბეჭდები, რომლებსაც ჩვენ პირობითად მხრებიანს ვუწოდებთ, ჩვენთვის ჯერჯერობით მაღლად საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ძეგლებიდანაა ცნობილი; ისინი ყველაზე დიდი რაოდენობით არმაზისხევის, სახელდობრ, პიტიახშთა სამაროვანშია მოპოვებული[1].

ჰენკელის[2] მარშალის,[3] პოლაკის[4] და სხვათა შრომებში მსგავსი ბეჭდები არ არის.

დაცულობა: თვალი ადგილ-ადგილ დაკაწრულია, ძალიან მცირედ. ბეჭედი ოდნავ დაჭყლეტილია.

ზომები: ინტალიოს დიამ. — 15 მმ, ბუდის ნაპ. დიამ. — 16 მმ,
ბეჭდის სიმაღლე — 28 მმ, ბუდის დიამ. — 18 მმ,
ბეჭდის დიამ. 19 — 22 მმ, რკალ. უდ. განი — 7 მმ.
ბუდის სიმაღლე — 9 მმ,

ასკლეპიოს არაკლასიკური — მკვეთრი სახის ნაკვთები აქვს, იგი პართულ გემებზე გამოხატულ ტიპს მოგვაგონებს შდრ. Neilson C. Debevoise, Parthian seals. A Survey of Persian Art, v. I, გვ. 473, გამ. a.

ვფიქრობთ, რომ ინტალიო პართულ ნახელავად უნდა იქნეს მიჩნეული და ახ. წ. III საუკ. უნდა დათარიღდეს[5].

ამავე სამარხიდან არის გემიანი ბეჭედი № 850.

30 (ინვ. № 661).

არმაზისხევი, 1938 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვისსამარხი № 13 საველე № 447.

ინტალიო მოყვითალო ფერის მინისა, ბრინჯაოს ბეჭედს ამკობს. ინტალიო მინის თხელი ფენისაგან არის გაკეთებული, გამჭვირვალეა; მრგვალი მოყვანილობა აქვს, ბრტყელია.



სურ. 62

პირზე გამოხატულია ოთხფურცლიანი ყვავილი. ყოველი ფურცელი თითქოს ორად არის გამოყოფილი, ერთიანად კი — ნახევარმთვარის მოყვანილობა აქვს. ყვავილი მრგვალგულიანია, უყუნწო. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

---

[1] აღსანიშნავია, რომ არმაზისხევში მოპოვებული თითოეული ამ ტიპის ბეჭედს გარკვეული ინდივიდუალობა ახასიათებს.

[2] დასახ. ნაშრომი.

[3] დასახ. ნაშრომი.

[4] დასახ. ნაშრომი.

[5] ცნობილია, რომ პართულ გემებზე ბერძნულ-რომაული სიუჟეტები ხშირად არის ასახული. მადლობით უნდა მოვიხსენიო განსვენებული მ. მ. დიაკონოვი, რომელმაც მდიდარი ფოტო—მასალა გაგვაცნო ნისაში მოპოვებული ბულების სახით. ამ ძეგლებზე ფართოდ არის ასახული ბერძნულ-რომაული სიუჟეტები. იხ. აგრეთვე, Neilson C. Debevoise, დასახ. ნაშრომი.

ინტალიო ჩამოსხმულია. გამოხატულება მკაფიოდ არის გამოსული, ღრმაა. ჩამოსხმის შემდეგ ოსტატს თვალი საკმაოდ კარგად შემოუკეთებია, წესიერი ფორმა აქვს მიცემული. ეტყობა დედანი, რომლიდანაც პირი არის აღებული ღრმად ყოფილა ნაკვეთი და არც თუ მაინცდამაინც ფაქიზი ხელობისა.

მსგავსი გამოხატულებები გვხვდება საქართველოში აღმოჩენილ ძეგლებზე, სახელდობრ, სამთავროში მოპოვებულ პართული პერიოდის გემებზე იხ. М. И. Максимова, Геммы из некрополя Мцхеты—Самтавро (раскопки 1938/39 гг), ტაბ. 3, გამ. 76; მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, ტაბ. IV, გამ. 36. აღნიშნულ მოტივს პართული ვერცხლის ჭურჭელზეც ვხვდებით. ნაგალითისათვის იხ. სახ. ერმიტაჟში დაცული ვერცხლის პატერა, რომლის ძირზე ანალოგიური ვარდულია გამოხატული[1].

ანალოგიური გამოხატულება უფრო გვიანაც, სახელდობრ, სასანურ მინანქრებზეც ხშირია. იხ. Margulies, Cloisonné enamel. Persian art I, New York — London, 1938, გვ. 783, გამ. 267.



სურ. 63

ბეჭედი ბრინჯაოსგან არის გაკეთებული, სქელი და მრგვალი რკალი საკმაოდ მაღალ, ცილინდრული მოყვანილობის ბუდეზეა მირჩილული. რკალი გვერდებისკენ ოდნავ განზიდულია. ძირისკენ ოდნავ დავიწროებული ბუდის ვიწრო ნაპირი თვალის მიმართულებით არის გადმოკეცილი; ბუდე ბრტყელძირიანია (სურ. 63).

როგორც ჩანს, ბუდეში პასტის ან სხვა რამ ნივთიერების სქელი ფენა იყო ჩადებული, რაზედაც თხელი თვალი მაგრდებოდა. მსგავსი ფორმის ბეჭედი მოპოვებულია სამთავროში. იხ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, სურ. 11.

დაცულობა: ირიზებული თვალი ბუდიდან ამოვარდნილია, ინტალიო ორგან ამოტეხილია (პირიდან—ქვედაპირამდე გამსკვალი ნახვრეტებია). ბეჭედი პატინით არის დაფარული; ბუდეს ძირი ამომტვრეული აქვს. ნაპირი ერთგან გაბზარულია.

ზომები: ინტალიოს დიამ. — 9 მმ, ბუდის სიმაღლე — 4 მმ,
ინტალიოს სისქე — 1 მმ, ბუდის დიამ. — 12 მმ,
ბეჭდის სიმაღლე — 23 მმ, რკალის დიამ. — 2 მმ.
ბეჭდის დიამ. 15 — 18 მმ,

ანალოგიური მასალის საფუძველზე ინტალიო პართული ეპოქით, სახელდობრ, ახ. წ. II—III საუკ. თარიღდება.

31 (ინვ. № 800).

არმაზისხევი, 1945 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვისსამარხი № 83, საველე № 1076.

ინტალიო — საბეჭდავი, ბრინჯაოსგან გაკეთებული. საბეჭდავი სფერული ფორმისაა, ცალ მხარეს „წაკვეთილი“ — ბრტყელი. ბრტყელი ნაწილი საბეჭდავის პირს წარმოადგენს; პირი ოვალური მოყვანილობისაა. საბეჭდავში გაკეთებულია დიდი ნახვრეტი ზონრისათვის (სურ. 64).

პირზე გამოხატულია მწოლიარე ლომი პროფილში მარჯვნივ. თავი საკმაოდ სქემატურად აქვს შესრულებული. მაღალი ფაფარი მოკლე-მოკლე ღარებით არის გადმოცემული. წინა თათი უკანასთან შედარებით ბევრად ფართო და სქელია; ბასრი ბრჭყალები მკვეთრად არის გამოხატული, გრძელი კუდი უკანა ფეხებს შორის აქვს გაყრილი (იხ. შესავალი გვ. 26—27).

---

[1] Ackerman, The art of the parthian Silver-and goldsmith. A Survey of Persian art I, გვ. 462, გამ. 123. დაახლოებით ასეთივე მოტივია გამოყენებული ნესას მავზოლეუმის ტერაკოტებზე იხ. Oscar Reuther-ის Parthian Architecture, A. History. A Survey of Persian Art. I, გვ. 442, გამ. 114c.

ლომის ზურგის გასწვრივ, პირის კიდესთან, კუდმოკეცილი მორიელია გამოხატული, საკმაოდ სქემატურად. ლომის თავის გასწვრივ ერთსტრიქონიანი ფალაური წარწერაა ამოჭრილი[1]. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

საბეჭდავი ჩამოსხმულია; ყალიბიდან ამოღების შემდეგ ოსტატს გამოხატულება საჭრისით დაუმუშავებია, არაღრმად და საკმაოდ მკაფიოდ. მთელი გამოხატულება ბრტყელ რელიეფშია მოცემული; ცალკეული დეტალები არ არის ერთმანეთისგან გამოყოფილი.



სურ. 64

მსგავსი ლომი იხ. Horn und Steindorf, Sassanidishe Siegelsteine, ტაბ. II, გამ. 178, 1177, 1180,1183 (კომპოზიციაში განსხვავებაა); Delaporte, Catalogue des cylindres et des cachets orientaux II, Acquisition, Paris, 1926, ტაბ. 110, გამ. 36 (A. 1388), 37 (A. 1389).

დაცულობა: საბეჭდავს პირი ერთგან გახვრეტილი აქვს. ლითონის ზედაპირი ადგილ-ადგილ „დაკენკილია.“

ზომები: საბეჭდავის სიმაღლე — 12 მმ, პირის განი — 18 მმ,
პირის სიგრძე — 19 მმ, ნახვრეტ. დიამ. — 9 მმ.

ამოჭრის მანერისა და სტილის მიხედვით (შდრ. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ. ტაბ. IV, გამ. 4). ინტალიო პართული ხანის ნახელავი უნდა იყოს. ამავე დროით თარიღდება სამარხში აღმოჩენილი საბეჭდავი ბეჭედი № 799.

32 (ინვ. № 799).

არმაზისხევი, 1945 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვისსამარხი № 83, საველე № 1078.

ინტალიო—ბეჭედი, ვერცხლისა, ინტალიო ოვალური და ბრტყელია, იგი უშუალოდ გადადის ვიწრო რკალში. ინტალიოს ქვედაპირზე, შუაგულში, ამოღებულია რგოლი. ჩანს, რკალი გაბრტყელებული ყოფილა და შემდეგ ნაპირები შიდაპირზე „შეუკეციათ“. რკალი გარედან სადაა, გლუვი ზედაპირი აქვს. რკალის შიდაპირზე „ნაკერავი“ ეტყობა, მხრებთან ნაკერავის პირი პირთან არ მიდის (სურ. 65).



სურ. 65

ინტალიოს პირზე გამოხატულია ანტილოპა, პროფილში მარჯვნივ, მიმავალი. გამოხატულება ძალიან სქემატურად არის შესრულებული. ანტილოპას თავი სუმარულადაა გადმოცემული; ტანის ცალკეული ნაკვთები ერთმანეთისაგან არ არის გამოყოფილი. რქები და ნაწილობრივ ტანიც, თითქოს ჰდეებისგან არის შედგენილი.

გამოხატულება ხელით არის ამოჭრილი, არაღრმად და ძალიან პრიმიტიულად. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თითქოს სამუშაო დაუმთავრებელია. ბეჭედი ნაჭედი უნდა იყოს.

მსგავსი გამოხატულება იხ. Horn und Steindorf, Sassanidische Siegelsteine, ტაბ. III, გამ. 1311.

დაცულობა: რკალს 1/3 მოტეხილი აქვს, ნაკლულია. ვერცხლი რეკლისტალიზირებულია.

ზომები: ინტალიოს სიგრძე — 9 მმ, ბეჭდის სიმაღლე — 14 მმ,
ინტალიოს განი — 7 მმ, ბეჭდის დიამეტრი — 13 მმ.
რკალის განი — 3 მმ,

---

[1] მის შემდეგ რაც შრომის ნაწილი აწყობილი იყო ჩვენ, სახვით ხელოვნების მუზეუმის მეცნ. თანამშრ. ს. იმრანისაგან მივიღეთ წარწერის გაშიფრვა $\text{sh [a]he } \frac{\text{hūčd[a]s}}{\text{ū}}$, ანუ „მთავარი კერპი“ თუ „დიდი კერპი“ („главный идол“ или же „великий идол“).

პატ. ს. იმრანს ცნობისათვის მადლობას მოვახსენებთ.

ამოჭრის მანერისა და სტილის მიხედვით (გამოხატულება ესკიზური მანერით არის შესრულებული) ინტალიოს პართული ხანის ნახელავად მივიჩნევთ. ამავე სამარხიდან არის საბეჭდავი № 800.

33 (ინვ. № 829).

არმაზისხევი, 1945 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვისსამარხი № 82, საველე № 1047.

ინტალიო ცისფერი პასტისა, ოქროს ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალური და ბრტყელია.

პირზე გამოხატულია კუზიანი ხარი — ზებუ, პროფილში მარჯვნივ, მიმავალი. ხარის თავი საკმაოდ სუმარულად არის გადმოცემული, თვალს პაწია შვეული ღარი გამოხატავს.

ხარს დაბალი, თითქმის ნახევარმთვარისებრი მოყვანილობის რქები აქვს, მოკლე კისერი. ბრტყელი რელიეფით შესრულებული კუზი მარაოსებრი მოყვანილობისაა. ბალანი პირობითად არის გადმოცემული, მკერდსა და ფერდებს სამ-სამი პარალელური ღარი ჰკვეთს. ხარის წინა ფეხები სწორი ღარებით არის გადმოცემული; მარჯვენა უკანა ფეხი ზედა სახსარში (მუხლში) მოხრილი აქვს. ძირს ჩაშვებული გრძელი კუდი მარჯვენა უკანა ფეხს ეკვრის. კუდის ბოლო ნიადაგს ეხება. ჩლიქები მკრთალი, მოკლე და ჰორიზონტალური ღარებით არის გადმოცემული. გამოხატულებას, პირის კიდესთან, უკანა მარჯვენა ფეხის ტერფიდან წინა მარცხენა ფეხის ტერფამდე, გარს უვლის წყვეტილი ხაზისგან შედგენილი რკალი.

გამოხატულება თითქმის მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალ და საკმაოდ ბრტყელ რელიეფს იძლევა.

ინტალიო დაზგაზეა ამოჭრილი, საკმაოდ ღრმად და მკაფიოდ. ნახელავი არ გამოირჩევა დიდი ოსტატობითა და სიფაქიზით. გამოხატულება საკმაოდ სქემატურად გამოიყურება; ცალკეული დეტალები არ არის გამოყოფილი ერთიმეორისაგან.

ჩანს გემა გაპრიალებული ყოფილა, ზოგან გაპრიალების კვალია დარჩენილი.

მსგავსი გამოხატულება საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ გემათაგან იხ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროში მოპოვებული გემების კატალოგი, ტაბ. V, გამ. 58. იხ. აგრეთვე უცხო მასალებიდან: Horn und Steindorf, Sassanidische Siegelsteine, ტაბ. III გამ. 269; Delaporte, Catalogue des cylindres et cachets orientaux, I, Fouilles et missions, Paris, 1923, ტაბ. 55, გამ. 59 (D. 212); Delaporte II, Acquisitions, ტაბ. 110, გამ. 18 (A. 1369); А. Захаров, Геммы и античные перстни Гос. Исторического Музея, РАНИОН в. 3, ტაბ. VI გამ. 51, 52.

ბეჭედი მუქი ყვითელი ფერის ოქროსგან არის გაკეთებული. მრგვალი მავთულის ვიწრო რკალი დაბალ, ოვალური მოყვანილობის ბუდეზეა მირჩილული. ბუდე ფურცლოვანი ოქროსგან არის გაკეთებული; ბრტყელი ძირი აქვს. ჩანს თვალი და ბუდის ნაპირი თავის დროზე ერთ სიბრტყეზე ყოფილა მოთავსებული. ბეჭდის რკალი გვერდებისკენ ოდნავ გაწეულია (სურ. 66). ბეჭედი შდრ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროში მოპოვებული ბეჭდების კატალოგი, გვ. 44, სურ. 9.



სურ. 66

დაცულობა: გემა გამოფიტულია; პირზე ადგილ-ადგილ ანატკეცები აქვს. თვალი ბუდიდან ვარდება. რკალი ცალ მხარეს ბუდეს მოცილებული აქვს, ბუდე ერთგან ჩახეულია, ერთ ადგილას — გახვრეტილი. ბუდის ძირი დაჭყლეტილია.

ზომები: ინტალიოს სიგრძე — 21 მმ,
ინტალიოს განი — 10 მმ,
ინტალიოს სიმაღლე — 2 მმ,
ბეჭდის სიმაღლე — 21 მმ,
ბეჭდის დიამეტრი 15 — 18 მმ,
რკალის დიამეტრი — 2 მმ,
ბუდის სიმაღლე — 4 მმ,
ბუდის სიგრძე — 13 მმ,
ბუდის განი — 11 მმ.

სტილისტური თავისებურებისა და სამარხში აღმოჩენილი ბეჭდების მიხედვით (აქატის ბეჭედი, სველე № 1049, შდრ. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი №№ 45, 52, 59) ინტალიო ახ. წ. III—IV საუკ. თარიღდება.

34 (ინვ. № 785).

არმაზისხევი, 1941 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვისსამარხი № 21, სველე № 416.

ინტალიო მუქი ნარინჯისფერი სარდიონისა, ვერცხლის ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი.

პირზე გამოხატულია ოთხფეხა ცხოველი, პროფილში მარჯვნივ, მიმავალი; იგი კურდღელს მოგვაგონებს.

კურდღელს (?) თავი დახრილი აქვს, გრძელი აცქვეტილი ყურები სწორი ხაზებით არის გადმოცემული. თვალს ოვალური მოყვანილობის გულამოღებული „წერტილი“ გამოხატავს. კისერი ძალიან მოკლე აქვს. მეტად სქელი ტანი მომრგვალებული კონტურებითაა შემოფარგლული. ფერდებს სამი ღარი ჰკვეთს, ზურგს — ერთი ჰორიზონტალური; კურდღელს (?) უკანა ფეხები სახსრებში მოხრილი აქვს. ბასრი ბრჭყალები მკვეთრად არის გადმოცემული. კუდს სწორი და ფართო ღარი გამოხატავს.

გამოხატულება საკმაოდ სუმარულად არის შესრულებული და საკმაოდ სტილიზებულიცაა. იგი თითქმის მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალსა და ბრტყელ რელიეფს იძლევა.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი მცირეოდენი ჩაღრმავებით ქვაში და მეტად ბრტყელი რელიეფით. გამოხატულების ცალკეული დეტალები არ არის ერთმანეთისაგან გამოყოფილი; ცხოველის სხეული საკმაოდ სუმარულად არის შესრულებული. ნახელავი არ გამოირჩევა შესრულების მხრივ სიფაქიზითა და ოსტატობით; არც თუ მაინცადამაინც გამოცდილი ხელი ეტყობა. ფონი კარგად არის გაპრიალებული, გამოხატულება ოსტატს ბჭრქალად დაუტოვებია, ამიტომ იგი საკმაოდ მკვეთრად გამოირჩევა პირისაგან.

მსგავსი გამოხატულება იხ. Horne und Steindorf, Sassanidishe Siegesteine, ტაბ. III, გამ. 1328.

ბეჭედი ვერცხლისგან არის გაკეთებული. სქელი, მრგვალი მოყვანილობის რკალი ქვევითკენ ჩამოგრძელებულია. რკალი მირჩილულია ოვალური მოყვანილობის კოლოფისებრ ბუდეზე (ბუდე რკალთან გარდიგარდმო არის მირჩილული). ბუდეს ძალიან ვიწრო ნაპირი აქვს, თვალის კიდეზე ოდნავ შემოჭედილი, რომლის ფართო ძირი შუაგულში თითქოს მცირედ ჩადრეკილია. ბუდე არ არის თანაბარი სიმაღლისა (სურ. 67). მსგავსი ბეჭდები მოპოვებულია სამთავროში, იხ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროში მოპოვებული ბეჭდების კატალოგი, გვ. 44, გამ. 9.

დაცულობა: თვალი კარგად არის შენახული. ბეჭედი პატინითაა დაფარული, ბუდის ნაპირი ზოგან ოდნავ შემოკბილულია.

ზომები: ინტალიოს სიგრძე — 10 მმ, ბეჭდის დიამ. — 20 მმ,
ინტალიოს განი — 8 მმ, რკალის დიამ. — 2 მმ,
ბეჭდის სიმაღლე — 28 მმ, ბუდის სიმაღლე — 4 — 5 მმ.

ამოჭრის მანერისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო პართული ხანით თარიღდება. ამავე სამარხიდან არის ბეჭედი № 791.

35 (ინვ. № 798).

არმაზისხევი, 1945 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვისსამარხი № 82, სველე № 1048.

ინტალიო ნარინჯისფერი სარდიონისა, ვერცხლის ბეჭედს ამკობს. ინტალიო მრგვალია და ბრტყელი.

პირზე გამოხატულია ფასკუნჯი, პროფილში მარჯვნივ. აცქვეტილი ყურები სწორი ხაზებითაა შესრულებული. პატარა და კოხტა ნისკარტი აქვს, მკვეთრად გამოხატული თვალი. დაბალი და

მოხრილი ფრთა თითქმის თავს ეხება, ფასკუნჯი დაბალკისრიანია; კუდი აწეული და ზურგის მიმართულებით აქვს წახრილი. სქელი კუდის შუა ნაწილს ორი ურთიერთ გადამკვეთი ხაზი ჰკვეთს. ფერდებზე ნეკნები ჰორიზონტალური ხაზებითაა აღნიშნული; ბასრი ბრჭყალები მკვეთრად არის გამოხატული. ფასკუნჯს უკანა ფეხებში ზედა სახსრებში მოხრილი აქვს. ფასკუნჯის გულ-მკერდის გასწვრივ წერტილია ამოჭრილი. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი არაღრმად და საკმაოდ ბრტყელი რელიეფით. წმინდა და ფაქიზი ნახელავია, გაბედული ხელით შესრულებული. გამოხატულება და ფონი მჭრქალად არის გაპრიალებული, ქვედაპირი ელვარებს.

მსგავსი გამოხატულებები იხ. Horn und Steindorf, Sassanidische Siegelsteine, ტაბ. V, გამ. 1412; ტაბ. IV, გამ. 1417.





სურ. 67

ბეჭედი ვერცხლისგან არის გაკეთებული. სქელი და მრგვალი რკალი მაღალ, წაკვეთილ კონუსისებრი მოყვანილობის ბუდესთან არის მირჩილული. ბუდის ვიწრო ნაპირი თვალის მიმართულებით არის გადმოკეცილი. ბუდე პასტით უნდა ყოფილიყო ამოვსებული, რათა თხელი თვალი ზევით, ბუდის ნაპირამდე ამოეწია (სურ. 68).

მსგავსი მოყვანილობის ბეჭედი იხ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, ტაბ. 7, გამ. 54.

დაცულობა: ინტალიოს ნაპირები შემომტვრეული აქვს ისე, რომ ერთგან გამოხატულება დაზიანებულია. თვალი ბუდიდან ამოვარდნილია. ბუდე დამტვრეულია და რკალს მოცილებული.

ზომები: ინტალიოს დიამ. — 10 მმ,
ბეჭდის დიამ. — 19 მმ,
რკალის დიამ. — 3 მმ.

ინტალიო ამავე სამარხში აღმოჩენილი გემიანი ბეჭდის № 829 და აქატის ბეჭდის (საველე № 1049) მიხედვით ახ. წ. III—IV საუკ. თარიღდება.



სურ. 68

36 (ინვ. № 792).

არმაზისხევი, 1941 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვისსამარხი № 23, საველე № 442.

ინტალიო-საბეჭდავი მუქი ნარინჯისფერი სარდიონისა (მონატეხში ქვა ბაცი ფერისაა). საბეჭდავი ე. წ. ცრუ ბეჭდის ფორმისაა — ძალზე შებრტყელებული სფერული ფორმა აქვს, ცალ მხარეს წაკვეთილია. გამოხატულება წაკვეთილ მხარეზეა ამოჭრილი. ქვაში გაკეთებულია ნახვრეტი ზონრისათვის.

საბეჭდავის ზურგი ორნამენტირებულია რომბებად და ოვალებად. რომბებსა და ოვალებს გარს უვლის საკმაოდ ღრმა ღარები. როგორც ეტყობა საბეჭდავის ზურგს რვა ოვალი და სამი რომბი ამკობდა (ამჟამად ზურგზე მხოლოდ ორი რომბია შერჩენილი). საბეჭდავს ოვალური მოყვანილობის ბრტყელი პირი აქვს (სურ. 69).

პირზე გამოხატულია ჯიხვის პროტომა (თავ-კისერი), პროფილში მარჯვნივ (გამოხატულება სიგრძეზეა ამოჭრილი). ჯიხვს საკმაოდ დიდი ზომის, მეტად მორკალული და აქეთ-იქით გადაშლილი რქები აქვს. მოზრდილი, აცქვეტილი ყური სწორი ხაზით არის აღნიშნული. ჯიხვს მეტად მაღალი კისერი აქვს, თანაბარი რელიეფით გადმოცემული, პატარა თავი, ორი ღარისგან შედგენილი გრძელი დრუნჩი; პირი თითქოს დაღებული აქვსო. ქვედა ყბასა და ზედა ყბას შორის

მოთავსებული ღარი უშუალოდ გადადის თვალის აღმნიშვნელ ღრუში. იმ ადგილას, სადაც კისერი თავდება, ორი მკვეთრი ხაზია ამოჭრილი, ეს ხაზები გამოხატულებას ერთგვარად დასრულებულ სახეს აძლევს.

ჯიხვის წინ, კისრის ძირის გასწვრივ, ამოკვეთილია ექვსქიმიანი მნათობი. ქიმები არ არის თანაბარი ზომისა, არც მანძილია მათ შორის დაცული.



სურ. 69

გამოსახულება დაზგაზეა ამოჭრილი არაღრმად, მაგრამ საკმაოდ მკვეთრად. გამოხატულების ამოკვეთისას ოსტატს თანაბარი სიბრტყე ამოუჭრია. გამოხატულება საკმაოდ სუმარულად არის შესრულებული. ნახელავი არ გამოირჩევა მჭრელის ოსტატობით, თუმც იგი გაბედული ხელით არის შესრულებული.

საბეჭდავის ზურგი მეტი სიფაქიზით არის დამუშავებული (თუმცა იგი არც ამ მხრივ არის თვალსაჩინო), ქვა კარგად არის გათლილი და ზედმიწევნით ყოფილა გაპრიალებული. გამოხატულება ოსტატს მჭრქალად გაუპრიალებია.

მსგავსი გამოხატულებები იხ. Horn und Steindorf, Sassanidische Siegelsteine, ტაბ. III, გამ. 1384; აგრეთვე 1383 (კომპოზიციაში სხვაობაა); Delaporte, Cylindres et cachets orientaux II, Acquisitions, ტაბ. 110, გამ. 50 (A. 140).

დაცულობა: პირი ერთგან ამოტეხილია, ჯიხვს ზურგის მხარეს, მნათობის გასწვრივ; საბეჭდავის ზურგი ჩამოტეხილია — მხარიდან მოყოლებული ნახვრეტამდე, ნახვრეტი შიგ არის მოყოლილი; რამდენიმე ადგილას ატკეცილია.

პირი საბეჭდავს გაცვეთილი აქვს, ხანგრძლივი ტარების შედეგი უნდა იყოს.

ზომები: საბეჭდავის სიმაღლე — 15 მმ, პირის სიგრძე — 18 მმ,
ნახვრეტის დიამ. — 5 მმ, პირის განი — 8 მმ.

საბეჭდავი ახ. წ. III—IV საუკ. თარიღდება. ამავე სამარხიდან არის გემიანი ბეჭედი № 787.

37 (ინვ. № 787).

არმაზისხევი, 1941 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვისსამარხი № 23, საველე № 443.

ინტალიო მუქი ფერის ლაჟვარდისა, ვერცხლის ბეჭედს ამკობს. თხელი ფენისგან გაკეთებული ინტალიო ოვალური და ბრტყელია. ქვას რამდენიმე მოთეთრო ლაქა აქვს.

პირზე გამოხატულია რომელიღაც გარეული ცხოველი, პროფილში მარჯვნივ, მიმავალი. ცხოველს თავი არ აქვს ტანისაგან გამოყოფილი და სუმარულად, რამდენიმე ირიბი ხაზით არის შესრულებული (ისევე როგორც მთელი ტანი), ამიტომ ძნელი გასარკვევია თუ სახელდობრ, რომელი ცხოველი გამოხატა ოსტატმა. შესაძლებელია ლომი იყოს.

ცხოველს გრძელი, ზევით აწეული კუდი აქვს, რომლის ბოლო პირის კიდეს ეხება. ფეხები სწორი (ორ-ორი) ღარით არის გადმოცემული. წინა და უკანა ფეხებს შორის ზღვარის დადება ძნელია იმის გამო, რომ ფეხების აღმნიშვნელი ღარები (თუ შეიძლება ასე ვთქვათ), უთავბოლოდ არის განლაგებული. მთელი სხეული თანაბარი რელიეფითაა შესრულებული. კისერი ძალიან პიროზითად არის აღნიშნული (უნდა აღინიშნოს, რომ ცხოველი ძალზე მოკლე კისრიანია), ამ ადგილას გამოხატულება ოდნავ ჩადრეკილია (ე. ი. უფრო დაბალი რელიეფით არის გამოყოფილი).

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და საკმაოდ ბრტყელი რელიეფით. ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა. მთელი გამოხატულება ირიბი ღარებისაგან არის შედგენილი. მეტად სქემატური და სუმარულად გადმოცემული ნახელავია, ცალკეული დეტალები ძალიან პირობითადაა შესრულებული.

ნახელავი არ გამოირჩევა ოსტატობითა და სიფაქიზით; შეიძლება ითქვას, რომ ტლანქად არის ამოჭრილი.

ჩანს თვალი გაპრიალებული ყოფილა, ეს განსაკუთრებით ეტყობა ქვედაპირსა და აგრეთვე პირის ნაწილს. რაც შეეხება გამოხატულებას, გაპრიალების კვალი ამჟამად არ აჩნია.

ინტალიო არ არის თანაბარი სისქისა; ნაპირები საკმაოდ უსწორმასწოროდ აქვს შემოკეთებული.

ბეჭედი ვერცხლისგან არის გაკეთებული. მრგვალი და საკმაოდ სქელი რკალი გვერდებისკენ ოდნავ განზიდულია. იგი მირჩილულია საკმაოდ მაღალ, წაკვეთილი კონუსისებრ ბუდეზე (წაკვეთილი მხარე რკალისკენ აქვს მიქცეული). მირჩილვის ადგილას ბუდის გვერდები შედრეკილია. ბუდეს ნაპირი თვალის მიმართულებით აქვს გადმოკეცილი და როგორც ჩანს, თავის დროზე თვალზე ყოფილა შემოჭედილი (სურ. 70).

ბუდე ფურცლოვანი ვერცხლისგან არის გაკეთებული (შესაძლებელია, რომ ბეჭდის რკალი ღრუ იყოს და არა მასიური. რკალი უნდა წარმოადგენდეს ვერცხლის მილს, რომელიც რომელიმე სხვა ლითონით არის ამოვსებული. შდრ. სამთავროში მოპოვებულ № 192 ბეჭედს). ბეჭედში თვალი შავი ფერის პასტით ყოფილა ჩამაგრებული. უფრო სწორედ, ბუდე შავი ფერის მასით იყო ამოვსებული, რომელზეც თვალი მაგრდებოდა.



სურ. 70

დაცულობა: ინტალიო ადგილ-ადგილ ატკეცილია. თვალი ბუდიდან ამოვარდნილია, ასევე ამოვარდნილია ბუდიდან შავი პასტაც. ბუდეს ნაპირები შემომტვრეული აქვს. ვერცხლი ჟანგის თხელი ფენით არის დაფარული.

ზომები: ინტალიოს დიამ. — 10 მმ, ბუდის სიმაღლე — 5 მმ,
ინტალიოს სისქე — 2 მმ, ბუდის დიამ. — 11 მმ,
ბეჭდის სიმაღლე — 24 მმ, რკალის დიამ. — 3 მმ.
ბეჭდის დიამ. 16 — 19 მმ,

ამავე სამარხში აღმოჩენილი საბეჭდავის მიხედვით № 792, ინტალიო ახ. წ. III—IV საუკ. უნდა იყოს.

38 (ინვ. № 788).

არმაზისხევი, 1941 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვისსამარხი № 16, საველე № 319.

ინტალიო ღია ლურჯი ფერის მინისა, ბრინჯაოს ბეჭედს ამკობს. თვალი ლაჟვარდის ქვის მიმბაძველობას წარმოადგენს. ინტალიო მრგვალია და ბრტყელი.

ინტალიოს პირზე გამოხატულია ირემი, პროფილში მარჯვნივ, მიმავალი. გამოხატულება მეტად სუმარულია. იგი ძალზე სქემატურად არის შესრულებული. ჩანს დედანი, რომლიდანაც პირია აღებული, მეტად პრიმიტიული ნახელავი ყოფილა. დედნის მჭრელს სრულებით არ დაუცავს პროპორციები.

ირემს დიდი, მაგრამ დაბალი რქები აქვს, სიგანეში გაზრდილი. თავი, რქის ძირი და უჩვეულოდ გრძელი დრუნჩი გაერთიანებულია. ირემს თვალი არ უჩანს, დაბალკისრიანია; ტანი მეტად დიდი და არაპროპორციული აქვს. მრგვალი მოყვანილობის მკერდი წინ არის წამოწეული სხეულის კონტური ინტალიოს პირზე იკარგება; ადგილ-ადგილ გამოხატულების გამოყოფა ფონისაგან შეუძლებელია. ფეხები ორი სწორი, ოდნავ დამრეცი და ფართო ხაზით არის გადმოცემული.

ინტალიოზე გამოხატული ირემი ფური უნდა იყოს, ჯიქანი მკრთალად ეტყობა, იგი ტანისაგან მკვეთრი ხაზით არის გამოყოფილი. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე მეტად დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა.

ინტალიო მინის ჩამონასხამს წარმოადგენს. გამოხატულება ძალიან მკრთალად არის გამოსული. ერთი მხრით ეს იმით აიხსნება, რომ დედანი რომლიდანაც ყალიბია აღებული, არ ყოფილა ღრმად ნაკვეთი. მეორე — მინა მიწაში ხანგრძლივად ყოფნის გამო იშლება და გამოხატულებამ სიმკვეთრე დაჰკარგა.

გამოხატულება მეტად სქემატურად, ესკიზური მანერით არის შესრულებული. ყალიბიდან ამოღების შემდეგ მჭრელს გამოხატულების დასამუშავებლად საჭიროსათვის არ მიუმართავს. ინტალიოს ნაპირები კარგად არის შემოსწორებული; კონტურები მომრგვალებული აქვს. როგორც ჩანს, იგი საკმაოდ სქელი ფენის მინისაგან არის გაკეთებული (მინა იმგვარი შემადგენლობისა არის, რომელიც მაინცადამაინც ძლიერ ირიზაციას არ განიცდის).

ინტალიო ამოჭრის მანერით და სტილისტურად სავსებით იმეორებს Neilson C. Debevoise-ის მიერგამოცემული პართული გემების ჯგუფს, სახელდობრ, იხ. Parthian seals, გვ. 473, გამ. h, v, z და ა. შ.

ბეჭედი ბრინჯაოსგან არის გაკეთებული. ვიწრო მავთულის ოდნავ შებრტყელებული რკალი პირხსნილ რგოლს წარმოადგენს, რომლის ბოლოები ცერად არის წაკვეთილი. ამ პირხსნილ რგოლში ჩასმული იყო მაღალი, მრგვალი მოყვანილობის კოლოფისებრი ბუდე. ბუდე ფურცლოვანი ბრინჯაოსგან არის გაკეთებული, რომელსაც როგორც ჩანს, ბრტყელი ძირი ჰქონია. ბუდეს ვიწრო ნაპირი თვალზე ყოფილა შემოჭედილი (ამჟამად ამისი მხოლოდ კვალი არის დარჩენილი). ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თითქოს ბუდეს შუა წელზე გარს ევლო ბრტყელი მავთული (კვალი ერთგანაა დარჩენილი 4 მმ სიგრძისა)[1]. თვალი ბუდეში პასტით არის ჩამაგრებული (სურ. 71).



სურ. 71

დაცულობა: ინტალიოს პირი ადგილ-ადგილ დაკენკილია. პატინით დაფარულ ბეჭედს ბუდე მოტეხილი აქვს და აკლია. ბუდის ზედა ნაპირი, რომელიც თვალს ეკვროდა და ნაწილობრივ ძირი, შემომტვრევია. მასა, რომელიც ბუდეშია მოთავსებული, ამჟამად გამოფიტულია.

ზომები: ინტალიოს დიამ. — 12 მმ,
ინტალიოს საშ. სისქე — 2 მმ,
ბეჭდის დიამ. — 25 მმ,
ბუდის დიამ — 12 მმ (ამჟამად)
ბუდის სიმაღლე — 6 მმ,
ბეჭდის სიმაღლე — 19 მმ.

ინტალიო პართული ხანის დედნიდან არის ჩამოსხმული. ამავე სამარხიდან არის გემიანი ბეჭდები 783, 784 და 789.

39 (ინვ. № 784).

არმაზისხევი, 1941 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვისსამარხი № 16, საველე № 299.

ინტალიო მუქი იისფერი მინისა (ალმანდინის მიმბაძველობას წარმოადგენს), ბრინჯაოს ბეჭედს ამკობს. ინტალიო მრგვალია და ბრტყელი.

პირზე გამოხატულია ცხენი (?) პროფილში მარჯვნივ; თავი ზურგისაკენ აქვს მიბრუნებული. მარცხენა წინა ფეხი ცხენს სახსარში მოხრილი და ზევით აწეული აქვს.

გამოხატულება იმდენად დაუდევრად არის შესრულებული (ან შესაძლებელია ეს ერთგვარად მჭრელის დაბალი დონით აიხსნება), რომ ცალკეული დეტალები (ფეხები, ძუა) ნაწილობრივ არის დამუშავებული, თითქოს იგი რამდენიმე ხაზისა ან ღარისაგან შედგება. მის შემდეგ, რაც მჭრელმა ისინი ამოკვეთა, ველარ გაუერთიანებია და ამიტომ გამოხატულება კუთხოვანი და მეტად დანაწევრებულია. ფეხებისა და ძუის გუდმოცემაში ერთგვარი პირობითობაც ჩანს.

---

[1] ბეჭედს თან ახლავს პაწია ნატეხი, რომელიც ბუდეზე შერჩენილი მავთულის გაგრძელებას წარმოადგენს.

პატარა ზომის თავი მეტად სუმარულად არის გადმოცემული; ცხენს ძალზე წაწვეტებული დრუნჩი აქვს. თავი კისრისგან სწორი და მკვეთრი ხაზით არის გამოყოფილი ისე, რომ თავი ტოლფერდა სამკუთხედის მოყვანილობას ღებულობს; ყურები ცხენს აცქვეტილი აქვს, სწორი ხაზებით აღნიშნული.

ცხენის გრძელი კისერი დამუშავების მხრივ გამოირჩევა გამოხატულებაზე. მაღალი ფაფარი ხშირი, სქელი და ირიბი ხაზებით არის შესრულებული. წინა მარჯვენა და უკანა მარცხენა ფეხის ჩლიქები მკვეთრად არის გამოხატული. მარჯვენა უკანა ფეხისა და ძუის ერთმანეთისაგან გამოყოფა საკმაოდ ძნელია. ცხენის ტანი საკმაოდ არათანაბარი რელიეფით არის გადმოცემული.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

ინტალიო ჩამოსხმულია. იგი მინის თხელი ფენისგან არის გაკეთებული. შესრულების მხრივ ინტალიო არ გამოირჩევა დიდი სიფაქიზითა და ოსტატობით. უნდა აღინიშნოს, რომ დედანი, რომლიდანაც ყალიბი გაუკეთებიათ, სქემატური და საკმაოდ პრიმიტიული ნახელავი ჩანს; ამასთანავე ერთობ დაუდევრად შესრულებული. ოსტატმა გამოხატულება ჩამოსხმის შემდეგ ადგილ-ადგილ საჭრისით დაამუშავა. მიუხედავად იმისა, რომ თვალი ირიზებულია, საჭრისის კვალი გამოხატულების დიდ ნაწილს კარგად და საკმაოდ მკვეთრად ეტყობა. გამოხატულება ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა; თვალს წესიერი ფორმა აქვს მიცემული. ყალიბიდან ამოღების შემდეგ ოსტატს იგი კარგად შემოუსწორებია.

დამუშავების მანერითა და სტილისტური თავისებურებების მიხედვით ინტალიო იმეორებს Neilson C. Delevoise-ის მიერ Parthian Seals-ში გამოცემულ გემებს, სახელდობრ, იხ. გვ. 473, გამ. 126.

ბეჭედი ბრინჯაოსგან არის გაკეთებული. მრგვალი და სქელი რკალი ქვევითკენ ოდნავ ჩამოწეულია. რკალი მირჩილულია დაბალ ბუდეზე. ბუდე ძირისკენ ვიწროვდება, თავისი ფორმით წაკვეთილ კონუსს მოგვაგონებს, ნაპირები თვალის მიმართულებით აქვს გადმოკეცილი. თვალი ბუდეში მჭიდროდ ზის (სურ. 72). ჩანს ბუდეს ბრტყელი ძირი ჰქონია (ამჟამად ამის მცირე კვალიღაა შერჩენილი, მხოლოდ ნაპირები). ბეჭედი ნაჭედია თუ ჩამოსხმული ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვით იმის გამო, რომ იგი პატინით არის დაფარული. მსგავსი ფორმის ბეჭდები ახ. წ. IV საუკ. თარიღდება. იხ. მ. ლორთქიფანიძე, საშთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, გვ. 56, სურ. 14.



სურ. 72

დაცულობა: ინტალიო ირიზებულია, ამის გამო თვალის ზედაპირი დაზიანებულია. გამოხატულებამ ერთგვარად სიმკვეთრე დაჰკარგა. ბეჭედი პატინის სქელი ფენით არის დაფარული; ბუდეს ძირი ჩატეხილი აქვს, აკლია. ცალი გვერდი ჩამოტეხილია (ბეჭედს თან ახლავს პაწია ნატეხები). ალბათ თვალი თავის დროზე ბუდეში პასტით იყო ჩამაგრებული. თვალიდან ბუდის ძირამდე საკმაოდ დიდი თავისუფალი არე არის დარჩენილი.

ზომები: ინტალიოს დიამ. — 9 მმ, რკალის დიამ. — 3 მმ,
ბეჭდის სიმაღლე — 26 მმ, ბუდის სიმაღლე — 4 მმ,
ბეჭდის დიამ. — 18 მმ, ბუდის დიამ.— 12 მმ.

ინტალიო პართული ხანის ინტალიოდან არის ჩამოსხმული და ახ. წ. IV საუკ. ბეჭედშია ჩასმული. ამგვარ დათარიღებას ხელს უწყობს ამავე სამარხში აღმოჩენილი გემები №№ 783, 788, 789.

40 (ინვ. № 789).

არმაზისხევი, 1941 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვისსამარხი № 16, საველე № 73 (309).

ინტალიო მუქი ფერის ლაჟვარდისა, ვერცხლის ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალური და ბრტყელია, ქვედაპირისკენ ვიწროვდება, პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი დაქანებული აქვს.

პირზე ამოჭრილია ფასკუნჯი, პროფილში მარჯვნივ, თითქოს მიფრინავს. ფასკუნჯის თავი საკმაოდ სუმარულად არის შესრულებული, ნისკარტი და დრუნჩი გაერთიანებული აქვს, ერთი ხაზითაა შემოფარგლული. უფრო სწორად, თვალის აღმნიშვნელი მოკლე ღარი უერთდება ნისკარტისა და ქვედა ყბის შემაერთებელ ხაზს.

ფასკუნჯს მოკლე ყურები აცქვეტილი აქვს. დაბალი, საკმაოდ სქელი კისერი ირიბი, არაღრმა ღარებითაა დასერილი, რომელიც ფაფარს გამოხატავს; ფასკუნჯს მოკლე ფრთა აქვს, ბოლო მოკეცილი თავის მიმართულებით. ფრთა რამდენიმე შვეული და ერთი თავმოკაუჭებული ღარითაა გადმოცემული.

ფასკუნჯს გრძელი, ზევით აწეული კუდი აქვს; კუდის ბოლოს ორი მეტად მოკლე. ურთიერთ გადამკვეთი ღარი ჰკვეთს, ხუთქიმიან ვარსკვლავს მოგვაგონებს.

ბასრი და გრძელბრჭყალებიანი წინა თათები წინ აქვს გაწვდილი. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თითქოს წინა ფეხები ცხოველს არაპროპორციულად მოკლე აქვს ტანთან შედარებით. უკანა ფეხები (მხოლოდ მარჯვენა ჩანს) სახსრებში აქვს მოხრილი. ფერდები რამდენიმე ჰორიზონტალური, არაღრმა ღარითაა გადაკვეთილი. გულ-მკერდს სხეულისგან მკვეთრი ღარი გამოჰყოფს. გავა ღრმა ღარით არის შემოფარგლული. ყურის ბოლოები, წინა ფეხების ბრჭყალები და კუდის ბოლო ინტალიოს ნაპირს ებჯინება.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი არაღრმად, მაგრამ ძალიან მკვეთრად. გულმოდგინე და საკმაოდ კარგი ნახელავია, თუმცა სიფაქიზეს მოკლებული. ჩანს, ოსტატს გამოცდილი და მტკიცე ხელი ჰქონია გამოხატულებების ამოჭრაში. პროპორციებიც მეტ-ნაკლებად კარგად არის დაცული. ყოველი დეტალი გულმოდგინედ არის დამუშავებული. ქვედაპირი და პირი ოსტატს გაუპრიალებია, გამოხატულება მკრქალად დაუტოვებია. ქვა საკმაოდ კარგად არის გათლილი, მაგრამ ქვედაპირის კონტურები ცუდად არის შემოსწორებული.

მსგავსი გამოხატულებები იხ. Horn und Steindorf, Sassanidische Siegelsteine, ტაბ. V, გამ. 840.

ბეჭედი ვერცხლისგან არის გაკეთებული. საკმაოდ სქელი, მრგვალი მოყვანილობის რკალი მირჩილულია მაღალ, კოლოფისებრ ღრმა ბუდეზე. ბუდე ძირისკენ შესამჩნევად ვიწროვდება; მას თვალის მიმართულებით გადმოკეცილი ვიწრო ნაპირი აქვს; ჩანს თავის დროზე იგი თვალზე ყოფილა შემოჭედილი. ბუდე ბრტყელძირიანია (სურ. 73).

რკალს ბუდესთან, ცალ მხარეს, მხარზე, დარჩილული აქვს მოზრდილი გლუვზედაპირიანი ვერცხლისავე ბირთვი.



სურ. 73

აღწერილი ბეჭდის რკალი იმავე პრინციპით უნდა იყოს გაკეთებული, როგორც სამთავროში 1939 წ. № 915 ქვაყუთში მოპოვებული ბეჭედი № 192. სახელდობრ, აღებულია თხელი ვერცხლის ფირფიტა, რომლისგანაც გაკეთებულია მილი. მილის დამზადების შემდეგ ოქრომჭედელი მას მოღუნავს საჭიროებისდა მიხედვით, მისგან ბეჭდის რკალს აკეთებს და ავსებს მას სხვა ადვილადლღობადი ნივთიერებით. რომ აღწერილი ბეჭედი ამ ტიპისაა, იმიტომ ვფიქრობთ, რომ მას რკალის შიდაპირზე (ქვედა ნაწილში) „ნაკერავი“ ეტყობა. ერთი შეხედვით კი რკალი მასიურ შთაბეჭდილებას ტოვებს. თავის დროზე თვალი ბუდეში პასტით ყოფილა ჩამაგრებული. მსგავსი ბეჭდები მოპოვებულია სამთავროში და ახ. წ. VI საუკ. თარიღდება. იხ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროში მოპოვებული გემების კატალოგი, გვ. 57, ინვ. № 306.

დაცულობა: ინტალიო პირის კიდესთან ადგილ-ადგილ ჩამოტეხილია; პირზე ორი ანატკეცი აქვს, ფასკუნჯის თავსა და თათებთან ისე, რომ ნაწილობრივ გამოხატულებასაც კი აზიანებს. ინტალიო

ხოგან დაბზარულია; ქვედაპირზე რამდენიმე ანატკეცი აქვს. თვალი ბუდიდან ამოვარდნილია; ბუდეს ძირი ჩატეხილი აქვს. ვერცხლი მყიფეა.

ზომები: ინტალიოს დიამ. — 12 მმ, ბეჭდის დიამ. — 18 — 16 მმ,
ინტალიოს სიმაღლე — 2 მმ, ბუდის სიმაღლე — 5 მმ,
ბეჭდის სიმაღლე — 24 მმ, ბუდის დიამ. — 14 მმ.
რკალის დიამ. — 4 მმ,

ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო ახ. წ. IV საუკ. თარიღდება. ამავე სამარხიდან არის გემიანი ბეჭდები №№ 783, 784 და 788.

41 (ინვ. № 783).

არმაზისხევი, 1941 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვისსამარხი № 16, საველე № 297.

ინტალიო — საბეჭდავი, ბრინჯაოსი. საბეჭდავი სფერული ფორმისაა, ცალ მხარეს ბრტყელია. ბრტყელი ნაწილი საბეჭდავის პირს წარმოადგენს; პირი საბეჭდავს ოვალური მოყვანილობისა აქვს, ზურგი — ვიწრო. საბეჭდავში გაკეთებულია დიდი ნახვრეტი ზონრისათვის; საბეჭდავი აბრასა ჰგავს. (სურ. 74).

პირზე გამოხატულია წიწვიანი ხე. იგი შედგენილია სწორი ხაზებისაგან. ტანი სწორი და შედარებით ფართო ღარითაა გადმოცემული, შტოები — დახრილი და მოკლე ღარებით. მარცხენა მხარეს ხაზურა მცენარე თუ ფოთოლი არის ამოჭრილი (შესაძლებელია შემთხვევით ამოჭრილი ხაზია). ნიადაგის ზოლი მკვეთრად ჩანს.



სურ. 74

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი არაღრმად, ანაბეჭდზე ძალიან დაბალ რელიეფს იძლევა. გამოხატულება მეტისმეტად სქემატურადაა შესრულებული.

დაცულობა: ნახვრეტის ნაპირები შემოკბილულია. ლითონის ზედაპირი ამოჭმულია ჟანგისგან.

ზომები: სიმაღლე — 8 მმ, ნახვრეტის დიამ. — 6 მმ,
პირის სიგრძე — 9 მმ, პირის განი — 10 მმ.

ამავე სამარხში აღმოჩენილი გემების №№ 784, 788 და 789 მიხედვით საბეჭდავი ახ. წ. IV საუკ. თარიღდება.

42 (ინვ. № 827).

არმაზისხევი, 1941 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვისსამარხი № 17, საველე № 144.

ინტალიო მუქი ფერის ლაჟვარდის ქვისა, ვერცხლის ბეჭედს ამკობს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი; პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი ოდნავ დაქანებული აქვს.

პირზე გამოხატულია ფრთოსანი რაში, პროფილში მარჯვნივ, მიმავალი. საკმაოდ სქემატურად შესრულებული თავი დახრილი აქვს. გრძელი, აცქვეტილი ყურები მკაფიოდ არის გამოხატული; თვალი პაწია წერტილითაა აღნიშნული. რაშს დიდი ზომის ფრთები აქვს, ბოლო მოკეცილი თავის მიმართულებით. ფაფარი რამდენიმე მოკლე ხაზით არის აღნიშნული. გრძელი ძუა ჩლიქებამდე წვდება.

ფეხები საკმაოდ ტლანქად არის შესრულებული, სახსრებთან (მუხლებში) ფართო, ჰორიზონტალური ღარებითაა გადაკვეთილი. რაშს მარცხენა წინა ფეხი მუხლში აქვს მოხრილი.

ინტალიოს ზედა ნაწილში, პირის კიდესთან, რაშის ზურგისა და თავის გასწვრივ, ამოჭრილია ფალაური წარწერა[1], ერთ სტრიქონად $\frac{\text{hūč d [a] s}}{\text{ū}}$ ანუ „კერპი“

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად და ბრტყელი რელიეფით. საკმაოდ სქემატურად შესრულებული ნახელავი არ გამოირჩევა სიფაქიზით. ინტალიო მქრქალად არის გაპრიალებული.

[1] წარწერა ამოკითხულია სახვითი ხელოვნების მუზეუმის მეცნ. თანამშრ. ს. იმრანის მიერ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

მსგავსი გამოხატულება იხ. Horn und Steindorf, Sassanidische Siegelsteine, ტაბ. V, გამ. 1405; იქვე, 1403; Mordtmann, Studien über Geschnittene Steine mit Pehlewi—Inschriften, ZDMG XVIII, Leipzig, 1864, ტაბ. IV, გამ. 31, 109 (ორივე შემთხვევაში რაშს ფეხი აწეული აქვს მსხვერპლის შეწირვის ნიშნად. სტილისტურადაც განსხვავებული ჩანს).

ვერცხლის ბეჭდის მრგვალი მავთულის სქელი რკალი გვერდებისკენ ოდნავ განზიდულია. რკალი მირჩილულია წაკვეთილი კონუსის ფორმის მაღალ ბუდესთან. ძირისკენ ბუდე ვიწროვდება, საკმაოდ ფართო ნაპირი თვალის მიმართულებით არის გადმოკეცილი. ბუდე ბრტყელძირიანია. რკალს ცალ მხარეს, მხარზე, დარჩილული აქვს მოზრდილი ბირთვი (სურ. 75), მსგავსი ბეჭდები ახ. წ. III—IV სს თარიღდება. იხ. მ. ლორთქიფანიძე, კატალოგი..., გვ. 52, სურ. 13.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული. თვალი ბუდიდან ამოვარდნილია. ბუდეს ნაპირი ჩამოტეხილი აქვს.

ზომები: ინტალიოს სიგრძე — 12 მმ,
ინტალიოს განი — 11 მმ,
ბეჭდის სიმაღლე — 26 მმ,
ბეჭდის დიამ.— 16 — 19 მმ,
ბუდის სიმაღლე — 6 მმ,
ბუდის სიგრძე — 16 მმ,
რკალის დიამ. — 3 მმ.

სტილისტური თავისებურებისა (შდრ. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ. ტაბ. I გამ. 55) და ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო ახ. წ. III—IV ს. უნდა ეკუთვნოდეს. ამავე სამარხიდან არის გემიანი ბეჭდები №№ 828 და 790.



სურ. 75

43 (ინვ. № 828).

არმაზისხევი, 1941 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვისსამარხი[1] № 17, საველე № 144.

ინტალიო ლურჯი ფერის მინისებრი პასტისა, ბრინჯაოს ბეჭედს ამკობს. ინტალიო მრგვალი მოყვანილობისაა, ბრტყელი.

ინტალიოს ბრტყელ პირზე გამოხატულია გეომეტრიული მოტივი, ე. წ. სასანური მონოგრამა.[2] ნახევარმთვარის მოყვანილობის ორმაგი რკალი ორი შვეული ღარით უერთდება ინტალიოს კიდესთან ამოჭრილ ორ ჰორიზონტალურ ხაზს. შუაში გამოხატულება გადაკვეთილია მოგრძო ჰორიზონტალური ორმაგი ხაზით, რომლის ერთი ბოლო სქემატურად გამოხატული ფრთით ბოლოვდება, მეორე— ორი შვეული მოკლე ხაზით. ჩანს, ოსტატს აქაც ფრთის გამოხატვა უნდოდა, მაგრამ, ჩვენის აზრით, მან ფართობი ცუდად გამოიანგარიშა და ადგილი აღარ ეყო.

საკმაოდ ასიმეტრიული გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

ინტალიო ჩამოსხმულია, უწესო ფორმა აქვს მიცემული (ზოგან მაღალი და ზოგან დაბალია). პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი წახნაგი ზოგან სწორია, ზოგან ამობურცული და მკვეთრად დაქანებული.

თვით გამოხატულებაც არ არის პირის შუაგულში მოხვედრილი, მარცხენა მხარეს მეტი თავისუფალი არე რჩება; მარჯვენა მხარეს იგი თითქმის კიდეს ეხება.

ყალიბი მაინცდამაინც ფაქიზად შესრულებულ გემიდან არ არის აღებული. საკმაოდ ტლანქი და სქემატური ნახელავია.

გამოხატულება მკვეთრადაა გამოსული. ანაბეჭდზე საკმაოდ მაღალ რელიეფს იძლევა.

---

[1] სამარხში ორი ჩონჩხი იყო დასაფლავებული. ძვლები არეული აღმოჩნდა.

[2] განსვენებული მ. დიაკონოვი აღნიშნულ ნიშნებს საგვარეულო ნიშნებად თვლიდა.

ამგვარი ნიშნები, ე. წ. მონოგრამები, დიდი რაოდენობით არის ცნობილი და მათი მრავალი სახესხვაობა ფართოდაა გავრცელებული ე. წ. სასანურ გემებზე. Horn und Steindorf, Sassanidische Siegelsteine, ტაბ. VI, გამ. 2027; Delaporte, Cylindres et cachets orientaux I, Fouilles et Misions, ტაბ. 56, გამ. 47 (D. 272); ტაბ. 56, გამ. 49 (D. 274); Horn, Sassanidische Gemmen, ZDMG, 44. ტაბ. 11a, გამ. 705, 603; Ackerman, Sasanian Seals, გვ. 805, გამ. 278,a.

საქართველოში მოპოვებულ გემათაგან შდრ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, ტაბ. V, გამ. 63.

ბეჭედი ბრინჯაოსაგან არის გაკეთებული. სქელი მავთულის მრგვალი რკალი ოვალური მოყვანილობის დაბალ და ფართო ბუდესთან არის მირჩილული; ბეჭედს მხარზე, ბუდესთან, პაწია ბირთვი აქვს დარჩილული. თვალი ბუდეში პასტით ყოფილა ჩამაგრებული. ბუდის ძირზე ვერაფერს ვიტყვით, რადგან მოტეხილია და ნატეხები თან აღარ ახლავს. თვალი და ბუდის ვიწრო ნაპირები ერთ სიბრტყეზე იყო მოთავსებული (სურ 76). მსგავსი ბეჭდები ახ. წ. III — IV სს. თარიღდება.

დაცულობა: თვალი კარგად არის შენახული; ამჟამად ბუდიდან ამოვარდნილია. ბეჭედი პატინით არის დაფარული. ბუდეს ნახევარი ჩამოტეხილი აქვს, აკლია. ბუდის ძირი მომტვრეულია.

ზომები: ინტალიოს დიამ. — 12 მმ,
ინტალიოს სიმაღლე — 2 — 3 მმ,
ბეჭდის სიმაღლე — 25 მმ,
რკალის დიამ. — 4 მმ.
ბეჭდის დიამ. — 16 — 18 მმ,
ბუდის სიგრძე — 15 მმ,
ბუდის სიმაღლე — 6 მმ.

ბეჭდის ფორმისა და ამავე სამარხში მოპოვებული გემიანი ბეჭდის № 827 მიხედვით ინტალიო ახ. წ. III — IV სს თარიღდება. ამავე სამარხიდან არის საბეჭდავი ბეჭედი № 790.

44 (ინვ. № 790).

არმაზისხევი, 1941 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვისსამარხი № 17, საველე № 379.



სურ. 76.

ინტალიო — ბეჭედი, ბრინჯაოსი, ინტალიო კონუსს წარმოადგენს; პირი ამობურცული და მრგვალი აქვს.

მრგვალი მავთულის წვრილი რკალი პირშეკრულ რგოლს წარმოადგენს. ამ რგოლზე დარჩილულია კონუსისებრი მოყვანილობის მაღალი ინტალიო. კონუსი რკალთან წვერით არის მირჩილული. კონუსის ფუძე ინტალიოს პირია (სურ. 77).

მსგავსი ბეჭედი იხ. მ. ლორთქიფანიძე, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, ტაბ. 7, გამ. 64.

პირზე გამოხატულია ირემი, პროფილში მარცხნივ, თითქოს უკან იხევსო; ირემს მაღალი, დატოტვილი რქები აქვს, გრძელი დრუნჩი, bouterolle-ით შესრულებული, პაწია თავი. დიდი ზომის თვალს გულამოღებული წერტილი გამოხატავს· გულ-მკერდი და გავა რგოლებითაა (bouterolle-ით) გადმოცემული; ირემს მაღალი ფეხები აქვს, დიდი ზომის მკვეთრად გამოხატული ჩლიქები. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს. ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, ღრმად; ოსტატს იგი bouterolle-ით ამოუჭრია, სახელდობრ, თავი, გულ-მკერდი და გავა. ხოლო ფეხებისა და რქების ამოჭრისას ჩვეულებრივი საჭრისი უხმარია.

მსგავსი გამოხატულება იხ. Horn und Steindorf, Sassanidishe Siegelsteine, ტაბ. 11, გამ. 1198; Delaporte, Cylindres et cachets orientaux II, Acquisitions, ტაბ. 109, გამ. 39 (A. 1328)—სტილისტურად განსხვავებულია.

დაცულობა: იმის გამო, რომ ბეჭედი პატინით იყო დაფარული, ლითონს ზედაპირი „დაკენკილი" აქვს. ბეჭედი გატეხილია.

ზომები: ინტალიოს პირის დიამ. — 7 მმ, ბეჭდის დიამ. — 15 მმ,
საბეჭდავის სიმაღლე — 6 მმ, რკალის დიამ. — 2 მმ.
ბეჭდის სიმაღლე — 24 მმ,

ამოჭრის თავისებურების მიხედვით (à la bouterolle) ინტალიოს სასანურად მივიჩნევთ. ამავე სამარხიდან არის გემიანი ბეჭდები №№ 827 და 828.

45 (ინვ. № 804).

არმაზისხევი, 1944 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვისსამარხი № 70, საველე № 849.



სურ. 77

ინტალიო — საბეჭდავი, ბრინჯაოსი, პოლირებული ან ვერცხლით დაფერილი, საბეჭდავი სფეროსებრი ფორმისაა, შებრტყელებულია, ცალ მხარეს „წაკვეთილია"; პირი საბეჭდავს მრგვალი და ბრტყელი აქვს. საბეჭდავში გაკეთებულია დიდი ნახვრეტი ზონრისათვის (სურ. 78).

პირზე გამოხატულია ორი მორიელი, ერთმანეთთან თავბოლო-შეკცეულნი არიან; ორივე მორიელს კუდი მოკეცილი აქვს; წინა მარწუხები დიდი ზომისაა. სხეულები ირიბი ხაზებით აქვთ დასერილი. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

საბეჭდავი ჩამოსხმულია; ყალიბიდან ამოღების შემდეგ გამოხატულება საჭრისით არის დამუშავებული. გამოხატულება არ არის ღრმა, ტლანქი ნახელავია, ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა. საბეჭდავს საკმაოდ უწესო ფორმა აქვს.

